ალ. გედევანიშვილი.
ლევ. სლიხკო.
ლევ. გორსიაშვილი.

ტაქტიკა.

სახელმძღვანელო სამხედრო სკოლებისათვის.

ნაწილი I.

ელემენტარული ტაქტიკა.

წიგნი პირველი.

ქვეითი ჯარი.

გამოცემა სამხედრო სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიისა.

ტფილისი.
სამხედრო კომისარიატის სტამბა.
1924 წ.

წინასიტყვაობა

ქართულ სამხედრო-საგამომცემლო კოლეგიამ წინადადება მოგვცა ტაქტიკის სახელმძღვანელო შეგვედგინა ქართულ სამხედრო სკოლისათვის.

ეხლანდელ გარდამავალ ხანაში ტაქტიკის სახელმძღვანელოს დაწერა სამხედრო საქმის ყველა დარგების მოყვანით— მეტად მძიმე და რთული სამუშაოა. სიძნელე გამოწვეულია უფრო იმ გარემოებით, რომ, ქართულ სამხედრო სკოლას სრულებით არ მოეპოვებოდა ტაქტიკის სახელმძღვანელო, ურომლისოდაც დიდად ფერხდებოდა მეცადინეობა სამხედრო სკოლებისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგში — და ამიტომ დრო ცოტა გვქონდა. დროის სიმცირის გარდა, სახელმძღვანელოს შედგენის გართულებაზე იქონია გავლენა, რუსული ენის გარდა, სხვა უცხო ენებზე, სათანადო მასალის უქონლობამ. მიუხედავად ამ ხელშემშლელ პირობებისა ჩვენ განვიზრახეთ საძირკველი ჩაგვეყარა ტაქტიკის სახელმძღვანელოსათვის. ჩვენი ნაშრომი ერთი მხრით გაუადვილებს სამხედრო სკოლის მოსწავლეთ მეცადინეობას და მეორეს მხრით საშუალებას მისცემს მომავალ მკვლეველთ უფრო სრული სახელმძღვანელო დასწერონ.

სახელმძღვანელო სამხედრო სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს პროგრამის მიხედვითაა შედგენილი, თუმცა ზოგიერთი თავები უფრო გაფართოვებულია იმ მიზნით, რომ კურსანტებს საშუალება მიეცეთ უფრო სრულად გაეცნენ იმ დარგებს, რომელთაც უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭათ. შედგენისას მთავარ მასალად გამოყენებულ იქმნა: ტაქტიკა **ანისიმოვისა, ვერხოვსკისა, ბ. კუზნეცოვისა, კიულმანისა, „ქვ. ჯარის ბრძოლა“ ოფიც. გამოც., არტილერიის ტაქტიკა—საპოუნიკოვისა, „ცნობები ტეხნიურ ჯარების შეხახებ“—მიხეევისა, „სამხედრო ფრენის საქმე“—ვეიგელინისა** და სხვა.

მომავალში მოგვიხდება ამ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა, რომელშიაც უეჭველია, ზოგიერთი თავები შემცირდება ან გადაკეთდება და, ბევრი რამ დაემატება კიდეც. ამის გარდა, რადგანაც აღნიშნული სახელმძღვანელო კომპილატიური მუშაობის შედეგია, ცხადია იგი ვერ აიშორებდა ყველა იმ ნაკლს, რომლებიც ყოველ ამგვარ მუშაობას თან დასდევს. ამიტომ ჩვენ ვსთხოვთ ამხ. ტაქტიკის მასწავლებლებს და ჯარის მეთაურებს გამოგზავნონ საჰხედრო სარედაქციო კოლეგიის სახელზე თავისი შენიშვნები, მოსახრებები და სურვილი ამა თუ იმ საკითხის გადამუშავების შესახებ: ასეთი თანამშრომლობა იმ მასალას მოგვცემს, რომელიც გაადვილებს და შესაძლოდ გახდის უფრო სრული სახელმძღვანელო გამოვცეთ და ამით გავაერცელოთ და განვამტკიცოდ საბჭოდრო ცოდნა ქართულ წითელ ჯარში.

შემდგენელნი: | ალ. ზედევანიშვილი.
| ლავ. სლინკო.
| ლევ. გარსიაშვილი.

ქვეითი ჯარის ძირითადი თვისებანი.

ქვეითი ჯარის თვისებები მჭიდროდ არის დაკავშირებული მის შემადგენელ ელემენტებთან. ამათში უმთავრესი ადამიანი და იარაღია. ამის გამო, ქვეითი ჯარის თვისებების შესახებ დასკვნა რომ უფრო დასაბუთებულ იყოს, საჭიროა წინასწარ გავეცნოთ ამ ელემენტების, ყოველ მხრივ გამაშუქებელ საკითხებს; ასეთებია: ქვ. ჯარის მოძრაობის სისწრაფე, მისი ორგანიზაცია, შეესება, აღზრდა, სწავლება, შეიარაღება, ტანისამოსი და მოკაზმულობა.

მოძრაობის სისწრაფე. ქვეითი ჯარი მოძრაობს ფეხით, ამის გამო მისი მოძრაობის სისწრაფე განსაზღვრულია ადამიანის **ნაბიჯით.**

ნაბიჯით მას შეუძლიან გაიაროს 1 წამში—120 ნაბიჯამდე, სირბილით კი—150—200 ნაბიჯამდე, ისიც მოკლე მანძილზედ, ან სვენებ-სვენებით. ნაბიჯით ქვ. ჯარი 1 საათში გაივლის დაახლოვებით 4 კილომეტრს, დღე-ღამეში—20—25 კილომეტრს, მთაგორიან ადგილში კი დღე-ღამეში 15—20 კილომეტრს.

ორგანიზაცია. მართვის გასაადვილებლად ქვეითი ჯარი დაყოფილია სხვა და სხვა ერთეულებად; ამათში ერთი მიღებულია ძირითად ერთეულად, რომელსაც **ტაქტიკურ ერთეულს** ეძახიან.

ტაქტიკურმა ერთეულმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნილებანი:

1. უნდა იყვეს საკმარისად ძლიერი, რომ შეასრულოს სხვა და სხვა საბრძოლო ამოცანები და, როგორც შედეგი ამისა, იყოს საკმარისად დამოუკიდებელი.

2. თავისუფლად შეეძლოს ერთ პირს ასეთ ერთეულის მართვა.

3. უნარი ჰქონდეს სწრაფი მოძრაობის და მიბრუნ-მობრუნებისა.

თანამედროვე ხანაში ზემოხსენებულ პირობებს აკმაყოფილებს ყველაზედ მეტად **ოცეული.**

ოცეული შესდგება 1 ტყვიამფრქვევის და 2 ავტომატის ათეულებისაგან, ათეული თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად.

ჯგუფი მუდმივი შეერთებაა, რადგანაც იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ცეცხლის ერთეულს. მისი დაყოფა კი მოსპობს მოქმედების უნარს ან მეტად შეასუსტებს მას.

ამ გვარად შედგენილ ოცეულს ეძახიან **საბრძოლო ოცეულს**, ე. ი. ისეთ ოცეულს, რომელიც უშუალოდ იღებს მონაწილეობას ბრძოლაში. მეთაურებიანად ოცეული შესდგება 59 კაცისაგან. სამი საბრძოლო ოცეული შეადგენს ასეულს.

ასეულის მართვის გართულებისა და იმის გამო, რომ სასურველი არ არის მართვისათვის საჭირო კაცები საბრძოლო ოცეულებიდან გამოიყოს, რადგანაც ამით მეტად სუსტებიან ისინი, ასეულს ამ საჭიროებისათვის ემატება ე. წ. მართველობის ოცეული. ამ ოცეულში შედიან: გადამწერი, ასეულის მძიებელნი, მოთვალთვალენი, მებუკენი, მარბიელნი, მესაკაცენი, ვაზნების მომტანნი, გაზების ინსტრუქტორი და სამნეო საჭიროებისათვის ყველა აუცილებელი პირნი, სულ მართველობის ოცეულში შედის 58 კაცი, ამ გვარად შემდგარი სამი ასეული თითოში-239 კაცი მძიმე ტყვიამფრქვევთა გუნდთან ერთად (6 ტყვიამფრქვევი) შეადგენს ათასეულს;

სამი ათასეული—ლეგიონს; ლეგიონი, რომ სავსებით დამოუკიდებელი ერთეული გახდეს, მას ემატება: ლეგიონის საარტილერიო ოცეული—2 ქვემეხით, საკავშირო გუნდი, მძიებელთა ქვეითი და ცხენოსანი გუნდი, მესანგრეთა გუნდი, ნაღმის მტყორცნელი გუნდი, საგაზო გუნდი, შემხვევი რაზმი, სამნეო გუნდი და ლეგიონის შტაბი.

ამით თავდება ქვ. ჯარის წმინდა ორგანიზაცია. შემდეგი შეერთებაში უკვე შედიან შესამჩნევი რიცხვით ჯარის სხვა დარგებიც. ლეგიონის შემდეგ უფრო დიდი შეერთება დივიზიაა, რამოდენიმე დივიზია შეადგენს კორპუსს, რამოდენიმე კორპუსი—არმიას.

შეიარაღება. შაშხანა თოფი

ამ ჟამად ქვ. ჯარი შეიარაღებულია 3 ხაზიან შაშხანა თოფით 1891 წლის ნიმუშისა; თოფს აქვს თავმწვეტიანი ვაზნები 1908 წლის ნიმუშისა და ხიშტი. ამ იარაღით ქვეითი ჯარს შეუძლიან ზიანი მიაყენოს მტერს სხვა და სხვა მანძილიდან ცეცხლით და ახლო მანძილზედ ხიშტით. შაშხანა თოფი იწონის 4, 25 კილოგრამს, სიგრძე აქვს ხიშტიანათ 1, 73 მეტრი, კორა—უშორესი 3200 ნაბიჯზედ, მუდმივი კორა 600 ნაბიჯიდან და უფრო ახლო.

ტყვიამფრქვევი.

წითელ ჯარში ხმარობენ რამოდენიმე სისტემის ტყვიამფრქვევს: უფრო გავრცელებულია ტყვიამფრქვევები მაქსიმისა, კოლტისა, ლუისისა, პირველ ორს ეძახიან მძიმე ტყვიამფრქვევებს, უკანასკნელს—მსუბუქ ტყვიამფრქვევს.

„მაქსიმის“ ტყვიამფრქვევი. ლულა იმავე თვისებისა, და, ყალიბისაა როგორც სამხაზიანი შაშხანა თოფისა, მხოლოდ

იმაზედ მოკლეა. მანძილი სროლისა—თითქმის იგივეა, რაც შაშხანა თოფისა. წონა ტყვიამფრქვევისა 1905 წ. ნიმუშისა უდაზგოთ 21 კილოგრამამდე და 1910 წლის ნიმუშისა—14 კილოგრამამდეა. სიმაღლე ტყვიამფრქვევისა დაზგიანად, ჯდომელა სროლისათვის ფარით-0, 937 მეტრი, უფაროთ—0,533 მეტრი. მწოლიარე სროლისათვის ფარით—0, 71 მეტრი, უფაროთ—0, 533 მეტრი. სროლილობს ერთს წამში 500-600 ვაზნას, სროლისათვის ვაზნებით იტენება ჯერ, ამისათვის გამოგონილ სარტყელაები, თითო 250 ვაზნით და შემდეგ თვით ტყვიამფრქვევი. სროლა შეიძლება დაზგით და უამისოდ.

„კოლტის" ტყვიამფრქვევი. ყალიბი—3 ხაზი. წონა—14, 38 კილოგრამი, სისწრაფე სროლისა—400-500 ვაზნა ერთ წამში. ვაზნებით აქაც ჯერ სარტყელა უნდა გაიტენოს, თითო 250 ვაზნით, და შემდეგ თვით ტყვიამფრქვევი. გამაგრებულია სამფეხა დაზგაზედ.

„ლუისის" ტყვიამფრქვევი. ყალიბი—3 ხაზი. წონა—10, 66 კილოგრამი. სისრაფე სროლისა—200-250 ვაზნა ერთ წამში. ვაზნებით ივსება ჯერ საგანგებო მაღაზია, თითო 25 ვაზნით, შემდეგ იტენება ტყვიამფრქვევი. სროლა წოლით შეიძლება, აქვს თავისი საყრდნობი.

თოფი ავტომატი. ამ ჟამად წითელი ჯარი შეიარაღებულია ფეოდოროვის სისტემის ავტომატებით, ზოგიერთ ღირსებასთან ერთად მას დიდი ნაკლიც აქვს; უკვე მუშავდება და მოკლე ხანში დაურიგდება წითელ ჯარს გაუმჯობესებულ სისტემის თოფი-ავტომატები.

ქვ. ჯარში იხმარება კიდევ სხვა და სხვა გვარი გრანატები.

გრანატები. გრანატები სამგვარია: 1, ხელის გრანატები ცოცხალი მიზნისათვის; 2, ხელის გრანატა სხვა და სხვა დაბრკოლების დასანგრევად და ასაფეთქებლად და 3, თოფის გრანატები.

გრანატები გაკეთების ადგილის მიხედვით სხვა და სხვა სახელებს ატარებენ. არის რუსული, გერმანული, ფრანგული, იაპონური, ავსტრიული, ინგლისური და სხვა. ყველა ხელის გრანატა იწონის 0, 62 კილოგრამს, იაპონური გრანატის გარდა, რომელიც 1, 23 კილოგრამს იწონის. ტყორცნა შეიძლება 30-40 ნაბიჯით. ნატეხები იფანტება 100-150 ნაბიჯზე, იაპონურისა—300 ნაბიჯზე, რუსული გრანატა მოქმედობს უფრო როგორც ლაღმი, რადიუსი აქვს 5 ნაბიჯამდე, ცალკე ნატეხი შეიძლება მოჰხვდეს 20-30 ნაბიჯზედაც.

მძიმე გრანატები დაბრკოლების ასაფეთქებელ დასანგრევად იხმარება და მოქმედობს ლაღმისავით. იგი სხვა და სხვა სის-

ტემისაა. საშუალოდ ყველა მათგანიი წონის 0,62 ან 0,82 კილოგრამს. ტყორცნის მანძილი დაახლოვებით 20-25 ნაბიჯია. ერთ გრანატას შეუძლიან ამოაგდოს სარები და დაწყვიტოს მავთული 2, 18 მეტრით ვარშემო, თოფის გრანატები იხმარება გრანატის შორ მანძილზედ ტყორცნისათვის (400-600 ნაბიჯამდე); თვისება და მოქმედება იგივე აქვს, რაც ხელის გრანატას.

ნალმ-მტყორცნი და ბომბ-მტყორცნი.

ქვ. ჯარს თანამედროვე ხანაში მოქმედებისას ბევრი დაბრკოლება ჰხვდება წინ, რომლის გადალახვა მას არ შეუძლიან; ამისათვის შემოიღეს ისეთი იარაღი, რომელიც ანგრევს და ჰგლეჯს ამგვარ დაბრკოლებებს და გზას უკაფავს ქვ. ჯარს, ასეთ იარაღია ნალმ-მტყორცნი თვით იარაღი ქვემეხს წააგვს წონა აქვს დაახლოვებით 152-ან 210 კილოგრამამდე. თვით ნალმი იწონის 22-29 კილოგრამამდე. სროლილობს 200-500 ნაბიჯით. თუმცა სიმძიმე შესამჩნევი აქვს, მაგრამ ისეა თვლებზედ მოწყობილი, რომ კაცს შეუძლიან ხელით გადაგორ-გადმოგორება. დანიშნულება მისი უმთავრესად სიმაგრეების და მავთულის ღობის დანგრევაა. ბომბ-მტყორცნი შედარებით სუმბუქია—58 კილოგრამამდე, მისი ყუმბარა კი იწონის 3, 3 კილოგრამს. მოქმედების მანძილი 400-700 ნაბიჯია.

ამის გარდა მეთაურები შეიარაღებულნი არიან „ნაგანის" სისტემის რევოლვერით და ხმლით და გუნდების ზოგიერთი წითელ-არმიელები ყარაბინით.

ამ მოკლედ ჩამოთვლილი ცნობებიდან სჩანს, თუ რამდენად გართულდა ქვ. ჯარის იარაღი, მაგრამ ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ქვ. ჯარს იარაღის მოხმარება შეუძლიან თვითეულ ადამიანს სხვის დაუხმარებლივ.

ეს გარემოება შესაძლებლად ჰხდის ქვ. ჯარის იარაღით გაძლიერებას თავისუფალ მოძრაობისა და ერთგვარ მოკნილობის უნარის დაუკარგავად, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარის ყოველ დარგისათვის და ქვეითი ჯარისათვის განსაკუთრებით.

ტანიხამოსი და მოკაზმულობა.

ქვ. ჯარისთვის ამ, პირველ შეხედვით, უბრალო საკითხს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ძალიან მძიმე ან მრავალრიცხოვანი მოკაზმულობა და ტანისამოსი ქვეითი ჯარის კაცს შეუმცირებს მოქმედების უნარს, უიმისობა კიდევ შეაფერხებს მის მოქმედებას. ამის გამო **ტანსაცმელი** უნდა იყვეს სადა, მაგარი და მსუბუქი, უნდა შეეფერებოდეს, როგორც ადგილობრივ ჰავას, ისე წლის დროს და ამინდს და უნ-

და იყოს ლამაზი, მოხდენილი და ზომაზედ გამოკრილი. აკრელე-ბული ტანსაცმელი საშუალებას მისცემს მტერს ადვილად გაარჩი-ოს ჯარის კაცი და ადვილად ამოიღოს მიზანში, მძიმე ტანსაც-მელი მალე დაჰღლის ჯარის-კაცს, რითაც შეუმ ცირე ს უნარს ენერგიულ მოქმედებისას; თუ ტანსაცმელი არ არის შეფერე-ბული ჰავასთან ან ამინდთან, ჯარის-კაცი ადვილად ცივდება და საზ ოგადოთ ყველანაირი ავადმყოფობა ადვილად სძლევს მას; თუ ტანსაცმელი ზომაზედ გამოკრილი არ არის, ის მეტად ავიწროვებს ჯარის-კაცის მოქმედებას ან ავადაც კი ჰხდის მას; ყველამ იცის, რომ მეტად დიდი ფეხსაცმელი სიარულში ადა-მიანს უბეგვავს და უწყლულებს ფეხს; მოხდენილი და ლამა-ზი ტანისამოსი ჯარის-კაცს აჩვევს სისუფთავეს და უღვიძებს მას პირად ღირსების გრძნობას.

მოკაზმულობა, ე. ი. ის, რაც თან დააქვს ქვ. ჯარ.-კაცს ტანი-სამოსი და იარაღის გარდა, უნდა იყოს მსუბუქი და უნდა შესდგე-ბოდეს მხოლოდ ისეთი საგნებისაგან, რომლებიც აუცილებელია მისთვის. ტაქტიკის თვალსაზრისით საუკეთესო იქნებოდა, რომ ჯარი თავისუფალი იყოს ყოველგვარ ბარ ისაგან და იკვებე-ბოდეს ადგილობრივ სურსათ-სანოვაგით. მაშინ ჯარიც და თვი-თეული ჯარის კაციც უფრო მოძრავი იქნებოდა და ამის გარ-და მთელ თავის ენერგიას მოანდომებდა ბრძოლას; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. ჯერ ერთი—საჭირო სურსათ-სანოვაგე ყოველგან არ იშოვება, მეორედ—თუ იშოვება—ცო-ტა და ამის გარდა ზოგიერთი საჭირო საგნებს, მაგალითად ვაზნებს და სხვა და სხვა იარაღს სრულებით ვერ ვიშოვნით. ჯარი, რომ უკიდურეს მდგომარეობაში არ ჩავარდეს, უეჭვე-ლია მან უნდა ატაროს ყოველისფერი, რაც მისთვის აუცი-ლებელია პირველ დღეებს მაინც. ამისთანა საგნებათ ჩაით-ვლება ტანისამოსის და იარაღის გარდა: 1) ვაზნები და იარა-ღის გასაწმენდათ საჭირო ნივთები; 2) 3 დღის საკმარისი სურსათ-სანოვაგე (ჩაი, შაქარი, ორცხობი, მარილი, კონსერვები და სხვა) მათარა წყლით, პატარა ქვაბი, კოვზი და ფინჯანი; 3) ჭრილობის შესახვევი პაკეტი; 4) სანგრის ხელსაწყო (პატარა რკინის ნიჩაბი, პატარა ცული და წერაქვი); 5) კარვის ნაწი-ლები, (კარვის ზეწრის ნაჭერი, კარვის გასამაგრებელი პალო და შესადგელი ჯოხი და თოკი). ყველა აქ ჩამოთვლილი საგ-ნები დააქვს პირადათ ჯარის კაცს. რასაკვირველია ადამიანის მიერ სიმძიმის ტარების უნარს საზღვარი აქვს. თუ გვინდა, რომ იგი მუდამ არ მოვქანცოთ შეიძლება მივსცეთ მას მხო-ლოდ ბარგის განსაზღვრული წონა, ასეთ ნორმათ ჩათვლი-

ლია საშუალოთ 21 კილოგრამი. ამ წონაში შედის ტანსაცმელი, იარაღი და ყველა სხვა მოკაზმულობაც.

შევსება ქვეითი ჯარისა.

ქვეითი ჯარის შევსებისათვის საჭიროა ჯარის კაცები, მეთაურები და მცირე რიცხვი ცხენებისა. ჯარის კაცებით შევსება შედარებით ადვილია; თუმცა ტყვიამფრქვევების შემოღებით ქვეითი ჯარის იარაღი გართულდა, მაგრამ ჯარის სხვა დარგებთან შედარებით იმდენად მარტივია, რომ მის კარგად შესწავლა და მოხმარება ადამიანს შეუძლიან რამდენიმე თვეში და თუ გაჭირდა რამდენიმე კვირაშიაც კი. მართლაც თუ ადამიანი ჯანით და გონებით საღია, მას თამამად შეუძლიან დაკმაყოფილოს ყოველგვარი მოთხოვნილება ქვეითი ჯარისა და სულ მოკლე ხანში შეიძინოს საჭირო ცოდნა. მეთაურებით შევსება ხდება სამხედრო სკოლების და უმაღლესი სწავლით— სამხედრო აკადემიების საშუალებით. ცხენების რიცხვი ქვ. ჯარში იმდენად ცოტაა, რომ მისი შევსება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, ჩვეულებრივ, სხვადასხვა მოსაზრებით და უმთავრესად ხარჯების შესამცირებლად, ინახავენ ქვ. ჯარის მთელი რიცხვის ნახევარს, მეორე ნახევრით იგი შეივსება მხოლოდ მობილიზაციის დროს; ამ დროს ხდება შევსება ძველი ერთეულებისა და მოწყობა ახალი ერთეულების. ახალმა შევსებამ და ახლად მოწყობილ ერთეულმა რომ მუდმივი ორგანიზაციული სახე შეინახონ, ამისათვის საჭიროა ისეთი მუდმივი შემადგენლობა, რომელიც ნაცადი და დახელოვნებულია საქმეში, შეაკავშირებს მჭიდროთ ახალ შევსებას და ერთეულებს და მისცემს მას ნამდვილ ორგანიზაციის ხასიათს. მშვიდობიან დროს ყველა სახელმწიფოს ჰყავს ქვ. ჯარში მუდმივი შემადგენლობა, რომელსაც ძირედი შემადგენლობას ეძახიან, და თუ გინდ რამდენჯერმე შეივსოს ერთეული, ეს აკავშირებს, შეადუღებს ერთმანეთს ახლებს და ძველებს. (ძირედი შემადგენლობა).

ქვეითი ჯარის მომზადება.

ქვეითი ჯარმა, როგორც ჯარის სხვა დარგებმა, უნდა ისწავლოს მხოლოდ ის, რაც მას ომიანობისას დასჭირდება. ბრძოლაში ქვ. ჯარის კაცისათვის საჭიროა:

1) მარჯვე მოხმარება იარაღისა;

2) მარჯვე და ხერხიანი მოვლა ან გადალახვა ადგილობრივ დაბრკოლებისა;

3) უნარი და ცოდნა ცალკე მოქმედებისა, შეგნებული შეთანხმება თავის მოქმედებისა ამხანაგების მოქმედებასთან და უფროსის მიერ დასახულ მიზანთან.

ამას შეიძლება მივაღწიოთ ჯარისკაცის **ცალკე მომზადებით მისი სწავლებით ერთეულებში.**

ცალკე მომზადების საგანს შეადგენს:

ა) **სროლა.** ამისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა ჯარის კაცმა შეისწავლოს თავისი იარაღი, ყველა მისი ცალკე ნაწილები, უკანასკნელების ურთიერთ დამოკიდებულება და გავლენა ერთისა მეორეზედ. შემდეგ ამ იარაღის შენახვა. მისი გამოყენებისათვის საჭიროა შეისწავლოს ყველა ის ილეთეთები, რომლების ჯამსაც შეადგენს სროლა, შემდეგ—სროლა განსაზღვრულ მანძილით.

ბ) **მკვეთი იარაღის ხმარება.** მკვეთი იარაღის მარჯვედ მოხმარება შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც ვარჯიშობს ამით საჭირო დროის განმავლობაში. ჯარის-კაცმა აუცილებლად საკმაოდ უნდა ივარჯიშოს, რომ მარჯვედ მოიხმაროს ბრძოლაში ხიშტი.

გ) **ადგილობრივ დაბრკოლების გადალახვა** ან სწრაფი შემოვლა შეუძლიან მხოლოდ მას, ვინც ფიზიკურად ჯანსაღია და მარჯვე. ამისათვის კი საჭიროა ყოველდღიური ტანვარჯიშობა.

დ) **მომზადება სხვა და სხვა წყობილებისათვის.** სწორი დგომა, მიბრუნ-მობრუნება, სიარული, ადგილთან შეფარდება, თოფის ილეთები მიიჩვევენ ჯარის-კაცს სწრაფ და სწორ შესრულებას, ანვითარებენ მასში გულისყურს, ასწავლიან მას შეუთანხმოს თავისი მოქმედება სხვის სურვილს და მოქმედებას. ამის გარდა ამგვარი ვარჯიშობა ანვითარებს ჯარის კაცს ფიზიკურათაც და გარეგნულ შეხედულებასაც უფრო ვაჟკაცურს აძლევს.

სასანგრე საქმე.

ამ საქმის ცოდნა ჯარის-კაცისათვის საჭიროა, რომ მას შეეძლოს გამოიყენოს სროლისა და შეფარდებისათვის ყოველნაირი ადგილი. ამ მიზნით ჯარის-კაცს უნდა შევასწავლოთ მხოლოდ პატარა ნიჩბით საფარის ამოთხრა ადგილმდებარეობის მიხედვით, ვინაიდან დიდი სანგრების და სიმაგრეების მოწყობა ევალება საინჟენერო ჯარს.

წერა-კითხვის ცოდნა და პოლიტ-განვითარება.

წერა-კითხვის ცოდნა ჯარის-კაცს გაუადვილებს ყოველგვარ ცოდნის შეძენას და ამის გარდა იგი აუცილებელი საშუალებაა, როგორც მოხსენების და დასმენების, ისე განკარგულებათა შესადგენათ. ჯარის-კაცმა აგრეთვე უნდა იცოდეს ვისთვის ან რისთვის იბრძვის იგი, რათ უნდა დაიცვას მან ესა თუ ის ხელისუფლება, რას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლება, წითელი ჯარი და სხვა.

ამისთანა ცოდნა მისცეს მას საშუალებას შეგნებულად და გულით შეასრულოს თავისი მოვალეობა, რაც, უეჭველია, გააოკეცებს მის ენერგიას და მუშაობის უნარს.

სამწყობრო მომზადება.

ჯარის-კაცის ერთეულში სწავლის საგანს შეადგენს:

ჯარის-კაცი მშვიდობიან დროსავე უნდა შეეჩვიოს შეუთანხმოს თავისი მოქმედება ამხანაგების მოქმედებას; ამის მიღწევა შეიძლება უპირველესად ყოვლისა სამწყობრო მეცადინეობით, ე. ი. წყობილების წესდების პრაქტიკული შესწავლით ადგილ-მდებარეობაზედ. მხოლოდ ამ მეცადინეობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ წესდების ამა თუ იმ მუხლის გადატანას პრაქტიკულად ადგილ მდებარეობაზედ თან სდევდეს განმარტება ამა თუ იმ ილეთის აუცილებლობის და მიზან-შეწონილობისა; წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ჯარის-კაცმა ესა თუ ის ვარჯიშობა უბარლო წვალებად დაისახოს და უეჭველია, მას გულიანათ ვერ მოეკიდება.

ერთეულების სწავლება აუცილებლივ უნდა დაიწყოს სულ პატარა ერთეულ-ჯგუფიდგან და შემდეგ, შეთვისების მიხედვით, გადავიდეს თანდათანობიდან ათეულის, ოცეულის და ასეულის წყობილების შესწავლაზედ.

წყობილების და იარაღის ხმარების შეთანხმება.

ჯარის-კაცი უნდა შეეჩვიოს თავისი იარაღით მოქმედებას სხვა და სხვა წყობილებიდან ერთეულის შემადგენლობაში, როგორც ადგილობრივ ისე მოძრაობის დროს. ეს არის სწავლება საბრძოლო ვაზნებით და ვარჯიშობა ხიშტით კვეთებისა.

ტაქტიკური მომზადება.

ესე იგი ბრძოლის სხვა და სხვა ხერხის შესწავლა, უნდა ხდებოდეს ადგილ-მდებარეობაზედ და ჩვენებით. აქაც, დაცულ უნდა იქმნას ერთგვარი თანდათანობა. ვინაიდან ტაქტიკური მომზადება სხვათა შორის არის ხერხიანი გამოყენება იარაღისა და წყობილებისა ადგილ-მდებარეობაზედ, ამისათვის მასზედ გადასვლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სწავლების პირველი ორი დარგი სათანადოთ შეთვისებულია.

ქვეითი ჯარის ძირითადი თვისებანი.

ქვეითი ჯარის დამახასიათებელ მხარეებს გაცნობის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლიან გავარჩიოთ მისი ძირითადი თვისებანი:

1. ქვეითი ჯარის შესავსებად საჭიროა მხოლოდ ადამიანი და ისიც მხოლოდ ჯანით და გონებით საღი, განსაკუთრებული თვისებები ან განსაკუთრებული ცოდნა მას არ მოეთხოვება. ცხენები მეტად ცოტა სჭირდება და ისიც უმთავრესად საბარგულე, ე. ი. ყველაზე იაფ-ფასიანი და ადვილი საშოვარი, მანქანები და იარაღი, ჯარის სხვა და სხვა დარგებთან შედარებით, აქ მეტად მარტივია.

ამრიგად პირველი და უმთავრესი ძირითადი თვისება ქვ. ჯარისა არის **მარტივობა მისი შემადგენლობისა** და აქედან გამომდინარეობს მთელი რიგი სხვა და სხვა თვისებებისა:

ა) **მოძრაობის თავისუფლება** და თითქმის სრული დამოუკიდებელობა ადგილ-მდებარეობის, წლის და დღე-ღამის დროის და ამინდისაგან, სადაც გაივლის ცალკე კაცი, გაივლის ქვ. ჯარიც.

ბ) მარტივი მომარაგება. არ რის საჭირო დიდი თადარიგი არც საქონლის საკვებისა და არც ყუმბარებისა, როგორც ცხენოსან ჯარის ან არტილერიისათვის.

გ) ადვილად შეინარჩუნებს ბრძოლაში თავის წესს და თუ შემთხვევით დაირღვა, შედარებით, ადვილია წესის აღდგენა, რადგანაც ქვ. ჯარი ჰკარგავს ბრძოლაში მხოლოდ ხალხს, სხვა დარგები კი—ცხენებს ან კიდევ იარაღს, ურომლისოდაც მოქმედების უნარი ეკარგებათ.

ამიტომ ქვ. ჯარს შეუძლიან უფრო ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლა აწარმოვოს, ვიდრე ჯარის სხვა დარგებსა.

დ) ძველი ერთეულების შევსება და ახალი ერთეულების შედგენა ადვილია. ეს თვისება ქვ. ჯარის შესაძლოდ ჰხდის იყოლიონ მშვიდობიან დროს მხოლოდ ჯარის ძირედი შემადგენლობა, რაც უეჭველია, მეტად ამცირებს ჯარის ხარჯს.

2. როგორც დავინახეთ ქვ. ჯარს შეუძლიან იმოქმედოს ყოველნაირ ადგილზედ, როგორც ზამთრობით ისე ზაფხულში, დღისით და ღამითაც; შეიარაღებული მკვეთი და ცეცხლმსროლელი იარაღით თვითონვე ამზადებს შორიდან ცეცხლით შეტევას და აქვს უნარი მკვეთი იარაღით კვეთებისა, ე. ი. შეუძლიან, როგორც მოგერიებითი, ისე შეტევითი ბრძოლა აწარმოვოს; თუ დაიკავა რომელიმე ადგილი, მას შეუძლიან ხანგრძლივი ბრძოლით გაამაგროს იგი და არ გაუშვას ხელიდან. მოკლეთ, ქვეითი ჯარს შეუძლიან იმოქმედოს **ყოველნაირ გარემოებაში და შეასრულოს ყოველნაირი ტაქტიკური ამოცანა** სხვა დარგის დაუხმარებლივ; სხვა ნაირად რომ ითქვას ქვ. ჯარი **დამოუკიდებელია**: ეს მეორე ძირითადი თვისებაა ქვ. ჯარისა.

3. ცეცხლის წარმოებისათვის ქვ. ჯარი შეიარაღებულია ტყვიამფრქვევით და შაშხანა თოფით. ამ იარაღების მოქმედების მანძილი და სიძლიერე განსაზღვრულია. საზღვარი მოქმედებისა მჭიდროდ არის დამოკიდებული ამ იარაღის კონსტრუქციასა და სიმძიმეზე. თუ დავარღვიეთ ეს ზღვარი და მძიმე და რთული კონსტრუქციის იარაღი მივეცით ქვეითი ჯარის-

კაცს, შეიძლება იგი აღემატებოდეს მის ძალ-ღონესა. ამ რიგად ქვ. ჯარი, შებორკილი დამოკიდებულებით იარაღის კონსტრუქციისა და ადამიანის ძალის შორის, რასაკვირველია, ვერ აჩენს ისეთ გამანადგურებელ და შორი მანძილის ცეცხლს, როგორსაც თანამედროვე ტეხნიკის განვითარება შესაძლებლად სცნობს (არის საველე ქვემეხები, რომელნიც 10—12 კილომეტრზედ არტყამს და ანგრევს თითქმის ყოველნაირ სიმაგრეს). აქედან გამომდინარეობს მესამე ძირითადი თვისება ქვ. ჯარისა—შედარებით **სისუსტე ცეცხლით მოქმედებისა.**

4. მეოთხე ძირითადი თვისება ქვ. ჯარისა იმაში გამოიხატება, რომ იგი მეტად **ნელა მოძრაობს** ცხენოსან ჯარის და არტილერიასთან შედარებით. მისი მოძრაობის უნარი შეზღუდულია ადამიანის ძალ-ღონით.

ამ რიგად ქვ. ჯარი **დამოუკიდებელია, მარტივი თავისი შემადგენლობით,** შედარებით **სუსტია თავისი ცეცხლით** და **ნელი მოძრაობა აქვს.** პირველი ორი თვისება ძლიერი მხარეა წითელ ქვ. ჯარისა, დანარჩენი სუსტი მხარეები კი ნაკლებად მნიშვნელოვანი, რადგანაც ისინი არ უსპობენ ქვ. ჯარის დამოუკიდებლობას, ქვ. ჯარს შეუძლიან შეასრულოს ყოველნაირი ამოცანა; სუსტი მხარეები გავლენას ახდენს მხოლოდ დროსა და მეტი ძალის დახარჯვის მხრივ.

ამის და შენახვის სიიაფის გამო ქვ. ჯარი შეიქმნა ჯარის უმთავრეს დარგათ. იგი შეადგენს თითქმის ყველა სახელმწიფოებში $^3/_4$ მთელ შეიარაღებულ ძალებისას სხვა დარგები კი შედარებით ბევრად ნაკლებს.

ძვ. ჯარის ცეცხლი.

ქვ. ჯარი ცეცხლს აწარმოებს ტყვიამფრქვევებით, შაშხანა თოფით და ავტომატებით. ავტომატის ცეცხლი თავისი ბალისტიური თვისებებით და წარმოების სახით ნაკლებად განირჩევა შაშხანა თოფის და ტყვიამფრქვევის ცეცხლისგან, ამიტომ საჭიროა გაირჩეს მხოლოდ შაშხანა თოფის და ტყვიამფრქვევის ცეცხლი ცალ-ცალკე. საერთოდ ქვ. ჯარის ცეცხლი იმდენად ძლიერია ჩვენს დროს, რომ შეუძლიან გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს ბრძოლებში. ქვ. ჯარს შეუძლიან თვითონ დაიწყოს ბძოლა და გამარჯვებით დაამთავროს იგი ამ ცეცხლის საშუალებით

შაშხანა თოფის ცეცხლი.

მანძილი. ბალისტიური თვისებები თანამედროვე თოფისა გვიჩვენებს, რომ შაშხანა თოფის ცეცხლი მოქმედობს 3200 ნაბიჯის და უფრო ახლო მანძილიდან (დაახლოვებით 2 კილომეტრი), თუმ ცა ზიანის მიყენება შეუძლიან $3^1/_2$ კილომეტრზედაც. მაგრამ ამ მანძილზედ, ე. ი. 3200 ნაბიჯზედ ცეცხლის გაკრულობა მაღალია, თოფის მორტყმის დაჯგუფება ნაკლები, მანძილის გაზომვა თვალით მეტად ძნელი, და მიზნის ამოჩჩევაც გართულებულია, რადგანაც მოპირდაპირის პოზიცია და მასზე მტრის დალაგება ჯერ კარგად შესწავლილი არ იქნება, დამიზნება და ცეცხლის შედეგის თვალყურის გდება ძნელია და სათუოა. ასეთი თვისება აქვს მანძილს 3200—1400 ნაბიჯამდე. მანძილს ეწოდება **შორეულ ცეცხლის მანძილი.** ზემოჩამოთვლილ მიზეზების გამო ამ მანძილით თოფით ცეცხლის გაჩენა არ არის სასარგებლო და სასურველი. განსაკუთრებულ მნიშვნელობის მიზანს შეუძლიათ დაუშინონ ცეცხლი მხოლოდ საუკეთესო მსროლელებმა.

ცეცხლის საშუალო მანძილი 1400—600 ნაბიჯამდე, თუმცა ხასიათდება უფრო დაბალი გაკრულობით, თოფით მორტყმის დაჯგუფება უფრო მეტია, მანძილის გაზომვა, მიზნის შერჩევა, დამიზნება და ცეცხლის შედეგის თვალყურის გდება უფრო გაადვილებულია, მაგრამ ამ მანძილიდანაც თოფის ცეცხლის დაშენა მაინც სასურველი არ არის. უწინ, როდესაც ტყიამფრქვევი ასე გავრცელებული არ იყო ქვ. ჯარში, ამ მანძილს ეძახდნენ ცეცხლის ნმდვილ მანძილს, რადგანაც შაშხანა თოფი ამ მანძილით შესამჩნევ ზიანს მიაყენებს; მაგრამ ჩვენს ხანაში, როდესაც ყველა ოცეულს აქვს ტყვიამფრქვევი, რომლის მორტყმის დაჯგუფება გაცილებით დიდია, ვიდრე თოფისა, ე. ი. გაფანტვის ფოლოცი ნაკლებია, ვიდრე თოფისა და რომელსაც მანძილის გაზომვა ხელსაწყოთი შეეძლიან მეტი სისწორით, ცხადია თოფის ცეცხლი ვერ მიაყენებს იმოდენა ზიანს, როგორც ტყიამფრქვევისა და შეიძლება თოფით ბევრი ვაზნა დაიხარჯოს უშედეგოთ. მაშასადამე, ამ მანძილზედ თოფის ცეცხლი მხოლოდ დამხმარეა ტყვიამფრქვევის ცეცხლისა, მაგალითად, თუ ტყვიამფრქვევი შეფერხდა ან გაფუჭდა ან გამოჩნდა განსაკუთრებულ მნიშვნელობის მიზანი ტყიამფრქვევს კი მისთვის არ სცალიან, აი ამ შემთხვევაში შეგვიძლიან დაუშინოთ თოფის ცეცხლი და ისიც საუკეთესო მსროლელებით.

ცეცხლის მახლობელი მანძილი—600 ნაბიჯი და უფრო ახლო იმდენად დაბალი გაკრულობით ხასიათდება, რომ ზიანს აყენებს მთელ სივრცეზედ თითქმის ყოველნაირ მიზანს, დაწოლილ კაცსაც კი; ტყვიის მორტყმის დაჯგუფება დიდია, მანძილის თვალით გაზომვა, მიზნის ამორჩევა, დამიზნება და ცეცხლის შედეგის თვალყურის გდება გაადვილებულია. ერთი სიტყვით, ამ მანძილზედ თოფის ცეცხლი იჩენს მთელს თავის სიძლიერეს და დიდი ზიანის მიყენებაც შეუძლიან მოპირდაპირისათვის. ამის გამო ეს მანძილი საუკეთესოა თოფის ცეცხლის წარმოებისათვის და აქ სროლაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა მსროლელმა.

დიდი გავლენა აქვს თოფის ცეცხლზედ, მანძილის გარდა, ქარს, სინათლეს, ჰაერს, ადგილ-მდებარეობას, საერთოდ ამინდს, რაიც შეადგენს სროლის საქმის საგანს.

ცეცხლის სახეობა.

გავარჩიოთ შაშხანა თოფის ცეცხლის სახეობანი.

შაშხანა თოფით ცეცხლის წარმოება ხდება ორნაირად: შეიძლება მეთაურმა ამოურჩიოს მსროლელებს მხოლოდ მიზანი და უჩვენოს კორა, გასროლას კი ახდენს თვით მსროლელი მაშინ, როდესაც დანიშნულ საგანს მიზანში კარგად ამოიღებს. შესაძლებელია მიზნის ამორჩევაც, კორაც, დამიზნებაც და გასროლაც მოხდეს მეთაურის ძახილით. პირველ სახეობის ცეცხლს ჰქვიან სათითოო **ცეცხლი**, მეორე სახეობასას—**დაშენითი ცეცხლი.** რომ გამოვარკვიოთ, როდის ცეცხლის რომელი სახეობა უნდა ვაწარმოვოთ, საჭიროა გავიცნოთ მათი ნაკლი და ღირსება.

დაშენითი ცეცხლი.

უმთავრესი ღირსება დაშენითი ცეცხლისა გამოიხატება იმაში, რომ აქ სასტიკად დაცულია ცეცხლის დისციპლინა; ამ შემთხვევაში მეთაურს, როგორც უფრო გამოცდილ პირს, შეძლება აქვს სავსებით უხელმძღვანელოს თავის ერთეულს და თვალყური ადევნოს ცეცხლის შედეგს. ამის გარდა დაშენითი ცეცხლი დიდ მორალურ შთაბეჭდილებას ახდენს მოპირდაპირეზედ და, პირიქით, ამხნევებს თვით ცეცხლის მწარმოებელს. ამის გარდა ვაზნების აღრიცხვაც ადვილია. მაგრამ მას აქვს დიდი ნაკლიც: მეთაურის ძახილმა გასროლისათვის ზოგიერთ მსროლელებს შეიძლება მოასწროს ისეთ დროს, როდესაც მათ ჯერ არ დაუმიზნიათ და იქნებ არაკი გაურჩევიათ მიზანი; შედეგი—ბევრი ტყვია ტყუილუბრალოდ იხარჯება და ჰაერში მიდის. ამიტომ დაშენითი ცეცხლის წარმოება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ცეცხლის დისციპლინის

ალსადგენათ, მისროლისათვის და სხვა. დაშენა შეიძლება—1 წამში 5 გზის.

სათითოო ცეცხლი. უმთავრესი ღირსება სათითოო ცეცხლისა გამოიხატება იმაში, რომ მსროლელი მაშინ მოახდენს გასროლას, ე. ი. მაშინ გამოუშლის ფეხს, როდესაც მან მიზანი ნიშანში კარგად ამოიღო და ყოველ მხრივ მოემზადა გასროლისათვის, და, უეჭველია, ტყვიის უბრალოდ ხარჯვას აქ ნაკლებად აქვს ადგილი. აი, ამ თვისების გამო **სათითოო ცეცხლი ითვლება ქვ. ჯარის ცეცხლის მთავარ სახეობად.**

მის ნაკლად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ მეთაური ხშირად უშვებს ხელიდან ცეცხლის ხელმძღვანელობას, ბრძოლით გახურებული მსროლელი ღელავს, ამას დაერთვის თოფის სროლის ბათქა-ბუთქი და ხალხის ხმაურობა. ამის გარდა მსროლელს ნაკლებად შეუძლიან ყური უგდოს თავის მეთაურს და, რასაკვირველია, ცეცხლის დისციპლინა ირღვევა; ცეცხლის შედეგის თვალყურის გდება და ვაზნების აღრიცხვა გაძნელებულია. ამის და მიუხედავათ, სათითოო ცეცხლით უფრო მეტს ზიანს მივაყენებთ მოწინააღმდეგეს, ვიდრე დაშენითი ცეცხლით.

სისწრაფე სათითოო ცეცხლისა 10-12 გასროლა 1 წამში. სათითოო ცეცხლი შეიძლება იყოს: ნელი, ჩქარი და ვაზნების დანიშნულ რიცხვით (ცეცხლის გვარეობა), **ნელი ცეცხლი** გამოიხატება იმაში, რომ მსროლელები აწარმოებენ ცეცხლს ჯერით ჯგუფსა ან ათეულში, ათეულის ან ჯგუფის მეთაურის ჩვენებით.

ჩქარ ცეცხლს აწარმოებენ მსროლელები იმ სისწრაფით, რომელიც შესაძლებელია, თუ დაცული იქნება სწორი სროლის ყველა წესები.

როგორც პირველი, ისე მეორე გვარეობის ცეცხლის შეწყვეტა სწარმოებს ნიშანით „სასტვენი", რომელსაც აძლევს ყველა მეთაური—ჯგუფის თავამდე, როდესაც საჭიროდ დაინახავს ან სათანადო განკარგულებას მიიღებს.

ვაზნების დანიშნულ რიცხვით ცეცხლს აწარმოებს ყველა ცალკე მსროლელი და სროლილობს მიზანში იმდენ ტყვიას, რამდენიც დანიშნულია. შემდეგ, ამ რიცხვს, რომ გაათავებს თვითონვე შესწყვეტს სროლას. რასაკვირველია, მსროლელმა უნდა დაიცვას ყველანაირი წესი სწორი სროლისა.

სათითოო ცეცხლის წარმოებისათვის შეიძლება დაინიშნოს არა მთელი ერთეული, არამედ რამოდენიმე საუკეთესო მსროლელიც.

თოფის სიმარჯვე სხვა და სხვა მანძილზედ.

გაფანტვის ფოლოცი, ე. ი. ის სივრცე, სადაც განაწილდება გასროლილი ტყვიები, სათითოო ცეცხლისა ყველა მანძილზედ, გაცილებით ნაკლებია ვიდრე გაფანტვის ფოლოცი დაშენითი ცეცხლისა. რაც მანძილი უფრო დიდია, მით უფრო მცირდება განსხვავება სათითოო და დაშენითი ცეცხლის გაფანტვის ფოლოცისა. თვითონ კი გაფანტვის ფოლოცი, როგორც სათითოო ისე დაშენითი ცეცხლისა, მით უფრო დიდია, რამდენათაც დიდია მანძილი მიზნამდის.

აქედგან ცხადია, რომ მახლობელ მანძილით ყოველნაირ მიზანს უფრო დიდ ზიანს მივაყენებთ, ვიდრე შორეულ ან საშუალო მანძილით **სათითოო ცეცხლით**. (მაგალითი).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რაც უფრო დიდია მანძილი მიზნამდის, მით უფრო დიდია გაფანტვის ფოლოცი, მაშასადამე, თუ ვგინდა ნამდვილი ზიანი მივაყენოთ მიზანს, უნდა მეტი ვაზნები დავხარჯოთ, ე. ი. რაც უფრო შორს არის მიზანი, მით უფრო მეტი რიცხვი მსროლელებისა უნდა დავნიშნოთ მიზნის სასროლათ და თუ მსროლელების რიცხვის გამრავლება არ შეგვიძლიან, მაშინ მეტი ხანი უნდა ვისროლოთ. ან არა და ამისთანა მანძილით ისეთი იარაღი უნდა ვიხმაროთ, რომელსაც შორს მანძილზე ნაკლების გაფანტვის ფოლოცი აქვს, ვიდრე შაშხანა თოფს. ასეთი იარაღია დაზგაზედ გამაგრებული ტყვიამფრქვევი, რომელსაც გაცილებით ნაკლები გაფანტვის ფოლოცი აქვს, ვიდრე შაშხანა თოფს. სწორედ ეს გარემოება არის მიზეზი იმისა, რომ უკანასკნელ დროს არჩიეს შორი მანძილით ცეცხლის გაჩენა ტყვიამფრქვევებით და არა შაშხანა თოფით.

მიზნის მნიშვნელობა.

მიზნის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო მისი აბსოლუტური მნიშვნელობით (მაგალითად, მეთაურთა ჯგუფი, ან რომელიმე საბრძოლო მანქანა და სხვა), არამედ იმ მნიშვნელობითაც, რომელიც საბრძოლო ამოცანით ეძლევა საგანს. მაგალითად, მოპირდაპირის ოცეული, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, იმ ჟამად, როგორც სროლის საგანი, ვიდრე მოწინააღმდეგის მეთაურთა ჯგუფი.

ამრიგად, ყველა მიზანი ჩვენ უნდა შევაფასოთ იმისდამიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი ბრძოლის დროს საბრძოლო ამოცანის შესრულებისათვის. ამისდა-მიხედვით ჩვენ უნდა გავანაწილოთ მიზნები და დაუშინოთ მათ გამანადგურებელი ცეცხლი. სრულიად საჭირო არ არის ცეცხლი

მთელ კედაროს დაუშინოთ, საკმარისია მარტო ამ მიზნებს. ამისათვის ცეცხლის ხელმძღვანელი მეთაური მოვალეა გაანაწილოს მიზნები მსროლელთა შორის და ყველა თავის ხელქვეით მეთაურს მისცეს განსაზღვრული სროლის ამოცანა.

სროლის მიმართულება.

როცა სროლა სწარმოებს მოპირდაპირის კედაროს მიმართულების შვეულად, ამ გვარ ცეცხლს **კედაროს ცეცხლი** ეწოდება; კედაროს ცეცხლი შედარებით დიდ ზიანს ვერ მიაყენებს მტერს, რადგანაც იგი თხრილებში ან ადგილობრივ საგნებს ამოფარებული მოპირდაპირე კარგა ხანს გაუძლებს ამ გვარ ცეცხლს, რადგანაც ამ გვარი ცეცხლი მისთვის ჩვეულებრივია.

მაგრამ თუ ჩვენი მსროლელები დაიკავებენ ისეთ ადგილს, საიდანაც შესძლებენ მტრის ფრთას დაუშინონ ცეცხლი, ე. ი. მტრის კედაროს გასწვრივ ასტეხონ სროლა, ასეთი ცეცხლი დიდ ზიანს მიაყენებს მოპირდაპირეს, რადგანაც ჩვენი მსროლელები სიღრმით სროლილობენ და მოულოდნელობით თავზარსაც დასცემენ მას. ასეთ ცეცხლს ეწოდება **ფრთის ცეცხლი**.

თუ მოპირდაპირის კედაროს მიხედვით ალმაცერად ეისვრით, მაშინ იქნება **ალმაცერი ცეცხლი**. რასაკვირველია ამგვარ ცეცხლს ისეთი მნიშველობა არა აქვს, როგორც ფრთის ცეცხლს, მაგრამ მაინც ეს უფრო მეტს ზიანს აყენებს მოპირდაპირეს ვიდრე კედაროს ცეცხლი.

თუ ერთსა და იმავე მიზანს კედაროსი და ფრთის ცეცხლით უშენენ, ან და კედაროსი და ალმაცერი ცეცხლით, ამისთანა ცეცხლს **ჯვარედინი ცეცხლი** ეწოდება. ამგვარი ცეცხლი ყველაზედ მეტს ზიანს მიაყენებს მოპირდაპირეს.

ადგილ-მდებარეობის გავლენა.

ადგილ-მდებარეობა, რომელზედაც ქვ. ჯარს მოქმედება უხდება, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია სწორი და გაშლილი; ჩვეულებრივად მასზედ მოიპოვება ბორცვი, გორაკი, ჩაღრმავება სხვა და სხვა ტეხილობა ადგილ-მდებარეობისა ან კიდევ ადგილობრივი საგნები: ბუჩქნარი, ჭალა, შენობა და სხვა,

უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ტრაექტორიის დიდი გაკრულობის გამო, სულ პატარა ღელეს, მაღლობს თუ დაქანების გადახრას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენი მოპირდაპირის მიზანში ამოღების და მისთვის ცეცხლის დაშენის დროს, აგრეთვე მისი ცეცხლისგან დაფარვისათვის. ამისათვის ყველა მეთაური შეჩვეული უნდა იყვეს ადგილ-მდებარეობის შეფასებას ამ მხრივ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, მაგალითად, დაქანება, ამოკლებს სავნო სიერცეს, თუ ვისვრით დაბლობიდან ზევით ან და ზემოდან დაბლობში. მაღლობებზედ სროლის დროს შესაძლებელია ტრაექტორიამ გადუაროს მწვერვალოს და ზიანი მიაყენოს მწვერვალოს იქით მდგომ ჯარს. ჩვენი მიზნის წინამდებარე ხრამი ამოკლებს თვალისათვის მანძილს მიზნამდე. ადგილ-მდებარეობის ტეხილობა ჰფარავს მოპირდაპირის მსროლელს, უეჭველია, ეს გარემოებაც ასუსტებს ჩვენ ცეცხლს.

თოფის ცეცხლის საერთო ხასიათი.

მოკლეთ, ადგილ-მდებარებას დიდი გავლენა აქვს ცეცხლის წარმოებაზედ და ყველა მსროლელს, მით უფრო მეთაურს, კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი ადგილ-მდებარეობის ყოველნაირი გავლენა ცეცხლის წარმოებაზედ, რომ სავსებით გამოიყენოს იგი ბრძოლაში თავის სასარგებლოდ.

თანამედროვე ბრძოლაში მოპირდაპირე ისარგებლებს არა მარტო ადგილ-მდებარეობის ტეხილობით, არამედ ხელოვნურ შეხვეებითაც, ისე რომ სროლის მიზანი შეიძლება გამოჩნდეს მოულოდნელათ და ძალიან ცოტა ხნით და მსროლელებს მოუხდებათ ამ დროს უძლიერესი ცეცხლის დაშენა. ამ რიგათ ბრძოლის ველზედ ამა თუ იმ ადგილას შეიძლება ასტყდეს გრიგალისებური ცეცხლი, შიგადაშიგ შეიძლება ცეცხლი მთლად მინელდეს ან არა და სწარმოებდეს კანტიკუნტად. სროლის დროს მსროლელები თუ მეტად აღელდნენ და თავი ვერ შეიკავეს, შეიძლება ცეცხლი თოფის უბრალო თქაფი-თქუბად გადიქცეს.

აღნიშნული მოსაზრებანი გვიკარნახებენ მეტის ყურადღებით მოვექცეთ, როგორც ჯარისკაცის ზნეობრივ აღზრდას, აგრეთვე მის მომზადებას სროლის საქმეში; მეთაურებს, როგორც ცეცხლის ხელმძღვანელებს, ხომ უფრო მეტი მოეთხოვებათ ამ საქმეში.

ტყვიამფრქვევის ცეცხლი.

განსხვავება შაშხანა თოფას ცეცხლთან.

ტყიამფრქვევი თავისი ბალისტიური თვისებებით შაშხანა თოფისაგან განირჩევა შემდეგით:

ა) სწრაფი სროლით—ერთს წამში 500-600 ტყვიას სროლილობს;

ბ) მეტი სიზუსტით სროლაში, რადგანაც ტყვიამქფრქვევი დაყრდნობილია დაზგას;

გ) ცეცხლის დისციპლინის დაცვა ადვილია, შაშასადამე, მისი ხელმძღვანელობაც ადვილია. ცეცხლის ერთ მიზანზედ

შეჯგუფება, ცეცხლის დაყოფა ან გადატანა ერთი მიზნიდან მეორეზე;

დ) ტყვიამფრქვევის მთავარი ღირსება იმაშია, რომ შესაძლებელია ვიწრო ფოლოკით ძლიერი ცეცხლის გაჩენა, მაშასადამე, მეტი ზიანის მიყენება. ერთი ტყვიამფრქვევის ცეცხლი მსროლელთა ოცეულის ცეცხლს უდრის.

ტყვიამფრქვევის ნაკლს შეადგენს:

ა) მისი მექანიზმის სირთულე, რის გამო ხშირად ფერხდება სროლა ან სარტყელა გაუწყდება, ან ვაზნა ლულაში გაიქედება, ან წყალი ადუღდება და სხვა. ამიტომ მის მოსახმარად საჭიროა კარგად მომზადებული, გაწვრთვნილი და გულგრილი ადამიანი;

ბ) მანძილის გაზომაში დაშვებული შეცდომები მეტად საგრძნობია ტყვიამფრქვევისათვის, რადგანაც მისი ცეცხლის გაფანტვის ფოლოკი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე შაშხანა თოფის გაფანტვის ფოლოკი;

გ) ვაზნები ძალიან ბევრი იხარჯება;

დ) შესამჩნევი თავისებური ხმაურობა, რითაც მოპირდაპირეს შეუძლიან ადვილად აღმოაჩინოს ტყვიამფრქვევი. ამრიგად ტყვიამფრქვევი, გაცილებით ძლიერია თავისი ცეცხლით, ვიდრე შაშხანა თოფი და იგი მეტს ზიანს მიაყენებს მტერს; მხოლოდ საჭიროა მეტი სისწორით გაიზომოს მანძილი მიზნამდის, რისთვისაც შემოღებულია ამ ჟამად მანძილის საზომი ხელსაწყოები და ქვ. ჯარს მოკლე ხანში დაურიგდება.

ცეცხლის სახეობა. ტყვიამფრქვევის ცეცხლი ორი სახეობისაა: **ავტომატიური და სათითოო.**

ფავისთავად ცხადია, რომ ავტომატიური ცეცხლი უფრო ბუნებრივია ტყვიამფრქვევისათვის. ეს ცეცხლის ის სახეობაა, რომლისთვისაც გამოგონილია ტყვიამფრქვევი. ავტომატიური ცეცხლის წარმოება შეიძლება **ვაზნების განუსაზღვრელი რიცხვით და ჯერით.** უკანასკნელ შემთხვევაში იმდენ ვაზნას სროლილობენ, რამდენიც ერთ სარტყელაშია.

სათითოო ცეცხლი სწარმოებს მაშინ, როდესაც გამოჩნდება მნიშვნელოვანი, მაგრამ პატარა მიზანი და ტყვიამფრქვევის გამოჩენა არ არის ხელსაყრელი.

ავტომატიური ცეცხლის გვარეობა. ავტომატიური ცეცხლი შეიძლება იყოს: **დამიზნებითი** დანიშნულ, ბუნებრივი გაფანტვით სიღრმით და კედაროთი.

ცეცხლი გაფანტვით იხმარება იმ შემთხვევაში, თუ ტყვიამფრქვევის ბუნებრივი გაფანტვის ფოლოცი ნაკლებია, ვირდე თვით მიზანი. ცეცხლი რომ მიზნის კედაროთი გავფანტოთ, საჭიროა სასროლი ნაწილი ტყვიამფრქვევისა მოვატრიალოთ შვეული ღერძის გარშემო. სიღრმით გაფანტვისათვის სარგებლობენ ამზიდი მექანიზმით, რომლითაც მოქმედობენ ავტომატიურ ცეცხლისათვის. ავტომატიურ ცეცხლის წარმოებისას შესაძლებელია ორივე გაფანტვა, სიღრმით და კედაროთიც.

სროლის სახეობა. ტყვიამფრქვევით სროლა, დანიშნულების მიხედვით, არის ოთხი სახეობისა: **მისროლა, სროლა შემუსრისათვის, სროლა ფოლოცზე და სროლა მოძრავ მიზნისაკენ.**

მისროლა სწარმოებს მაშინ, როდესაც მიზანი დიდ მანძილზეა, საეჭვოა პირველ სროლითვე ზიანის მიყენება და საჭიროა სწორი კორის დაყენება. მისროლას ორნაირად აწარმოებენ: **ა) მიზნის მოყოლება ორთითაში და ბ) მიზანთან დაახლოვებით** მისროლა. **მიზნის მოყოლებით ორთითაში** გამოიხატება იმაში, რომ მიზანს დაუშენენ ავტომატიურ ცეცხლს განსაზღვრულ მანძილით, რომელიც გამოურკვეულია ამა თუ იმ საშუალებით და თვალყურს ადევნებენ შედეგს და შემდეგ, იმის და მიხედვით მიუწია თუ გადააცილა ცეცხლმა, უმატებენ ან უკლებენ კორას 200 ნაბიჯს. ამ რიგად მიზანი მოჰყვება ამ ორ ნასროლის შუა (ორთითასშუა). თუ ორთითა განიერი გამოდგა თანდათან ავიწროვებენ მას, ვიდრე მიზნის შემუსვრაზედ არ გადავლენ. მაგალითისთვის ავიღოთ მიზანი, რომელიც ჩვენგან განსაზღვრულ მანძილითაა დაშორებული. გავზომეთ მანძილი, ვსთქვათ თვალით, და დავაყენეთ კორა 1800 ნაბიჯზე. სროლის შედეგმა დაგვანახვა, რომ ჩვენი ცეცხლი გადასცდა მიზანს, მაშინ ჩვენ ვაყენებთ კორას 1600 ნაბიჯზე. ამ შემთხვევაში ცეცხლი ვერ მისწვდა მიზანს. ჩვენ მივიღეთ ორთითა 200 ნაბიჯის სიგანისა, რომლის შუა მიზანი რჩება დაუზიანებელი. მიზნის შესამუსრად საჭიროა ორთითას სიგანის შევიწროება. ასეც იქცევიან: ავიწროვებენ მანძილს ორთითას შუა, ვიდრე შემუსვრაზედ არ გადავლენ. გამოკვლეულია, რომ 50 ნაბიჯის სიგანის ორთითა საკმარისია მიზნის შესამუსრად. **მიზანთან დაახლოვებით** მისროლა იხმარება მაშინ, როდესაც ცოტა დრო არის სროლისათვის და გაძნელებულია თვალ-ყურის დევნა გადაცილების ან მიუწდომობისა. ამ დროს იქცევიან ასე: თვალით განსაზღვრავენ უახლოეს მანძილს მიზნამდის და ერთი ტყვია-

მფრქვეევით ცეცხლს დაუშენენ, საიანადო კორის დაყენებით, თვალ-ყურს ადევნებენ ტყვიის დაცემას მიზნის წინ და შემდეგ ამზიდი მექანიზმის საშუალებით ტყვიის კონას უახლოვებენ მიზანს მორტყმამდის, ამის შემდეგ კი გამოარკვევენ კორას და შედეგს გადასცემენ დანარჩენ ტყვიამფრქვეევებსაც, რომელნიც პირდაპირ შემუსვრაზე გადადიან.

სროლა შესამუსრად სწარმოებს, როდესაც დანამდვილებით გამოურკვეველია მანძილი, კორა დაყენებულია და უშუალოდ ზიანის მიყენებაზე შეიძლება გადავიდეთ. ასეთ სროლას ვაწარმოებთ იმ დრომდე, ვიდრე მტერს არ შევმუსრავთ.

სროლა ფოლოცზე სწარმოებს, როდესაც ან მიზანი მეტად ფართეა ან ვიცით, რომ მიზანი განსაზღვრულ ფოლოცზეა მოთავსებული და ჩვენ კი ვერ ვამჩნევთ მას და სხვა ამ გვარ შემთხვევაში. თვითონ სროლა სწარმოებს რამდენიმე ტყვიამფრქვეევებით შემდეგნაირად: ყოველი ცალკე ან წყვილი ტყვიამფრქვევი აყენებს ისეთ კორას, რომ მეორეებისგან განირჩეოდეს 50-100 ნაბიჯით. ყველა ტყვიამფრქვევი უმიზნებს განსაზღვრულ წერტილს და შემდეგ აჩენს ავტომატიურ ცეცხლს გაფანტვით. **მოძრავ მიზნებისაკენ სროლის** დროს დიდი მნიშვნელობა აქვს და ამის გამო მისროლის წარმოება შეუძლებელია. ან პირდაპირ მიზანში უნდა ამოიღო მოძრავი საგანი, დაუწყო სროლა და შემდეგ მისდიო ცეცხლით თან, ან არა და წინასწარ დანიშნულ პუნქტებზედ უნდა დაახვედრო ცეცხლი. აქაც სასარგებლოა ფოლოცის სოლა, რასაკვირველია, საჭიროა მიზნის მიდევნაც ცეცხლით.

ცეცხლის ხელმძღვანელობა.

ცეცხლის ხელმძღვანელობისათვის საჭიროა:

1. **მიზნის ამორჩევა** და მისი ჩვენება მსროლელებისათვის;
2. **მანძილის გაზომვა** და კორას დაყენება;
3. **ამორჩევა ცეცხლის სახეობისა და გვარეობისა;**
4. **ცეცხლის გაჩენის დროის შერჩევა;**
5. **ცეცხლის დისციპლინა;**
6. **სროლის შედეგის თვალყურის გდება;**
7. **აღრიცხვა ვაზნებისა და მათი შევსება.**

აქ მოყვანილ ნუსხიდგან სჩანს თუ რამდენად რთულია ცეცხლის ხელმძღვანელობა და ყველა მეთაური მოვალეა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

ჩვენ შეუდგებით ყველა ჩამოთვლილ მოთხოვნილებების გარჩევას.

მიზნის ამორჩევა. ყველა მსროლელ ერთეულს ეძლევა განსაზღვრული საბრძოლო ამოცანა ან ჩვენება მოქმედებისა. მიზანი ბრძოლის ველზე შესაძლებელია იყოს რამოდენიმე საგანი სროლის მიზნისათვის, მხოლოდ ჩვენ უნდა ამოვარჩიოთ ისეთი საგანიც, **რომელიც უფრო მნიშვნელოვანია.** მიზნები სროლისა შეიძლება იყოს ერთი ან რამოდენიმე, მხოლოდ ყველა ერთეულის მეთაური მოვალეა გაანაწილოს ეს მიზნები თავის ხელქვეითთა შორის და ყველას უჩვენოს განსაზღვრული მიზანი, და მისცეს სასროლი ამოცანა. უკეთესია, მიზნის ჩვენება ისეთი ადგილობრივი საგნებით, რომელიც ყველას თვალში ჰხვდება.

ამის გარდა, ყველამ კარგად უნდა იცოდეს რა ამოცანა აქვს მას და რას უნდა მიაღწიოს მან თავისი ცეცხლით.

მანძილის გაზომვა. მიზნამდის მანძილის გაზომვა შეიძლება:

ა) **თვალზომით,** რომლის გამოყენებაც შეიძლება ყველგან და ყოველთვის; ამისათვის ქვ. ჯარის წითელ არმიელი, თ მეთაური ხშირად უნდა ვარჯიშობდნენ მანძილის თვალით გაზომვას. შეიძლება იმდენად დახელოვნდეს ადამიანი ამ მხრივ, რომ მისი შეცდომა არ აღემატებოდეს 10-12%, რასაც თითქმის არავითარი გავლენა არა აქვს თოფის ცეცხლის წარმოებაზედ. თვალით გაზომვისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასზედ დიდი გავლენა აქვს: ამინდს, ადგილ-მდებარეობის ფერადობას, სინათლეს, ადგილის რელიეფს და ადგილობრივ საგნების მეტნაკლებლობას;

ბ) სხვადასხვა სახის ხელსაწყოებით, რომლებსაც **შორსსაზომებს** ეძახიან. განზრახულია წითელ ქვ. ჯარს დაურიგდეს ასეთი შორსაზომები;

გ) **დაკითხვით** მეზობელ ერთეულებისა (უმთავრესად არტილერიისა), შეიძლება გავიგოთ მანძილი განსაზღვრულ ადგილობრივ საგნებამდე (მაღლობების მწვერვალო, ტყის პირი, რომელიმე შენობა და სხვა);

დ) **გაზომვით და გამოანგარიშებით რუკაზე,** მეტადრე თუ რუკა დიდი მასშტაბისაა;

ე) **წინასწარი გაზომვით** ზოგიერთ ადგილობრივ საგნებამდე, როდესაც სათანადო დრო გვექნება;

ვ) ამის გარდა სისწორე მანძილის გაზომვისა შეგვიძლიან შევამოწმოთ **მისროლით,** როგორც თოფით დაშენით, ისე ტყვიამფრქვევის ავტომატიური ცეცხლით.

გავზომეთ თუ არა მანძილი იმის და მიხედვით მეთაურმა მაშინვე უნდა თავის ხელქვეით მსროლელებს უჩვენოს შესაფერი კორა.

ცეცხლის ხასიათობისა და გვარეობის არჩევა.

შორეულ და საშუალო მანძილით. ჩვენ უკვე ვიცით, რომ შაშხანა თოფის ცეცხლს იმდენად დიდი აქვს გაფანტვის ფოლოცი ამ მანძილებით, რომ ბევრი დრო და ვაზნები დაგვჭირდება მტრის შესამუსრავად. ამ მანძილზე უფრო ხელსაყრელია ავტომატიური ცელხლი ტყვიამფრქვევისა, რომელსაც ნაკლები გაფანტვის ფოლოციც აქვს და გაცილებით სწრაფათაც სროლილობს. საშუალო მანძილით ტყვიამფრქვევებს შეეშველებიან ავტომატები და, თუ რამე შეფერხება მოხდა, შაშხანა თოფიც, და მასთან უსათუოდ სათითაო ცეცხლით.

მახლობელ მანძილით. ტყვიამფრქვევების და ავტომატების გარდა ცეცხლის წარმოებაში მონაწილეობას მიიღებენ შაშხანა თოფებიც სათითოო ცეცხლით. დაშენითი ცეცხლი —იშვიათად, როგორც გამონაკლისი, ცეცხლის დისციპლინის აღსადგენათ, მისროლის საწარმოებლად და სხვა.

ცეცხლის დაწყების დრო.

თანამედროვე ბრძოლაში ცეცხლის გადამწყვეტ მნიშვნელობის გამო, ერთის მხრივ საჭიროა ძლიერი ცეცხლის წარმოება, მეორეს მხრივ-იმდენად დიდია ხარჯი ვაზნებისა, რომ ცეცხლის დაწყებას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდეთ. თუ მეტადრე დავიწყებთ სროლას ადრე, გამოვაჩენთ ჩვენს ძალებს, მტერს კი დიდ ზიანს ვერ მივაყენებთ. ეს გარემოება გაათამამებს, გაამხნევებს მტერს, პირიქით-ჩვენები კი იგრძნობენ თავს უძლურებად და გამარჯვების რწმენა თავიდანვე შეირყევა. ხანდისხან ცეცხლის დაგვიანებით შეიძლება ამ გვარივე გრძნობები გამოვიწვიოთ. ამისათვის, ცეცხლის დაწყებისას დიდი ანგარიში უნდა გაუწიოთ საბრძოლო ამოცანას და გარემოებას.

ცეცხლის დისციპლინა.

ცეცხლის დისციპლინა დაცულია: ა) როდესაც ყველა მსროლელი ასრულებს სროლის წარმოების ყველა მოთხოვნილებებს, ბ) როდესაც მსროლელი სათითოო ცეცხლს აწარმოებს, მნიშვნელობის და დროის მიხედვით სისწრაფით გ) როდესაც ყველა მსროლელი შეგნებულად ასრულებს თავის მეთაურის ყველა განკარგულებებს, დ) როდესაც მსროლელი თავის თავად შესწყვეტს სროლას, რა წამს მიზანი მიიმალება ან შეიმუსრა, ე) როდესაც შესაძლებელია ადვილი გადატანა ცეცხლისა ცალკე მსროლელით ან მთელი ერთეულით ერთი მიზნიდან მეორე მიზანზედ ან შეცვლა სროლის მიმართულებისა, ვ) როდესაც მსროლელი იმდენად თავშეკავებული და ისეთი ყურადღების მქონეა, რომ მის უფროსს, როდესაც ეს

დასჭირდება, შეუძლიან სწრაფად შესწყვიტოს ან გადიტანოს სხვაგან ცეცხლი, ზ) როდესაც მსროლელს შეუძლიან თვითონ გამოიყენოს ადგილ-მდებარეობა ისე, რომ მეტი ზიანი მიაყენოს მტერს და ტყვილ-უბრალოდ არ ხარჯოს ვაზნები.

ცეცხლის დისციპლინა ბრძოლაში დაცულ იქმნება, თუ მსროლელი მშვიდობიან დროს მიიღებს საჭირო ცოდნას და ზნეობრივ აღზრდას და თვით მეთაურებს შესწავლილი და შეგნებული ექნებათ ცეცხლის ხელმძღვანელობა.

თვით ბრძოლის დროს დისციპლინის აღსადგენათ საჭიროა შეჩერდეს დროებით სათითოო ცეცხლი და დაიწყოს დაშენითი, თუ ეს შესაძლებელია, თუ არა და ვაზნების განსაზღვრული რიცხვით მაინც მთავარი მოთხოვნილობაა: მეთაური განსაკუთრებულ თვალყურს უნდა ადევნებდეს ბრძოლის დროს ცალკე წითელ-არმიელსაც კი იმ მხრივ, თუ რამდენად სწორედ აწარმოებს იგი ცეცხლს.

ხროლის შედეგის თვალყურის გდება.

თანამედროვე ბრძოლაში, როგორც ჩვენი ისე მოპირდაპირის ჯარი სცდილობს ამოეფაროს ადგილობრივ საგნებს, სარგებლობს რა ამისათვის უსწორ-მასწორო ადგილებით. ამის გარდა უკანასკნელ დროს მეტად განვითარდა შეხამება. ამიტომ მეტად გაძნელდა თვალყურის გდება და მეთაურებს თითქმის ესპობათ საშუალება ბრძოლის ველის მიმოხილვისა, მით უმეტეს, რომ მათ კიდეე ბევრი მოვალეობა დაეკისრებათ. ამ მიზნისათვის ინიშნებიან მოთვალთვალენი, რომლებიც შეიარაღებული დურბინდებით, ირჩევენ ისეთ ადგილს, საიდანაც ადვილია მთელი ბრძოლის ველის მიმოხილვა და მასთანავე იმდენად ახლოა თავის ერთეულთან, რომ შეუძლიანთ ხმით ან ნიშნებით აცნობონ სროლის შედეგი და ამით შეძლება მისცეს მეთაურს სათანადო შესწორება შეიტანოს სროლაში. ამის გარდა, რასაკვირველია, თვით მეთაურები და მსროლელებიც თვალყურს უნდა ადევნებდნენ თავიანთ სროლის შედეგს. ესეც, როგორც თვალზომვა, მოითხოვს ერთგვარ ვარჯიშობას და თვალის შეჩვევას, ე. ი. წინასწარ მომზადებას.

აღრიცხვა ვაზნებისა და მათი შევსება.

ქვ. ჯარის ცეცხლის. სიძლიერე სავსებით დამოკიდებულია ვაზნების სამყოფ რიცხვზე. ამის გამო ვაზნების აღრიცხვას და მათ შევსებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლაში. ყველა მეთაურმა თვალყური უნდა ადევნოს ვაზნების ხარჯვას და რაკი ვაზნების რიცხვი $^1/_3$ შემცირდება, იზრუნოს შევსებისათვის. შევსება ვაზნებისა ბრძოლაში შეიძლება:

ა) სათადარიგო ვაზნებით, რომელიც თვით წითელ არმიელებს აქვთ;

ბ) ასეულის სავაზნე ორთვალებიდან;

გ) ათასეულის ან ლეგიონის ვაზნების თადარიგიდან;

დ) იმ ვაზნებით, რომელიც დარჩებათ დახოცილთ და დაჭრილებს;

ე) რეზერვის ოცეულის ვაზნებით; მხოლოდ ნაწილობრივ და დროებით გადასცემენ მებრძოლ ნაწილს, ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

ბრძოლაში ვაზნების მისაწვდელად გამოყენებულ უნდა იქმნას ყოველნაირი ხერხი და საშუალება: სხვა და სხვა საზიდავები, სხვა და სხვა საქონელი, როგორიცაა ცხენი, სახედარი ან ძაღლი, ხელის ურემი, მაგრამ ყველაზე მოსახერხებელი და ნაკლებად გამოსაჩენია, როდესაც თვით წითელ არმიელებს ხელით გადააქვთ ვაზნები.

სროლის არაჩვეულებრივი სახეობა.

ბრძოლაში არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია მიზნის შემუსვრა, დამიზნებითი ცეცხლით. ამ გვარ შემთხვევაში მიჰმართავენ სროლის სხვა და სხვა ხერხს. ასეთი შემთხვევა შეიძლება იყოს ოთხი: ა) დაფარულ მიზანში სროლა; ბ) სროლა დაფარულ სროლის პოზიციიდან; გ) სროლა ღამღამეობით და დ) ჰაერში მყოფ მიზნებში სროლა.

სროლა დაფარულ მიზანში.

როდესაც მოპირდაპირე შეტევას აწარმოებს, ის სცდილობს გზა და გზა გამოიყენოს ადგილობრივი საგნები თავშესაფარად. თავს იყრის ამ საგნების უკან და აქედან ნაწილობრივ აწარმოებს წინ გადარბენას; ან ზოგიერთი მისი ნაწილი, მაგალითად რეზერვი, შეიძლება დარჩეს მოფარებული იმ დრომდე, სანამ მთელი ერთეული ხიშტით არ გვეკვეთება. მაგრამ არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც ადგილობრივ საგნებს მოფარებულ მოპირდაპირეს ვერ ჰხედავს მსროლელი, ხოლო მას კარგად ამჩნევს მოთვალთვალე თავის სათვალთვალო ადგილიდან. ამ შემთხვევაში შეიძლება ცეცხლი დაუშინოთ მოპირდაპირეს, მხოლოდ საჭიროა სხვანაირი ხერხი ვიხმაროთ, ვიდრე დამიზნების დროს. უპირველესად ყოვლისა, უნდა გამოიზომოს მანძილი იმ საგნამდე, რომელსაც მოპირდაპირე ამოეფარა. ვსთქვათ ეს მანძილი 1400 ნაბიჯია, ამის და მიხედვით, დაინიშნოს კორა და ეჩვენოს მსროლელებს მიზნად ამ საგნის უმაღლესი წერტილი. ამ რიგად ჩვენი ტყვიები მოჰხვდება ადგილობრივ საგანს. იმისათვის, რომ მოპირდაპირე დავაზიანოთ, საჭიროა ჩვენმა მოთვალთვალემ გვაცნობოს რამ-

დენი ნაბიჯითაა დაშორებული მიზანი ადგილობრივ საგანს. ვსთქვათ დაშორებულია 600 ნაბიჯით, ჩვენც კორას ვაყენებთ 2000 ნაბიჯზე და ვაწარმოებთ სროლას; შედეგებს თვალყურს ადევნებს მოთვალთვალე და ჩვენც მისი ჩვენებით შეგვაქვს შესწორება სროლაში, ვიდრე შემუსვრაზე არ გადავალთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახეობის ცეცხლის წარმოება შეიძლება მხოლოდ 1200-1400 ნაბ. და უფრო მეტ მანძილით, ახლო კი ტრაექტორიის დაკრულობა შეუძლებლად ჰხდის ამ გვარ ცეცხლს.

სროლა დაფარულ პოზიციებიდან.

არის შემთხვევა, როდესაც მსროლელი ერთეული თვითონ არის ამოფარებული და სხვა და სხვა მიზეზებით არ უნდა თავის გამოჩენა. აქაც მსროლელი ვერ ჰხედავს თავის მოპირდაპირეს, რომელსაც მოთვალთვალე კარგად ამჩნევს.

ამ შემთხვევაში სროლა სწარმოებს ყველასათვის ადვილად გასარჩევ დამიზნების დამხმარე წერტილის საშუალებით, როგორც არის მაგალითად, ხის კენწერო, რომელიმე შენობის სახურავი და სხვა, რასაკვირველია, თუ ეს წერტილი მსროლელ ერთეულის და მიზნის სისწორივ იმყოფება. მსროლელები უმიზნებენ ამ დამხმარ წერტილს მხოლოდ ისეთი კორით, რომ ტყვიის საშუალო ტრაექტორიამ გაიაროს მიზანში. ამისთანა სროლა იმ მოსაზრებაზეა დამყარებული, რომ შეგვიძლიან მივსცეთ ლულის ღრუს, მაშასადამე, ტყვიის სრიალის ხაზსაც, სხვა და სხვა დახრილობა, თუ ვუმიზნებთ ერთსა და იმავე წერტილში, მაგრამ ავსწევთ ან დავსწევთ კორის უღელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახეობის სროლას შეუძლიან დიდი სარგებლობა მოუტანოს მსროლელ ერთეულს. ჯერ ეგ ერთი, რომ მსროლელი ერთეული ნაკლებად დაზარალდება, რადგანაც საფარშია და ამის გარდა ამ შემთხვევაში დამიზნების წერტილი ყველასათვის ადვილი გასარჩევია, რაც აადვილებს სროლას. ამ სახეობის სროლა შეუძლიან აწარმოონ ცალკე მსროლელებმაც, თუ სათანადო მომზადება აქვთ და საქმეს შეგნებით მოექცევიან.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ამ სახის სროლა მოითხოვს სათანადო დახელოვნებას, სინიდისიერ შესრულებას, როგორც მსროლელების, აგრეთვე მეთაურებისაგან.

ღამით სროლა.

საერთოდ ღამით სროლა, როგორც ბრძოლის წესი დაუშვებელია; მაგრამ შესაძლებელია იძულებულნი გავხდეთ. ამიტომ საჭიროა მოკლედ განვიხილოთ ამგვარი შემთხვევები. ღამით სროლა შეიძლება: ა) განათებულ მიზნების მიმართ და

ბ) სიბნელეში. მტკიცე საზღვრის გაყვანა ამათ შუა მეტად ძნელია, რადგანაც ღამის განათება იმდენად სცვლის საგნის ფერს და ხანდისხან თვით საგანსაც კი, რომ სიბნელეში თუ განათებულ მიზნის მიმართ სროლა, თითქმის ერთი და იგივეა. როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევში საჭიროა წინასწარ, დღისით გამოზომვა მანძილისა, კორის დაყენება და თვით შაშხანა თოფის დამაგრებაც კი.

თოფის გამაგრებისათვის ხმარობენ ორთითს, ამოჭრილ ფიცარს და სხვა. ხელსაყრელია ღამით სროლა დაბლიდან მაღლა, როდესაც მოპირდაპირე მწვერვალოს გადადის, რადგანაც უფრო ადვილია მისი გარჩევა იერზე, საერთოთ ღამით სროლა მოითხოვს დიდ მომზადებას და ვაზნების ხარჯს და შედეგები კი იშვიათად არის დამაკმაყოფილებელი. ამისათვის ღამით სროლა დასაშვებია მხოლოდ ულტიმატუმის შემთხვევაში.

ჰაერში მყოფ მიზნებში სროლა.

ქვ. ჯარისათვის მეტად ძნელია სროლა მაფრენალ აეროპლანის და აეროსტატის წინააღმდეგ, რადგანაც ერთი მხრივ მიზანი მეტად სწრაფად მოძრაობს და მეორე მხრივ მიზანი სროლისა მეტად შორს არის (არა ნაკლებ 1000—1500 მეტრისა).

დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ ნათქვამია დარიგებაში. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ამ გვარ მიზნების წინააღმდეგ სროლა სწარმოებს მუდმივი კორით, დგომით და ჩოქით. საუკეთესო ხერხი სროლისა ჰაერში მყოფ მიზნების წინააღმდეგ არის მიზნების მოძრაობის გზით ტყვიის ფარდის გამართვა ერთი მიმართულებით, მხოლოდ აპარატის წინ და ცოტა მის მაღლა.

ქვეითი ჯარის წყობილებანი.

წყობილება არის მებრძოლთა განრიგება შეთანხმებული მოქმედებისათვის ბრძოლაში და ლაშქრობაში და აგრეთვე დასვენებისას.

ისეთს განრიგებას, როდესაც მებრძოლნი ერთი მეორის გვერდზედ სდგანან სწორე ხაზით, ეწოდება მწკრივი. მწკრივის თავსა და ბოლოს ეწოდება ფრთები—მარჯვენა და მარცხენა; ამასთანავე ფრთების სახელი არ შეიცვლება მწკრივის ზურგისაკენ მიბრუნებით. მწკრივის პირს ეწოდება კედარო.

ქვეითი ჯარი, ჩვეულებრივად, ორ მწკრივად ეწყობა ისე, რომ მეორე მწკრივში მდგომნი კისერში უყურებდნენ პირველ მწკრივში მდგომთ. მანძილი მწკრივსა და მწკრივის შორის

უდრის გაშლილ ხელის სიგრძეს. ორი, ერთი მეორის ზურგში მდგომი კაცი შეადგენს რიგს.

წყობილებანი იყოფებიან:

I. მოწყობის ფორმის მიხედვით:

წყობილებათა დაყოფა.

1) **მიჯრილი წყობილებანი**—როდესაც მწკრივებში კაცები ერთი · მეორისაგან ხელის გულის სიგანეზე—15 სანტიმეტრით— სდგანან.

2) **გაფანტული წყობილებანი**—როდესაც კაცები ეწყობიან ერთი ხაზით, განსაზღვრული ხანით (მანძილი კაცებს შორის კედაროთი) ერთი—მეორისაგან. თავისი მხრივ მიჯრილი წყობილებანი იყოფებიან:

ა) **რაზმეულებად**— როდესაც ჯარის რომელიმე ერთეულის ნაწილები ეწყობიან ერთი მეორის უკან, განსაზღვრულ მანძილზედ; ამასთანავე მანძილი ითვლება წინა-მდგომ ნაწილის პირველი მწკრივიდან უკან-მდგომ ნაწილის პირველ მწკრივამდე;

ბ) **გაშლილ წყობილებად**—როდესაც ჯარის რომელიმე ერთეულში კაცები ეწყობიან ერთი ხაზით, ერთი მეორეს გვერდით.

II. საბრძოლო გარემოებაში გამოყენების მიხედვით:

1) **საბრძოლო წყობილებანი**—რომელსაც ჯარი მიჰმართავს ბრძოლების და ბრძოლის ველზედ მოძრაობის დროს (წყობილებას, რომელშიაც ჯარი მოძრაობს ბრძოლის ველზედ, უწოდებენ აგრედვე: მისაახლოვებელ ანუ სამანევრო წყობილებას) და

2) **სალაშქრო წყობილებანი,** რომელსაც ჯარი მოიხმარს ბრძოლის ველის გარეშე მოძრაობის დროს.

პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდენ საბრძოლო და სალაშქრო წყობილებანი.

ყოველი საბრძოლო წყობილება შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

ა) მოხერხებული უნდა იყოს იარაღის ხმარებისათვის;

ბ) უნდა აადვილებდეს ჯარის მართვას;

გ) გამოსაყენი უნდა იყოს მოძრაობისათვის;

დ) გამოსაყენი უნდა იყოს ადგილთან შეგუებისათვის (დაბრკოლებათა დაძლევა და შეხამება);

ე) ნაკლებად უნდა ავნებდეს მას მტრის იარაღი.

ყოველ სალაშქრო წყობილებას კი უნდა ჰქონდეს:

ა) ვიწრო კედარო, გზის სიგანის შესაფერისი (სასურველია, რომ წყობილების კედარო გზის ლიანდაგზედ ვიწრო იყოს),

ბ) შესაფერისი მანძილი ნაწილებს შორის, რათა რაიმე მიზეზით მეთაურ ნაწილების შეჩერება უკან მომყოლ ნაწილებს არ გადაეცეს შეჯახების სახით,

გ) შესაძლებლობა სალაშქრო წყობილებიდან საბრძოლო წყობილებაზედ სწრაფად გადასვლისა.

რომელი წყობილების გამოსადეგობის შეფასებისას ამა თუ იმ საბრძოლო გარემოებაში, საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ ერთგვარი წყობილებანი (საბრძოლო წყობილება—საბრძოლოს, სალაშქრო—სალაშქროს) და ამ შეფასების მიხედვით შესაფერი გამოყენება მოვახდინოთ ხოლმე.

ქვეითი ჯარში იხმარება მიჯრილი, გაფანტული (პირველი-რაზმეულებად) და გაშლილი წყობილებანი; ამასთანავე ძირითად წყობილებად ყოველგვარ შეერთებისთვის მიღებულია ჯგუფის ორ მწკრივიანი გაშლილი წყობილება.

ჯგუფის წყობილებანი.

ა) **გაშლილი წყობილება.** ჯგუფში კაცები ეწყობიან ორ მწკრივად, ერთი მეორის ზურგში, $^3/_5$ მეტრის (1 ნაბიჯი) მანძილით; ყოველ მწკრივში მებრძოლნი ერთი მეორისგან სდგანან ხელის გულის სიგანეზე, ე.ი. 15 სანტიმეტრით; (ნახაზი №1 (ა და ბ);

ბ) რაზმეული ორთა (რიგებით)—მიიღება ჯგუფის გაშლილ წყობილების მარჯვნივ მობრუნებით (ნახაზი №2 (ა და ბ);

გ) კლაკნილი წყობილება (ფრანისებრი)—რომელსაც მივიღებთ ორეულ რაზმეულისაგან, მწკრივების გაშლით მარცხნიდან; ამასთან მეორე მწკრივის თავში მდგომი ზურგში მისდევს პირველ მწკრივს, როდესაც ეს უკანასკნელი გამოვა მის ხაზზედ; გარდა ამისა, კლაკნილი წყობილება მიიღება მებრძოლთა ან მწკრივთა გაშლით ყოველგვარ წყობილებიდან. (ნახაზი № 3).

დ) შარი—რომელიც მიიღება:

1) ორთა რაზმეულისაგან—მწკრივების გაფანტვით განყოფილების თავში მდგომ მებრძოლის ხაზზედ: პირველისა—მარცხნივ, მეორესი—მარჯვნივ (ნახაზი №4 (ა).

2) კლაკნილი წყობილებისაგან—გაფანტვით პირველი 4 მეთაური ნომრისა მარცხნივ, მეორეების: 4 ნომრისა—ტყვიამფრქვევის, და 3 ნომრისა - ავტომატის (თვითმქმედ) ჯგუფებში—მარჯვნივ თავში მდგომის ხაზზედ; ამასთანავე ჯგუფის მეთაური სათვალაეში არ შედის. (ნახაზი №4 (ბ).

ე) კუთხედი—რომელშიაც მებრძოლნი ეწყობიან ჯგუფის მეთაურის ჩვენებით, მიღებულ ამოცანის მიხედვით; ამიტომ წყობილებამ შეიძლება სულ სხვა და სხვა ფორმა მიიღოს გარემოების მიხედვით, მეთაურის ჩვენებათა თანახმად. (ნახაზი №5).

ბრძოლის ველზედ ჯგუფის ყოველი წყობილებაში მებრძოლთა შორის მანძილი და ხანი ეჩვენება ჯგუფის მეთაურის მიერ გარემოების მიხედვით:

ა) **გაშლილი წყობილება**—გაშლილ წყობილებად—მდგარი ჯგუფები ერთი მეორის გვერდით დგებიან(ნახაზი № 6)(ა და ბ);

ბ) ჯგუფთა რაზმეული—ყოველი ჯგუფი დგება ერთი მეორის უკან გაშლილი წყობილებით; 4 მეტრის (5—6 ნაბიჯი—ჯგუფის გაშლილი წყობილების კედარო) მანძილზედ (ნახაზი № 7);

გ) **ორთა რაზმეული** (რიგებით)—მიიღება ათეულის გაშლილი წყობილების მარჯვნივ მობრუნებით—(ნახაზი № 8);

დ) **წყობილება ჯგუფ-ჯგუფებად**—ჯგუფები მოთავსდებიან ერთს ხაზზედ ან და გადგომით 20 მეტრის ხანით (30 ნაბიჯი—ფინთიხის ერთი გასკდომა ვერ ავნებს ორ ჯგუფს) არა ნაკლებ შორისზედ; ამავე დროს, ყოველი განყოფილება ისეთ წყობილებას იღებს, რომელიც, განყოფილების მეთაურის შეხედულებით, უფრო შეეფერება ამა თუ იმ გარემოებას. (ნახაზი № 9).

ოცეულის წყობილებანი.

ა) **გაშლილი წყობილება**—გაშლილ წყობილებაში ათეულები ნომრების მიხედვით, ეწყობიან ერთი მეორის გვერდით (ნახაზი № 10).

ოცეულის გაშლილ წყობილებიდან მოძრაობა შეიძლება მხოლოდ ფრთების მხარეს, ჯგუფების მხრით წამოწევით, ან და, მარჯვნივ მობრუნების შემდეგ, ჯგუფების მარცხნივ მოწყობით;

ბ) **ჯგუფთა რაზმეული**—ყოველი ათეული ერთი მეორის უკან, გაშლილი წყობილებით, 4 მეტრის (5—6 ნაბიჯი) მანძილზედ (ნახაზი № 11);

გ) **ორთა რაზმეული** (რიგებით)—რომელსაც მივიღებთ ოცეულის გაშლილი წყობილების მარჯვნივ მიბრუნებით (ნახაზი № 12);

დ) **წყობილება ათ-ათეულად**—ათეულები ეწყობიან ერთ ან ორ ხაზზედ, გადგომით ან ჭანდრაკისებურად გასაშლელად საკმარის 80—100 მეტრის (120—150 ნაბიჯზე) ხანებზე და 134 მეტრის (200 ნაბიჯი) მანძილზედ; ამასთანავე ყოველი ათეული იღებს იმ წყობილებას, რომელიც, ათეულის მეთაურის შეხედულებით, უფრო შეეფერება გარემოებას. (ნახ. №13).

ახეულის წყობილე-

ა) ასეულის რაზმეული—ოცეულები ნომრების მიხედვით (მართველობის ოცეული მარცხენა ფრთაზე) ერთ ხაზზედ დგებიან; ყოველი ოცეული დაწყობილია ჯგუფ-ჯგუფა რაზმე-

ულებად; ოცეულის შიგნითა ფრთებს შორის ხანი უდრის $1^1/_2$ მეტრს (2 ნაბიჯი). (ნახაზი №14).

ასეულის რაზმეულისაგან მოძრაობის დასაწყებად, არა ასეულის რაზმეულით (ოცეულთა, ათეულთა, ჯგუფთა რაზმეულებად), ასეულის მეთაური აღნიშნავს საბრძოლო ოცეულების მოძრაობის ჯერს (მაგ., 3, 1, 2 ან 2, 1, 3). მართველობის ოცეული მუდამ უკანასკნელი მიდის.

ბ) **წყობილება ოც-ოცეულებად**—ოცეულები მოთავსდებიან ერთს ან ორ ხაზზედ, გადგომით ან ჭანდრაკისებურად და თავი ხანვე ერთმანეთს ჰშორდებიან 134 მეტრის (200 ნაბიჯი) ხანებით და 200 მეტრის (300 ნაბიჯი) მანძილით; ამასთანავე ყოველი ოცეული იღებს იმ წყობილებას, რომელიც უფრო შეეფერება გარემოებას, ოცეულის მეთაურის შეხედულებით. (ნახაზი № 15).

ზემოხსენებულ წყობილებათა და წყობაცვლათათვის ზედმეტია მებრძოლთა სწავლება გაჯრის, მიჯრისა, ოთხ რიგად მოწყობის და გაშლილ წყობილებიდან მარჯვნიდან (მარცხნიდან) ჯგუფებით და ათეულებით მოძრაობისა.

ათასეულის წყობილებანი.

ა) **სარეზერვო რაზმეული**—ასეულები ეწყობიან ასეულთა რაზმეულებად ერთ ან ორ ხაზზედ, ერთ ხაზზე მოთავსებულ ასეულების შიგნითა ფრთებს შორის 2 მეტრის (3 ნ ბიჯი, ხანებით, და მანძილით—7 მეტრი (10 ნაბიჯი) (ნახაზი №16);

ბ) **წყობილება ას-ასეულებად**—ასეულები ეწყობიან ერთ ან ორ ხაზზედ, გადგომით ან ჭანდრაკისებურად, ბრძანებულებით განსაზღვრულ ხანების და მანძილების აღებით; ამასთან ყოველი ასეული იღებს იმ წყობილებას, რომელიც უფრო შეეფერება გარემოებას. (ნახაზი №17).

წყობილებების გამოყენება.

თუ შეავადარებთ ერთმანეთს ზემო ჩამოთვლილ წყობილებების და სახეში მივიღებთ იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ საბრძოლო და სალაშქრო წყობილებანი, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ:

ა) შარი და კუთხედი გამოიყენება თოფის ცეცხლის საშუალო და მახლობელ სფეროში, რათა საშუალება მივცეთ ჯგუფს სავსებით ამოწურაოს თვისი როგორც ავტომატიური, ისე თოფის ცეცხლის ძალა; აგრეთვე იმისათვისაც, რომ ამ წყობილებებს ნაკლებად ავნებს მოწინააღმდეგის ცეცხლი. (დაახლოვებით 800 მეტრი (1200 ნაბიჯი) მოწინააღმდეგისაგან);

ბ) კლაკნილი წყობილება გამოიყენება თოფის და ტყვიამფრქვევის შორეული და არტილერიის ნამდვილი ცეცხლის სფეროში, რადგანაც ეს წყობილება ნაკლებად შესამჩნევი მი-

ზანია მოპირდაპირისათვის (დახლოვებით 800 ფეტრიდან 4 კილომეტრამდე (1200 ნაბიჯიდან 4 ვერსამდე) მტრისგან.

გ) წყობილება ას-ასეულებად გამოიყენება მოძრაობისათვის, მტრის არტილერიის შორეულ ცეცხლის სფეროში შესვლამდე; აგრეთვე მანევრებისათვის ამავე სფეროში; ამასთან მოწინააღმდეგესთან მიახლოვების მიხედვით ხდება წყობაცვლა: ოც-ოცეულად, ათ-ათეულად და ჯგუფ-ჯგუფებად. (დახლოვებით 4-8 კილომეტრის (4-8 ვერსის) მანძილზედ მტრისაგან).

დ) საასეულო რაზმეული ასეულის და ათასეულის სარეზერვო რაზმეული გამოიყენება ჯარის (თავმოყრითი) მოსათავსებლად მტრის ცეცხლის სფეროს გარეშე.

ე) სალაშქრო მოძრაობისათვის სრულიად დამაკმაყოფილებელია ჯგუფთა რაზმეული, რომელშიაც, თუ ეს საჭირო იქნება, შეიძლება კედაროს შეეიწროება მეთაურთა (ჯგუფის და ათეულებისა) თავის ჯგუფების წინ გამოსვლით.

ვიწრო ადგილების გასასვლელად კი მიჰმართავენ ორ-ორად რაზმეულს.

საბრძოლო წესები.

რა არის საბრძოლო წესი.

საბრძოლო წესი ეწოდება ჯარის დალაგების წესს ბრძოლების საწარმოებლად.

საბრძოლო წესის შემადგენელი ნაწილები.

ყოველი ბრძოლის მიზანი—მოწინააღმდეგის დამარცხებაა. ბრძოლის წარმოების საშუალება არის ცეცხლი, მანევრი და ხიშტი. ამ რიგად ბრძოლა უმეტეს ნაწილად 2 უმთავრესი ხანისაგან შესდგება: ა) მოსამზადებელი—როდესაც მოპირდაპირენი უახლოვდებიან ერთმანეთს, სცდილობენ დაასუსტონ ცეცხლით ერთმანეთი და უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა შექმნან თავისთვის და ბ) გადამწყვეტი—როდესაც ვითარდება პირველ ხანაში მომზადებული მანევრი და იწყება ბრძოლის გადამწყვეტი შეჭიდება.

ამის და მიხედვით საბრძოლო წესიც ორი მთავარი ნაწილისაგან უნდა შესდგებოდეს: პირველი მოსამზადებელი ხანა, უმთავრესად, ცეცხლით მოქმედებისათვის და მეორე—გადამწყვეტი ხანა, მკვეთი იარაღით შეტევისათვის. მაგრამ საბრძოლო წესისათვის ეს ორი მთავარი ნაწილი საკმარისი არ არის. ყოველი ბრძოლა მდიდარია მრავალგვარი მოულოდნელი შემთხვევებით. ის მოულოდნელი შემთხვევები, რომელიც ბრძოლის ასპარეზზე დააჰხვდება საბრძოლო წესს, შეიძლება

დროზედ იქმნეს შემჩნეული და შეძლების და გვარად თავიდან აცილებული; გაცილებით უფრო სახიფათოა ის შემთხვევები, რომლებიც ფრთებსა და ზურგში მოხდება; ასეთი შემთხვევები, ძალიან შესაძლებელია, ვერ იქმნენ დროზედ შემჩნეული, რადგანაც ბუნებრივია, რომ ყველას ყურადღება წინისკენ არის მიმართული. ამისთანა მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, ცხადია, საჭიროა საბრძოლო წესის ყველა მხარეზედ გაიგზავნოს განსაკუთრებული კაცები ან გუნდები, რომელთაც დაევალებათ მტრის თვალყურის დევნა და ფრთების დაცვა.

ამრიგად ყოველი საბრძოლო წესი უნდა შესდგებოდეს: 1) საბრძოლო ნაწილისაგან, 2) რეზერვებიდან და 3) ფრთების დამცველი ნაწილისაგან.

საბრძოლო ნაწილი. , რეზერვი, რომლის დანიშნულებასაც საბოლოო შეტევა შეადგენს, სასურველია დასვენებული და ძლიერი იყოს, გადამწყვეტ წამისთვის. ამისათვის საჭიროა, რომ საბრძოლო ნაწილს შეეძლოს თავისი დანიშნულების შესრულება, თუ მოსახერხებელი იქნება რეზერვისადმი დახმარებისთვის მიუმართავად. ამის გარდა საბრძოლო ნაწილი სწრაფად უნდა შეეგუებოდეს ბრძოლის მეტად ცვალებად გარემოებას, ე. ი. მოხერხებული იყოს მართვისათვის. მაშასადამე საბრძოლო ნაწილი უნდა იყოს: 1) მარჯვე მოხერხებულ სამართად და 2) **დამოუკიდებელი.**

I. **მოხერხებულ მართვა.** ბრძოლის ველზედ თითქმის ყოველ წამს იცვლება გარემოება, ამასთანავე ბრზოლის ველის სხვა და სხვა კუთხეში სულ სხვა და სხვა ნაირად; ერთი პიროვნებისათვის ფიზიკურად შეუძლებელია ყველა ამ ცვალებადობისათვის თვალყურის დევნება და, რაც უმთავრესია, დროზე შეუფარდოს თავისი მოქმედებანი ამ ცვლილებებს.

ერთი პირის მიერ მართული საბრძოლო ნაწილი მეტის მეტად მძიმე და მოუხეშავი იქნებოდა. ამიტომ მთელ საბრძოლო ნაწილს ერთ განსაკუთრებულ უფროსს კი არ უნიშნავენ, არამედ ამ ნაწილის შემადგენელ ერთეულთა რიცხვის მიხედვით რამდენიმე უბნად ჰყოფენ ასპარეზს.

ყოველ საბრძოლო უბანს სათავეში უდგას განსაკუთრებული უფროსი, რომლისათვისაც უფრო ადვილია ბრძოლის მიმდინარეობისთვის თვალყურის დევნება და შესაფერისი ზომების თავის დროზე მიღება.

საბრძოლო უბნების უფროსები უშუალოდ ემორჩილებიან სპის უფროსს, რომელიც შეათანხმებს მათს მოქმედებას

სპის უფროსი გააცნობს უბნების უფროსებს მთელი სპის საერთო ამოცანას და, გარდა ამისა, ყოველ მათგანს დაავალებს კიდევ ნაწილობრივ ამოცანებს, რომელთა შესრულებაც მიგვაახლოვებს საერთო მიზანს.

II. **დამოუკიდებლობა.** თანამედროვე საბრძოლო წესის ნაწილი დაყოფილია ცალკე წვრილ-წვრილ ცეცხლის ნაწილაკებად, ჯგუფებად. ეს ნაწილაკები, რომელთაც მეტი საბრძოლო უნარიანობისთვის ეძლევათ ტყვიამფრქვევები, ავტომატები და თოფის გრანატები, მოთავსდებიან ცეცხლის კავშირის დაცვით ერთმანეთთან (ერთ ხაზით ან ჭანდრაკისებურად), უშუალოდ აწარმოებენ ცეცხლით ბრძოლას და მათთვის მიცემულ ამოცანის ფარგლებში სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებენ. რაც უფრო მეტად განვითარდება ბრძოლა და მიუახლოვდებით მოწინააღმდეგეს, ამ ჯგუფებს, აუცილებელია, გამოაკლდებათ ხალხი და საჭიროა ამ დანაკლისის შევსება; ამის გარდა, როდესაც თავს იჩენს ზნეობრივი სისუსტე, შესაძლებელია ამ ჯგუფებს ბიძგებიც დასჭირდეთ წინ წასაწევად; დაბოლოს, შესაძლებელია საჭირო გახდეს ახალი ჯგუფების გაგზავნა ახალი მიმართულებით.

საბრძოლო ნაწილის დამოუკიდებლობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ შესძლოს ყოველივე ამის დაძლევა დახმარებისათვის რეზერვისადმი მიუმართავად, რომელიც გადამწყვეტი დარტყმისათვის არის დანიშნული.

ეს იმით მიიღწევა, რომ საბრძოლო ნაწილში განსაკუთრებული, საკუთარ რეზერვის შექმნით, რომელსაც კერძო რეზერვი ეწოდება (ოცეულებში—ოცეულის მხარდამჭერი) და რომელიც ემსახურება საბრძოლო წესის განსაზღვრულ ნაწილს. ეს რეზერვი უშუალოდ ემორჩილება საბრძოლო უბნის უფროსს.

ამრიგად, მართვის გასაადვილებლად, საბრძოლო ნაწილი იყოფება საბრძოლო უბნებად, ხოლო დამოუკიდებლობის მისაღწევად, საბრძოლო უბანს ჰყავს თავისი კერძო ანუ უბნის რეზერვები.

საერთო რეზერვი. საბრძოლო წესის მეორე ნაწილი—რეზერვი, რომლის დანიშნულებასაც გადამწყვეტი დარტყმა შეადგენს და საბრძოლო ნაწილის კერძო რეზერვებისაგან გასარჩევად, იწოდება საერთო რეზერვად, ე. ი. მთელი სპის რეზერვად, საშუალებად საერთო მიზნის მისაღწევად.

გარდა თავისი უმთავრესი დანიშნულებისა, საერთო რეზერვის დანიშნულებას შეადგენს ჯერედვე: წინააღმდეგობის

გაწევა ისეთ მოულოდნელ შემთხვევებისა, რომლებიც გავრცელდება ბრძოლის მთელს მიმდინარეობაზე და რომელთა მნიშვნელობაც ერთი საბრძოლო უბნით არ განისაზღვრება, და საბრძოლო ნაწილის გაძლიერება, როდესაც მთელი მისი კერძო რეზერვები ბრძოლაშია შეყვანილები.

სპის უფროსისთვის საერთო რეზერვი ერთად-ერთ საშუალებას წარმოადგენს—ბრძოლის მსვლელობის სამართავად, ე. ი. მისი მსვლელობის საკუთარ განზრახვისამებრ მისამართავად.

ვიდრე საერთო რეზერვი ხელუხლებელია, სპის უფროსი ბატონ-პატრონია გარემოებისა; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მხოლოდ უილაჯო მაყურებელია.

საერთო რეზერვის ადგილი საბრძოლო ნაწილის იმ უბნის უკან არის, რომელსაც ყველაზედ მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგანაც გამარჯვებისათვის სრულიადაც არ არის საჭირო, რომ მთელი ხაზით ვიყენეთ მტერზედ ძლიერი; საკმარისია და საჭიროა მხოლოდ იმ ადგილას და იმ დროს ვიყენეთ მტერზედ ძლიერი, სადაც და როდესაც უნდა გადასწყდეს ბრძოლის ბედი, ანუ, როგორც წესდება ამბობს **„დარტყმის წერტილზე და დარტყმის ჟამს“**.

უბანის მეტი მნიშვნელობა კიდევ შეფასდება ორ მთავარ გარემოების მიხედვით:

1) სადა გვსურს ჩვენ თვითონ მოვახდინოთ დარტყმა და

2) სად უფრო მოსალოდნელია მოწინააღმდეგის გადამწყვეტი დარტყმა.

ფრთების ნაწილი.

კედაროზედ მოულოდნელი შემთხვევები ხდება საბრძოლო წესთან ან სულ ახლოს, ან მისგან რამოდენიმე მანძილით

რაც უფრო ძლიერია სპა, რაც უფრო გრძელი და ღრმა არის საბრძოლო წესი, მით უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ მოწინააღმდეგე შორიდანვე შეეცდება მოაწყოს მოქმედება ჩვენი ფრთებისა და ზურგის წინააღმდეგ; მით უფრო მეტი დროა ჩვენთვისაც საჭირო, რომ მოვასწროთ შესაფერი საწინააღმდეგო ზომების მიღება; მაგრამ ამასთანავე ერთად შესაძლებელია მცირე შემთხვევებიც უშუალო სიახლოვეზე. ამის გამო, ფრთების დაცვა ყოველთვის აუცილებელია, მხოლოდ იმის და მიხედვით — რა ძალისაა თვით ერთეული, დამცველი ნაწილიც შეიძლება იყოს სხვა და სხვა ძალისა და სხვა და სხვა მანძილით გაგზავნილი. თუ ერთეული სხვებთან ერთად მოქმედობს და ფრთები დაფარულია, ამ შემთხვევაში

იგზავნებიან მხოლოდ მზვერავები კავშირისათვის მეზობელ ერთეულებთან.

საბრძოლო ნაწილისა და საერთო რეზერვის ძალების შეფარდება.

საბრძოლო ნაწილისა და საერთო რეზერვის ძალების განსაზღვრის დროს არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ერთხელ და სამუდამოდ მიღებული რომელიმე წესით. ყველაფერი დამოკიდებულია მოქმედების მიზანსა და გარემოებაზე.

მოსალოდნელი მოქმედება ფრთებზედ, სწორი ცნობების უქონლობა მტრის შესახებ, ბრძოლის ხანგრძლივობა, მოწინააღმდეგის გამბედაობა და სხვა ამისთანა, მოითხოვს ძლიერი საერთო რეზერვის ყოლას; წინააღმდეგ შემთხვევებში კი შესაძლებელია უფრო სუსტი რეზერვის ყოლა. შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის დასაწყისში უმეტეს ნაწილად საერთო რეზერვი მთელი სპის თითქმის ორ მესამედამდე იქნება.

ყოველ საბრძოლო უბანში შეფარდება მცირე საბრძოლო უბნებსა და კერძო რეზერვის შორის ესაბამება იმავე მოსაზრებას და, გარდა ამისა, დამოკიდებულია აგრეთვე იმაზედ, თუ რამდენად განვითარდება ცეცხლი; გარემოებისა და ამოცანის მიხედვით—ზოგიერთ უბნებში შესაძლებელია კერძო რეზერვი სულაც არ იყოს.

რეზერვის დაშორება კედაროსაგან.

კერძო რეზერვის დაშორება კედაროსაგან ისე უნდა იყოს მოსაზრებული, რომ:

1) შესაძლებელი იყოს თავის დროზედ დახმარების აღმოჩენა უბნებისათვის;

2) რომ უზრუნველყოფილი იყოს უბნის ფრთების მოვლისაგან;

3) შეესაბამებოდეს ადგილის თვისებებს;

4) რაც შეიძლება ნაკლებად ზიანდებოდეს მტრის ცეცხლისაგან.

მანევრობა საბრძოლო წესია.

მანევრობას უწოდებენ ისეთ მოძრაობას ბრძოლის ველზედ, რომელსაც დასახული აქვს მიზნად, რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში ჩააყენოს ჩვენი ჯარი და ამასთანავე დაიფაროს იგი ზედმეტი ზიანისაგან.

მანევრობის საერთო საფუძვლები:

1) მოძრაობის დროს ყოველ უბანს ეძლევა თავისი მიმართულება. გარდა ამისა, ერთი მათგანი ინიშნება მიმართულების ნაწილად, დანარჩენი ნაწილები კი თავის მოძრაობას შეუთანხმებენ ამ უკანასკნელს.

მიმართულების ზედმიწევნით დაცვა და უბნებს შორის კავშირი აუცილებელი პირობაა მანევრის წარმატებით დაბოლოებისათვის.

2) როდესაც ციცხლის ქვეშ ვიმყოფებით ყოველნაირად უნდა ვერიდნეთ მოწინააღმდეგის მიმართ გვერდით მოძრაობას, განსაკუთრებით მტერთან მახლობელ ნაწილებში და ეს უკანასკნელი უნდა შევსცვალოთ ცერად მოძრაობით.

თუ საჭირო გახდა საბრძოლო წესის რომელიმე ფრთისაკენ გადაყვანა, მაშინ ფრთა უნდა გავაგრძელოთ რეზერვიდან ახალი ძალების გაგზავნით და ამ შემთხვევაში მებრძოლი ფრთა გადაიქცევა რეზერვად.

3) ასევე უნდა მოვიქცეთ, როდესაც საჭირო იქნება მიმართულების შეცვლა დიდი კუთხით. მცირე კუთხეზედ კი მიმართულება შეიცვლება მიმართულების უბნის მიხედვით; ამ შემთხვევაში საერთო რეზერვი მოკლე გზით გადავა თავის ადგილას.

4) თუ რომელიმე ადგილას გაირღვა საბრძოლო წესი, ამ ადგილს შეავსებს უახლოესი რეზერვი.

თუ, პირიქით, შეჯგუფება მოხდა, მაშინ ის ნაწილი, რომლისათვისაც აღარ იქნება ადგილი, გაიგზავნება რეზერვში.

საბრძოლო წესის მართვა. საბრძოლო წესს ჰმართავს სპის უფოსი ბრძანებულებათა საშუალებით, რომელთაც გადასცემს უბნებისა და საერთო რეზერვის უფროსებს.

გაჭიმულმა საბრძოლო წესებმა და მასთან დაკავშირებულმა ქვეითი ჯარის ჯგუფურმა ორგანიზაციამ, აგრეთვე აუცილებლობამ, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს საშიშროებას ზევიდან, ჰაერიდან არა მარტო საბრძოლო კედაროზედ, არამედ ზურგშიაც, უკიდურესობამდის გაართულა ჯარების მართვა ბრძოლის დროს და მოითხოვს, ჯგუფის მეთაურიდან მოკიდებული, მეთაურთა შემადგენლობის დიდს მომზადებას.

ამასთანავე ყოველ საბრძოლო წესისათვის მისაღებია შემდეგი საერთო დებულებანი:

1) ჯარების საბრძოლო ნაწილად და რეზერვად განაწილების დროს დაუშვებელია ნაწილების ერთმანეთში არევა;

2) საბრძოლო ნაწილი იყოფება უბნებად. ადგილზედ მოთავსების დროს უბნების საზღვრები აღინიშნება მკაფიო ადგილობრივი ზღუდეებით; მოძრაობის დროს კიდევ ყოველ უბანს უნდა დაენიშნოს განსაზღვრული სამოქმედო ზოლი, ან და მიმართულება მიეცემა წინმდებარე კარგად მოჩანს საგანზედ;

3) ყოველ უბანს ეძლევა განსაკუთრებული კერძო ამოცანა ისე, რომ მისი შესრულება მიგვიყვანდეს საერთო მიზანთან. უბნის უფროსი თავისი ამოცანის ფარგლებში მოქ-

მედებს სრულიად დამოუკიდებლად, მხოლოდ მოვალეა თავისი მოქმედება აუცილებლად შეუთანხმოს მეზობელ უბნების მოქმედებას;

4) საერთო რეზერვს განაგებს სპის უფროსი;

5) ცვლა ბრძოლაში დაუშვებელია; მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში—მეტის-მეტი დაღლილობის, ან დიდი დანაკლისისაგან ნაწილების დაშლის გამო—შესაძლებელია მოწინავე ნაწილების შეცვლა რეზერვის დასვენებული ნაწილებით. ნაწილების შეცვლა, რომ წესად მივიღოთ, მაშინ აღფრთოვანება, მისწრაფება და მოწინააღმდეგემდე მიღწევის მტკიცე სურვილი სრულიად გაჰქრება და მათ ადგილს დაიჭერს უბრალო ანგარიშიანობა—როგორმე შეცვლამდე მიაჩანჩალონ საქმე;

6) რომ უფრო ადვილი იყოს მთელი საბრძოლო ნაწილის თვალის მოვლება, სპის უფროსმა თავის სამყოფად ისეთი პუნქტი უნდა ამოირჩიოს, საიდანაც კარგი მიმოსახედი იქნება, ეს პუნქტი რამდენადმე დაშორებული უნდა იყოს მოწინავე ნაწილებს, რომ უფრო მოსახერხებელი იყოს მართვა, მაგრამ, როდესაც კი საბრძოლო ნაწილი მიუახლოვდება მოწინააღმდეგეს და დარტყმის გადამწყვეტი წამი დადგება, როროდესაც მეთაური[1]) კი აღარა ჰმართავს თავის ნაწილს, არამედ წაიყოლიებს და გაიტაცებს მას, მაშინ, რასაკვირველია, მისი ადგილი ბოლოში კი არა, თავის მებრძოლთა სათავეშია.

უფროსის ადგილი სპის ყოველმა მებრძოლმა უნდა იცოდეს და, თუ ბრძოლის მსვლელობის მიხედვით, იგი იძულებულია სხვა ადგილზედ გადავიდეს, მაშინ ძველ ადგილზედ იგი სტოვებს კანდელს დასმენათა ახალ ადგილას მისატანად;

7) ბრძოლის მსვლელობის უკეთესად სათვალთვალოდ, გარდა ამისა საჭიროა საამისოდ მარჯვე პუნქტებზედ გაიგზავნენ კარგი დურბინდებით აღჭურვილი მოთვალთვალენი.

ხაკავშირო ხამსახური. ყოველი საბრძოლო წესის მოქმედებათა წარმატებით დაბოლოების აუცილებელ თავდებათ, განსაკუთრებით თანამედრვე ხანაში ბრძოლის მართვის გაძნელებისას, მჭიდრო კავშირის დაჭერაა, როგორც ცალ-ცალკე ნაწილებს შორის, ისე ამ ნაწილებსა და უზენაეს უფროსის შორის.

უზენაესმა უფროსმა უნდა იცოდეს ყოველივე, რაც ხდება მისი სპის სხვა და სხვა ნაწილებში, რადგანაც მხოლოდ მაშინ შეუძლიან მას დამშვიდებით და აუღელვებლად მართოს

1) აქ ლაპარაკია მცირე ნაწილების უფროსებზედ ათასეულის მეთაურამდე და მისი ჩათვლით.

ბრძოლა და თავის დროზედ მოსპოს ყოველგვარი მოულოდნელობა.

ყოველი კერძო მეთაური კარგად უნდა იყოს გაცნობილი, როგორც უზენაეს უფროსის განზრახვებს, ისე ყოველივე მას, რაც ხდება მეზობელ უბნებში და ნაწილებში—მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლიან კერძო მეთაურს დროზედ დაეხმაროს მეზობელს, დროზედ მიიღოს ზომები თავის ნაწილის მძიმე გარემოების შესამსუბუქებლად, დაბოლოს, დროზედ გამოიჩინოს გონივრული თაოსნობა.

მხოლოდ კავშირის არსებობის დროს ყოველი სპა ყოველ აღებული წამს სცხოვრობს საერთო ცხოვრებით და სხვა და სხვა ნაწილების მექანიკურ შეერთებას კი არ წარმოადგენს, არამედ ცოცხალ, შეგნებულ ორგანიზმს, რომელიც მთელ თავის ძალღონეს მიჰმართავს საერთო მიზნის მიღწევისაკენ.

კავშირის განსახორციელებლად ყოველ ჯარის ორგანიზმში საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა:

1) უზენაესი უფროსი მოვალეა აცნობოს თავის ხელქვეითებს მოქმედების გეგმა და შემდეგ მუდამ გააგებინოს მათ, თუ რაიმე ცვლილება მოხდა, როგორც მის განზრახვაში, ისე გარემოებაში.

2) ყოველი უმცროსი მეთაური ვალდებულია დაუყოვნებლივ დაასმინოს თავის უზენაეს უფროსს ყოველივე ღირსშესანიშნავი გარემოების მხრივ, თვის მოქმედებათა და განზრახვათა შესახებ და ამასვე ატყობინებს მეზობლებს.

3) ყოველი მეთაური, რომელიც კარგა ხანს არ იღებს არავითარ განკარგულებას ზევიდან, ან ცნობებს მეზობლებისაგან, ვალდებულია მიიღოს სასწრაფო ზომები კავშირის აღსადგენად და შესაფერისად უნდა გაეგნოს მდგომარეობას.

ამ პირობათა შესრულების შესაძლებლობისთვის ყოველი მეთაური, ჯგუფის მეთაურამდე და მისი ჩათვლით, რა გარემოებაშიაც არ უნდა იყოს იგი, ვალდებულია მოაწყოს კავშირი: ა) მის უშუალოდ ხელქვეით მეთაურებთან და ბ) მარცხნივ მყოფ მეზობლებთან.

კავშირის საშუალების შესახებ იხილე ქვეით. გვ.

ოცეულის საბრძოლო წესი.

პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ოცეულის საბრძოლო წესი.

ოცეულის საბრძოლო წესი უნდა:

1) შესაძლებლობას იძლეოდეს რაც შეიძლება უკეთესად იყოს გამოყენებული ცეცხლისა და იარაღის ესა თუ ის სახეობა, სხვა და სხვა გარემოების მიხედვით.

2) რაც შეიძლება ნაკლებ ზიანს მიიყენებდეს მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან.

3) მოხერხებული იყოს მანევრების საწარმოებლად შებრძოლების ველზედ.

4) მდრეკი იყოს ადგილ-მდებარეობასთან შეგუების აზრით.

საბრძოლო წესის შემადგენლობა და მისი საფუძველი.

ზემო-ჩამოთვლილ პირობების მიხედვით და აგრეთვე იმის გამო, რომ ბრძოლის განვითარებასთან ერთად, საქმეში თანდათანობით ჩაებმება ყველა სახეობის იარაღი, ოცეულის საბრძოლო წესის გარეგანი სახეც შეიცვლება თანდათანობით. მაგრამ საერთოდ კი ოცეულის საბრძოლო წესი შესდგება: 1) საბრძოლო ნაწილისაგან, 2) ოცეულის მხარდამჭერისაგან და 3) ფრთების დამცველ ნაწილებისაგან. (ნახ. № 18).

ოცეულის საბრძოლო ნაწილის საფუძველია მისი ტყვიამფრქვევები, რომლებიც იჭერენ ყველაზე უფრო მოხერხებულ ადგილებს ბრძოლის საწარმოებლად.

ათეულებსა და ჯგუფებში კაცები ჯგუფდებიან ტყვიამფრქვევების დალაგების მიხედვით; ამასთანავე, საერთო წესადაა მიღებული, რომ ცეცხლის ხაზზედ იმყოფება მხოლოდ ის, ვინც ისვრის, დანარჩენები კი დგებიან საფარში.

საბრძოლო ნაწილი, მისი დანიშნულება, წყობილება და ძალა.

ოცეულის საბრძოლო ნაწილის დანიშნულებას წარმოადგენს ბრძოლის დაწყება, იერიშის მომზადება ცეცხლით და ამ იერიშის დასრულება ხიშტით ან ხელის გრანატით; ყოველივე ამას ოცეულის საბრძოლო ნაწილი ასრულებს ან ოცეულის რეზერვთან ერთად ან უიმისოდ.

ოცეულის საბრძოლო ნაწილს შეადგენენ მისი მოწინავე ათეულები, რომელნიც, დაიყოფებიან რა ცალ-ცალკე ცეცხლითი ჯგუფებად თავსდებიან და მოქმედებენ ისე, რომ ერთმანეთთან მუდმივ ცეცხლითი კავშირში იმყოფებოდნენ.

ყოველი ჯგუფი, რომელსაც მეტი ბრძოლის უნარიანობისათვის ეძლევა მსუბუქი ტყვიამფრქვევები ან ავტომატები და თოფის გრანატები, იმის და მიხედვით, თუ რა მანძილით

არის მოწინააღმდეგებს დაშორებული და რამდენად ძლიერია ამ უკანასკნელის ცეცხლი, მიიღებს იმ წყობილებას, რომელიც საშუალებას მისცემს სრულად ამოსწუროს თავისი იარაღის მთელი ძალა და ამასთანავე რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიიღოს მოწინააღმდეგისაგან.

გარემოებისა და ოცეულისათვის დანიშნულ უბნის სიგანის მიხედვით, საბრძოლო ნაწილში შეიძლება დაინიშნოს ერთიდან სამ ათეულამდე; ოცეულის საბრძოლო უბნის სიგანე შეიძლება იყოს 50—150 მეტრამდე (70—200 ნაბიჯი).

ოცეულის მხარდამჭერი, მისი დანიშნულება და ძალა.

ოცეულის მხარდამჭერი დანიშნულება არის შეუტიოს მოწინააღმდეგეს იმ მიმართულებით, რომელსაც ყველაზედ მეტი მნიშვნელობა აქვს ოცეულის უბნისათვის. ოცეულის მხარდამჭერი უშუალოდ ოცეულის მეთაურს ემორჩილება და მხოლოდ მისი განკარგულებით ხელმძღვანელობს.

ოცეულის მხარდამჭერი ან საერთო რეზერვის დანიშნულებას ასრულებს, თუ ოცეული ცალკე მოქმედებს, ან კერძო რეზერვისას—თუ ოცეული სხვებთან ერთად მოქმედებს.

პირველ შემთხვევაში უფრო ძლიერი უნდა იყოს ოცეულის მხარდამჭერი და მისი დახარჯვა ფრთხილად უნდა ხდებოდეს იმ ანგარიშით, რომ გადამწყვეტი წამისათვის ხელუხლებელი ერთი ათეული მაინც რჩებოდეს. ამისათვის ბრძოლის დასაწყისში, როდესაც მოწინააღმდეგე ჯერ კიდევ შორს არის, საკმარისია საბრძოლო ნაწილში გაიგზავნოს ერთი ათეული, ორი კი დავტოვოთ მხარდამჭერში. შემდეგ, რაც უფრო მოგვიახლოვდება მოწინააღმდეგე და ბრძოლაც განვითარდება, საბრძოლო ნაწილს შეიძლება მეორე ათეულიც მიემატოს.

მაშინ კი, როდესაც ოცეული სხვა ოცეულებთან ერთად მოქმედებს, საბრძოლო ნაწილში შეიძლება ორი ათეული გაიგზავნოს ერთად. რაც უფრო განვითარდება ბრძოლა, საბრძოლო ნაწილს შეიძლება მესამე ათეულიც მიემატოს, და ეს გარემოება არ გამოიწვევს დიდ უხერხულობას, რადგანაც ამ ოცეულს მუდამ შეუძლიან დახმარების მიღება უკანმყოფ კერძო რეზერვებიდან.

მისი დაშორება.

ოცეულის მხარდამჭერი მუდამ დაშორებული უნდა იყოს საბრძოლო ნაწილს განსაზღვრული შორისით, რათა: 1) ოცეულის საბროლო ნაწილს მიეცეს განსაზღვრული სიღრმე, რომელიც საჭიროა მისი მოქნილობისათვის და 2) ისევე არა ზარალდებოდეს მხარდამჭერი მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან, როგორც საბრძოლო ნაწილი.

მაგრამ, მეორეს მხრით, ოცეულის მხარდამჭერს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ყოველ წამს აღმოუჩინოს საბრძოლო ნაწილს დახმარება არა მარტო წინსვლით, არამედ ცეცხლითაც, რადგანაც ოცეულის საბრძოლო ნაწილის ნაწყვეტ-ნაწყვეტობა შესაძლებლად ჰხდის ავტომატიური ცეცხლის წარმოებას წყობილების სილრმიდან მის ნაწილებს შუა მდებარე ზოლით. ამისათვის ოცეულის მხარდამჭერის დაშორების გამორკვევის დროს ანგარიში უნდა გაუწიოთ მოწინააღმდეგის დაშორებას: რაც უფრო ახლოა მოწინააღმდეგე, მით ოცეულის მხარდამჭერიც უფრო ახლო იქნება საბრძოლო ნაწილთან; საერთოდ კი მიღებულია, რომ მხარდამჭერი უფრო ახლო უნდა იყოს საბრძოლო ნაწილთან, ვიდრე ეს უკანასკნელი იქნება მოწინააღმდეგისაგან. დაბოლოს, მხარდამჭერის დაშორებაზე ადგილ-მდებარეობასაც აქვს გავლენა: მოფარებულ ადგილებში იქნება ნაკლები, ხოლო გაშლილ ადგილებზედ—მეტი.

ბრძოლის დასაწყისში ოცეულის მხარდამჭერის დაშორების საზღვრად შეიძლება მივიღოთ 150 მეტრი (200 ნაბიჯი).

მისი ადგილი.

ოცეულის მხარდამჭერი შეიძლება იმყოფებოდეს ან გადგომით ერთ-ერთი ფრთის უკან, იმის და მიხედვით, თუ რომელ ფრთას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ან კიდევ შუაზედ (ჭანდრაკისებურად), თუ ორივე ფრთა ერთნაირი მნიშვნელობისაა.

ამასთანავე, რადგანაც ოცეულის საბრძოლო უბანი მაინცა და მაინც დიდ მანძილზე არ არის კედროთი გადაჭიმული და ოცეულის მხარდამჭერი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, მუდამ მოასწრებს თავის დროზედ მიეშველოს საჭირო ადგილას საბრძოლო ნაწილს და განავითაროს მანევრი, რომელ ფრთაზედაც იქნება საჭირო, ამიტომ ოცეულის მხარდამჭერისათვის ადგილის არჩევის დროს, საბრძოლო უბნის ამა თუ იმ პუნქტის მნიშვნელობის გარდა, შეგვიძლიან ვიხელმძღვანელოთ აგრედვე იმ გარემოებითაც, თუ სად უფრო მოხერხებული საფარია და სად უფრო დაფარული იქნება მხარდამჭერი მტრის ცეცხლისაგან. ცხადია, ოცეულის უბანზედ მდებარე ადგილობრივი საგნები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ამ საკითხში.

ოცეულის მხარდამჭერის წყობილება.

ოცეულის მხარდამჭერის ადგილის ამორჩევის დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საჭიროა: 1) მხარდამჭერს საშუალება ჰქონდეს მუდამ ჟამს მიეშველოს ცეცხლით საბრძოლო ნაწილს და 2) რაც შეიძლება ნაკლებ ზარალს აყენებდეს მას მტრის ცეცხლი.

ამისათვის მოწინააღმდეგის ცეცხლის სფეროს გარეშე შეგვიძლიან გამოვიყენოთ ჯგუფთა ან ორთა რაზმეული. ცეცხლის სფეროში კი ჯგუფთა წყობილების მიღება მოგვიხდება, ტყვიამფრქვევების ან ავტომატების თავში მოთავსებით; ამასთანავე უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა: 1) როდესაც მოწინააღმდეგეს მხოლოდ თოფით შეუძლიან ჩვენი გამოთოფვა და 2) როდესაც მას არტილერია ჰყავს. პირველ შემთხვევაში —როდესაც მოწინააღმდეგეს მხოლოდ თოფით შეუძლიან სროლა—ოცეულის მხარდამჭერს დაახლოვებით 1,5 კილ. (2000 ნაბიჯზე) შეუძლიან კლაკნილად, შემდეგ კი ჯგუფები გადაჯგუფდებიან და მოძრაობას განაგრძობენ შარით ან კუთხედით.

მეორე შემთხვევაში, ე. ი. როდესაც მოწინააღმდეგე არტილერიასაც ამოქმედებს, კლაკნილის გამოყენება გაშლილ ადგილზედ შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე არტილერიის ნამდვილ ცეცხლის სფეროში შევიდოდეთ, ე. ი. დაახლოვებით 3—4 კილ. მოწინააღმდეგისაგან; შემდეგ კი ჯგუფები გადაჯგუფდებიან და მოძრაობას განაგრძობენ შარით ან კუთხედით.

ფრთების დაცვა.

ფრთების დასაცავად, ცალკე მომქმედი ოცეული გვერდებზედ და ცოტა წინ ჰგზავინს მზვერავებს (3 კაცამდე), რომლებიც იმდენად დაშორდებიან ოცეულს, რომ თვალით მუდამ მოსჩანდნენ—200 მეტრამდე (300 ნაბიჯი). ეს ხდება ოცეულის მეთაურის განკარგულებით. მზვერავების საბრძოლო ნაწილთან დასაკავშირებლად იხმარება შიანგობა და პირობითი ნიშნები.

ოცეულის საბრძოლო წესის მოძრაობა.

ოცეულის საბრძოლო წესის მოძრაობის დროს უნდა დაცულ იქნეს სამი უმთავრესი პირობა: 1) სწორი მიმართულების შენარჩუნება, 2) საბრძოლო წესის ნაწილთა შორის კავშირის დაჭერა და 3) რაც შეიძლება მეტად შემცირება ზარალისა მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან.

I. მხოლოდ სწორი მიმართულების შენარჩუნებით შეუძლიან საბრძოლო წესს მივიდეს იმ ადგილას, სადაც მას უნდოდა. ამისათვის მიმართლების შენარჩუნებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ოცეულის მთელმა შემადგენლობამ, უბრალო მებრძოლიდან მოყოლებული.

ათეულთა წყობილებაში გადასვლისათანავე ოცეულის მეთაური ყოველ ათეულს უჩვენებს მიმართულებას და ერთ-ერთ მათგანს ჰნიშნავს მიმმართველად; ათეულის მეთაური

უჩვენებს თავის ხალხს იმ მიმართულებას, რომლითაც მოუხ-
ლებათ მოძრაობა და ჰნიშნავს მიმართვის ჯგუფს.

დაფარულ ადგილზედ (ხშირი ტყე, ჯაგნარი, ყანეულო-
ბა და სხვა) მოძრაობის დროს, როდესაც მიმოხედვა შეზღუ-
დულია და, მაშასადამე, მიმართვის საგნის დანიშვნა შეუძლე-
ბელია, მიმართულებას იღებენ ყიბლანით; ამ შემთხვევაში
ოცეულის მეთაურმა ათეულების მეთაურთ უნდა დაუნიშნოს
მოძრაობის აზიმუტი.

მხარდამჭირი თავისი წინსვლის მიმართულებას უფარდებს
საბრძოლო ხაზის ათეულებს. ფრთების დამცველი ნაწილები მი-
მართულებას იღებენ იმ ნაწილების მიხედვით, რომლიდანაც
გაგზავნილნი არიან.

II. საბრძოლო წესის გაშლილ ადგილზედ მოძრაობის
დროს, მის ნაწილთა შორის კავშირის დაჭერა განსაკუთრებულ
ზომებს არ მოითხოვს, რადგანაც ყველა ნაწილები ერთმანეთს
ჰხედავენ და შედარებით მცირე მანძილით არიან ერთმანეთს
დაშორებულნი.

სულ სხვა გვარად სდგას ეს საკითხი, როდესაც დაფარუ-
ლი ადგილით გვიხდება მოძრაობა, როდესაც ოცეულის ნაწი-
ლებს ადვილად შეუძლიანთ მოსწყდნენ მოძრაობის დროს
ერთმანეთს (განსაკუთრებით ფრთებზე გაგზავნილი მზვერავე-
ბი); ამისათვის საჭიროა შესაფერი ზომების მიღება: 1) ოცე-
ულის საბრძოლო წესი უნდა დალაგდეს, რამდენადაც შესაძ-
ლებელია, შეჯგუფებულად, ე. ი. საბრძოლო ნაწილის ათე-
ულები და ოცეულის მხარდამჭერი ნაკლები ხანითა და მანძი-
ლით იქნებიან ერთმანეთისაგან; 2) ათეულებსა და აგრედვე
ფრთების დამცველ მზვერავებსა და ფრთებს შორის კავშირის
დასაჭერად უნდა გაიგზავნენ საშორისო მზვერავები, ხედვითი
კავშირის დასამყარებლად; 3) მოძრაობა უნდა სწარმოებდეს
ნელა, ხშირი სვენებით, რომლის დროსაც მეთაურნი ღაითვ-
ლიან ხალხს.

III. საბრძოლო წესის მოძრაობის დროს ზარალის შესამ-
ცირებლად, საჭიროა ისე მიდიოდეს იგი, რომ, რაც შეიძლე-
ბა, ნაკლებ მიზანს წარმოადგენდეს მოწინააღმდეგის ცეცხლი-
სათვის.

მოწინააღმდეგის ცეცხლის მიხედვით, ოცეულის საბრ-
ძოლო წესი შეიძლება მოძრაობდეს: 1) საბრძოლო ნაწილთა
და ოცეულის მხარდამჭერით ერთ და იმავე დროს და 2) სა-
ბრძოლო ნაწილითა და ოცეულის მხარდამჭერით ცალ-ცალკე.

ოცეულის საბრძოლო წესის ერთად მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ მოწინააღმდეგის ცეცხლის სფეროს გარეშე, ან როდესაც ეს ცეცხლი ნაკლებ მახარალებელია. დანარჩენ შემთხვევებში საბრძოლო ნაწილისა და მხარდამჭერის მოძრაობა სწარმოებს ერთი-მეორისაგან ცალკე და დამოუკიდებლად.

საბრძოლო ნაწილი შეიძლება მოძრაობდეს ნაბიჯით და რბენით. საბრძოლო ნაწილის ნაბიჯით მოძრაობა იხმარება მოწინააღმდეგის სუსტ და შორი მანძილით სროლის ცეცხლის ქვეშ; რაკი მოწინააღმდეგის ცეცხლი მაზარალებელი შეიქმნება, საჭიროა შეტევა სწარმოებდეს რბენით.

რბენა სწარმოებს ათეულებით, ჯგუფებით, ხოლო იმ ადგილებში სადაც მტრის ცეცხლი ძლიერია—ჯგუფების მცირე ნაწილებით და თვითეულ მებრძოლებით. თუ რბენის რომელი სახეობა გამოვიყენოთ ამა თუ იმ შემთხვევაში, ეს დამოკიდებულია ცეცხლის სიძლიერესა და მოწინააღმდეგის დაშორებაზე. საერთოდ, რაც უფრო ახლოა მოწინააღმდეგე და რაც უფრო ძლიერია მისი ცეცხლი, მით უფრო მცირე მანძილზედ უნდა ხდებოდეს გადარბენა და მით უფრო ნაკლები ხალხი უნდა მირბოდეს ერთ და იმავე დროს. გაშლილ ადგილზედ თითო გადარბენის საშუალო მანძილად შეიძლება მივიღოთ 100 ნაბიჯი.

გადარბენის წინ ოცეულის მეთაური ათეულებს უნიშნავს მიმართულებას იმ ადგილობრივ საგნებით ან ზღუდეებით, რომლებიც უნდა იქნეს დაკავებული და საიდანაც სროლა უნდა ასტყდეს; ამასთანავე, თუ გადარბენა უნდა მოხდეს მცირე ჯგუფებით ან სათითოოდ, მაშინ პირველნი გადარბიან ჯგუფთა მეთაურნი და ტყვიამფრქვეველები ან ავტომატების მსროლელნი, ხოლო დანარჩენი კაცები აწარმოებენ გაძლიერებულ ცეცხლს და შემდეგ უკან მიჰყვება მათ; ახლო მანძილებზედ კი, ე. ი. 400 მეტრიდან (600 ნაბიჯი), ჯგუფების მეთაურებს პირველ რიგში მიჰყვებიან მსროლელნი. საბრძოლო წესის წინ წასაწევად საჭიროა ვისარგებლოდ ყოველი ცეცხლის ატეხით. სროლის ატეხის ყოველ ჯერის შემდეგ, საბრძოლო წესის ნაწილები, აუცილებლად და რადაც არ უნდა დაჯდეს, უნდა მიიწევდნენ წინ, თუნდაც რომ მათ წინააღმდეგ მიმართული მოწინააღმდეგეს ცეცხლი ჯერ კიდევ არ იყოს სავსებით დაძლეული.

აი, ეს ცეცხლისა და წინსვლის შეთანხმება-შეფარდება შეადგენს შეტევის არსებით საფუძველს. სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ყველა მეთაურების ძალა და ზრუნვა.

თუ ის ადგილობრივი საგანი ა ნზღუდე, საიდანაც უნდა ასტყდეს სროლა, იმდენად დაშორებულია, რომ მისი მიღწევა არ შეიძლება ერთი გადარბენით, ამ შემთხვევაში გადარბენის დროს კაცებს შეუძლიანთ დაწვნენ მიწაზე, მცირე ხნით შესასვენებლად, საამისოდ მოხერხებულ ადგილებში იმდენჯერ, რამდენერჯერაც ეს აუცილებელი იქნება.

მხარდამჭერი მიდის წინ ისევე, როგორც საბრძოლო ნაწილი, მხოლოდ ამ უკანასკნელის ყოველი მოძრაობისთვის წაბაძვა სავალდებულო არ არის მისთვის, არამედ შეუძლიან შეიცადოს, ვიდრე საბრძოლო ნაწილი წაიწევდეს კარგა წინ, და შემდეგ ერთი გადასვლით შეამციროს მათ შორის გაჩენილი მანძილი.

საერთოდ, შესაძლებელია კაცმა შემდეგი სქემა მისცეს ოცეულის საბრძოლო წესის მოძრაობას საკმაოდ გაშლილ ადგილზედ:

1) 8—2,5 კილომეტრამდე მოწინააღმდეგისაგან—არტილერიის შორი და ნამდვილი ცეცხლის სფერო—ოცეულის საბრძოლო წესი მიდის წინ ნაბიჯით, ერთად და შეუჩერებლივ ერთი საფარიდან მეორემდე და სცდილობს რაც შეიძლება ნაკლების ზარალით და ძალ-ღონის მეტი შენარჩუნებით მიაღწიოს მომავალ ბრძოლის ხაზს; მტერთან თანდათანობითი დაახლოვებისას ოცეული ღებულობს ათეულთა და ჯგუფთა წყობილებას. იმ ადგილებში, სადაც მტრის ცეცხლი მეტად ძლიერია, ოცეული მიმართავს გადარბენას ათეულებითა და ჯგუფებით.

2) მოწინააღმდეგისაგან 2,5 კილ.—800 მეტრამდე (1200 ნაბიჯი) - ტყვიამფრქვევის შორი ცეცხლის სფერო—ადგილ-მდებარეობისა და მტრის ცეცხლის სიძლიერის მიხედვით, ოცეულის საბრძოლო წესის წინსვლა სწარმოებს ნაბიჯით ან რბენით ათეულებით ან ჯგუფებით; იქ კი, სადაც მტრის ცეცხლი მეტად ძლიერია—მებრძოლთა სათითოოდ წინ გადასვლით ან გადარბენით.

3) 800—400 მეტრამდე (1200—600 ნაბ.)—თოფის ნამდვილი ცეცხლის სფერო—ოცეულის საბრძოლო წესის წინსვლა სწარმოებს ჯგუფთა გადარბენით, ხოლო სადაც მტრის ცეცხლი ძლიერია—სათითოოდაც.

4) 400 მეტრზე (600 ნაბ.) და უფრო ახლო—თოფის ახლო ცეცხლის სფერო—გადარბენა ხდება სათითოოდ ან ჯგუფების მცირე ნაწილით.

ამრიგად, დაახლოვებით 1400 მეტრამდე (2000 ნაბ.) წინსვლა შესაძლებელია სწარმოებდეს ნაბიჯით, ხოლო ამ მანძილის შემდეგ იწყება გადარბენა; ამასთანავე 400 მეტრიდან (600 ნაბიჯი) გადარბენა ხდება მხოლოდ ჯგუფების მცირე ნაწილებით და სათითოოდ. (ნახ. №19)

ოცეულის საბრძოლო წესის მიმართულების შეცვლა.

ოცეულის საბრძოლო წესის მიმართულების მცირე კუთხით შესაცვლელად, საჭიროა მიმართულება შეეცვალოს საბრძოლო ნაწილის მიმართვის ათეულს ან ჯგუფს. ჯგუფებში კი მარჯვენა ან მარცხენა ფრთაზე მდგომ მებრძოლთ და ამის და მიხედვით მთელი საბრძოლო წესიც შეიცვლის თავის მიმართულებას; ოცეულის მხარდამჭერი მოკლე გზით გადადის ახალ ადგილას. (ნახ. №20)

როდესაც დიდი კუთხით გვიხდება მიმართულების შეცვლა, მაშინ ოცეულის მხარდამჭერიდან საბრძოლო ნაწილში იგზავნება ახალი ნაწილები, საბრძოლო ნაწილში უმოქმედოდ დარჩენილი ათეულები კი გადავლენ მხარდამჭერად. (ნახ. №21).

ოცეულის საბრძოლო წესის ადგილ-მდებარეობასთან შეფარდება.

ოცეულის საბრძოლო წესის ადგილ-მდებარეობასთან შეფარდება (შეხამება) გამოიხატება მისი შემადგენელი ნაწილების, ე. ი. საბრძოლო ნაწილის, ოცეულის მხარდამჭერის და ფრთების დამცველი ნაწილების შეფარდებაში ადგილ-მდებარეობასთან.

I. საბრძოლო ნაწილის მთავარი დანიშნულება არის ცეცხლის წარმოება და, მაშასადამე, ყოველი საბრძოლო მცირე ჯგუფი თავისთვის ადგილის ამორჩევის დროს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას უნდა აქცევდეს, რომ ამორჩეული ადგილიდან მას შეეძლოს სავსებით გამოიყენოს თავისი იარაღის ძალა, მეორისაგან დაშორების მიხედვით. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ სავალდებულო არ არის ყველა საბრძოლო ჯგუფების ერთი ხაზით მოთავსება; საჭიროა მხოლოდ, რომ ყველა ეს საბრძოლო ჯგუფები ცეცხლითი კავშირში იმყოფებოდნენ ერთი-მეორესთან.

ამრიგად საბრძოლო ჯგუფების მოსათავსებელი ადგილ-მდებარეობა სხვათა შორის შემდეგ მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1) მოხერხებული იყოს სროლის საწარმოებლად და 2) მოხერხებული იყოს მებრძოლთა დასაფარავად მტრის ცეცხლისაგან.

სროლის წარმოება რომ მოხერხებული იყოს, საჭიროა სადგნობი თოფისათვის და საკმარისი მიმოსახედი. კარგია აგრეთვე, თუ ადგილ-მდებარეობა სწორე და დამრეცი ფერდობით

ეშვება მოწინააღმდეგისაკენ. სასურველია აგრედვე, რომ ბრძოლის ხაზზედ არ იყოს ისეთი ადგილობრივი საგნები, რომლებიც ადვილად მოსჩანს შორიდან და თვალში ეცემა ადამიანს და მით მოწინააღმდეგეს გაუადვილებენ გამოთოფვას.

II. ოცეულის მხარდამჭერი ადგილ-მდებარეობასთან შეფარდების დროს უნდა სცდილობდეს: 1) რაც შეიძლება უკეთესად დაიფაროს თავი მოწინააღმდეგის თვალთვალისა და ცეცხლისაგან და 2) საშუალება ჰქონდეს ყოველ წამს აღმოუჩინოს დახმარება თავის საბრძოლო ნაწილს როგორც წინსვლით, ისე ცეცხლით.

ამისათვის ოცეულის მხარდამჭერისთვის საუკეთესო ადგილი იქნება ისეთი, რომელიც, წარმოადგენს რა მისთვის საიმედო საფარს, ამავე დროს რაიმე ზღუდით არ იქნება საბრძოლო ნაწილისაგან ჩამოშორებული და შესაძლებლობას მისცემს მას აწარმოოს სროლა საბრძოლო ნაწილის ხანებით; ოცეულის მხარდამჭერის მეთაურს კი ადგილი საშუალებას უნდა აძლევდეს ათვალყუროს ყოველივე, რაც ხდება მის წინ.

III. ფრთების დამცველი ნაწილები ისეთ ადგილს ირჩევენ, საიდანაც შეეძლებათ არც მოწინააღმდეგეს შეეჭნევინონ თავი და რაც შეიძლება შორსაც დაინახონ როგორც წინ, ისე ფრთების გვერდებისკენ.

თუ უკეთესი თვალთვალისათვის საჭირო იქნება აღნიშნულ ნორმაზედ უფრო შორს წასვლა, ფრთების დამცველი ნაწილები უნდა წავიდნენ იქ, მხოლოდ უნდა იზრუნონ, რომ კავშირი არ შესწყდეს საბრძოლო ნაწილთან.

საფარის არჩევის დროს საჭიროა გვახსოვდეს, რომ ყველაზედ უკეთესი საფარი ადგილ-მდებარეობის ნაკეცებია, (ღელეები, უნაგირაები, პირიქითები და სხვ.) ღობეები, წნულები, რგული ღობეები, ფარდულები და სხვა აძისთანეები მხოლოდ შეხამებისათვის არის გამოსადეგი, რადგანაც მოწინააღმდეგის მხოლოდ თვალთვალისაგან ჰფარავენ ისინი, ცეცხლისაგან კი ვერა; თოფის ტყვიაც კი ადვილად გაუვლის მათ.

შეხამება (ნიღაბობა).

თანამედროვე ბრძოლის პირობები განსაკუთრებით მუდმივი მუქარის გამო ზევიდან, ადგილ-მდებარეობასთან შეფარდების გარდა, მოითხოვს აგრედვე შეხამებას, ე. ი. მოწინააღმდეგის თვალთვალისაგან დაფარვის მეთოდიურ წარმოებას.

შეხამების ფართედ გამოყენება მარტო იმისთვისაც კი არის საჭირო, რომ, თუ მოფარებული ვიქნებით მოწინააღმდეგისაგან, მაშინ მისი ცეცხლი აუცილებლად დაჰკარგავს რამდენადმე თავის სინამდვილეს.

ბრძოლის ველზედ იხმარება უმთავრესად ბუნ^ბრივი შეხამება, რომელიც განხორციელდება:

1) შეხამების დისციპლინის სისწორით შესრულებით, ე. ი. რომ ჯარის მოძრაობისა და დაბანაკების დასაფარავად მიღებული ყოველივე საშუალება მთელის თავისი სისწორითა და რისამე შეუცვლელად სრულდებოდეს ყოველი მებრძოლის მიერ;

2) მოხერხებული მანევრებით;

3) ადგილ-მდებარეობის დამფარავ თვისებათა (რელიეფი, სახეობა, ჩრდილი და ფერი) ფართედ გამოყენებით;

4) ეგრედ წოდებულ მიმიკრიის (პოზა) გამოყენებით.

ამასთანავე ერთად, თუ დრო და საჭირო მასალა ნებას გვაძლევს, ოცეულმა უნდა გამოიყენოს ტეხნიური შეხამებაც, რომლის განხორციელება შეიძლება სრულიად უბრალო საშუალებით; ეს საშუალებანი საფუძვლიანად უნდა ჰქონდეთ მებრძოლთ შესწავლილი.

ტეხნიური შეხამება წარმოადგენს:

1) კვამლ-პიროტეხნიულ შეხამება (კვამლის ფარდა);

2) სპეციალ შესახამებელ ტანთსაცმელის მოხმარება (ნიღაბ-ხალათი, ნიღაბ-ჩაჩქანი და სხვა);

3) დეკორატიული შეხამება და

4) შეხამება მცენარეთა საშუალებით.

შეტევით ბრძოლაში ადგილი ექნება უმთავრესად ბუნებრივ შეხამებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში შესაძლებელია გამოყენებულ იქმნეს დეკორატიული შეხამების (მაგალითად, ინდივიდუალი ნიღაბი) საადვილო საშუალებანი და დამფარავი შეღებვაც.

მოგერიებით ბრძოლაში კი, ბუნებრივ შეხამების ყველა საშუალებათა სრულად გამოყენების გარდა, მებრძოლთა და ტეხნიურ ნაშენთა შესახამებლად, ყოველ მხრივად გამოყენებული უნდა იქნეს აგრედვე ტეხნიური შეხამებაც; ამ უკანასკნელის სავსებით განხორციელება დამოკიდებული იქნება დროსა და მასალაზედ.

(დაწერილებით ამის შესახებ იქნება ქვევით—ასეულის შეტევისა და მოგერიებითი ბრძოლის დროს).

ოცეულის საბრძოლო წესის მართვა და კაგშირის დაჭერა.

ოცეულის საბრძოლო წესს ჰმართავს ოცეულის მეთაური.

საერთო მოვალეობანი.

1) ნათლად ჰქონდეს შეგნებული მთელი თავისი ოცეულის მოქმედების მიზანი, ხოლო უმცროს მეთაურთ, გარდა ამისა, კიდევ—საკუთარ მოქმედების მიზანიც; განუმარტოს ეს მიზანი თავის ხელქვეითებს იმდენად, რომ „ყოველ მებრძოლს ესმოდეს თავისი მანევრი“;

2) მდგომარეობის შესწავლა განუწყვეტელ და შესაძლო ძიების წარმოებით და თვალთვალით მოწინააღმდეგისა, თავისი ჯარებისა და ადგილ-მდებარეობისა;

3) კავშირის დაჭერა თავის ხელქვეით და უფროს მეთაურებთან და აგრეთვე მეზობლებთან—მარჯვნით და მარცხნით;

4) იცოდეს რამდენი ვაზნა აქვთ მსროლელთ, ტყვიაფრქვევებს და ავტომატებს და ზრუნვა მათ შესავსებად;

5) დანიშვნა თვის მოადგილეებისა, არა ნაკლებ ორისა, და თვალყურის დევნება, რომ ყოველი მეთაური, რომელიც გამოაკლდება საბრძოლო წყობილებას, მაშინვე იქნეს შეცვლილი მოადგილის მიერ;

6) თუ უფროს მეთაურისაგან განკარგულების მისაღებად არ არის დრო და შესაძლებლობა, მოქმედება დამოუკიდებლად და თავისი თაოსნობით; ასეთი მოქმედების დროს ზრუნავდეს, უპირველეს ყოვლისა, საერთო მიზნის მიღწევასა და მოწინააღმდეგისათვის რაც შეიძლება მეტი ზარალის მიყენებას;

7) თვალყურის დევნება, რომ არც ერთმა მისმა ხელქვეითმა არ დასტოვოს წყობილება, განკარგულების ან ნებართვის მიუღებლად;

8) ყოველი მეთაური ვალდებულია თითონ წაიყვანოს თავისი ნაწილი გადამწყვეტ იერიშზედ და თავისი პირადი მაგალითით გავლენას ახდენდეს თავის ხელქვეითებზედ, განსაკუთრებით გაჭირების ჟამს.

ოცეულის მეთაურის მოვალეობანი.

ოცეულის მეთაური იმყოფება იქ, საიდანაც უფრო მოსახერხებელია მისთვის მართოს თავისი ოცეული და უთვალთვალოს როგორც მის მოქმედებას, ისე მოწინააღმდეგეს, ხოლო, თუ შესაძლებელი იქნება,—მეზობელთა მოქმედებასაც.

ოცეულის მეთაურის უმთავრესი მოვალეობანი:

1) უხსნის თავის ოცეულს გარემოებასა და ამოცანას; ანაწილებს ათეულებს საბრძოლო ნაწილსა და მხარდამჭერად; საბრძოლო ნაწილის ყოველ ათეულს უნიშნავს შეტევის ზოლს, აძლევს მათ ამოცანას და ჰნიშნავს მიმართვის ათეულს;

ოცეულის მხარდამჭერს აძლევს ამოცანას და უხსნის მას მოძრაობის ხასიათს; აწყობს ფრთების დაცვას;

2) თვალყურს ადევნებს, რომ სწორედ იყოს გამოყენებული ოცეულის მოძრაობის ზოლში მყოფი ადგილ-მდებარეობის ნაკეცები (კლარჯულებში) და სწორედ იყოს ხმარებული სხვა და სხვა წყობილებანი;

3) თვალყურს ადევნებს, რომ ათეულთა მოძრაობა იყოს სწორი, შეუწყვეტელი და შეთანხმებული;

4) პირადი ძიების შედეგების მიხედვით, ირჩევს ოცეულისათვის მთავარი დარტყმის პუნქტს; შეაქვს დამატება ათეულებისათვის წინად მიცემულ ამოცანაში; ტყვიამფრქვევის ათეულს აძლევს სასროლ ამოცანას და აღნიშნავს გამოსავალ ზღუდის ათეულთა შესაჯგუფებლად იერიშის წინ;

5) თვალყურს ადევნებს, რომ სწორედ იყოს მოწყობილი ვაზნების მიწოდება და დაჭრილთა გაყვანა;

6) თვალყურს ადევნებს საბრძოლო ნაწილის ათეულების დაგროვებას იერიშის დასაწყის ხაზთან და, მიიახლოვებს რა ოცეულის მხარდამჭერს, მიაქვს სწრაფი იერიში მოწინააღმდეგეზე და სცდილობს რაც შეიძლება ღრმად შეიჭრას მის პოზიციებში. ოცეულის მეთაური თავის ოცეულს ჰმართავს ათეულთა მეთაურებისათვის ბრძანებების გადაცემით: ხმით, სასტვენით ან ნიშნებით. უკანასკნელ წამს კი აგრეთვე პირადი მაგალითითაც. კავშირის დასაჭერად ოცეულის მეთაურს შეუძლიან გამოიყენოს მარბიელნი და ნიშანიანობა (კავშირის საშუალებათა შესახებ—ქვევით).

ათეულის მეთაურის მოვალეობანი.

ათეულის მეთაური მოვალეა:

1) დარწმუნდეს, სწორედ გაიგეს თუ არა მისმა ხელქვეითებმა ამოცანა და იცის თუ არა ყველამ წინსვლის მიმართულება;

2) თვალყური ადევნოს, რომ სწორედ იხმარებოდეს სხვა და სხვა წყობილება და სწორედ იქნეს გამოყენებული ადგილ-მდებარეობის ფენომენები;

3) თვალყური ადევნოს ჯგუფების მოძრაობის სისწორეს, რათა არ ჩამოჰრჩნენ ისინი მეზობელ ათეულის ჯგუფებს და წინსვლას აწარმოებდნენ მეზობელ ჯგუფების ცეცხლის დახმარებით;

4) უხელმძღვანელოს ჯგუფების მიერ ცეცხლის წარმოებას და მუდამ მზად იყოს დაეხმაროს მეზობელ ათეულებს თავისი ცეცხლითა და წინსვლით;

5) იერიშის დასაწყის ხაზთან თავისი ჯგუფები მიიყვანოს ერთი მეორეს დაშორებული (დაახლოვებით 20—30 მეტრის 30—40 ნაბიჯის—ხანებით კედლიროზე) ისე, რომ შეეძლოს

ამ ადგილიდან უკვე მთელი ათეულით მიიტანოს იერიში მართვის შენარჩუნებით;

6) თვალყურს ადევნებს ვაზნების სწორე მიწოდებას ჯგუფებში;

7)იერიშის წინ ვალდებულია მისცეს ამოცანა და მიზანი ავტომატებსა, დანარჩენი კაცებით კი აღარ უცდის ოცეულის მეთაურის ბრძანებას და სწრაფი იერიში მიაქვს მოწინააღმდეგის პოზიციის უახლოეს პუნქტებზედ.

ჰმართავს: ხმით, ნიშნებით, ხოლო ბრძოლის უკანასკნელ წამს პირადი მაგალითითაც.

ჯგუფის მეთაურის მოვალეობანი.

1) თვალყურს ადევნებს ადგილობრივ საფარებისა და წყობილებათა სწორ გამოყენებას, რათა ნაკლებად დაზარალდეს მტრის ცეცხლისაგან;

2) თავისი ჯგუფის მოძრაობას უთანახმებს მეზობელ ჯგუფების მოძრაობას და სცდილობს არამც თუ ჩამორჩეს მას, არამედ ზოგჯერ გაუსწროს კიდეც;

3) სასტიკად იცავს ათეულის მეთაურის მიერ ნაჩვენებ მიმართულებასა და ხანს;

4) დამოუკიდებლად აწარმოებს ცეცხლს, მასში უპირატესობის მოპოვების მიზნით; ჰხელმძღვანელობს თავის ავტომატის სროლას; უნიშნავს მას კორას; თავისი ცეცხლით ეხმარება მეზობელი ჯგუფის წინსვლას;

5) სარგებლობს რა ადგილ-მდებარეობის სულ უმნიშვნელო ნაკეცებითაც კი და ადგილობრივ საგნებით, ესწრაფის მალე მიაღწიოს ათეულის მეთაურის მიერ ნაჩვენებ იერიშის დასაწყის ხაზს;

6) თვალყურს ადევნებს ვაზნების სწრაფ და სწორ მიწოდებას და მათს მიზანშეწონილად ხარჯვას;

7) იერიშის წინ მისცემს მეავტომატეს ამოცანას და, შემოიკრებს რა თავის გარშემო თავისი ჯგუფის კაცებს, სწრაფად მიდის იერიშით მოწინააღმდეგის უახლოეს პუნქტზედ, სცდილობს რაც შეიძლება ღრმად შეიჭრას მის პოზიციაში და გრანატით და ხიშტით ჰსპობს მტრის ყოველგვარ წინააღმდეგობას.

ჰმართავს: ხმით და ნიშნებით, ხოლო უკანასკნელ წამს პირადი მაგალითით.

მებრძოლის მოვალეობანი.

უმთავრესი მოვალეობანი:

1) თავგანწირული წინსვლა,

2) წინსვლის მიმართულებისა და ამოცანის ცოდნა,

3) მოხერხებული შეფარდება ადგილ-მდებარეობასთან და შეხამება,

4) სწორი დამიზნება,

5) კავშირის დაჭერა ამხანაგებთან და დახმარების აღმოჩენა მათთვის ცეცხლით, ხიშტით, ხელის გრანატით, ნიჩბით ან უშუალო მიშველებით,

6) არავითარი საბაბით არ დასტოვოს წყობილება უფროსის ნებადაურთველად.

ოცეულის მხარდამჭერის მეთაურის მოვალეობანი.

1) აუხსნას თავის კაცებს ამოცანა და უჩვენოს წინსვლის გეზი;

2) უხელმძღვანელოს მხარდამჭერის წინსვლას, სწორედ გამოიყენოს ადგილობრივი საფარები და იხმაროს შესაფერი წყობილებანი;

3) მუდამ მზად იყოს წაეხმაროს საბრძოლო ნაწილს ცეცხლით თუ წინსვლით;

4) საბრძოლო ნაწილთან ერთად სწრაფად მიიტანოს მოწინააღმდეგეზე იერიში.

ოცეულის მხარდამჭერის მეთაურს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ იგი ოცეულის მეთაურის უშუალო განკარგულებაში იმყოფება და, მაშასადმე, მხარდამჭერის დახარჯვა შეიძლება მხოლოდ მისი ნებართვით; მაგრამ თუ დადგა მეტის მეტი გასაჭირი, როდესაც ოცეულის მეთაურის განკარგულების მოცდისთვის დრო აღარ არის, იგი ვალდებულია დამოუკიდებლად მიიღოს ზომები, ხოლო მაშინვე მოახსენოს ამის შესახებ ოცეულის მეთაურს.

ასეულის საბრძოლო წესი. (ნახ. № 22).

მისი შემადგენელი ნაწილები, მათი დანიშნულება და ძალა.

ასეულის საბრძოლო წესი შესდგება: 1) საბრძოლო ნაწილისაგან, 2) ასეულის რეზერვისაგან და 3) ფრთების დამცველ ნაწილებისაგან.

ასეულის საბრძოლო წესის მიერ დაკავებულ სივრცეს ეწოდება ასეულის უბანი.

ასეულის საბრძოლო ნაწილი ინიშნება ბრძოლის ასატეხად, ცეცხლით იერიშის მოსამზადებლად და მტერზე იერიშის მისატანად ან ასეულის რეზერვთან ერთად, ან უიმისოდ.

ასეულის რეზერვი ინიშნება, რათა დაჭრას მტერს ასეულის უბნის უმნიშვნელოვანეს მიმართულებით. საზოგადოთ რეზერვი-ასეულისათვის მართვის საშუალებაა.

ასეულის რეზერვი შეიძლება იყოს საერთო ან კერძო, იმის და მიხედვით, თუ ცალკე მოქმედებს ასეული, თუ სხვა ასეულებთან ერთად.

პირველ შემთხვევაში ასეულის რეზერვი უნდა იყოს უფრო ძლიერი, მეორე შემთხვევაში კი, როდესაც შესაძლებელია სხვა ასეულების დახმარების იმედი გვქონდეს,—ასეულის რეზერვი უფრო სუსტია.

საბრძოლო ნაწილი.

საბრძოლო ნაწილში შეიძლება დაინიშნოს ერთიდან სამ ოცეულამდე, იმის და მიხედვით, თუ როგორია გარემოება და ასეულისათვის მიცემული უბნის სიგანე, რომელიც შეიძლება იყოს 140—450 მეტრი (200—700 ნაბიჯი). ოცეულთა რიცხვის მიხედვით, საბრძოლო ნაწილი ასეულის მეთაურის მიერ დაიყოფება ოცეულთა უბნებად. ამასთანავე დაცული უნდა იყოს შემდეგი:

1) ოცეულთა უბნების საზღვრები აღინიშნება: ადგილას ყოფნის დროს—ადგილობრივი ზღუდეებით, ხოლო მოძრაობის დროს—მოწინააღმდეგის პოზიციის რომელიმე პუნქტის მიმართულებით ან და ყოველი ოცეულისათვის დანიშნულ, განსაზღვრული ზოლით.

2) ოცეულთა უბნებს შუა შესაძლებელია იყოს თავისუფალი შორისები, მხოლოდ იმ აუცილებელ პირობით, რომ მეზობელ უბნებიდან შესაძლებელი იყოს ამ შორისების მისადგომების გამოთოფვა ჯვარედინი ცეცხლით.

3) დაბოლოს, ოცეულთა უბნები შესაძლებელია არ იყოს მოთავსებული ერთი ხაზით, არამედ გადგომით, მხოლოდ ისე კი, რომ ერთი გადგომა ხელს არ უშლიდეს მეორის ცეცხლს. ასეთი გადგომით მოთავსება ასეულის საბრძოლო წყობილებას ჰხდის უფრო მოქნილს და უადვილებს ადგილ—მდებარეობასთან შეფარდებას. ფრთებზედ მოთავსებული გადგომა მშვენივრად უზრუნველჰყოფს საბრძოლო წყობილებას ახლო მოვლისაგან.

ყოველ ოცეულის უბანს იკავებს შესაფერი ოცეული, რომელიც ამ უბანზედ მოთავსდება საბრძოლო წესით; ამასთანავე ოცეულს შეუძლიან გამოჰყოს საბრძოლო ნაწილი და ოცეულის მხარდამჭერი, ან არა და მთლიანად საბრძოლო ნაწილში მოთავსდეს (ოცეულის მხარდამჭერი არა ჰყავდეს).

შეტევით ბრძოლაში, დასაწყისში ოცეულის მხარდამჭერი აუცილებლად უნდა იყოს. მოწინააღმდეგის დალაგება ჩვენ ჯერ თითქმის არ ვიცით და ამისათვის ძლიერი ცეცხლის წარმოება არა ღირს. ოცეულის მეთაური, რო-

მელიც სამივე ათეულს საბრძოლო ნაწილში გაჰგზავნის და რომელსაც მხარდამჭერი არ ეყოლება, ვეღარ შესძლებს თავისი ოცეულის საბრძოლო წესის მართვას. რომ მას მართვის საშუალება მივცეთ, მოგვიხდება თავიდანვე დავიწყოთ ასეულის რეზერვის ხარჯვა. აბრიგად, რომ ასეულის საბრძოლო წესი შეტევით ბრძოლაში იყოს მოქნილი და ადვილი სამართავი, საჭიროა ბრძოლის დასაწყისში ოცეულის მხარდამჭერიც იყოლიოს.

იგივე უნდა ითქვას ასეულის საბრძოლო წესზედ მოგვერიებითი ბრძოლის დროსაც, რადგანაც ამას მოითხოვს პოზიციის სიღრმე.

ასეულის რეზერვი.

ასეულ ს რეზერვი იმყოფება ასეულის მეთაურის უშუალო განკარგულებაში და მოქმედებს მხოლოდ მისი განკარგულებით. პირველში მისი დაშორება საბრძოლო ნაწილისაგან უდრის 200 მეტრს (300 ნაბიჯი), მაგრამ საერთოდ კი ეს დაშორება არ შეიძლება იყოს განსაზღვრული ერთხელ და საბოლოდ; ასეულის რეზერვი იმდენად უნდა იყოს დაშორებული საბრძოლო უბნებისაგან, რომ მუდამ წამს შეეძლოს ყოველი მათგანისათვის დახმარების აღმოჩენა. ასეულის რეზერვისათვის წყობილებისა და ადგილის ამორჩევის დროს უნდა დაცული იყოს იგივე, რაც ითქვა ოცეულის მხარდამჭერის შესახებ.

ფრთების დაცვა.

ცალკე მომქმედი ასეულის ფრთების დასაცავად გვერდებზედ და რამოდენადმე წინ ისეთი მანძილით, რომ დანახვა შეიძლებოდეს და ასეული დაცულ იქმნას უახლოეს მანძილის თოფის ცეცხლისაგან 300 მეტრამდე (500 ნაბიჯი), იგზავნება ფრთების დამცველი ნაწილი (ერთი ჯგუფი); როდესაც ასეული სხვა ნაწილთა შორის მოქმედებს, მაშინ ფრთების დაცვა გამოიხატება მეზობლებთან კავშირის საგუშაგოს დაყენებაში. გარდა ამისა ასეულის ფრთებზედ ასეულის რეზერვიდანაც გაიგზავნებიან მზვერავები.

ასეულის საბრძოლო წესის სხვა და სხვა სახეობა და მათი თვისებანი.

იმის და მიხედვით, თუ რამდენი ოცეული არის დანიშნული საბრძოლო ნაწილში, ასეულის წესს სხვა და სხვა სახეობა შეუძლიან მიიღოს:

I. ერთი ოცეული საბრძოლო ნაწილში და ორი რეზერვში—კედაროთი 140 მეტრი (200 ნაბიჯი) და სიღრმით 400 მეტრი (600 ნაბიჯი). ამ სახეობას სუსტი ცეცხლის ხაზი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ სრულ საშუალებას გვაძლევს, იქით გავაგრძელოთ ასეულის საბრძოლო წესი, საითაც გარემოება მოითხოვს; მცირე კედაროს გამო ადვილია მისი მოვლა, მაგრამ

ძლიერი რეზერვის სახით, ამავე დროს, საუკეთესო საშუალებაც აქვს ასეულს ამის საწინააღმდეგოდ. ეს სახეობა იხმარება ბრძოლის დასაწყისში იმ შემთხვევებში, როდესაც მოწინააღმდეგის დალაგება ჯერ გამორკვეული არ არის. (ნახ. № 23).

II. ორი ოცეული საბრძოლო ნაწილში და ერთი რეზერვში—კედაროთი 300 მეტრი (450 ნაბიჯი) და სიღრმით 400 მეტრი (600 ნაბიჯი). ამ შემთხვევაში ძლიერია ცეცხლის ხაზი და ამავე დროს ძლიერია რეზერვიც; მაშასადამე, შესაძლებელია იერიშის მომზადებაც ცეცხლით და ძლიერი დაკვრის მოხდენაც, ამასთანავე შესაძლებელია საბრძოლო ხაზის გაგრძელებაც მარჯვნივ თუ მარცხნივ, ცეცხლის გასაძლიერებლად ან მოწინააღმდეგის მოსავლელად; შეჯგუფებული დალაგება და ძლიერი რეზერვი საბრძოლო წესს უზრუნველჰყოფენ მოწინააღმდეგის მხრით გარღვევისა ან მოვლისაგან.

ასეულის საბრძოლო წესის ეს სახეობა მეტად ხშირად იხმარება როგორც მოგერიებითი, ისე შეტევითი ბრძოლის დროს და ერთგვარ ნორმალ სახეობას წარმოადგენს ბრძოლის პირველ პერიოდში, როდესაც გარემოება საკმარისად არის უკვე გამორკვეული. (ნახ. № 24).

III. სამივე ოცეული საბრძოლო ნაწილშია—კედაროთი 450 მეტრი (700 ნაბიჯი), სიღრმით 400 მეტრი (600 ნაბ.). ამ სახეობას აქვს მეტად ძლიერი ცეცხლის ხაზი, მარჯვეა მოწინააღმდეგის მოსავლელად, მაგრამ, ამავე დროს, იგი ადვილი გასარღვევია, რადგანაც ხაზი დიდია, ხოლო რეზერვი კი არ არის; ამავე მიზეზით ეს სახეობა მეტად მგრძნობიარეა ყოველგვარი მოულოდნელობისადმი და მოკლებულია საშუალებას რომელიმე ერთ პუნქტში მოამზადოს მუშტი. (ნახ. № 25).

ასეულის საბრძოლო წესის ეს სახეობა იხმარება იმ შემთხვევებში, როდესაც გარღვევისა და მოულოდნელობათა საშიშროება ასე თუ ისე აცილებულია თავიდან, ე. ი.

1) როდესაც ფრთები უზრუნველყოფილია რაიმე დაბრკოლებით ან სხვა ნაწილების მიერ, კედაროზე კი ადგილმდებარეობა ძნელი მისადგომია;

2) დემონსტრატიულის მიზნით, როდესაც მოწინააღმდეგე შეცდომაში გვინდა შევიყვანოთ ჩვენი ჯარების რიცხვის შესახებ. როდესაც მოწინააღმდეგე დაინახავს ჩვენს გრძელ საბრძოლო ხაზს, უმეტეს შემთხვევაში იგი თვითონ წარმოიდგენს ჩვენს, ნამდვილად არ არსებულ რეზერვს და გაცილებით ძლიერად ჩაგვთვლის, ვიდრე სინამდვილეში ვართ;

3) დაბოლოს, როდესაც ასეული მოქმედებს სპის შემადგენლობაში და მის უკან სხვა ნაწილები არიან, ხოლო ადგილმდებარეობა მეტად მოხერხებულია ცეცხლის საწარმოებლად, ან კიდევ, როდესაც ასეულს გრძელი ხაზის დაკავება მოუხდა მოწინააღმდეგის მოსავლელად.

ასეულის საბრძოლო წესის წინსვლა.

ასეულს საბრძოლო წესის წინსვლის დროს, საბრძოლო ნაწილის ყოველ ოცეულს, ასეულის რეზერვს და ფრთათა დამცველ ნაწილებს ეძლევათ მიმართულება, ამასთანავე საბრძოლო ნაწილის ერთ-ერთი ოცეული ინიშნება მიმართვის ოცეულად.

დანარჩენში ასეულის საბრძოლო წესის წინსვლა სრულდება იმავე საფუძვლებით, როგორც სრულდებოდა ოცეულის საბრძოლო წესის წინსვლა. საჭიროა აღინიშნოს მხოლოდ, რომ დაფარული ადგილით მოძრაობის დროს აქ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა მიმართულების დაცვასა და კავშირის დაჭერას, რადგანაც, რაც უფრო დიდია ორგანიზმი, რაც უფრო მეტი შემადგენელი ნაწილები ჰყავს მას, მით უფრო ადვილია მისი დაქსაქსვა სხვა და სხვა მხარეს, თუ არ იქნება მათ შორის შესაფერისი კავშირი.

ასეულის საბრძოლო წესის მანევრები.

მოწინააღმდეგისაკენ კედაროთი წინსვლა ყოველთვის უნდა შეუერთოთ მოპირდაპირის ფრთის მოვლას.

1) მოვლა და წინააღმდეგობა.

მოვლას ის უპირატესობა აქვს, რომ იგი ხელს უწყობს მოწინააღმდეგის გამოთოფვას ალმაცერი ცეცხლით, ხოლო ზოგიერთ ხელსაყრელ პირობებში—გასწვრივი ცეცხლითაც; გარდა ამისა შემომვლელ ნაწილს საშუალება ეძლევა, იმ მიმართულებით მიიტანოს მოწინააღმდეგეზედ იერიში ხიშტით, რომლითაც უფრო სახიფათოა ამ უკანასკნელისათვის. ასეთი სახეობის ცეცხლი იმდენად აწუხებს მოწინააღმდეგის საბრძოლო მოთავსებას, რომ ხშირად იგი იძულებულია ხიშტით იერიშის მიტანამდე მიატოვოს პოზიცია.

როდესაც მოვლას აწარმოებს საბრძოლო ხაზის ერთ-ერთი ნაწილი, ეს ასუსტებს მის ცეცხლს; ამისათვის მოსავლელად უფრო ხელსაყრელია რეზერვიდან გაიგზავნოს ნაწილი. მოსავლელად გაგზავნილი ნაწილის მეთაურს ასეულის მეთაური განუმარტავს მოქმედების მიზანს და ადგილობრივი საგნებით უჩვენებს მიმართულებას, რომელიც უნდა მიიღოს კედარომ. მოსავლელი ნაწილი და საბრძოლო ხაზის ნაწილები ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ ცეცხლით.

მოსავლელად ნაწილები უნდა დაინიშნოს წინასწარ, ვიდრე ჯარი ჯერ კიდევ შორს არის მოწინააღმდეგისაგან; ამ ნაწილებმა, მოწინააღმეგესთან მიახლოვებისას, შეუმჩნეველად უნდა წაიწიონ წინ გადგომით, შემდეგ შეიცვალონ მიმართულება იმდენად, რომ მიიღონ მომვლელი მდგომარეობა, და აქედან უკვე დაიწყონ გადამწყვეტი შეტევა.

როდესაც მოსავლელად ნაწილი ინიშნება მოწინააღმდეგის ახლოს, იქნება იგი გამოყოფილი რეზერვიდან თუ საბრძოლო ნაწილიდან, მისი შესრულება მისთვის უკვე ძნელია; მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი, თუ ადგილ-მდებარეობა და გარემოება ხელს გვიწყობს, საჭიროა ცდა მოწინააღმდეგის შემოსავლელად, საბრძოლო ნაწილის მცირე ჯგუფების თანხმობითაც კი.

მოვლის საწინააღმდეგო საშუალებანია:

1) ან გაიგზავნოს რეზერვიდან საბრძოლო ხაზზედ ახალი ნაწილი, რომელიც თითონ გამოჰთოფავს მოწინააღმდეგის მომვლელ მაწილს ალმაცერი ცეცხლით, 2) ან, თუ მომვლელი ნაწილი მიუახლოვდა ჩვენს რეზერვს, ამ უკანასკნელმა ერთბაშად მიიტანოს მასზედ იერიში ხიშტით, ან 3) იერიში მიიტანოს მოწინააღმდეგის მომვლელ ნაწილზედ ჩვენმა რეზერვმა, თუ კი შეუძლიან მას შეუმჩნეველად წაიწიოს წინ ამ მიზნისათვის, ან კიდევ 4) მოვლილმა ერთეულმა გამოჰყოს ნაწილი, რომელიც დაიხევს ცოტა უკან და მოექცევა მოწინააღმდეგეს ფრთაზე. (ნახ. № 26 და 27).

2) მიმართულების შეცვლა.

ასეულის საბრძოლო წესის მიმართულების შეცვლა ხდება ისევე, როგორც ოცეულის საბრძოლო წესისა.

ცხენოსანი ჯარის იერიშის დახვედრა.

რომ ქვეითი ჯარს შეეძლოს მედგრად აიტანოს ცხენოსანი ჯარის წამოქროლვა, საჭიროა პირველ ყოველისა ყოველ ქვეითი მებრძოლს არ ეშინოდეს ამ იერიშისა, ე. ი. სწამდეს მას თავისი ცეცხლისა და ხიშტის ძალა და დარწმუნებული იყოს, რომ ვიდრე იგი პირის პირს უდგა ცხენოსანს და არ დაბნეულა, — ეს უკანასკნელი მისთვის საშიში არ არის.

სწორედ ამაში მდგომარეობს ქვეითი ჯარის მიერ ცხენოსანისათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევის საფუძველი.

ქვეითი ჯარი იმ მდგომარეობასა და წყობილებაში აუტეხს ცხენოსან ჯარს სროლას, რომელშიაც მოასწრო მას ამ უკანასკნელმა.

მეტად ხელსაყრელია ქვეითი ჯარისათვის, თუ ეს უკანასკნელი შესძლებს ჯვარედინი ცეცხლი აუტეხოს მოიერიშე

ცხენოსან ჯარს; ამის მისაღწევად საჭიროა მეზობელმა ქვეითი ასეულებმა დახმარება აღმოუჩინონ ცეცხლით ასეულს, რომელზედაც იერიში მიიტანა ცხენოსანმა ჯარმა.

თუ ცხენოსანი ჯარი საბრძოლო ნაწილის საბრძოლო ჯგუფებს დაეცა, მაშინ ეს უკანასკნელნი რჩებიან თავის ადგილას და მხოლოდ მდგომარეობას იცვლიან, რათა უფრო გაადვილებული იყოს მოიერიშეს გამოთოფვა; ამასთანავე ტყვიამფრქვევები და ავტომატები ასტეხავენ დიდათ გაძლიერებულ ცეცხლს, ხოლო მსროლელნი—სათითოო ჩქარ სროლას. უკანასკნელი გასროლა ხდება სულ ახლო მანძილით—პირში მიხლით, ოღონდ ამის შემდეგ მათ მოასწრონ თოფის აღება ხელზე, რის შემდეგაც იწყება ორივე მხარის ხელჩართული ბრძოლა.

თუ ცხენოსანი ჯარი რეზერვში მყოფ ქვეითი ჯარს დაეცა, მაშინ მეთაურის საზრუნავი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტმა ტყვიამფრქვევმა, ავტომატმა და მსროლელმა მიიღოს მონაწილეობა სროლაში. მაგრამ ამავე დროს საჭირო არ არის რთულ წყობაცვლის მოხდენა, რადგანაც უმჯობესია ცხენოსან ჯარს დახვდეთ მცირე, მაგრამ შეთანხმებული სროლით, ვიდრე მეტი ფაცა-ფუცით დავქსაქსოთ ნაწილი და მით გაუადვილოთ საქმე მოიერიშე ცხენოსან ჯარს: დაშლილი, დაფანტული ქვეითი ჯარი—ადვილად ჩასაგდები დავლა არის ცხენოსანი ჯარისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ცხენოსანმა ჯარმა ფრთების მხრით შემოუარბინა ქვეითი ჯარს, მაშინ ფრთებზე მყოფმა ქვეითი ჯარის ნაწილებმა უნდა მოიბრუნონ პირი შემომრბენ ცხენოსნებისაკენ და აუტეხონ მათ სროლა.

ქვეითი ჯარის რომელიმე ფრთაზედ მიმართული ცხენოსანი ჯარის იერიშის მოსაგერიებლად საუკეთესო საშუალება არის მოიერიშის გვერდითი ცეცხლით გამოთოფვა ქვეითი ჯარის მეზობელი ნაწილების მიერ, განსაკუთრებით, თუ ეს მეზობელი ნაწილები გადგომით არიან დალაგებული იმ ფრთის უკან, რომელზედაც იერიში მიაქვთ.

ამრიგად, ქვეითი ჯარი ცხენოსანის იერიშს მოიგერიებს ცეცხლით, რომელშიაც ეხმარებიან აგრედვე მეზობელი ნაწილები.

ასეულის საბრძოლო წესში ცხენოსანი ჯარის დახვედრაში მონაწილეობას იღებს საბრძოლო ხაზი და, თუ შესაძლებელია, ასეულის რეზერვთან ერთად; რეზერვის მეთაური მეტად ფრთხილად უნდა იყოს ცხენოსნისათვის სროლის ატეხის

დროს, რათა თავისი ცეცხლით თავისივე ან მეზობელი საბრძოლო ჯგუფები არ აზარალოს.

თუ, მიუხედავად ცეცხლისა, ცხენოსანი ჯარი მაინც შემოიჭრა ასეულის საბრძოლო დალაგებაში, მაშინ ასეული რჩება ძველებურად გაშლილ ჯგუფებად, მხოლოდ უნდა იზრუნოს, რომ ჯგუფებში არც ერთი ადამიანი გვერდით ან ზურგით არ იმყოფებოდეს ცხენოსნების მიმართ.

თუ მოიერიშე ცხენოსანი მოტრიალდა და უკან გაბრუნდა, საჭიროა მისი დევნა თოფისა და ტყვიამჭრქვევის ხშირი ცეცხლით; ამასთანავე საჭიროა ასეულის წესრიგში მოყვანა და მოწყობა, რადგანაც შესაძლებელია იერიში განმეორდეს.

ათასეულის საბრძოლო წესი. (ნახ. № 28).

ათასეულის საბრძოლო წესის შემადგენელი ნაწილები; მათი დანიშნულება და ძალა.

ათასეულის საბრძოლო წესი შესდგება: 1) საბრძოლო ნაწილისაგან, 2) ათასეულის რეზერვისაგან და 3) ფრთათა დამცველ ნაწილებისაგან.

სივრცეს, რომელიც ათასეულის საბრძოლო წესს უჭირავს, ეწოდება ათასეულის უბანი.

ათასეულის საბრძოლო ნაწილის დანიშნულება იგივეა, რაც ასეულის და ოცეულისაა საბრძოლო წესებში.

ათასეულის რეზერვი შეიძლება იყოს საერთო ან კერძო იმის და მიხედვით, ცალკე მოქმედებს ათასეული, თუ სხვებთან ერთათ.

პირველ შემთხვევაში ათასეულის რეზერვი უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვიდრე მეორეში, როდესაც შეგვიძლიან სხვა ათასეულების დახმარების იმედი ვიქონიოთ.

ამნაირად ათასეულის რეზერვში შეიძლება დაინიშნოს ორი ან ერთი ასეული, მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, რომ რეზერვი სრულიადაც არ იყოს.

საბრძოლო ნაწილი.

ათასეულის მეთაურის მიერ საბრძოლო ნაწილი დაიყოფა ასეულთა უბნებად, იმის და მიხედვით, თუ რამდენი ასეული შედის საბრძოლო ნაწილში. უბნების დანიშვნის დროს უნდა დაცული იყოს იგივე პირობები, რაც ასეულის საბრძოლო წესში.

იმის და მიხედვით, თუ რა მიზანი აქვს მოქმედებას, როგორია გარემოება და რამდენად განვითარდა ბრძოლა, აგრეთვე ათასეულისათვის მიცემული უბნის სიგანის მიხედვით, საბრძოლო ნაწილში შეიძლება გაიგზავნოს 1, 2 და 3 ასეული; მძი-

მე ტყვიამფრქვევები უნაწილდებათ ასეულთა საბრძოლო უბნებს, ანკიდევ შესაძლებელია მათ ცალკე ამოცანა მისცეს ათასეულის მეთაურმა. ათასეულის საბრძოლო ნაწილის უბნის სიგანე შეიძლება იყოს 300-დან (450 ნაბ.) 1000 მეტრამდე (1500 ნაბ.).

ათასეულის რეზერვი.

ათასეულის რეზერვი ათასეულის მეთაურის უშუალო განკარგულებაში იმყოფება და მხოლოდ მისი განკარგულებით მოქმედებს. პირველში იგი იმყოფება 300 მეტრის (450 ნაბ.) მანძილზედ ასეულთა რეზერვების ხაზიდან. ეს მანძილი უცვლელი ვერ იქნება და იგი იცვლება მოწინააღმდეგის დახმარებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით; ათასეულის რეზერვი იმდენად უნდა იყოს დაშორებული საბრძოლო უბნებისაგან და ისე უნდა შეეფარდოს ადგილ-მდებარეობას, რომ შეეძლოს მუდამ წამს დახმარება აღმოუჩინოს ყოველ მათგანს (უბანს), ტყუილუბრალოდ არ ზარალდებოდეს მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან და შეუმჩნეველი იყოს მოწინააღმდეგისათვის.

მოქმედების მიზნისა და გეგმის მიხედვით, ათასეულის რეზერვი მოთავსდება ან ერთ-ერთი ასეულის საბრძოლო უბინს უკან, ან კიდევ გადგომით ათასეულის უბნის ერთ-ერთი ან ორივე განაპირა ფრთის უკან.

როდესაც ათასეულის რეზერვში რამდენიმე ასეულია ერთად დალაგებული, მაშინ, თუ ათასეულის მეთაურმა არ დანიშნა რეზერვის მეთაური, ასეულის მეთაურთაგანი უზენაესი უფროსი ხდება რეზერვის მეთაურად.

ათასეულის რეზერვის წყობილებანი და ადგილ-მდებარეობასთან შეფარდება დამოკიდებულია რეზერვის მეთაურზედ. სავაზნე ორთვალები ათასეულის მეთაურის მიერ ნაწილდებიან ასეულთა საბრძოლო უბნებისა და ათასეულის რეზერვს შორის; სატყიამფრქვევო ორთვალები იმყოფებიან თავის ტყვიამფრქვევებთან.

ფრთათა დაცვა.

ფრთების დასაცავად აქაც ისევე, როგორც ასეულისა და ოცეულის საბრძოლო წესებში, ფრთებზედ მანძილით $^1/_2$-1 კილომეტრამდე და წინ გადგომით, იგზავნება დამცველი ნაწილები—არა ნაკლებ ერთი ათეულისა.

ეს ნაწილი გაიგზავნება ათასეულის რეზერვიდან, ათასეულის მეთაურის განკარგულებით.

ათასეულის საბრძოლო წესის სხვა და სხვა სახეობა.

იმის და მიხედვით, თუ რამდენი ასეული იმყოფება საბრძოლო ნაწილში, ათასეულის საბრძოლო წესს იგივე სხვა და სხვა სახეობა და თვისებები აქვს, როგორიც ასეულის საბრძოლო წესსა ჰქონდა.

ათასეულის საბრძოლო წესის ჰმართავს ათასეულის მეთაური.

ათასეულის საბრძოლო წესის მართვა.

მისი უმთავრესი მოვალეობაა — შეათანხმოს ასეულთა მოქმედება და მიმართოს იგი საერთო მიზნისაკენ. ამისათვის იგი მოვალეა დაუყენოს ათასეულის მოქმედებას საერთო მიზანი, საბრძოლო უბნების მეთაურების მოქმედებას მისცეს კერძო მიზნები და განუმარტოს ასეულების მეთაურთ გარემოება და თავისი მოქმედების გეგმა და თვალყური ადევნოს მათ სწორ მოქმედებას.

ათასეულის მეთაური აწარმოებს თავის შეუწყვეტელ ძიებას.

ათასეულის მეთაური თავის ათასეულს ჰმართავს განკარგულებებით, ხოლო ხელქვეით მეთაურთ იგი არა ჰზღუდავს თავისი განკარგულების შესასრულებლად საშუალებების არჩევაში.

მძიმე ტყვიამფრქვევები ან ნაწილდება ასეულთა უბნებს შორის, ან კიდევ ცალკე ამოცანა ეძლევათ მათ. ყოველ შემთხვევაში ტყვიამფრქვევთა მეთაურს მიცემული უნდა ჰქონდეს სრულიად გარკვეული მიზანი, რომელსაც მან უნდა მიაღწიოს თავის ტყვიამფრქვევთა ცეცხლით; მიზანს უყენებს ის მეთაური, რომელსაც ემორჩილება ტყვიამფრქვევთა ასეული.

ბრძოლის დროს, როცა საჭირო იქნება, საბრძოლი უბნებისა, ათასეულის რეზერვისა და ფრთათა დამცველ ნაწილების მეთაურებს ათასეულის მეთაური აძლევს დამატებით განკარგულებებს; ამასთანავე თავის განკარგულების აღსრულებისათვის საშუალების არჩევაში, მხოლოდ მაშინ ჩაერევა ათასეულის მეთაური, როდესაც დაინახავს, რომ მის ხელქვეით მეთაურთა მოქმედება აშკარად შემცდარია.

ათასეულის მეთაური ზრუნავს აგრედვე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ასეულებისა და ტყვიამფრქვევთათვის ვაზნების თავის დროზედ მიწოდება.

საბრძოლო უბნების მეთაურთა მოვალეობანი.

საბრძოლო უბნების მეთაურნი გადასცემენ თავის ასეულებს ათასეულის მეთაურის ბრძანებებს; განავითარებენ რა ამ ბრძანებებს, საბრძოლო უბნების მეთაურნი სრული და პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი არიან თავისი ასეულებისა მათთვის დაყენებულ ამოცანის ფარგლებში, იმ აუცილებელ პირობით, რომ გამოიჩინონ გონივრული კერძო თაოსნობა.

რეზერვის მეთაურის მოვალეობანი.

რეზერვის მეთაურს არ შეუძლიან დახარჯოს რეზერვი ათასეულის მეთაურისაგან განკარგულების მიუღებლად, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც აუცილებლად საჭიროა დახმარების გაწევა.

იგი ზრუნავს რეზერვის წყობილებისა და ადგილ-მდებარეობასთან შეფარდების შესახებ.

საერთოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ თუ ასეულის საბრძოლო წესში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი მცირე ნაწილების მეთაურთა თაოსნობას, როგორიცაა ოცეული, ათეული და ჯგუფი, თუ კი ყოველ ცალკე მსროლელს მოეთხოვება, რომ მას ესმოდეს თავისი მანევრი, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ათასეულის საბრძოლო წესის მართვის წარმატება მთლიანად დამყარებულია ასეულთა მეთაურების გონივრულ დამოუკიდებლობასა და მათ კერძო თაოსნობის გამოჩენაზე.

ქვეითი ჯარის მოქმედება ბრძოლაში.

ბრძოლის ზოგადი ცნება.

ბრძოლა არის ორი მტრულად განწყობილი მხარის ცოცხალი ძალის შეიარაღებული შეტაკება.

იგი არის ყოველი სამხედრო მოქმედების საბოლოო, გადამწყვეტი და აუცილებელი აქტი ომის დროს.

ყოველი ბრძოლის მიზანია: დასთრგუნოს ყოველგვარი საშუალებით მტრის ნებისყოფა, რომ მან შეასრულოს ყოველივე ჩვენი ნაკარნახევი.

ყოველი ბრძოლა შესდგება ცეცხლისა და მოძრაობისაგან (მანევრი და ცეცხლი). ბრძოლის ეს ორი ელემენტი საშუალებაა გამარჯვების მისაღწევად; ისინი ერთი-მეორეს ავსებენ და მათი გონივრული შეთანხმება-შეხამებით განისაზღვრება თვით გამარჯვების შესაძლებლობა, რადგანაც ცალ-ცალკე არც ცეცხლით და არც მანევრით გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია.

მანევრის მიზანია ისეთ პირობებში ჩააყენოს ჯარი, რომელიც ყველაზედ ხელსაყრელია მისთვის, ხოლო ყველაზედ საზარალო მტრისათვის, ცეცხლი კი, ცდილობს რა, რაც შე-

იძლება დიდი ზარალი მიაყენოს მტერს და მით გატეხოს იგი სულიერად და ფიზიკურად, საშუალებას აძლევს ჯარს წინსვლისათვის, რათა მრისხანე დაკვრით მოსპოს მტრის წინააღმდეგობა. ამასთანავე საჭიროა ვცდილობდეთ წარმატება მოვიპოვოთ ისე, რომ ჩვენმა ჯარმა რაც შეიძლება ნაკლები ზარალი ნახოს, ხოლო მტერს, პირიქით, რაც შეიძლება მეტი ზარალი მივაყენოთ და მუდამ ვზოგავდეთ ჩვენი ჯარის სულიერსა და ფიზიკურს ძალებს.

ქვეითი ჯარის მოქმედების ზოგადი დებულებანი ბრძოლაში.

ქვეითი ჯარის თვისებებისა და წარსულ ომებში მისი საბრძოლო მოქმედების შესწავლამ შემდეგი დებულებები მოგვცა ქვეითი ჯარის მოქმედებისათვის ბრძოლაში:

1) ბრძოლაში ქვეითი ჯარის ძლიერება დამყარებულია ტყვიამფრქვევისა და თოფის ცეცხლზედ, მედგარი წინსვლით, და ხიშტით კვეთებით; ამასთანავე, ბრძოლაში წარმატების მოსაპოებლად, ქვეითი ჯარის ყველა ნაწილები ვალდებული არიან გამოიჩინონ ურთი-ერთ მოქმედება ცეცხლის განვითარებაში, წინსვლაში და ხიშტით კვეთებაში.

2) მტრის დასათრგუნავად, როგორი პირობებიც არ უნდა იყოს—მუდამ თავსა და გულში მტკიცედ უნდა გვქონდეს ჩანერგილი გადაწყვეტილება აუცილებლად ბოლომდის მივიყვანოთ საქმე.

ყოველი მეთაური გამსჭვალული უნდა იყოს ასეთი მტკიცე გადაწყვეტილებით და ესვე უნდა ჩააგონოს ყველა თავის ხელქვეითს.

ბრძოლაში ყოველი მეთაური უნდა გაფაციცებით ადევნებდეს თვალყურს თავის ხელქვეით ნაწილების ზნეობრივ მდგომარეობას და მუდამ უნდა უნერგავდეს მათ შეტევით მისწრაფებას და მტკიცე გადაწყვეტილებას დასახული მიზნის მისაღწევად.

მეთაურთა შემადგენლობა მუდამ სულის სიმხნევისა და უსაზღვრო სიმამაცის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს.

3) ბრძოლაში ყოველი მეთაური უნდა იჩენდეს კერძო თაოსნობას—ე. ი., როდესაც საჭირო იქნება, იმოქმედოს თავის პასუხისმგებლობით, რათა, გარემოების მიხედვით, უფრო სწორის გზით წავიდეს დასახული მიზნის მისაღწევად.

4) ქვეითი ჯარის ერთი რომელიმე ნაწილის მიერ მიღწეული წარმატება უნდა განვითარდებოდეს მეზობელი ნაწილების მიერ, უფროსი მეთაურისაგან საამისო ბრძანების მიღების მოუცდელად. რომელიმე ნაწილის მიერ მიღწეული წარ-

მატების განსავითარებლად, საუკეთესო საშუალებად მეზობელ ნაწილების გაბედული მოქმედებაა.

5) ქვეითი ჯარის ყოველი მეთაური უნდა იმყოფებოდეს თავისი ნაწილის მოქმედების მისადევარში და იმ ადგილას, საიდანაც უფრო მოსახერხია მისთვის ხელქვეითი ჯარების მართვა და, როდესაც შესაძლებელია, პირადად თვალთვალი როგორც თავისი ნაწილის, ისე მტრისა და მეზობელ ნაწილების მოქმედებისა.

ყოველ მეთაურის სამყოფო ადგილი სისწორით უნდა იცოდნენ მისმა ხელქვეითებმა; თუ მეთაურმა შეიცვალა ადგილი—მაშინვე უნდა ეცნობოს ეს გარემოება ხელქვეითებს.

ბრძოლის გადამწყვეტ წამს ყოველი მეთაური იქ უნდა იმყოფებოდეს, სადაც მოითხოვს ამას გარემობა, რათა უშუალოდ უხელმძღვანელოს ჯარს და გაამხნეოს იგი პირადი მაგალითით.

6) ბრძოლაში ყოველი მეთაური ვალდებულია აწარმოოს ბრძოლის ველის თვალთვალი განსაკუთრებულ მოთვალთვალეთა შემწეობით; ყოველ მოთვალთვალეს იგი დაუნიშნავს თვალთვალის საზღვრებს.

მოთვალთვალეთა გაგზავნისას მეთაურმა ზომები უნდა განსაზღვროს, რათა საჩქაროდ მიიღოს მათგან ცნობები ყოველივე მათ მიერ შემჩნეულის შესახებ.

ასეთი თვალთვალის გარდა—ბრძოლაში ყოველი მეომარი ვალდებულია ათვალთვალოს, რა ხდება მოწინააღმდეგის მხარეზედ და ყოველივე შემჩნეული დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს მეთაურს.

იმ საბრძოლო უბნების მეთაურნი, რომელნიც სხვა უბნებს არა ჰხვდებიან, და აგრეთვე რეზერვის მეთაურნი ვალდებული არიან ათვალთვალონ ფრთებსა და ზურგში მდებარე ადგილ-მდებარეობა, რისთვისაც აგზავნიან ფრთათა დამცველ ნაწილებს (ბერაებს, მზვერავებს); გარდა ამისა, რეზერვის მეთაური ვალდებულია ან თვითონ ან მოთვალთვალეთა საშუალებით უთვალთვალონ რა ხდება საბრძოლო ნაწილებში, რათა, მიღებულ ამოცანის შესრულებისას ბრმად არ მოქმედებღეს; სზოგადოდ უნდა ითქვას, რომ შეხამების უაღრესად განვითარების გამო, როდესაც მოწინააღმდეგე თითქმის არა სჩანს ბრძოლის ველზედ, სწორ თვალთვალებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

7) ყოველი მეთაური ვალდებულია ზრუნავდეს განუწყვეტელი კავშირი ჰქონდეს ერგორც უკუროთი, ისე სიღრმით.

კავშირი გამოიხატება იმაში, რომ ერთმანეთს აცნობონ თავისი ჯარებისა და მოწინააღმდეგის მოქმედება და დალაგება, მოქმედებით მიღწეული შედეგები და აგრეთვე ცნობები ადგილმ-დებარეობის შესახებ. კავშირის მოწყობა წარმოადგენს დასაკავშირებელ მეთაურთა ურთიერთ ვალდებულობას.

8) ქვეითი ჯარის ყოველი მეთაური, რომელმაც მიიღო საბრძოლო ამოცანა, ვალდებულია მოაწყოს თავისი სამოქმედო მიზნისა და გარემოების შესაფერისი ძიება.

9) არავის და არავითარის მიზეზით უფლება არა აქვს მეთაურის ნებადაურთველად დასტოვოს ბრძოლაში საბრძოლო წესის ნაწილი, რომელშიაც დანიშნულია იგი. აგრეთვე არ შეიძლება თავისი ადგილის მიტოვება საბრძოლო წესში დაჭრილთა გამოსაყვანად, რათა ამით არ შესუსტდეს საბრძოლო ნაწილი; დაჭრილთა გამოსაყვანად განსაკუთრებული მესაკაცენი არიან.

10) ბრძოლაში შესაძლებელია რამდენიმე ნაწილი ერთმანეთში აირიოს; ამისთანა შემთხვევებში მათ უნდა დაენიშნოს საერთო მეთაური; თუ საერთო მეთაური არ არის დანიშნული, მაშინ უზენაესი უფროსი იქ მყოფ მეთაურთ შორის ვალდებულია თვითონ აიღოს ხელში შერეულ ნაწილების კაცების მეთაურობა. ასეთი საერთო მეთაური ვალდებულია რაც შეიძლება მალე აღადგინოს წესრიგი, რისთვისაც ასეულის კაცებს, იმის და მიხედვით თუ რამდენი არიან, დაჰყოფს ნაწილებად და მათ შორის გაანაწილებს იქ მყოფ მეთაურთა შემადგენლობას.

11) ყოველი მეთაური ვალდებულია ყურადღებით შეისწავლოს ადგილ-მდებარეობა, რომელზედაც უხდება მას მოქმედება და არ დასტოვოს უყურადღებოდ მისი სულ უმნიშვნელო ნაკეცი (კლარჯული) და ადგილობრივი საგანიც კი, რათა ბრძოლის დროს ეს თვისებანი მან გამოიყენოს ცეცხლის მეტი სინამდვილის მისაღწევად და მტერთან შეეჭიდოს ლად მისაახლოვებლად. საბრძოლო წყობილების ყოველი ნაწილის ადგილ-მდებარეობასთან შეფარდება და შეხამება მოწინააღმდეგის თვალთვალისაგან დაფარვისა და მისი ცეცხლისაგან ზარალის შემცირების მიზნით,—ამ ნაწილის მეთაურის მოვალეობას შეადგენს.

12) ქვეითი ჯარი ვალდებულია დამოუკიდებლად გამოიყენოს სამხედრო—საინჟენერო საქმე, რათა ამით გადალახოს მისი მოქმედების მიმართულებით მყოფი ადგილობრივი დაბრ-

კოლებანი, გააძლიეროს თავისი ცეცხლის სინამდვილე და უკეთესად დაიფაროს თავი მოწინააღმდეგის თვალთვალისა და ცეცხლისაგან.

საინჟენერო სამუშაოს შესრულების შესახებ განკარგულების გაცემის დროს, ყოველი მეთაური ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ქვეითი ჯარის ძალას, რათა საინჟენერო სამუშაოს შესრულებამ არ შეასუსტოს შეტევის სიმედგრე.

13) ბრძოლაში ქვეითი ჯარი უნდა იღებდეს ზომებს ზარალის შესამცირებლად მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან, საამისოდ საუკეთესო საშუალება არის: შეტევის სიმედგრე და სისწრაფე, რამდენადაც შესაძლებელია, ნამდვილი ცეცხლის განვითარება, მოწინააღმდეგის ცეცხლის თვისებებსა და ხასიათთან და აგრეეთვე ადგილ-მდებარეობასთან შეფარდება და შეხამება.

ამასთანავე საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან ზარალის შესამცირებლად მიღებული ზომები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბრძოლის მიზნის მიღწევას.

ბრძოლის სახეობანი. ბრძოლაში ქვეითი ჯარმა შეიძლება აწარმოოს ორნაირი მოქმედება: შეტევითი და მოგერიებითი.

ქვეითი ჯარის შეტევა მდგომარეობს მედგარ წინსვლასა და გზა და გზა ს სროლი ია-ალით მოქმედებაში; როდესაც ორივე მოწინააღმდეგე შეუპოვარია, შეტევას მოსდევს მათი პირისპირ შეყრა უკანასკნელი შეხლისათვის მკვეთი იარაღით, —რომელმაც საბოლოოდ უნდა გადასწყვიტოს ბრძოლა.

მოგერიება ქვეითი ჯარისა მდგომარეობს მის ერთ ადგილას დალაგებასა და ამ ადგილიდან სასროლი იარაღით მოქმედებაში იმ იმედით, რომ შეასუსტოს შემმტევი მოწინააღმდეგე, ან და თვითონ გაძლიერდეს, რომ საქმე მაინც ისევ შეტევით დააბოლოვოს.

ბრძოლის ამ ორივე სახეობას აქვს თავისი ღირსება და ნაკლულევანებანი.

მოგერიების აუცილებელი ელემენტი არის პოზიცია; ეს უკანასკნელი ხშირად ძნელი მისადგომია კედაროთი ან ფრთებით, მასზედ იმყოფება ადგილობრივი საგნები, რომლებიც დასაყრდნობს წარმოადგენენ მომგერიებლისათვის და ამრიგად პოზიცია ზოგჯერ მეტად სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს შემტევის მიზნის მისაღწევად. ამრიგად მომგერიებლის ცოცხალი ძალა ძლიერდება პოზიციის მკვდარი ძალებით. ეს არის მოგერიების პირველი უპირატესობა.

დაიკავებს რა პოზიციას, მომგერიებელს თითქმის მუდამ ექნება დრო მიიხედ-მოიხედოს, მოაწყოს სანგრები, შეისწავლოს წინ-მდებარე ადგილი, გამოზომოს მანძილი, მოაწყოს ვაზნების მიწოდება; ყოველივე ეს დიდ უპირატესობას აძლევს მომგერიებელს ცეცხლის საწარმოებლად, საშუალებას აძლევს აწარმოოს იგი შორი მანძილით, საჭირო ძლიერებით და მეტი სისწორით.

შემდეგ, სანგრებში ან ადგილობრივი საგნების უკან ხალხის მოფარებულად დალაგების საშუალებით, მოგერიების დროს ზარალი ნაკლებია, ვიდრე შეტევის დროს.

ამისივე წყალობით მომგერიებელს ფიზიკური ძალაც ნაკლებად ეხარჯება, ვიდრე შემტევს, რომელმაც უგზო-უკვლოდ, საბრძოლო წესით რამდენიმე კილომეტრი უნდა იაროს ცეცხლის ქვეშ, ვიდრე მოწინააღმდეგეს მიაღწევდეს.

ამრიგად მოგერიებას შემდეგი უპირატესობანი აქვს:

1) მომგერიებლის ცოცხალ ძალას აძლიერებს პოზიციის მკვდარი ძალებით,

2) დიდ უპირატესობას იძლევა ცეცხლის წარმოებაში,

3) ამცირებს ზარალს და

4) ჰზოგავს მომგერიებლის ფიზიკურ ძალას.

მოგერიების ყოველივე ეს უპირატესობანი ბუნებრივად ამავე დროს წარმოადგენენ შეტევის ნაკლულევანებას. მართლაც, შეტევის დროს გაცილებით ნაკლებადაა შესაძლებელი ადგილ მდებარეობის მკვდარი ძალების გამოყენება; გაცილებით ნაკლები ხელსაყრელი პირობებია ცეცხლის საწარმოებლად, რადგანაც მეტ წილად არც ადგილ-მდებარეობა და არც მანძილი გამორკვეული არ არის, ხოლო მოწინააღმდეგე კი დაფარულია; ზარალი და ფიზიკური ძალების დახარჯვა კი გაცილებით მეტია.

სამაგიეროდ შეტევასაც აქვს თავისი მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობანი.

ამათგან პირველი ის არის, რომ თვით წინსვლა ხელს უწყობს ადამიანის ზნეობრივად ამაღლებას, ჰბადებს მასში თავისი სიძლიერის რწმენას, ენერგიას და აღფრთოვანებას; მტკიცე სული კი არ დააყოვნებს და გაათკეცებს ადამიანის ფიზიკურ ძალას.

შემდეგ, დამკვრელის მდგომარეობაში მყოფი შემტევი შესაძლებლობას იღებს ხელთ იგდოს მოქმედების თაოსნობა; ეს კი მეტად დიდი მნიშვნელობის უპირატესობაა.

მოქმედების თაოსნობის ხელში ჩამგდებს შესაძლებლობა აქვს დაჰკრას იქ, სადაც უნდა, რითაც უნდა და როდესაც უნდა; მაშასადამე, მას შესაძლებლობა აქვს თავისი თავი ჩააყენოს ხელსაყრელ პირობებში, ხოლო მოწინააღმდეგეს დაჰკრას იმ პირობებში, რომლებიც ყველაზედ ნაკლებად არის ამ უკანასკნელისთვის ხელსაყრელი. მომგერიებლისათვის კი მეტად ძნელია სულ ერთთავად იმის ფიქრში ყოფნა, თუ როგორ მიუხვდეს თავის დროზედ მოწინააღმდეგის განზრახვას და როგორ აიცილოს მისი დაკვრა, რაც თავის თავად უკარგავს მას გამარჯვების იმედს და სიმშვიდეს და იწვევს ნერვიულობას.

ამრიგად შეტევის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ:

1) შეტევა ხელს უწყობს ზნეობრივად ამაღლებას,

2) ხელს უწყობს მოქმედების თაოსნობის ხელში ჩაგდებას.

ერთი მეორეს რომ შევადაროთ მოგერიებისა და შეტევის უპირატესობანი, ვნახავთ, რომ მოგერიების უპირატესობანი მატერიალური ხასიათისაა, ხოლო შეტევისა—მორალური ხასიათისა. ომში კი სული სავსებით გაბატონებულია მატერიაზედ და, რაც უფრო რთულია ბრძოლის გარემოება, მით უფრო თვალსაჩინოა ეს უპირატესობა.

ამის შემდეგ ცხადია, რომ ამ ორგვარ მოქმედებიდან უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ ის, რომელიც მორალურ უპირატესობას გვაძლევს—ე. ი. შეტევა და, ამისათვის მტერთან ყოველი შეხვედრისას, ჩვენს მოქმედებას საფუძვლად უნდა დაედოს მისწრაფება შეტევისაკენ.

ხოლო თუ რაიმე მიზეზების გამო მაინც მოგვიხდა მოგერიების წარმოება, საჭიროა არა მარტო ვიცავდეთ თავს, არამედ ვიმოქმედოთ ისე, რომ მოწინააღმდეგეს დაშლის და არევის შემდეგ მაშინვე ვაწარმოოთ გადამწყვეტი დაკვრა, მთელი ძალებით ენერგიული გადასვლით შეტევაზედ.

ბრძოლაში შესაძლებელ ორგვარი მოქმედების მიხედვით (შეტევითი და მოგერიებითი)—თეორიაში არჩევენ ორგვარ ბრძოლას: შეტევითსა და მოგერიებითს.

ისეთს ბრძოლას, რომელშიაც თავიდანვე გადაწყვეტილია მიზანს შეტევით მიაღწიონ, ეწოდება შეტევითი ბრძოლა. შეტევის წარმოების დროს მოწინააღმდეგე უძრავად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ვიმოქმედოთ ისე რომ შე-

გვეძლოს მიზანს მივაღწიოთ იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც მოწინააღმდეგე თავისი ერთი ნაწილით ან გინდაც მთელი ძალებით მოგერიებიდან შეტევაზედ გადმოვიდეს.

ისეთს ბრძოლას, როდესაც თავშივე გადაწყვეტილია ერთ ადგილას დალაგება ჯარისა და აქედან მოქმედება სასროლი იარაღით,—ეწოდება მოგერიებითი ბრძოლა.

ამრიგად შეტევითი და მოგერიებითი ბრძოლის განსაზღვრა გულისხმობს მხოლოდ პირვანდელ განზრახვას; ბრძოლის შემდეგი განვითარებისას კი შესაძლებელია, რომ შემტევი გადავიდეს მოგერიებაზე, მთელი თავისი ძალებით, ან მხოლოდ ერთი ნაწილით, ხოლო მომგერიებელი—შეტევაზედ.

მაშასადამე, სინამდვილეში, ყოველ შეხლილ მოპირდაპირისათვის ბრძოლა თავისი მიმდინარეობით წარმოადგენს შეტევისა და მოგერიების მრავალნაირად შეხამებას, როგორც ყოველ მხარის მთელი ძალების მიმართ, ისე ცალკე ნაწილების მიმართ, რომლებიც შედიან მათ შემადგენლობაში.

დაბოლოს, არის ბრძოლის მესამე სახეობაც, სახელდობრ: შეხვედრითი ბრძოლა, როდესაც ორივე მოპირდაპირე მხარე გადასწყვეტენ შეტევას და ამ მისწრაფებით შეეჯახებიან ერთი მეორეს; ამასთანავე ერთ-ერთი მათგანი ან მთელი თავისი ძალებით, ან მხოლოდ ერთი ნაწილით იძულებული იქნება გადავიდეს მოგერიებაზე. თანამედროვე ომებში ეს ბრძოლა—ყველაზედ ჩვეულებრივი სახეობაა.

ქვეითი ჯარის ძიება.

ცნობების მოკრება მოწინააღმდეგისა და იმ ადგილის შესახებ, რომელზედაც გვიხდება მოქმედება, ხდება ძიებით.

თავისი თვისებების მეოხებით, ქვეითი ჯარს დაახლოვებით გადასვლის ნახევარი მანძილით შეუძლიან აწარმოოს მტრისა და ადგილ-მდებარეობის ძიება.

ქვეითი ჯარის ძიების ნაწილები არიან: 1) მძიებელი მზვერავნი, ძალით არა ნაკლებ ერთი ჯგუფისა და 2) მძიებელთა დასები არა ნაკლებ ერთი ათეულის შემადგენლობით, რომელიც უშუალო ძიებისათვის თავის მხრით აგზავნის. მძიებელ მზვერავთ.

ძიების მწარმოებელ ქვეითი ჯარის ნაწილებში აუცილებლად უნდა იყვნენ საგაზო ინსტრუქტორები ისეთ ანგარიშით, რომ თითო ასეულზე მოდიოდეს თითო ინსტრუქტორი, რომლის სამყოფ ადგილსაც ჰსაზღვრავს ასეულის მეთაური. გაზის ტალღებისაგან უზრუნველსაყოფად საჭიროა ყოველ მებრძოლს მზად ჰქონდეს საწინააღმდეგო საშუალება.

მზვერავნი და დასები ცალკე მოქმედებენ, მაგრამ თუ მათი დაშორება 4—5 კილომეტრს აღემატება, მაშინ მათ დასახმარებლად კარგია იგზავნებოდნენ ქვეითი ჯარის მცირე ნაწილები; ამ ნაწილებს, მოხსენებათა გადაცემის დასაჩქარებლად, კარგია მიეცეს კავშირის ტეხნიური საშუალებანი და თვითმგორავნი. როდესაც მხარდამჭერი ნაწილები არ იგზავნებიან, მაშინ მოხსენებათა გადაცემის დასაჩქარებლად მზვერავებმა (დასებმა) შეიძლება დასტოვონ საშორისო, საგუშაგო და, თუ საჭიროა, ისიც კავშირის ტეხნიური საშუალებით უზრუნველყოფილი.

მძიებელი მზვერავნი ქვეითი ჯარისაგან უმოავრესად განსაზღვრული მიმართულებითა და განსაზღვრული პუნქტების საძიებლად იგზავნებიან; ამასთანავე ადგილობრივი საგნების უშუალოდ საძიებლად მზვერავებიდან შეიძლება გაიგზავნონ ყველა მებრძოლნი, ზოგჯერ მსუბუქი ტყვიმფრქვევებითაც კი.

მძიებელთა დასები კი იგზავნებიან განსაზღვრული კედაროსი, მისადევრის ან მოწინააღმდეგის მიმართულებით რომელიმე ზოლის საძიებლად; ამასთანავე, ადგილ-მდებარეობის მიხედვით, ერთ მზვერავს დაახლოვებით $^1/_2$ კილომეტრის სიგანის ზოლის ძიება შეუძლიან.

მზვერავთა და დასების ძალა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დანიშნულება ეძლევათ მათ, რა მანძილი უნდა გაიარონ და რამდენი მოხსენების გაგზავნაა მოსალოდნელი. საჭიროა ვიქონიოთ სახეში, რომ ხშირად მცირე მზვერავნი უფრო მეტ შედეგს მიაღწევენ, რადგანაც მათ ფარულად შეუძლიანთ მოძრაობა. ყოველთვის მძიებელთა დასში ინიშნება არა ნაკლებ ათეულისა, ხოლო მძიებელთა მზვერავებში—არა ნაკლებ ჯგუფისა (მეტ წილად საავტომატო ჯგუფი). ყოველთვის მძიებელთა მზვერავთ კარგია დაემატოს მმართველობის ოცეულიდან სპეციალი-მძიებელნი. განსაკუთრებულ შემთხვევებში მძიებელთა დასში (მზვერავად) შეიძლება მართვის ოცეულის მძიებელთა ჯგუფიც დაინიშნოს მთლიანად.

ყოველ დასის ან მზვერავთა ძიებას ჰხელმძღვანელობს მეთაური მისთვის მიცემულ ამოცანის ფარგლებში; ამავე დროს თავის მოქმედებას იგი აწარმოებს სრულიად ფარულად. საძიებლად—დასი აგზავნის წინ მძიებელ მზვერავთ, მეთაური კი რამდენიმე კაცით უმჯობესია იმყოფებოდეს უკან—ბირთვში, რომ უფრო მოხერხებულად უხელმძღვანელოს ძიებას.

მძიებელ მზვერავთა, დასთა და მათი დამხმარე ნაწილებ-ბის მეთაურთ უნდა გადასცენ:

1) ცნობები მოწინააღმდეგის შესახებ,

2) ცნობები თავისი და მეზობელი ჯარების შესახებ,

3) ცნობები მეზობელ მზვერავთა, დასთა და მათი მხარ-დამჭერ ნაწილების შესახებ,

4) მზვერავთათვის (დასთათვის) დავალებული ამოცანა: ა) ძიების მიზანი, ბ) ძიების მიმართულება ან ზოლი და მისი საზღვრები, გ) ხაზი, სადაც უნდა გაიშალოს მძიებელთა დასი დ) ადგილობრივი საგნები (ზღუდეები), რომელთაც უნდა მიაღწიოს დასმა (მზვერავთ) ნაჩვენებ დროსათვის და ე) დრო, რომლის განმავლობაშიაც უნდა დასრულდეს ძიება,

5) სად იქნება (ივლის) ძიების ბირთვი,

6) ვის და სად გაეგზავნოს დასმენანი; როდის იგზავნე-ბოდეს ვადითი დასმენები; თუ განზრახულია საშორისო სა-გუშაგოების დაყენება, დასმენათა გადასაცემად, სად იქნებიან ისინი დაყენებული; რომელი მიმართულებით და სად გადა-ვლენ, როცა რაზმი წაიწევს წინ,

7) სად დაბრუნდნენ მძიებელნი.

თუ ქვეითი ჯარის ძიების გაგზავნის წინ მოწინააღმდე-გის ძიება დავალებული ჰქონდა ცხენოსან ჯარს, მაშინ მოწინა-ალმდეგესთან მიახლოვებისას ქვეითი ჯარის მზვერავნი და დას-ნი ისეთის ანგარიშით წაიწევიან წინ, რომ მათ შეეძლოთ მიიღონ თავზე ძიების წარმოება კედაროთი, როდესაც ცხენო-სანი იძულებული იქნება გაიკრიფოს ფრთებზედ.

მძიებელთა დასის (მზვერავის) მუშაობას შეადგენს:

1) მოწინააღმდეგის ძიება—რომელიც სწარმოებს უშუა-ლო თვალთვალით, ადგილობრივ მცხოვრებთა და ტყვეთა გა-მოკითხვით და სხვა, თანახმად საველე წესდების III და IV დანა-რთისა.

2) ადგილობრივი საგნების დათვალიერება, რომელიც სწარმოებს თანახმად საველე წესდების V დანართისა.

3) მძიებელ მზვერავთა მხარდაჭერა:

ძიება უნდა ხდებოდეს მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნე-ველად. მაგრამ მძიებელთა ნაწილები მზად უნდა იყვნენ ბრძო-ლით გაიკაფონ გზა ძიების საგნამდე, რათა აიძულონ მოპირ-დაპირე გამოამეღავნოს თავისი ძალა, მოძრაობა და მოკმედება.

ამ რიგად ძიება არ უარჰყოფს ბრძოლას, მხოლოდ ამას უნდა მიჰმართონ როგორც უკიდურეს საშუალებას, როდესაც სხვა გზით შეუძლებელია საჭირო ცნობების მიღება.

მძიებელთა ნაწილების დასახმარებლად გაგზავნილი ჯარის ნაწილები ვალდებული არიან უკან დაიწიონ მოწინააღმდეგის მცირე ნაწილები და ამით ხელი შეუწყონ მზვერავთა და დასთა ძიებას, ისევე როგორც ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან ამავე გზით ეხმარებოდნენ მათგან გაგზავნილ მზვერავთ.

4) კავშირის დამყარება ჯგუფის ნაწილთა შორის (მზვერავთა და ბირთვისა) და იმ მეთაურთან, რომელმაც გაგზავნა მძიებელნი.

მძიებელთა დასის ნაწილთა შორის კავშირი სწარმოებს ბირთვისაგან საშორისო მზვერავის გაგზავნით, ძალით 2-3 მებრძოლი, და პირობითი ნიშნებისა და შთანგების შემოღებით. საშორისო მზვერავთა დაშორება მძიებელ მზვერავებისაგან დაახლოვებით 300-400 მეტრი (450-600 ნაბ.) იქნება.

მძიებელ დასის ბირთვის კავშირი ჯგუფის გამგზავნელ მეთაურთან განხორციელდება დასისათვის საკავშირო ტეხნიურ საშუალებათა მიჩინებით (ტელეფონი, ველოსიპედი, მოტოციკლი) ან ასეულის შემკავშირეთა საშუალებით ან კიდევ, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, საშორისო საგუშაგოების დაყენებით, რომელნიც აგრედვე ტეხნიური საშუალებით იქნებიან უზრუნველყოფილნი.

ვადითი დასმენანი იგზავნება განსაზღვრულ ზღუდეებთან მისვლის შემდეგ.

ვადის გარეშე დასმენანი:

1) საკმაოდ მოზრდილი დასახლებული პუნქტების დათვალიერების შემდეგ,

2) მოწინააღმდეგესთან შეხვედრისათანავე,

3) ყველა დანარჩენ შემთხვევებში—მოწინააღმდეგისა და ადგილ-მდებარეობის შესახებ ცნობათა მოგროვებისათანავე.

დასმენას უპირველესად მოეთხოვება იყოს უტყუარი და დროზედ მიწოდებული.

შეტევითი ბრძოლა.

საერთო დებულებანი.

1) ბრძოლაში წარმატების მიღწევა მხოლოდ გულადი და გადამწყვეტი შეტევით შეიძლება.

2) შეტევის წარმატება საესებით დამოკიდებულია მჭიდრო ურთიერთ-მოქმედებასა და ყოველი დარგის ჯარებისა და ბრძოლის საშუალებათა გონიერ გამოყენებაზე ბრძოლაში.

3) შეტევის მიზანი და ამოცანა არის—რაც შეიძლება ნაკლების ზარალით და რაც შეიძლება ძალის, მხნეობის და გამარჯვების სურვილის მეტის შენარჩუნებით, მიყვანილ იქმნეს ქვეითი ჯარი ბრძოლის უკანასკნელ და გადამწყვეტ აქტამდე—იერიშამდე. ამისათვის ქვეითი ჯარმა საბრძოლო წესის ისეთი ფორმა უნდა იხმაროს, რომელიც: ა) დაიცავს მას ზედმეტი ზარალისაგან, რისთვისაც საჭიროა საესებით შეეგუოს ადგილ-მდებარეობას და ყოველმხრივი შეხამებით დაჰფაროს თავისი წინსვლა და ბ) საშუალებას მისცემს სძლიოს მოწინააღმდეგის ცეცხლი და იმდენად დაუშლელი მიიყვანოს ქვეითი ჯარი მოწინააღმდეგემდის, რომ შეეძლოს მოკლე მანძილიდან მკაცრი იერიშით მიუვარდეს მას ასპარეზზე მოთავსებულს და დაჰკრას ხიშტითა და გრანატით. ამისათვის საჭიროა ქვეითი ჯარმა საესებით გამოიყენოს თავისი ცეცხლის ძალა, ჯერ მძიმე, შემდეგ მსუბუქ ტყვიამფრქვევებისა და, ბოლოს, ავტომატებისა და თოფისა.

4) რომ შემტევ ქვეითი ჯარს შეეძლოს წინსვლა, საჭიროა დასაწყისშივე მივიღოთ ცეცხლითი უპირატესობა მოწინააღმდეგეზე. ეს დაჰშლის მის რიგებს, დასთრგუნავს მის ფიზიკურსა და მორალურ ძალას და ხელს შეუშლის მას თავისი იარაღის ძალა გამოიყენოს შემტევი ჯარის წინააღმდეგ. ამისათვის თანამედროვე ბრძოლის პირობები მოითხოვს: შეტევის დასაწყისში—ბრძოლის კედარო გაჟღენთილი იყოს ცეცხლის ძლიერი საშუალებებით, ხოლო ნაკლებად იყოს გაჟღენთილი ხალხით; უკანასკნელ ხანაში კი—წინა ხაზი უნდა გაიჟღინთოს მებრძოლთა, რაც შეიძლება, მეტი რიცხვით.

შეტევის დასაწყისში საჭირო არაა მსროლელთა ძლიერი ნაწილები იგზავნებოდეს წინა ხაზზედ, მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ, რადგანაც ეს ნაწილები სარგებლობას ვერ მოიტანენ და ზედმეტი ზარალი კი მოჰყვება მათს წინ წაწევას. ამისათვის ცეცხლითი ამოცანების შესრულება შეტევის დასაწყისში უნდა ევალებოდეს ჯერ მძიმე, ხოლო შემდეგ მსუბუქ ტყვიამფრქვევებს. მსროლელთა ნაწილები კი იღებენ ღრმა, ეშელონებითი წესს.

მტერთან თანდათანობითი დაახლოვებისა და გადამწყვეტი ცეცხლითი ბრძოლის ხაზთან მიახლოვებისათანავე, თოფის ნამდვილი სროლის სფეროში (800-400 ნაბ.), ბრძოლის

ყველა საშუალებანიც თანდათან წაიწევიან წინ საბრძოლო წყობილების სიღრმიდან.

5) ცეცხლის წარმოებაში ნამდვილი უპირატესობის მისაღებად საჭიროა თანაბრად კი არ გავფანტოთ ჩვენი ცეცხლი შეტევის მთელი კედროთი, არამედ საჭიროა შემჭიდროვებით იგი მოწინააღმდეგის ცალკე პუნქტებსა და უბნების მიმართ და ვეცადოთ ყოველ მხრივ მივაღწიოთ ფრთის გასწვრივ და ჯვარედინ სროლის წარმოებას.

6) წესად უნდა იყოს მიღებული, რომ ცეცხლის ატეხის ყოველი რიგის შემდეგ აუცილებლად ხდებოდეს საბრძოლო წესის ნაწილების წინ წაწევა, რადგანაც ქვეითი ჯარის თანამედროვე გამანადგურებელ ცეცხლის დროს, მხოლოდ ამ შემთხვევაში, ე. ი. თუნდაც დროებითი უპირატესობის მიღებისას მოწინააღმდეგის ცეცხლზე, არის შესაძლებელი, შედარებით, უმტკივნეულოდ წაწევა წინ. ეს ცეცხლისა და წინსვლის შეთანხმება-შეფარდება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს და იგი შეადგენს შეტევის არსებით საფუძველს და ყოველი მეთაურის უმთავრეს ამოცანას.

7) შეტევის დროს მეტად ხელსაყრელია ისეთი მანევრების წარმოება, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ძალების ერთი ნაწილით მაინც ფრთის მხრით მოვექცეთ მოწინააღმდეგეს.

8) შეტევას აუცილებლად მოჰყვება გადამწყვეტი და სრული გამარჯვება, თუკი საბრძოლო წესის ყველა ნაწილები ერთის სურვილითა და მტკიცე ნებისყოფით იქნებიან აღფრთოვანებულნი, რადაც არ უნდა დაჯდეს, მალე მიუახლოვდეს მოწინააღმდეგეს, მასზედ უკანასკნელი და გადამწყვეტი—ხიშტით კვეთების მოსახდენად. საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ შეტევის დროს ყოველი შეგვიანება, აგრძელებს რა ქვეითი ჯარს მომგერიებლის გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ ყოფნის ხანს, იწვევს ფიზიკურსა და ზნეობრივ მოდუნებას, ასუსტებს შეტევით მისწრაფებას, ადიდებს ზარალს და შემდეგ შეტევაში მხოლოდ ზედმეტი დამატებითი ღონისძიების მიღებით შეიძლება მათი ანაზღაურება.

9) ბრძოლაში გამარჯვების მიღწევა შესაძლებელია ყველა მებრძოლთა ღონისძიების წარმატებით და მიზანშეწონილად გამოყენებით, რომელთაც მთელი თავისი მოქმედება უნდა მიმართონ ერთი მიზნისაკენ და საუკეთესოდ, ტეხნიურის მნიშვნელობით, შეუფარდონ ერთი-მეორეს. დაქსაქსული მოქმედება კი—აუცილებლად გამოიწვევს მარცხს, აქედან გამომ-

დინარეობს გონივრული მართვის აუცილებლობა ბრძოლაში.

მეზობლებთან შეთანხმებული მოქმედება, განსაკუთრებით ბრძოლის უკანასკნელ ხანს, გამოიხატება მისწრაფებაში, რათა საკუთარის, მხნე, გონივრულ და თავგანწირული მოქმედებით გაუადვილოთ მათ თავისი ამოცანის შესრულება; ამისათვის მეზობელთა უმოქმედობა არას დროს არ შეიძლება იყოს შეჩერებისა ან საკუთარი ამოცანის შესრულებაზე უარის თქმის მიზეზი.

10) მოულოდნელობის გამოყენება, როდესაც მოწინააღმდეგეს არა აქვს დრო მიიღოს შესაფერი ზომები ჩვენი შეტევის წინააღმდეგ, ყველაზედ ძვირფასი საწინდარია ბრძოლაში წარმატების მისაღებად; ხოლო თაოსნობა, სიმხნეე და განზრახვის, ილეთის და მოხერხების ორიგინალობა—თავიდან გვაცილებს მოულოდნელობას, რომელიც მუდამ მავნებელია ბრძოლის მსვლელობისათვის.

ათასეულის და ასეულის შეტევეთი სვლის ზოგადი ცნება.

ხშირად შემტევი—ათეული კილომეტრის შორისით არის ხოლმე მოწინააღმდეგეს დაშორებული და ამ მანძილის გავლამას უხდება სალაშქრო წესით; რადგანაც ამისთანა შემთხვევებში ჯარის ნაწილები ხშირად ლაშქრობიდან პირდაპირ ბრძოლის ასპარეზს ჩაერთვებიან, ამისათვის, რომ უფრო გასაგები იყოს ქვემო გადმოცემა, საჭიროა რამდენიმეთ შევჩერდეთ ათასეულისა და ასეულის სალაშქრო სვლის წესზედ.

სალაშქრო რაზმეულებით შესატევად სვლისას, რომ შესაძლებლობა გვქონდეს თავის დროზედ გავიგოთ მოწინააღმდეგის დალაგება და განზრახვები და, რათა იგი მოულოდნელად არ დაგვატყდეს თავს, სამი პირობაა საჭირო:

1) დარაჯობით დაცვა—რომელიც დაიცავს რაზმეულს მოულოდნელი დაცემისაგან და გასწმენდს გზას მოწინააღმდეგის მცირე დასებისაგან.

2) ძიება—როგორც მახლობელ სალაშქრო წესის ახლოს, ისე შორით ძიება; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკანასკნელი, რადგანაც რაც უფრო მალე მივიღებთ ცნობებს მოწინააღმდეგის შესახებ, მით უფრო მეტი დრო გვექნება შესაფერ განკარგულებათა მოსაფიქრებლად და გასაცემად.

3) სწრაფი მოძრაობის და მიბრუნ-მობრუნების უნარი, რომელიც ხორციელდება, უმთავრესად, მით, რომ ყოველივე ძნელი მისაბრუნ-მოსაბრუნებელი, რასაც ჩვენი მოქმედების შეფერხება შეუძლიან, გამოიყოფა ჯარებისაგან და ცალკე რაზმეულად მიდის.

ათასეულისა და ასეულის შეტევითი სვლის დროს ეს პირობები შემდეგნაირად განხორციელდება:

I. დარაჯობით დაცვა. ათასეული თავის დასაცავად გამოჰყოფს: მეთაურსა და ზურგის ბერაებს.

ა) მეთაური ბერა, ძალით ერთი ათეულიდან—ოცეულამდე, მიდის ათასეულის წინ თოფის ნამდვილი ცეცხლის მანძილით, ე. ი. დაახლოვებით 800 ‹ მეტრიდან 1 კილომეტრ, (1200 ნაბ.—1 ვერსი). ამ ბერას მთავარი ამოცანაა— დაიცვას ათასეულის სვლა; ამ ამოცანიდან კი გამომდინარეობს შემდეგი ვალდებულებანი: უკუაგდოს მოწინააღმდეგის მცირე ნაწილები, ან და იძულებულ ჰყოს იგი გაიშალოს ბრძოლისათვის და შეაჩეროს იმ დრომდე, ვიდრე უკან მსვლელი ჯარი, მოასწრებდეს საბრძოლოდ გამზადებას; შეაკეთოს გზები, რათა უკან მსვლელ ნაწილებს დაუბრკოლებლივ შეეძლოთ გავლა, ხოლო უკან დახევის დროს—ეაჩეროს მოწინააღმდეგის დევნა.

თავის დასაცავად, აგრეთვე მოწინააღმდეგის მოახლოვების შესახებ ცნობების თავის დროზედ მისაღებად და წინ მდებარე ადგილის დასათვალიერებლად, მეთაური ბერა თავის მხრით აგზავნის მზვერავთ, ძალით ერთ ჯგუფამდე; ამათში უნდა იყვნენ საგაზო ინსტრუქტორებიც, რათა თავის დროზედ გამოარკვიონ, ხომ არ არის სვლის მიმართულებით სადმე გაზებით მოწამლული ადგილები.

თუ მოწამლული მისადევარი დიდი არ არის, მაშინვე მიიღებენ ზომებს მის გასაწმენდად, ვიდრე უკან მსვლელი ჯარი მოვიდოდეს. თუ ადგილი დიდ სივრცეზედ არის მოწამლული, მაშინ უნდა გამოირკვეს ამ სივრცის საზღვრები და წინსვლისათვის სხვა გზები იქმნეს გამოყენებული. მეთაური ბერა მზვერავთ დაახლოვებით $^1/_2$ კილომეტრის (600-700 ნაბ.) მანძილით აგზავნის. ამ დამცველ მზვერავთა გარდა, იგზავნებიან აგრეთვე კავშირის დამჭერი მზვერავნი, 2-3 მებრძოლის შემადგენლობით.

ბ) ზურგის ბერა, ძალით ერთი ათეული, ინიშნება რაზმეულის ზურგისა და ამ უკანასკნელში წეს-რიგის დასაცავად; იგი მოდის რაზმეულის ბოლოში დაახლოვებით $^1/_4$ კილომეტრის მანძილით და აგზავნის მზვერავებს უკან და გვერდებისაკენ.

ასეული თავის დასაცავად მხოლოდ მზვერავებს აგზავნის წინ და უკან.

თუ ორი ასეული მიდის ერთად სალაშქრო წესით, ისინი თავს იცავენ როგორც ათასეული; თუ რამდენიმე ათასეულია—როგორც ლეგიონი, ე. ი. წინ იგზავნება წინმავალი, რომლისაგანაც იგზავნებიან ბერაები და მზვერავები; ხოლო ზურგის დასაცავად—უკანმავალი.

II. **ძიება.** ახლო მანძილით ძიებას აწარმოებენ დამცველი ნაწილები; შორით ძიებას კი, უმთავრესად, მხოლოდ ლეგიონი აწარმოებს, რადგანაც ერთ ათასეულსა ან ასეულს საამისო ძალა არ მოეპოვება.

შორით ძიების საწარმოებლად იგზავნება: წინმავალისაგან—მძიებელთა დასი 2-3 კილომეტრის მანძილით, ხოლო ლეგიონისაგან—ცხენოსან მძიებელთა გუნდი—5-8 კილომეტრის მანძილით. მათი უმთავრესი მოვალეობაა, შეაგროვონ რაც შეიძლება სრული ცნობები მოწინააღმდეგის რიცხვისა და დალაგების შესახებ, აგრეთვე იმ ადგილ-მდებარეობის შესახებ, რომელზედაც მოქმედება მოუხდება ლეგიონს.

III. **სწრაფი მოძრაობის და მიბრუნ-მობრუნების უნარი.**

რათა დიდრონი ნაწილების (ლეგიონი და ზევით) სწრაფი მოძრაობის და მიბრუნ-მობრუნების უნარი არ იყოს შეზღუდული, მათი საბარგულე დაიყოფება 2 რიგობად; 1-ლი რიგობის საბარგულე მისდევს ნაწილის მთავარ ძალას, ხოლო მე-2 რიგობის საბარგულე იძვრის ნაწილის უკან, ცალკე რაზმეულად, დაახლოვებით $^1/_2$ გადასვლის მანძილით. ათასეულის მსვლელობის დროს, რადგანაც მისი საბარგულე მცირე რიცხოვანია, უმჯობესია არ დაიყოს რიგობებად, არამედ მთლიანად მისდევდეს უკან ათასეულს. თუ სალაშქრო რაზმეულში მხოლოდ ერთი ან ორი ასეული იმყოფება, მაშინ საბარგულე მუდამ რაზმეულთან ერთად მიდის, იმის ბოლოში.

შეტევითი ბრძოლის დაყოფა ხანებად.

მოწინააღმდეგის დალაგებასთან მიახლოვებისას, შემტევი ჯარის დიდრონი ნაწილები (ლეგიონი და უფრო ზევით) უწინარეს ყოვლისა თავისი შორით ძიებისა და დამცველი ნაწილებით შეეხება მოპირდაპირეს, ე. ი. წინმავალითა და აქედან გაგზავნილი ბერაებით.

ამით დაიწყება შეტევითი ბრძოლის პირველი აქტი, რომელსაც შეგვიძლიან უწოდოთ ბრძოლის ატეხა და რომელსაც, უმთავრესად, ძიების ხასიათი აქვს.

ასეულისა ან ათასეულის ბრძოლაში ამ ხანის ცალკე განხილვა არ შეიძლება, რადგანაც შორით ძიების ნაწილები მათ არა ჰყავს, დამცველი ნაწილები მცირეა და შედარებით

ახლო მანძილით იგზავნებიან, თვით მთავარი ძალა კი იმდენად პატარაა, რომ მუდამ შეუძლიან საბრძოლო დალაგების მოსწრება.

შორით ძიებისა და დამცველი ნაწილების მიერ ბრძოლის ატეხვასთანავე ბრძოლაში ჩაებმება შემტევის მთავარი ძალა, რომელსაც სამი საშუალების ხმარება შეუძლიან მტრის დასაძლევად: ა) წინსვლა, ბ) ცეცხლი და გ) ხიშტი.

თანამედროვე ბრძოლაში არტილერიისა და მძიმე ტყვიამფრქვევების ცეცხლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა შორი მანძილით, ხოლო ქვეითი ჯარის მოქმედების ცქიტი გადავიდა საშუალო და ახლო მანძილით ბრძოლაზე.

ზემოხსენებულის მიხედვით, ბრძოლის მთელი შემდეგი მსვლელობა, მისი ატეხის შემდეგ, შეგვიძლიან 4 ხანად დავყოთ:

ა) პირველი ხანა—ბრძოლის ველზე შედგომიდან (8 კილომეტრი) 2—2,5 კილომეტრის მანძილამდე, მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლის სფერო; ეს ხანა ხასიათდება მით, რომ შემტევი ქვეითი ჯარი, მოკლებულია რა საშუალებას იმოქმედოს ცეცხლით ან ხიშტით, ხმარობს მხოლოდ წინსვლას. ამ ხანას შეიძლება უწოდოთ **დაახლოვების ხანა.**

ბ) მეორე ხანა—ტყვიამფრქვევისა და თოფის შორი მანძილით სროლის სფეროში (2—2, 5 კილომეტრი) შესვლიდან იმ ადგილამდე, საიდანაც შესაძლებელია მტერს ხიშტით ვეკვეთნეთ, დაახლოვებით 200 მეტრი და ნაკლები (300 ნაბ. და ნაკლები); ეს ხანა ხასიათდება მით, რომ შემტევ ქვეითი ჯარს საშუალება აქვს, წიხსვლის გარდა, ცეცხლიც მოიხმაროს.

ამ ხანას შეიძლება ვუწოდოთ **შეტევა.**

გ) მესამე ხანა იწყება, მაშინ, როდესაც ქვეითი ჯარი ხიშტით ეკვეთება მტერს; ამ ხანას ეწოდება **იერიში.**

დ) მაგრამ ბრძოლა იერიშით არ თავდება, რადგანაც, თუ გავიმაოჯვეთ, უნდა განვავითაროთ იგი, ხოლო თუ დავმარცხდით—უნდა გავიმეოროთ იერიში ან არა და მივიღოთ საწინააღმდეგო ზომები.

ყოველივე ეს შეადგენს ბრძოლის უკანასკნელ ხანას—მოქმედება იერიშის შემდეგ, რომელშიაც შედის: **დევნა, დაპყრობილ პოზიციების განმტკიცება და მოქმედება წაგებულ იერიშის შემდეგ.**

ასეულის შეტევითი ბრძოლა (ნახ. №29)

დაახლოვების ხანა; მოქმედების გეგმა და განკარგულება.

არტილერიის ცეცხლის სფეროში შესვლისათანავე, ასეულს ეძლევა საბრძოლო ამოცანა და მიმართულება.

ასეულის მეთაური, რომელიც საბრძოლო ამოცანის მიმკემმა უფროსმა გააგნო გარემოებას, ვალდებულია ოცეულთა და ათეულთა მეთაურების საშუალებით თავის მებრძოლთ გააცნოს: 1) გარემოება, 2) ათასეულის ან სპის, რომელშიაც ასეული შედის, მოქმედების საერთო მიზანი და 3) ასეულის საბრძოლო ამოცანა.

შემდეგ იგი ადგენს მოქმედების საერთო გეგმას და რუკაზედ აირჩევს გზებს ასეულის წინსვლისათვის.

ეს გეგმა სავსებით უნდა იყოს შეთანხმებული გარემოებასთან და, რადგანაც, უმეტეს შემთხვევაში, ამ ხანაში მეტად ნაკლებად გვექნება ცნობები მოწინააღმდეგის ძალისა და დალაგების შესახებ, ან როცა გვაქვს ისიც ზოგადი ხასიათისა არის, ამისათვის თვით მოქმედების გეგმასაც შეტევის ამ ხანისათვის საერთო ხასიათი ექნება, ე. ი. გეგმა საერთო სახით უნდა იყოს შედგენილი.

ყოველთვის ასეთი გეგმა უნდა არკვევდეს ორ რამეს: 1) მოქმედების მიზანს დაახლოების ხანაში და 2) საშუალებებს ამ მიზნის მისაღწევად.

I. მოქმედების **მიზანი** დაახლოების ხანაში, როდესაც შემტევ ქვეითი ჯარს არ შეუძლიან მოქმედება არც ცეცხლით და არც ხიშტით — შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, სახელდობრ: რაც შეიძლება ჩქარა მიუახლოვდეთ მოწინააღმდეგეს თოფის ცეცხლის მანძილამდე იმ მიმართულებით, რომელიც უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, რაც შეიძლება შეუმჩნევლად მოწინააღმდეგისათვის და რაც შეიძლება ნაკლებ ზარალით.

II. **საშუალებანი** კი ამ მიზნის მისაღწევად იქნება: 1) შესაფერი მიმართულების არჩევა და 2) წინსვლის შესაფერისად წარმოება.

1) მოწინააღმდეგის პოზიციისაკენ მიმართულებასა და მისავლებისაგან ყველაზედ ხელსაყრელი ჩვენთვის იქნება ის, რომელიც ყველაზედ უფრო მოკლეა, მოხერხებულია წინსვლისათვის და დაფარულია მოწინააღმდეგის თვალთვალისა და ცეცხლისაგან.

კარგი მიმართულების არჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმატებისათვის არა მარტო მოწინააღმდეგესთან დაახლოვე-

ბის ხანაში, არამედ მთელი შემდეგი წინმსვლელობისათვისაც, რადგანაც ეს „არჩევანი, უწინარეს ყოვლისა, გავლენას იქონიებს იმ ზარალის რაოდენობაზედ, რომლითაც შესრულდება ეს წინსვლა. სწორედ ამის გამო, მოწინააღმდეგის პოზიციის მისავლების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა და ეს არის მძიებლებისათვის დაკისრებული უმთავრესი ამოცანათაგანი.

2) შესაფერისი მიმართულების ამოარჩევის შემდეგ, ასეულის მეთაური მოაწყობს წინსვლის წესს, რისთვისაც იგი:

ა) აწყობს და აგზავნის წინ მძიებლებს, მოწინააღმდეგისა და წინმდებარე ადგილის შესახებ ცნობების შესაკრებად;

ბ) უჩვენებს წყობილებას, რომელიც უნდა მიიღოს ასეულმა დაახლოვების ხანაში, და ზომებს წინსვლის დასაცავად;

გ) ოცეულებს უნიშნავს მიმართულებას და ჰნიშნავს მიმართვის ოცეულს;

დ) მოაწყობს მძიმე ტყვიამფრქვევთა ოცეულისა და საავაზნე ორთვალათა წინსვლას;

ე) ჰსაზრავს კავშირის მოწყობას ასეულის გამგზავნ მეთაურთან და მეზობლებთან მარცხნივ, აგრეედვე ღია ფრთების დაცვას მოაგვარებს.

გაირკვევს რა თავისთვის გეგმის ამ ორ ძირითად საფუძველს (მიზანი და საშუალებანი), ასეულის მეთაური ვალდებულია გადასწყვიტოს კიდევ შემდეგი საკითხები:

ა) როგორ გაანაწილოს მართვის ოცეულის ათეულები და

ბ) სად მოაწყოს ვაზნების საწყობი და შემხვევი პუნქტი და სად გაჩერდეს საბარგულე.

მართველობის ოცეულის ათეულები, ჩვეულებრივად, შემდეგნაირად ნაწილდება: 1) საბრძოლო ათეული—რჩება ასეულის მეთაურთან, 2) სასანიტარო ათეული—ნაწილი ინიშნება საშწყობრო ოცეულებში, ნაწილი კი—ასეულის შემხვევ პუნქტზე.

შემხვევი პუნქტი, შეძლების დაგვარად, უნდა მოეწყოს მოწინააღმდეგის ცეცხლის სფეროს გარეშე და მთავარი გზის მახლობლად, რადგანაც შემხვევ პუნქტზე მიმავალი დაჭრილები ინსტიქტიურად ამ გზას გაჰყვებიან. გარდა ამისა, საჭიროა შემხვევი პუნქტი ახლო იყოს წყალზე და ახლო-მახლო შეიძლებოდეს სათბობი და ქვეშ დასაგები მასალისა და თავშესაფარის შოვნა. პირველში შემხვევი პუნქტის მოწყობა უფრო ხშირად იმ ადგილის სიმაღლეზედ მოგვიხდება, სადაც ასეულ-

მა წყობაცვლა მოახდინა ოც-ოცეულად; ბრძოლის განვითარებისას კი, თუ შესაძლებელი იქნება, მას შეუძლიან წინაც წაიწიოს.

ასეულის საბარგულე, სავაზნე ორთვალათა გარდა, ჩვეულებრივად, შემხვევი პუნქტის ახლოს რჩება.

მოძრაობის წესი. როდესაც წინასწარი გახკარგულება გაცემულია და ასეულმა მოძრაობა იწყო, თვითონ ასეულის მეთაური იმყოფება ასეულის დალაგების სათავეში და აწარმოებს ძიებას.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, მოძრაობის მიზანია—მიუახლოვდეს მოწინააღმდეგეს თოფის სროლის მანძილამდე ფარულად, სწრაფად და რაც შეიძლება ნაკლები ზარალით.

ამისათვის ასეული წყობაცვლილობს ოც-ოცეულ წყობილებად, განაგრძობს წინსვლას ერთი საფარიდან მეორემდე და სცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ზარალით და ძალღონის რაც შეიძლება მეტი შენარჩუნებით, მიაღწიოს მომავალ ბრძოლის ხაზს.

რაც უფრო მიუახლოვდება ასეული მოწინააღმდეგეს და რაც უფრო გაძლიერდება ამ უკანასკნელის ცეცხლი, ოცეულები თანდათანობით მიიღებენ ჯერ ათ-ათეულ და შემდეგ ჯგუფ-ჯგუფ წყობილებას; ამასთანავე ტყვიამფრქვევიანი ჯგუფები მიდიან თავში.

ათ-ათეულ წყობილებად გადასვლისას, ეს უკანასკნელნი იძვრიან ან გადგომით ან ჭანდრაკისებურად, დაახლოვებით 80—100 მეტრის (120—150 ნაბ.) ხანებით და 200 მეტრის (300 ნაბ.) მანძილით; ჯგუფები კი გადგებიან 20—25 მეტრის (30—40 ნაბ) ხანებით.

მოძრაობა სწარმოება, რამდენათაც შესაძლებელია, შეუჩერებლივ და ნაბიჯით. მაგრამ ღია ადგილები, სადაც მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლი ძლიერია, ასეულს მოუხდება გადაირბინოს ათეულებით, ჯგუფებით ან სათითოოდ, იმის და მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია ცეცხლი, და ასე დაგროვდეს თანდათანობით საფარების უკან.

მოძრაობა სწარმოებს მძიებლებისა და დამცველი მზვერავების მფარველობას ქვეშ.

საძიებლად იგზავნება არა ნაკლებ საავტომატო ან სატყვიამფრქვევო ერთი ჯგუფისა, სპეციალ მძიებლების მიმატებით; მათ მეთაურად უმჯობესია დაინიშნოს მართველობის ოცეულიდგან მძიებელ ჯგუფის მეთაური. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია მართველობის ოცეულის მძიებელი ჯგუფიც დაინიშნოს მთლიანად ძიებაში.

ძიება იგზავნება ისეთი ანგარიშით, რომ მან მოასწროს შეკრიბოს და მიაწოდოს ასეულის მეთაურს ცნობები მოწინააღმდეგისა და ადგილ-მდებარეობის შესახებ იმ დროსთვის, ვიდრე ასეული შევიდოდეს თოფის შორითი ცეცხლის სფეროში, ე. ი. დაახლოვებით 3—4 კილომეტრის მანძილით წინ. ძიებამ უნდა გამოარკვიოს მოწინააღმდეგის ძალა, მისი დალაგების კედარო და ფრთები, მისადგომები და ის ადგილობრივი საგნები, პუნქტები და რაიონები, რომელიც საჭიროა დაიკავოს ასეულმა ცეცხლითი ბრძოლის საწარმოებლად ნამდვილი მანძილიდან.

რათა პირველი ხაზის ოცეულები დაცული იქმნენ ქვეითი ჯარის მოულოდნელი ცეცხლისაგან ახლო მანძილით და აგრედვე ოცეულების წინსვლის ზოლის გასარკვევად, ყოველი ოცეულიდან იგზავნებიან წინ მზვერავები თოფის ნამდვილი ცეცხლის მანძილზე—დაახლოვებით 400-500 მეტრით (600-800 ნაბ.)

თუ ასეულის მოთავსება არ დაიცვის მეზობლების მიერ, უნდა მიღებულ იქმნეს ზომები ფრთათა დასაცავად, რისთვისაც ოცეულთა წინსვლის ხაზის გვერდებზედ და რამოდენიმედ წინ ისეთი მანძილით, რომ მუდამ სჩანდნენ (200 მეტრამდე—300 ნაბ.), იგზავნებიან მზვერავები. ხოლო თუ ასეული სხვა ნაწილთა შორის არის მოთავსებული, მაშინ ფრთების დაცვა გამოიხატება კავშირის საგუშაგოების დაყენებაში, ძალით 2-3 მებრძოლი.

შეტევის ხანა, მიზანი და საშუალებანი.

მოწინააღმდეგისაგან 2—2½ კილომეტრიდან დაწყებული, ასეული შედის ტყვიამფრქვევისა და თოფის შორითი ცეცხლის სფეროში და იწყება შეტევის ხანა.

შემდეგ მოქმედებას აქაც ისევე, როგორც დაახლოვების ხანაში, საფუძვლად უნდა ედოს: 1) მიზანი, რომელსაც ისახავს შეტევა და 2) საშუალებანი, რომელიც ხელთ აქვს დასახული მიზნის მისაღწევად ასეულს.

I. შეტევის მთავარი მიზანია არა მარტო მიუახლოვდეს მოწინააღმდეგეს იერიშის მისატანად საჭირო მანძილით, არამედ შესაძლებელიც გახადოს თვით იერიში ანუ, ტაქტიკის ენით რომ ვთქვათ, მოამზადოს იერიში.

მაგრამ ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოწინააღმდეგის ძლიერი მხარე—სულის სიმტკიცე, ცეცხლი და რეზერვი ცოტად თუ ბევრად დაყურსებული იქნება. სხვანაირად რომ ვსთქვათ, შეტევის წარმატე-

ბისათვის საჭიროა: 1) მოწინააღმდეგის სულის გაცამტვერება, 2) მისი ცეცხლის შესუსტება და 3) მისი რეზერვის მოცილება იმ ადგილიდან, სადაც დაკვრა მზადდება.

II. რა საშუალებანი აქვს შემტევს ამ ამოცანათა შესასრულებლად?

უმთავრესი და ყველაზედ საშიში შემტევისათვის—მოწინააღმდეგის ზნეობრივი მხარეა. ამისათვის ყოველი ღონისძიება, უპირველეს ყოვლისა, იქით უნდა იყოს მიმართული, რომ შეირყეს მოწინააღმდეგის სულის სიძლიერე და წაერთოს მას სიმშვიდე, რის შემდეგაც შეუსუსტდება მას ცეცხლიც, შემტევის განზრახვების მიხვედრის უნარიც და, მაშასადამე, შესაძლებლობაც რომ თავის დროზედ შეამჭირვოს რეზერვი, სადაც საჭიროა.

ამ მიზნის მისაღწევად შემტევს შეუძლიან გამოიყენოს სამი საშუალება: 1) თვისი ზნეობრივი ძალა, უფრო მაღალი, ვიდრე მოწინააღმდეგისა, 2) მანევრი, რომ დავქსაქსოთ მომგერიებლის ყურადღება, გაუძნელოთ მთავარი დაკვრის ადგილის გამორკვევა და ამით დაუკარგოთ მას სიმშვიდე და თავისი ძალებისადმი რწმენა და 3) ცეცხლი, რომელიც ზარალის მიყენებითა და ზნეობრივი აფორიაქების მოხდენით უსპობს მოწინააღმდეგეს სულის სიმშვიდეს და გულგრილობას.

მოწინააღმდეგის ზნეობრივი სიმტკიცის დარღვევით, ჩვენ, როგორც უკვე ნათქვამი იყო ზევით, იმავე დროს ვასუსტებთ მის ცეცხლსაც. ამისათვის ამ უკანასკნელთან საბრძოლველად გამოსაყენებელია იგივე საშუალებანი, რაც მოწინააღმდეგის ზნეობრივი ძალის შესასუსტებლად, ე. ი. 1) სულის სიმტკიცე, 2) მანევრი და 3) ცეცხლი.

დაბოლოს, უმთავრესი საშუალება, მოწინააღმდეგის რეზერვის მოსაშორებლად იერიშის გადამწყვეტ პუნქტისაგან, არის მანევრი.

ამრიგად, იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც შეტევა ისახავს, შემტევს შეუძლიან მოიხმარონ შემდეგი საშუალებანი: 1) ზნეობრივი ძალა, 2) მანევრი და 3) ცეცხლი.

გავარჩიოთ ყოველი მათგანი ცალ-ცალკე:

ზნეობრივი ძალა. შეტევითი მოქმედების უმთავრესი ზნეობრივი უპირატესობა, როგორც უკვე ვიცით, არის თაოსნობის ჩაგდება ხელში. ეს არის შემტევის უმთავრესი უპირატესობა. ცხადია, სა-

ჭიროა მისი ღირსეულად დაფასება და მეტად ფართოდ გამოყენება.

შეტევითი მოქმედების დაწყებით, ჩვენ ამავე დროს ხელში ვიღებთ მოქმედების თაოსნობას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ჰნიშნავს, რომ იგი შეგვრჩება ჩვენ. სულ ნაკლებად აქტიური მოწინააღმდეგეც კი აუცილებლად შეეცდება გამოგვტაცოს იგი და, თუ ეს მან შესძლო, მაშინ თაოსნობის ხელმეორედ დაბრუნება ჩვენთვის უკვე ძნელი ღა იქნება. ამისათვის საჭიროა ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ **მოქმედების თაოსნობა გამუდმებით ჩვენ გვქონდეს.**

საამისოდ საუკეთესო საშუალება არის **შეუდრეკელი სიმტკიცე მიზნისაკენ მისწრაფებაში, გადამწყვეტი მოქმედება და ძლიერი საერთო რეზერვი,** რომლითაც შესაძლებელი უნდა იყოს ყოველგვარ მოულოდნელობასთან შებრძოლება.

მანევრი. მოწინააღმდეგისათვის გადამწყვეტი დასაკრავად საჭირო არ არის, რომ ერთნაირად ძლიერი ვიყვნეთ მთელი კედაროთი. პირიქით, საკმაოა მტერზედ ძლიერი ვიყვნეთ „დაკვრის წერტილსა და დაკვრის წამს". ეს, რასაკვირველია, არა ჰნიშნავს, რომ მხოლოდ გადამწყვეტი პუნქტის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ შეტევა, რადგანაც ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე არ დააყოვნებს მოხსნას ჯარები იმ უბნებიდან, რომლებსაც საფრთხე არ მოელით, და შეამჟიდროვოს ჩვენი დაკვრის წინააღმდეგ.

ცხადია, რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა მოწინააღმდეგის ყურადღება მივაქციოთ მთელ კედაროზე, ყველგან დავაბანდოთ იგი პოზიციაზედ და ამავე დროს, მის და შეუმჩნევლად გადამწყვეტი უბნის წინააღმდეგ შევამჭიდროვოთ ძლიერი ძალები.

ასეთი უბანი იქნება მოწინააღმდეგის პოზიციის ან ყველაზედ მნიშვნელოვანი, ან არა და ყველაზედ ადვილი მისადგომი პუნქტი. უფრო ხშირად ასეთი უბანი მოწინააღმდეგის პოზიციის ფრთაზედ იქნება, რადგანაც კედაროთი შესაძლებელია მეტად დიდი დაბრკოლებანი გადაგვეღობოს იერიშისათვის.

დაკვრის წარმატებით წარმოებისთვის საჭიროა არა მარტო შევამჭიდროვოთ გადამწყვეტი პუნქტის წინააღმდეგ უფრო ძლიერი ძალები, არამედ უნდა ვეც დნეთ აგრედვე მოვაცილოთ ამ პუნქტს მოწინააღმდეგის რეზერვის ერთი ნაწილი მაინც.

საუკეთესო საშუალება საამისოდ არის შემოვლა და მოვლა.

შემოვლა და მოვლა ეწოდება ისეთს მანევრს, როდესაც კედაროთი მომქმედი ჯარებიდან გამოიყოფა ერთი ნაწილი, მოწინააღმდეგის ფრთაზედ ან ზურგში დასაკვრელად.

ემუქრება რა მოწინააღმდეგის დალაგების ყველაზედ მგრძნობიარე ადგილს, როგორც ცეცხლით, ისე ხიშტით, ეს მანევრი მძიმე ზნეობრივ შთაბეჭდილებას ახდენს მოწინააღმდეგზედ და თავისაკენ მიიზიდავს მის ყურადღებასა და რეზერვს.

შემოვლასა და მოვლას შორის შემდეგი განსხვავებაა: შემოვლა სწარმოებს მნიშვნელოვანი მანძილით კედაროთი მომქმედ ნაწილებისაგან, მოწინააღმდეგის ცეცხლის სფეროს გარეშე და ხშირად ბრძოლის ველის გარეშეც კი. მოვლა კი სწარმოებს დანარჩენ ჯარებთან უშუალო კავშირით.

შემოვლას უფრო ღრმად შეუძლიან შეიკრას მოწინააღმდეგის ფრთით ან ზურგში და, მაშასადამე, მძლავრ ზნეობრივ შთაბეჭდილებას მოახდენს მასზედ; სამაგიეროდ, სპისაგან ჩამოშორების გამო, შემომვლელი ნაწილი შესაძლებელია ცალკე იქმნეს დამარცხებული და ამისათვის შემომვლელი ნაწილი მნიშვნელოვანი ძალებისაგან უნდა შესდგებოდეს; მოვლა კი შესაძლებელია აწარმოოს მცირე ნაწილმა, რამდენიმე კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმაც კი.

ამის გამო, შემოვლას გამოიყენებენ მხოლოდ მსხვილი სპები (ლეგიონი), **მოვლა კი შეიძლება და საჭიროც არის გამოიყენოს ყოველგვარი ძალის სპამ, ასეულსა და ოცეულამდე ჩათვლით.**

ძალების სიმცირე, რომლითაც შესაძლებელია მოვლის წარმოება, ნებას გვაძლევს მანევრი განვავითაროთ მოწინააღმდეგის ორივე ფრთის წინააღმდეგ, როდესაც კი ეს უკანასკნელნი საკმარისად იქნებიან გამორკვეული შეტევის ხანაში.

ცეცხლი. ცეცხლის სიმარჯვით წარმოების მხრივ, შემტევი გაცილებით უარეს პირობებში იმყოფება, ვიდრე მომგერიებელი, სახელდობრ:

1) შემტევმა, მეტ შემთხვევაში ნაკლებად იცის ადგილ-მდებარეობა, რომელზედაც მას მოქმედება უხდება, და მანძილებიც.

2) შემტევი, ცეცხლის გარდა, აწარმოებს კიდევ უფრო მძიმე სამუშაოს, წინსვლისა და გადარბენის სახით; დაქანცუ-

ლობა კი არ დააყოვნებს და უსათუოდ შეამცირებს მისი ცეცხლის სინამდვილეს.

3) შემტეევი ძალა-უნებურად იძულებულია დაენახოს მოწინააღმდეგეს და წარმოადგენდეს მისთვის ხელსაყრელ მიზანს.

4) მოწინააღმდეგე კი, პირიქით, კარგად არის დაფარული ადგილ-მდებარეობითა და სანგრებით; დიდი მანძილით იგი თითქმის არავითარ მიზანს არ წარმოადგენს და მხოლოდ 800—600 მეტრის (1200—800 ნაბიჯი) მანძილით ეძლევა შემტეევ მსროლელს შესაძლებლობა, კარგად გაარჩიოს სანგრებს ზემოდან მოწინააღმდეგის თავი და სათოფურები.

5) დაბოლოს, ვაზნების შევსება შეტევის დროს გაცილებით ძნელია, ვიდრე მოგერიებს დროს.

ცეცხლის წარმოების ეს არა ხელსაყრელი პირობები ცხადად უჩვენებს შემტეევს, რომ მსუბუქი ტყვიამფრქვეევებისა და თოფის მასიური ცეცხლი, ე. ი. ასეულის სასროლო საშუალებათა ცეცხლი, 2,5—2 კილომეტრიდან 800 მეტრამდე მანძილით მოწინააღმდეგისაგან (2,5 ვერს.—1200 ნაბ.) ნაკლები სინამდვილისაა; მისი წარმოება, ვერ მიაყენებს მოწინააღმდეგეს სერიოზულ ზარალს და მხოლოდ ვაზნების უშედეგოთ ხარჯვასა და ასეულის შეტევის აღტყინების შენელებას გამოიწვევს.

ამისათვის ამ ხანაში ბრძოლის მთელი სიმძიმე უნდა დაეკისროს მძიმე ტყვიამფრქვეევებს, რომლებიც, მისდევენ რა თან ასეულს, ესვრიან მოწინააღმდეგეს ბრძოლის სულ უკანასკნელ წამამდე, ე. ი. იერიშამდე.

ამ ხანაში ცეცხლის მართვა იმყოფება ასეულის მეთაურის ხელში, რომელიც აწყობს ბრძოლის ველის თვალთვალს და ასეულის ვაზნებით შევსების წესს.

თანდათანობით, რაც უფრო წინ იწევს ასეული, სროლის გარემოება თანდათან შეიცვლება უკეთესობისაკენ, რადგანც მიზანი უფრო და უფრო ნათლად დაიწყებს გამოჩენას და ასეულს შესაძლებლობა მიეცემა თავისი ცეცხლითი საშუალებანიც ჩაჭრიოს საქმეში. თუ რა მანძილიდან შეძლებს ასეული თავისი ცეცხლითი საშუალებების გამოყენებას, ამის სისწორით გამორკვევა შეუძლებელია, რადგანაც იგი ისეთ ცვალებად მოვლენებზედ არის დამოკიდებული, როგორიც არის ადგილ-მდებარეობა, მოწინააღმდეგის ცეცხლის ძალა და შემტეევ ქვეითი ჯარის სიმამაცე: რაც უფრო უსწორ-მასწოროა ადგილ-მდებარეობა, რაც უფრო სუსტია მოწინააღმდეგის ცეცხლი, ხოლო შემტეევი ქვეითი ჯარის საბრძოლო მომზადება

კი მაღლა სდგას, მით ეს მანძილიც უფრო ახლო იქნება მოწინააღმდეგესაგან.

დაახლოვებით კი ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც ასეული შევა მოწინააღმდეგის თოფისა და ტყვიამფრქვევის ნამდვილი ცეცხლის სფეროში, ე. ი. დაახლოვებით 800 მეტრით (1200 ნაბ.) მისგან.

აქ მძიმე ტყვიამფრქვევია ცეცხლს მსუბუქი ტყვიამფრქვევებიც ემატებიან, ხოლო 600 მეტრიდან კი შესაძლებელი ხდება აგრეთვე თოფის სათითოო ცეცხლის და ასეულის საუკეთესო მსროლელთა გამოყენება.

ბრძოლის ამ ხანაში ცეცხლის მართვა გადადის ოცეულების მეთაურთა ხელში, რომელნიც თავის ოცეულებს უყენებენ დამოუკიდებელ ამოცანას, აწყობენ ბრძოლის ველის თვალთვალს და იღებენ ზომებს ოცეულების ვაზნებით შევსებისათვის.

შემტევისათვის ცეცხლითი შეჯიბრების საბოლოო მიზანი უნდა იყოს უპირატესობის მოპოვება მოწინააღმდეგის ცეცხლზედ, რისთვისაც, გარდა პირველი ხაზის ტყვიამფრქვევებისა, საქმეში უნდა იქმნენ ჩაბმული აგრედვე ოცეულისა და ასეულის რეზერვების ტყვიამფრქვევები, რომელნიც ისვრიან საბრძოლო ნაწილის ხანგრძლივ, რის შესაძლებლობასაც გვაძლევს ასეულის ღრმა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი საბრძოლო წესი.

რასაკვირველია, იმის იმედით, რომ შემტევი შესძლებს ადვილად მოიპოვოს გადამწყვეტი უპირატესობა მომგერიებლის ცეცხლზედ, მეტად ძნელია რადგანაც ცეცხლის წარმოების პირობები აქაც უთანასწორო რჩება ორივე მხრისათვის. მაგრამ დროებითი უპირატესობის მოპოვება ცეცხლის წარმოებაში მუდამ შესაძლებელია და აუცილებელიც.

ეს წარმატება შესაძლებელია სულ მოკლე ხანს გაგრძელდეს; ვაზნებით შევსებას, დამხმარე ნაწილების მიშველებას და სხვ. შეუძლიანთ ეს უპირატესობა ისევ მომგერიებლის მხარეს გადაიტანონ, მაგრამ ენერგიული შეტევისათვის ცეცხლის რამდენიმე წამით შესუსტებაც კი საკმარისი იქნება მოწინააღმდეგისაკენ წინ წასაწევად.

300 მეტრის (450 ნაბ.) მანძილით ასეული შედის მოწინააღმდეგის ნამდვილი ცეცხლის სფეროში და აქედან იწყება ცეცხლითი საშუალო ბრძოლა მასთან.

გარდა მძიმე და მსუბუქ ტყვიამფრქვევებისა, ცეცხლით ბრძოლაში ებმიან პირველი ხაზის მსროლელი ჯგუფებიც, მთელი თავისი ცეცხლითი საშუალებებით.

ცეცხლის მართვა გადადის ათეულთა მეთაურების ხელში და ასეულის მთელი ცეცხლითი საშუალებანი უმაღლეს წერტილამდე უნდა იქმნეს აყვანილი.

მოწინააღმდეგესთან თანდაათან დაახლოებაში, მძიმე ტყვიამფრქვევები იკავებენ ყველაზედ უფრო ხელსაყრელ პოზიციებს და აწარმოებენ ცეცხლს შემტევ ჯგუფთა შორის გაჩენილი შორისებით, სოლო როდესაც შესაძლებელია თავისიანების თავზეითაც, რითაც უზრუნველჰყოფენ ცეცხლის შეუწყეტლობას. მსუბუქი ტყვიამფრქვევები სცდილობენ ისეთი მდგომარეობა დაიკავონ, რომ მოწინააღმდეგე გამოთოფონ ჯვარედინი ცეცხლით.

შემტევის მთელი ყურადღება ამ ხანაში მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ, მის განკარგულებაში მყოფ ცეცხლის ყოველგვარ საშუალებათა, ე. ი. ტყვიამფრქვევები, თოფები და გრანატის მტყორცნელნი, საკუთარ გამოყენებით და ცეცხლის უმაღლეს წერტილამდე აყვანით, დასთრგუნოს მოწინააღმდეგის ცეცხლი და ამით საშუალება მისცეს ასეულის საბრძოლო წყობილებას დაჯგუფდეს იერიშის დასაწყის ხაზთან.

შეტევის მსვლელობა.

მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევისა და თოფის შორით ცეცხლის სფეროსთან მიახლოებისას, ე. ი. დაახლოებით 2—2,5 კილომეტრის მანძილით მისგან, ყოველთვის ასეული უნდა გაიშალოს საბრძოლო წესით, ხოლო მძიმე ბელი დასები და მზვერავები, უკუაქცევენ რა მოწინააღმდეგის მოწინავე ნაწილებს, უნდა სცდილობდნენ დაიპყრან ისეთი მნიშვნელოვანი ხაზები და პუნქტები, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ასეულის შემდეგი წინსვლას.

გამოირკვევს რა პირადი მოხილვით მოწინააღმდეგის დაახლოებით დალაგებას, ავრედვე მიიღებს რა ამის შესახებ ცნობებს თვისი მძიებლებისაგან, ასეულის მეთაური ადგენს მოქმედების გეგმას, აირჩევს მთავარი დაკვრის პუნქტს, მოაწყობს ბრძოლის ველის დათვალთვალების წარმოებას, ანაწილებს ასეულის საბრძოლო ნაწილად და რეზერვად დააწესებს ასეულის ვაზნებით შევსების ჯერს და აცნობებს ამას თავის ასეულს, რომელშიაც ამის გარდა აღნიშნული უნდა იყოს 1) ცნობები მოწინააღმდეგის შესახებ, 2) მოქმედების მიზანი, 3) წინსვლის მიმართულება, 4) დაცვით ზომები, 5) კავშირის მოწყობა და ადგილი, სადაც უნდა გაიგზავნოს დასმენანი, ე. ი. ადგილი, სადაც იქნება ასეულის მეთაური, 6) ვაზნების საწყობის ადგილი, 7) შემხვევი პუნქტის ადგილი, 8) ჩვენი არტილერიის

პოზიცია, საბარგულის ადგილი და 9) მოადგილენი—არა ნაკლებ ორისა.

დაუყენებს რა ოცეულებს დამატებით ამოცანებს და მიჰმართავს რა მათ მოწინააღმდეგის პოზიციის შესაფერ უბნებისადმი, ასეულის მეთაური აძლევს ამოცანას მძიმე ტყვიამფრქვევებს, უჩვენებს მათ დალაგების წესსა და გამოსათოფავ მიზნებს და ჰხელმძღვანელობს მათ მოქმედებას თვითონ ან თანაშემწის შემწეობით.

ამოცანის მიღებისათანვე მძიმე ტყვიამფრქვევები ასტეხავენ ცეცხლს, რომლის მფარველობის ქვეშ ასეული წინ იწევს მთელი საბრძოლო წესით.

ოცეულები, ათეულები და ჯგუფები, დამატებით მიღებულ ამოცანათა მიხედვით, იწევენ წინ ერთი საფარიდან მეორემდე, ადგილ-მდებარეობასთან შეფარდებით.

ადგილ-მდებარეობის ხასიათისა და მოწინააღმდეგის ცეცხლის სიძლიერის მიხედვით, წინსვლა შეიძლება სწარმოებდეს ნაბიჯით ან რბენით ათეულებით, ჯგუფებით, ხოლო სადაც ცეცხლი ძლიერია ცალკე მებრძოლებითაც.

თოფის ნამდვილი ცეცხლის სფეროში შესვლისათანავე, ე. ი. 800 მეტრის (1200 ნაბ.) მანძილით, მოწინააღმდეგესთან ცეცხლითი ბრძოლისათვის ასეული წინ წასწევს თავის მსუბუქ ტყვიამფრქვევებსაც და ამრიგად ასეულის შემდეგი წინსვლა შესაძლებელია სწარმოებდეს, მხოლოდ მოწინააღმდეგის ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ, მძიმე და მსუბუქ ტყვიამფრქვევებით.

მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევები ერთმანეთს ეხმარებიან, ნახტომებით მიდიან წინ ერთ ადგილიდან მეორეზე და თავისი ცეცხლით გზას უკაფავენ ასეულის საბრძოლო წესს.

მსროლელთა ჯგუფები, რომელნიც ჯერ კიდევ მონაწილეობას არ იღებენ ცეცხლითი ბრძოლაში, განაგრძობენ მოძრაობას მეორე ხაზით. ოცეულთა და მძიმე ტყვიამფრქვევთა წესიერ წინსვლას ჰხელმძღვანელობს ჯერ ისევ ასეულის მეთაური, რომელიც საბოლოოდ ირჩევს მთავარი დაკვრის პუნქტს და, დაუპირისპირებს რა ამ პუნქტს რეზერვს, განუწყვეტლივ ათვალთვალებს ბრძოლის ველს.

მძიმე ტყვიამფრქვევებისათვის ახალი ამოცანების მიცემისას, თვალყურს ადევნებს, რომ ეს უკანასკნელნი რაც შეიძლება იშვიათად იცვლიდნენ პოზიციებს, რათა მათი ცეცხლი იყოს უფრო ნამდვილი და განუწყვეტელი.

ათეულები და ჯგუფები წინსვლას განაგრძობენ ათეულებითა, ჯგუფებითა ან სათითოო გადარბენით ერთი საფარიდან მეორემდე და ადგილ-მდებარეობის კლარჯულების კარგი გამოყენებით.

მძიებელთა დასები და მზვერავნი განაგრძობენ მოწინააღმდეგის დალაგების წინ მდებარე მნიშვნელოვანი ხაზებისა და პუნქტების დაპყრობას; ასეულის თანდათანობით წინ წაწევისას ისინი გადადიან ღია ფრთაზედ, საიდანაც აწარმოებენ მოწინააღმდეგის მოქმედების თვალთვალს და სცდილობენ შეიჭრან მის მოთავსების ალაგას.

უშუალო დაცვისათვის გაგზავნილი მზვერავნი თანდათანობით უერთდებიან თავის ნაწილებს.

მოწინააღმდეგისაგან 300 მეტრის (450 ნაბ.) მანძილით დაწყებული, ე. ი. მოწინააღმდეგის თოფის ახლო ცეცხლის სფეროში, მძიმე და მსუბუქ ტყვიამფრქვევთა ცეცხლითი ბრძოლას უერთდებიან ავტომატები და პირველი ხაზის მსროლელი ჯგუფებიც და ასეულის შემდეგი შეტევა შესდგება წინსვლისა, თოფისა, ავტომატისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლის შეთანხმებული მოქმედებისაგან. წინსვლის მართვა გადადის ათეულთა მეთაურების ხელში.

თანდათანობით წინ წაწევასთან ერთად წინ იწევს ასეულის საბრძოლო წესის სიღრმეც, ე. ი. თანდათან მცირდება მანძილი საბრძოლო წესის ნაწილთა შორის.

ოცეულთა მეთაურნი, ასეულის მეთაურის ჩვენებით, საბოლოოდ ირჩევენ იერიშის პუნქტებს და საბოლოოდ მიჰმართავენ ამათკენ ათეულებს.

შეტევის მაჯის ცემა აჩქარდება, რადგანაც ზედმეტ შეგვიანებასა და შეჩერებას მოწინააღმდეგის გამანადგურებელ ცეცხლის ქვეშ მხოლოდ ზარალის მომატება მოსდევს.

გადარბენა ხდება სათითოო ან კიდევ ჯგუფთა მცირე ნაწილებით. დამხმარე ნაწილები უერთდებიან საბრძოლო ხაზს. ასეულის რეზერვი მიიწევს მთავარი შეხლის პუნქტისაკენ.

თვითეული მსროლელი, ტყვიამფრქვევები და ათეულის და ჯგუფის პატარა ნაწილები, ადგილ-მდებარეობის კლარჯულების მოფარებით, იკრიბებიან იერიშის დასაწყის ხაზთან.

ფრთაზედ მომქმედი ასეულის ძიება დახმარებას უწევს უახლოეს ოცეულს გვერდისებური ან ალმაცერი ცეცხლით.

ყოველგვარი ცეცხლი თავის უკიდურეს განვითარებას აღწევს და მსროლელთა ჯგუფები, შეუგვიანებლად, გადადიან იერიშზე.

იერიში. იერიშის მოხდენის პირობები.

იერიში, ანუ ხიშტით კვეთება, ყველაზედ უფრო მრისხანე და ნამდვილი იარაღია ქვეითი ჯარის ხელში. იერიში სწყვეტს ბრძოლის ბედს და ის წამები, როდესაც იგი სწარმოებს, საბრძოლო მოქმედების მეტად მნიშვნელოვან ხანას წარმოადგენენ.

ხიშტით კვეთების ასეთი დიდი მნიშვნელობის მიზეზები წმინდა მორალურია. იერიშზედ მიმავალ ნაწილისათვის მხოლოდ ორი გამოსავალი არსებობს: გამარჯვება ან სიკვდილი. ის კაცი კი, რომელმაც გადასწყვიტა ან გაიმარჯვოს და ან მოკვდეს, სწორედ ამ გადაწყვეტილებით არის საშიში, რადგანაც არ არის ისეთი ძალა, გარდა სიკვდილისა, რომელსაც შეეძლოს მისი შეჩერება.

ეს საშიშარი ზნეობრივი ძალა საგრძნობია მაშინვე, როდესაც ნაწილი მიდის იერიშზედ. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ხიშტით კვეთება ორპირი იარაღია: მას მოსდევს გამარჯვება, მაგრამ სხვა პირობებში მასვე მოსდევს დამარცხება, ამასთანავე ეს დამარცხება დაკავშირებულია მძიმე ზარალთან; გარდა ამისა იერიშზე გაგზავნილ ნაწილს ველარც დააბრუნებ და ვერც მიმართულებას შეუცვლი.

ამისათვის, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამორკვევას, თუ რა პირობები არის საჭირო ბრძოლის ამ გადამწყვეტ აქტის წარმატებისათვის.

I. უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ იერიში შესაფერისად იყოს მომზადებული, ე. ი. შერყეული იყოს მოწინააღმდეგის სულიერი სიმტკიცე, შესუსტებული იყოს მისი ცეცხლი და მოცილებული იყოს რეზერვი გადამწყვეტი პუნქტისაგან.

ზევით უკვე იყო ნათქვამი, თუ რა საშუალებანი აქვს საამისოდ შემტევს, სახელდობრ: თოფსნობა, ცეცხლი და მანევრი.

მაგრამ არის კიდევ ერთი საუკეთესო საშუალება, სახელდობრ: მოულოდნელობა. ეს საუკეთესო საშუალებაა იერიშის მოსამზადებლად, რადგანაც იგი დასთრგუნავს მოწინააღმდეგის ზნეობრივ მხარეს.

სამწუხაროდ მისი სრულად განხორციელება იშვიათად არის შესაძლებელი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, რადგანაც მას დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს, საჭიროა მუდამ ცდა, რომ შემტევის მოქმედებაში რამოდენიმედ მაინც ჰქონდეს მას ადგილი; რაც მეტი პროცენტი იქნება მოულოდნელობისა, მით მეტი იმედია წარმატებისა.

მოულოდნელობის განხორციელებას იერიშის დროს ხელს უწყობს დაფარული მისვლები, ღამე, ჯანღი, ქარბუქი, ძლიერი ქარი მოწინააღმდეგისკენ მჭოლავი და სხვა

იერიშის მომზადებას უნდა მივაკუთნოთ აგრეთვე დაწვრილებითი ძიება ადგილ-მდებარეობის ზოლისა, რომელიც უნდა გაიაროს შემტევმა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის გამორკვევას, არის თუ არა მოწინააღმდეკის პოზიციის წინ ხელოვნური დაბრკოლებანი, ნაღმები, ძნელად გასავლელი ზღუდეები. თუ ასეთები აღმოჩნდა, საჭიროა წინასწარად გაფრთხილება მებრძოლებისა და ზომების მიღება მათ დასაძლევად.

II. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოხერხებული წამის არჩევას იერიშის დასაწყებად.

ყველაზედ უკეთესია, რასაკვირველია, მტერს ვეკვეთნეთ მოულოდნელად, როდესაც არ მოგველის. თუ ეს არ მოხერხდა, საჭიროა ისეთი წამის არჩევა იერიშის დასაწყებად, როდესაც მოწინააღმდეგეს ეჩნევა სულით დაცემა (ნიშნები: ნაკლები სინამდვილის ცეცხლი, თითო-ოროლა მებრძოლი იწყებს საბრძოლო ხაზის მიტოვებას და სხვ.), ან როდესაც რაიმე არევ-დარევა მოუხდა, მაგალითად, მეხტის ყუთის ან თოფის წამლის სარდაფის აფეთქება, ჩვენი ყუმბარის წარმატებითი გასკდომა და სხვ.

III. რაკი იერიში მომზადებულია და მისი დაწყების წამიც კარგად არის არჩეული, საქმის შემდეგი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზედ, თუ რამდენად მტკიცეა მოიერიშის გადაწყვეტილება ეკვეთოს მტერს ხიშტით და ბოლომდის მიიყვანოს საქმე. მეტად საჭიროა, რომ იერიშის დასაწყის ხაზთან მისვლისას მეომრებს შერჩეს ზნეობრივი და ფიზიკური ენერგიის თადარიგი; თუ შეტევის დროს მათ ეს თადარიგი დაკარგეს, მაშინ მათი იერიშზედ წაყვანა მეტად ძნელი საქმე იქნება.

ცხადია, რომ რაც უფრო ენერგიულადა და ცოცხლად მიმდინარეობდა შეტევა, რაც უფრო ნაკლებ შეიგვიანებს მეომარნი იერიშის დასაწყის ხაზზედ, მით უფრო ძლიერი იქნება წინსვლის ინერცია და მით უფრო ადვილი იქნება მათთვის მტკიცე გადაწყვეტილების მიღება იერიშზედ გადასასვლელად.

ხალხის აყენება იერიშისთვის — ეს ამის ყველაზედ მნიშვნელოვანი და ყველაზედ მძიმე მოვალეობაა მეთაურისა ამ კრიტიკულ წამებში.

რაც უფრო მჭიდროდ არის შეკავშირებული ნაწილი, რაც უფრო მჭიდრო ზნეობრივი კავშირია მეთაურსა და ხელქვეითს შორის, რაც უფრო დიდია თავისი მოვალეობის შეგნება მებრძოლის მხრივ, მით უფრო ადვილია მებრძოლთა წამოყენება და თან გაყოლება. საამისოდ საუკეთესო საშუალება—პირადი მაგალითია. საყვარელ და გამბედავ მეთაურს ჩვენი მებრძოლი ყველგან გაჰყვება.

შერეული ან და სახელდახელოდ შედგენილი ნაწილები, სადაც მეომარნი არ იცნობენ მეთაურებს, ხოლო მეთაურნი მებრძოლთა, მოკლებული არიან ამ უძლიერეს სტიმულს. საერთოდ კი, ძნელია რაიმე სწორი ჩვენების მიცემა, თუ როგორ ააყენოს ხალხი საიერიშოდ. ყველაფერი დამოკიდებულია მეთაურთა მოხერხებასა და სიმამაცეზე, ნაწილის სულიერ განწყობილებასა და გარემოების სხვა მოვლენებზე.

IV. რაკი ერთი დაიძრება ჯარი საიერიშოდ, საჭიროა წინ მიიწევდეს შეუჩერებლივ, რბენით, რათა რაც შეიძლება ნაკლებ ხანს დარჩეს იგი მოწინააღმდეგის გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ.

ყოველ შეგვიანებას წინსვლელობაში მოჰყვება დიდი ზარალი. საჭიროა ჩაუნერგოთ მებრძოლთ აზრი, რომ რაკი გადავიდნენ იერიშზედ, აუცილებლად, და რადაც არ უნდა დაჯდეს, უნდა მიაღწიონ მტერს; წინსვლას უფრო ნაკლები ზარალი მოჰყვება, ვიდრე შეჩერებას; უკან დახევა ხომ—უფრო უარესია. გამობრუნებულ ნაწილს აუცილებელი დაღუპვა ელის.

V. იერიშის წარმატებით დამთავრებისათვის მეტად მნიშვნელოვანი პირობა არის—მედგრობა და სიმტკიცე მისი წარმოების დროს; ხშირად ერთი დარტყმით ვერ მივაღწევთ მიზანს, საჭიროა მისი განმეორება მაშინვე და იმ დრომდე, ვიდრე მოწინააღმდეგე ძლეული არ იქნება.

მაგრამ ამისათვის, გარდა მეთაურთა და მებრძოლთა ენერგიისა, საჭიროა კიდევ ეშელონებით დაწყობილი სიღრმეზედ რეზერვები, რომლებიც მისცემენ ძალას და ბიძგს ახალი დაკვრისთვის.

VI. დაბოლოს, იერიშის წარმატებისათვის მეტად მნიშნელოვანია, რომ ნაწილმა ან და მებრძოლთა ჯგუფმაც კი, რომელმაც მოახერხა მოწინააღმდეგის პოზიციაზე შეჭრა, მაშინვე აღმოუჩინოს დახმარება მოიერიშეებს თავისი ხიმტით ან გვერდითი და ზურგის ცეცხლით მტრის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ მაგრდება პოზიციაზედ; სხვანაირად რომ ვსთქვათ,

ყველაზედ უფრო მეტად ეხლა, ვიდრე როდესმე, საჭიროა ურთი-ერთ დახმარების პრინციპის გამოყენება.

ამრიგად იერიშის წარმატებისათვის უნდა შესრულებული იყოს შემდეგი პირობები: 1) მოულოდნელობა, 2) მოხერხებული წამის არჩევა, 3) მტკიცე გადაწყვეტილება ბოლომდე იყოს იერიში მიყვანილი, 4) სისწრაფე და შეუწყვეტლობა, 5) ურყევი ბედგრობა მიზნის მიღწევაში და 6) ურთი-ერთ დახმარება.

იერიშის წარმოება. თეორიით შეუძლებელია განისაზღვროს როდის თავდება შეტევა და როდის იწყება იერიშის ხანა; შესაძლებელია მხოლოდ ითქვას, რომ, მიუხედავად მანძილისა, რომლითაც დაუახლოვდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგენი, იერიში უნდა იწყებოდეს იმ დროიდან, როდესაც მოქმედების მიზნისა, გარემოებისა და უკვე მიღწეულ შედეგების მიხედვით—დადგა ჟამი ხიშტით კვეთებისათვის, ან როდესაც საგრძნობლად შეირყა მოწინააღმდეგის ზნეობრივი ძალა.

ამ წამის შემჩნევა—ასეულის მეთაურის თვალზომისა და დახელოვნების ხვედრია.

იაპონიის ომამდე ითვლებოდა, რომ იერიშზედ გადასვლა შესაძლებელია 200—260 მეტრის (300—400 ნაბ) მანძილით მოწინააღმდეგისაგან. მაგრამ გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ეს მანძილი მეტად დიდია დ მისი ერთი მუქარით გადარბენა ხიშტით კვეთებისათვის მოწინააღმდეგის გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ თითქმის შეუძლებელი საქმე გახდა. ამისათვის უნდა მივიღოთ, რომ იერიშის დასაწყისი ხაზი იქნება 100-130 მეტრის (150—200 ნაბ.) მანძილით მოწინააღმდეგისაგან.

ერთდროული იერიში მთელი ასეულით ძალიან სასურველია, მაგრამ მოწინააღმდეგის თანამედროვე ცეცხლის ქვეშ მჭიდრო წყობილებების დაჯგუფება იერიშის წინ შეუძლებელია და ამ-სათვის იერიშს აწარმოებენ დამოუკიდებლად ჯგუფები და ათეულები პირდაპირ თავის წინ და იმ სახით, რა სახითაც მიუახლოვდნენ იერიშის დასაწყის ხაზს. ხელჩართული ბრძოლის შიშს აღრევა შეაქვს მოწინააღმდეგის რიგებში უფრო ადრე, ვიდრე მას ნამდვილად ეკვეთებიან ხიშტით, და საადვილო დავლად ჰხდის მოიერიშესათვის ან დაოტებულ იქმნება. მხოლოდ ცალკე დასაყრდნობ პუნქტებსა და წინააღმდეგობის კოკონებს, რომელნიც სავსებით-კარ იყვნენ ძლეულნი მოიერიშეს ცეცხლისა, შეუძლიანთ გამოიჩინონ მედგრობა, მაგრამ მათი წინააღმდეგობის მოსპობაც

თან სდევს საერთო გამარჯვებას; მათთან მახლობლად მისული მსროლელნი იერიშს მიიტანენ ხელის გრანატების დაყრით.

ქვეითი ჯარის იერიშზე გადასვლისას ძძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევები რჩებიან თავის უკანასკნელ პოზიციაზე და უკანასკნელ შესაძლებლობამდე განაგრძობენ ძლიერ ცეცხლს მოიერიშე ჯგუფთა შუა მდებარე ხანებით.

მეზობელი საბრძოლო უბნები რამდენადაც კი შესაძლებელია დიდ და ყოველმხრივ დახმარებას უწევენ მოიერიშეთ ფრთის გასწვრივი და ჯვარედინი ცეცხლით.

იერიშის დამთავრებისათანავე, მსუბუქი ტყვიამფრქვევები დაუყოვნებლივ მიუახლოვდებიან მოიერიშეთ, ხოლო მძიმე ტყვიამფრქვევებს თავისი ცეცხლი გადააქვთ მომდინო რეზერვებსა და ოტებულ მტერზე.

მოქმედება იერიშის შემდეგ.

1) **დევნა და დაპყრობილ პოზიციების განმტკიცება.** წარმატებით წარმოებული იერიში უნდა დამთავრდეს მოწინააღმდეგისაგან წართმეულის განმტკიცებით.

დევნა უნდა სწარმოებდეს მაშინვე იერიშის შემდეგ, მთელი პოზიციის ხელში ჩაგდებამდე, და უნდა იყოს გულადი და მედგარი, რადგანაც მხოლოდ ასეთი დევნით შეიძლება, მოიერიშის დამკვიდრება დაპყრობილ პოზიციებზე და მიღწეული წარმატების განვითარება.

მოიერიშის ყოველი ჯგუფი მოწინააღმდეგეს სდევნის სრულიად დამოუკიდებლად და შეუჩერებლივ და არ უყურებს მეზობლებს; ჯგუფთა შეთანხმებული ერთი-ერთ მოქმედება კი თავისთავად მიღწეული იქნება წინსვლის საერთო მისწრაფებით.

თუ მდევნელი ნაწილები თავის გზაზედ წინააღმდეგობის ახალ კოცობებსა და ზღუდეებს წააწყდებიან, მედგრად უნდა ეკვეთნენ მათ, საამისოდ ზევიდან ბრძანების მოუცდელად. ამ შემთხვევაში მეტად გამოსაყენებელია ხელის გრანატები.

რეზერვები და ხელახლა ბრძოლებელი მსარდამჭერნი სწრაფად წაიწევიან დაპყრობილ ხაზზედ და განავითარებენ გამარჯვებას ფრთების მიმართულებით. შემდეგი ტაქტიკური დევნა კი მოეწყობა უფროს მეთაურთა განკარგულებით.

მოიერიშე ბატალიონ მზად უნდა იყოს მოწინააღმდეგის კონტრ-იერიშზედ გადმოსვლისათვის, რისთვისაც მოსულ რეზერვებს, რომელნიც დევნაში მონაწილეობას არ იღებენ, მოსაგერიებლად გამოსადეგ მდგომარეობაში მოჰყავთ დაპყრობილი უბნები, ე. ი. განამტკიცებენ მათ.

2) **მოქმედება წაგებული იერიშის შემდეგ.** წაგებული იერიში კრიტიკულს მდგომარეობაში აყენებს მოიერიშეს. ამისთანა შემთხვევაში მოიერიშის პირველი საზრუნავი უნდა იყოს, შესაძლებლობა არ მისცეს მოწინააღმდეგეს განავითაროს თავისი გამარჯვება და, შეაჩერებს რა მის შემოტევას თავის ძალების ნაწილით, დანარჩენი დასწიოს რამოდენიმედ უკან და მოიყვანოს წესრიგში. ამოცანა მეტად ძნელი შესასრულებელია, რადგანაც ხიშტით ბრძოლაში დამარცხებას დიდი არევ-დარევა შეაქვს მებრძოლებში.

თუ იერიში წაგებულია, ასეულის უკანსკნელ უნდა დაიფაროს მძიმე ტყვიამფრქვევებისა და აგრეთვე იმ მსუბუქ ტყვიამფრქვევების ცეცხლით, რომელნიც შემთხვევით ჩამორჩენილი იყვნენ.

რათა ასეულს მიეცეს დრო აღადგინოს წესრიგი, ტყვიამფრქვევები უხვდებიან რა ცეცხლით კონტრ-მოიერიშეს ქვეითი ჯარს და აქარწყლებენ რა მის ცეცხლს, მუდამ მზად უნდა იყვნენ მსხვერპლად შეეწირონ ასეულის გადარჩენას.

ასეულის მეთაურის ცდა მიმართული უნდა იყოს დაუყოვნებლივ ასეულის რეზერვის შედგენისაკენ, ე. ი. შემჭირვებულ ჯგუფის შედგენისაკენ, რომელიც, თუ ვინიცობაა დაეცემა მტერი, დაჰხვდება ცეცხლით და კონტრ-იერიშზედ გადასვლით.

თუ ასეულმა შესძლო აღლო მდებარე ადგილობრივ საგნების უკან ამოფარება—შეჩერება, შემდეგი უკან სვლა უნდა სწარმოებდეს მსროლელთა ჯგუფებისა და ტყვიამფრქვევების რიგრიგობით უკან გადაყვანით; ამასთანავე ეს ჯგუფები ჩერდებიან ცეცხლის წარმოებისათვის მოხერხებულ ადგილებზე და აქედან აწარმოებენ შეჯჩერებელ ცეცხლს მომდევარ მტრის საწინააღმდეგოდ.

ასეულის მართვა შეტევით ბრძოლაში.

მართვის ვითარება და საშუალებანი.

ბრძოლაში მართვის არსებითი მხარე მდგომარეობს ბრძოლის ძირითად ელემენტების—ცეცხლისა და მანევრის შესაბამების უნარიანობაში, ე. ი. უნარი უნდა გექონდეს მოხერხებულად გამოვიყენოთ ცეცხლი და რაც შეიძლება მეტი მებრძოლი მივიყვანოთ მოწინააღმდეგის მოგერიების ან შეტევის უმთავრეს ადგილებთან.

ბრძოლაში მართვა შესდგება ცეცხლის და მოძრაობის მართვისაგან.

ბრძოლაში ასეულის მართვის საშუალებანია: ხმა, მარბიელი, პირობითი ნიშნები და ნიშნაკები.

ბრძოლის სხვა და სხვა სახეობა და ხასიათი სხვა და სხვა მოვალეობას აკისრებს მართვის საკითხში ასეულის მეთაურთა შემადგენლობას, სახელდობრ:

ასეულის მეთაურის მოვალეობანი.

ა) გაშლის წინ:

1) შეიგნებს მიღებულ საბრძოლო ამოცანას და გაჰყავს ასეული შეტევისათვის დანიშნულ ზოლში;

2) ადგენს მოქმედების საერთო გეგმას მოძრაობის ხანისათვის და ჰნიშნავს რუკაზედ ასეულის მოძრაობის გზებს;

3) აწყობს და ჰგზავნის ძიებას;

4) უხსნის ოცეულის მეთაურთ სპის საერთო ამოცანას და ასეულის კერძო ამოცანას;

5) ყოველ ოცეულს მისცემს ამოცანას; უჩვენებს მათ შეტევის ზოლს; დაჰნიშნავს მიმართულების ოცეულს;

6) ასეულის რეზერვს აძლევს ამოცანას და უჩვენებს მოძრაობის ხასიათსა და ადგილს;

7) აღნიშნავს ასეულის ვაზნების საწყობისა, შემხვევ პუნქტისა და ასეულის საბარგულის ადგილებს;

8) აღნიშნავს სად იქნება თვითონ მოძრაობის დროს.

ჰმართავს: სიტყვიერი და წერილობითი ბრძანებულებებით მარბიელთა საშუალებით.

ბ) დაახლოვების ხანაში, არტილერიის შორი და ნამდვილი ცეცხლის ქვეშ:

1) პირადი ძიებისა და მძიებელთაგან მიღებულ ცნობების საშუალებით, არკვევს მოწინააღმდეგის დაახლოვებით დალაგებას;

2) ასეულისათვის მიჩემებულ მძიმე ტყვიამფრქვევთ უჩვენებს ადგილს და ამოცანას;

3) შეაქვს დამატება ოცეულთა მეთაურებისათვის წინად მიცემულ ამოცანაში, აღნიშნავს იერიშის წარმოების უბნებს, მისაღწევ ხაზებს და დევნის საზღვრებს;

4) საბოლოოდ დაისახავს ასეულის მთავარი შეხლის პუნქტს და უმიზნებს ამ ადგილს რეზერვს.

5) შეტევის წინ იღებს ზომებს ასეულის ვაზნებით მომარაგებისათვის.

გ) შეტევის ხანაში, მოწინააღმდეგის თოფის შორი და ნამდვილი ცეცხლის ზოლში:

1) თვალყურს ადევნებს ოცეულთა წინსვლის ინტენსივობას და ამხნევებს ჩამორჩენილთ;

2) თვალყურს ადევნებს და ჰხელმძღვანელობს მძიმე ტყვიამფრქვევთა სათანადო წაწევას წინ, აძლევს მათ ახალ-ახალ ამოცანებს და უჩვენებს სროლის ახალ საგნებს;

3) ბრძოლის ველისა და მოწინააღმდეგის გამუდმებული თვალთვალის საშუალებით, შეისწავლის უკანასკნელის დალაგებას და შეაქვს დამატებანი და შესწორებანი ოცეულთათვის წინად მიცემულ ამოცანაში.

ჰმართავს: ნიშნებით და ჰხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მარბიელთა საშუალებით, რადგანაც უნდა ახსოვდეს, რომ მარბიელი ხშირად ვერ მიაღწევს დანიშნულ ალაგს.

დ) იერიშის მიტანის წინ უახლოეს ხანაში და თვით იერიშის დროს:

1) ასეულის რეზერვისა და ყველა იქ მყოფ ძალთა და საშუალებათა საქმეში ჩარევით, გავლენას ახდენს ბრძოლის მსვლელობაზე. იმყოფება რა თვითონ მთავარ დარტყმის ადგილას, პირადად მიჰყავს იერიშზედ რეზერვი და თვალყურს ადევნებს კეთილის სისწრაფეს—მსვლელობის შეუჩერებლობას იერიშისათვის დაგროვების უკანასკნელ ხაზიდან.

ჰმართავს: ხმით და პირადი მაგალითით.

ე) დევნის ხანაში:

1) პოზიციის ჩვენებით მძიმე და [illegible] ტყვიამფრქვევთა იმ ნაწილისათვის, რომელიც უშუალოდ მონაწილეობას არ იღებდა იერიშში, გაიმტკიცებს დაპყრობილ პოზიციებს;

2) არა სწყვეტს კავშირს ზურგთან და, თუ საჭიროა, არტილერიასთანაც, როდესაც ეს უკანასკნელი მოქმედ ასეულის ახლოს იმყოფება.

ჰმართავს: ხმით და მარბიელთა საშუალებით.

ოცეულის მეთაურის მოვალეობანი.

ა) დაახლოვების ხანაში:

1) უხსნის თავის კაცებს ასეულისა და ოცეულის ამოცანას და ჰნიშნავს მიმართვის ათეულს;

2) თვალყურს ადევნებს, რომ სწორედ იქმნეს გამოყენებული თავის მოძრაობის ზოლში მყოფი ადგილ-მდებარეობის ყველა კლარჯები;

3) თვალყურს ადევნებს თავისი ათეულების სწორე და შეუჩერებლივ მსვლელობას და წყობილებათა სწორე გამოყენებას.

ჰმართავს: ხმით და ნიშნებით.

ბ) შეტევის ხანაში მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევისა და თოფის შორ და ნამდვილ ცეცხლის ზოლში:

1) აძლევს ამოცანას ათეულებს; ტყვიამფრქვევთა ათეულებს უჩვენებს ცეცხლის წარმოების ამოცანებს;

2) პირადი ძიების საშუალებით, ისახავს ოცეულის მთავარ დარტყმის პუნქტს;

3) აღნიშნავს ოცეულის მხარდამჭერს;

4) დაისახავს იერიშისათვის დაგროვების ხაზს;

5) თვალყურს ადევნებს ათეულთა შეთანხმებულ მოძრაობას და სწევს წინ ჩამორჩენილთ;

6) თვალყურს ადევნებს, რომ თავისი მოქმედება შეუთანხმოს მეზობლების მოქმედებას;

7) თვალყურს ადევნებს ვაზნების დროზე შევსებას და დაკრილთა გაყვანას.

ჰმართავს: ხმით და ნიშნებით.

გ) იერიშის წინა ხანაში:

1) თვალყურს ადევნებს წესიერ დაგროვებას და გამოსავალ ზღუდესთან—საბრძოლო ხაზის ათეულთა და მხარდამჭერის დაგროვებას ოცეულის მთავარი დარტყმის პუნქტთან;

2) შესწორებები შეაქვს ტყვიამფრქვევის ათეულის მოქმედებასა და მოძრაობაში;

3) მიიყვანს რა მხარდამჭერს გამოსავალ ხაზთან, აღარ უცდის ასეულის მეთაურის განკარგულებას, თუ კი ეს არ ეწინააღმდეგება საერთო ამოცანას, მიაქცს მოწინააღმდეგეზე სწრაფი იერიში და სცდილობს რაც შეიძლება ღრმად შეიჭრას მის დალაგებაში; სცდილობს ხელთ იგდოს მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევები და, რადაც არ უნდა დაჯდეს, შეასრულოს ოცეულისათვის დაკისრებული ამოცანა.

ჰმართავს: ხმით, ნიშნებით, ნიშნაკებით და პირადი მაგალითით.

დ) თუ იერიში წაგებულია:

1) აჩერებს ოცეულის უკან მიმავალ კაცებს;

2) გამაგრდება მოწინააღმდეგესთან უახლოეს ზღუდეზე და ემზადება მისი კონტრ-იერიშის მოსაგერიებლად, რისთვისაც ხელსაყრელ ადგილებზე ათავსებს მსუბუქ ტყვიამფრქვევებს და გადარჩენილ ავტომატებს;

3) უკან იხევს მხოლოდ ასეულის მეთაურისაგან მიღებულ განკარგულების შემდეგ.

(ბრძანებულება; ხმით და ნიშნებით).

ათეულის მეთაურის მოვალეობანი.

ა) დაახლოვების ხანაში:

1) თვალყურს ადევნებს წყობილებათა და ადგილ-მდებარეობის პირობების სწორ გამოყენებას;

2) თვალყურს ადევნებს, რომ მისი ათეული არ ჩამორჩეს მეზობელ ათეულებს, პირიქით სცდილობს მათზედ წინ იყოს, რადგანაც უნდა ახსოვდეს, რომ რაც უფრო-მალე გაივლის არტილერიის ცეცხლის ზოლს, მით უფრო ნაკლები იქნება ზარალი.

ჰმართავს: ხმით და ნიშნებით.

ბ) შეტევის ხანაში:

1) თვალყურს ადევნებს ჯგუფთა სწორ მოძრაობას; ჯგუფს წინ წასწევს მეზობელ ჯგუფთა მიერ ცეცხლის ატეხის საშუალებით;

2) თვალყურს ადევნებს ადგილობრივი საგნებისა და საფრების წესიერად გამოყენებას;

3) ჰხელმძღვანელობს ჯგუფთა ცეცხლს, აწესრიგებს მას და ვალდებულია მუდამ მზად იყოს დახმარება აღმოუჩინოს მეზობელ ჯგუფებს ცეცხლით და წინსვლით; ჯგუფები მიჰყავს ერთი-მეორეს მოშორებით—ადგილ-მდებარეობის მიხედვით, დაახლოვებით 20—30 მეტრის (30—40 ნაბ.) ხანით კედაროთი—იერიშის გამოსავალ ხაზთან დაგროვებისათვის;

4) იერიშისთვის დაგროვების ხაზთან თავისი ჯგუფები მიჰყავს იმ ანგარიშით, რომ ამ ადგილიდან შესაძლებელი იყოს მთელი ათეულით წავიდეს იერიშით და ჯგუფთა მართვაც შეინარჩუნოს;

5) თვალყურს ადევნებს მუდამ ჯგუფების დროზედ შევსებას ვაზნებით.

ჰმართავს: ხმით, ნიშნებით და ნიშნაკებით.

გ) იერიშზე გადასვლისას:

1) ვალდებულია უჩვენოს ავტომატებს ამოცანა და სროლის მიზნები;

2) ათეულის დანარჩენი კაცებით, აღარ უცდის ოცეულის მეთაურის განკარგულებას, სწრაფი იერიში მიაქვს მოწინააღმდეგის დალაგების უახლოეს პუნქტებზე, არ აცდის მას გონზე მოსვლას და სცდილობს გადალახოს თავის გზაზედ ყოველგვარი დაბრკოლება და ხელთ იგდოს მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევები თავის ოცეულის საიერიშო უბანში.

ჰმართავს: ხმით და პირადი მაგალითით.

დ) თუ იერიში წაგებულია:

1) რჩება დაპყრობილ ხლუდეზე და სცდილობს ავტომატებისა, გრანატის და გადარჩენილ მსროლელთა ცეცხლის საშუალებით მიიპყრას თავისკენ მოწინააღმდეგის ცეცხლი და ამით საშუალება მისცეს მეზობელთა, მხარდამჭერებს

და რეზერვებს მივიდნენ და დაგროვდნენ იერიშის დასაწყის ხაზთან და შემდეგ მათთან ერთად მიიტანოს იერიში აურეველ მოწინააღმდეგეზე.

ჰმართავს: ხმით და პირადი მაგალითით.

ჯგუფის მეთაურის მოვალეობანი.

ა) დაახლოვებისა და შეტევის უკანასკნელ ხანაში მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის შორი ცეცხლის ზოლში:

1) მოვალეა თვალყური ადევნოს ადგილობრივ საფრებისა და წყობილებათა სწორ გამოყენებას, ზარალის შემცირების მიზნით;

2) იმყოფება ჯგუფის თავში და სცდილობს სწრაფად გადირბინოს ძლიერი ცეცხლით მოცული უბნები;

3) თავის მოძრაობას უთანხმებს მეზობელ ჯგუფების მომოძრაობას და სცდილობს, არამც თუ არ ჩამორჩეს მათ, არამედ, ზოგჯერ, გაუსწროს კიდეც;

4) იცავს დაწესებულ ხანებს;

5) მტკიცედ იცავს ათეულის მეთაურის მიერ დანიშნულ მიმართულებას;

6) სცდილობს რაც შეიძლება სწრაფად გაიაროს მოწინააღმდეგის არტილერიისა და ტყვიამფრქვევის შორი ცეცხლის ზოლი; მიზნად დასახული აქვს მხოლოდ ფარული წინსვლა.

ჰმართავს: ხმით.

ბ) მოწინააღმდეგის თოფისა და ტყვიამფრქვევის ნამდვილი ცეცხლის ზოლში:

1) დამოუკიდებლად აწარმოებს ცეცხლს ამ უკანასკნელში უპირატესობის მოპოების მიზნით;

2) ჰხელმძღვანელობს თავისი ავტომატის მსროლელის ცეცხლს და უნიშნავს მას კორას;

3) თავისი ცეცხლით ეხმარება მეზობელი ჯგუფის წინსვლას;

4) ავტომატის გამოყვანისას წყობილებიდან ცეცხლს აწარმოებინებს ყველა მსროლელთ;

5) გამოიყენებს რა ადგილ-მდებარეობის სულ უმნიშვნელო უსწორობასაც კი (ადგილობრივ საგნებს), სცდილობს მალე მიაღწიოს ათეულის მეთაურის მიერ ნაჩვენებ იერიშისათვის დაგროვების ხანას;

6) თვალყურს ადევნებს ვაზნების სწორ და თავის დროზედ შევსებას და მათს წესიერ ხარჯვას.

ჰმართავს: ხმით და ნიშნაკებით.

გ) იერიშის წინ:

1) შემოიგროვებს რა თავის ჯგუფის კაცებს და უჩვენებს რა აჭოცანას ავტომატს, მიაქვს სწრაფი იერიში მოწინააღმდეგის დალაგების უახლოეს პუნქტზე. სცდილობს რაც შეიძლება ღრმად შეიჭრას მის დალაგებაში და გრანატის და ხიშტის ჭოქმიდებით მოსპოს ყოველგვარი წინააღმდეგობა თავის წინსვლის გზაზედ.

ჰმართავს: ხმით და პირადი მაგალითით; მისი ადგილი— ჯგუფის წინ.

მართველობის ოცეულის მეთაურის მოვალეობანი.

1) წესიერად მოაწყოს ასეულის ვაზნათა საწყობი;

2) თვალყური ადევნოს ვაზნათა დროზედ მოტანას ათასეულის საწყობიდან და თავის დროზედ მოწოდებას საბრძოლო ნაწილისათვის;

3) თვალყური ადევნოს დაჭრილთა სწრაფ გამოყვანას;

4) თვალყური ადევნოს დაზიანებულ ტყვიამფრქვევთა და ავტომატთა სწრაფ შეკეთებას;

5) თუ ბრძოლა გაგრძელდა, თვალყური ადევნოს მებრძოლთათვის საჭმლის დროზედ მიწოდებას.

მისი ადგილი—ასეულის ვაზნათა საწყობთან.

ასეულის კავშირის უფროსის მოვალეობანი.

1) თვალყური ადევნოს ასეულის მეთაურის განკარგულებათა დროზედ გადაცემას ოცეულეებისათვის;

2) თვალყური ადევნოს მუდამ კავშირის დაცვას მეზობელ ასეულებთან;

3) მიიღოს და მოახსენოს ასეულის მეთაურს ოცეულების მოხსენებანი და ათასეულის მეთაურის განკარგულებანი;

4) დაიცვას კავშირი ზურგთან და არტილერიის მოთვალთვალეებთან.

მისი ადგილი—ასეულის მეთაურთან.

I. მოწინააღმდეგესთან შეხვედრამდე.

მძიებელთა და მზვერავთა მუშაობა.

ა) მძიებელთა დასის ან მძიებელთა მზვერავების მეთაური მიიღებს რა ასეულის მეთაურისაგან ამოცანას:

1) აღნიშნავს დასის მზვერავის მსვლელობის გზას;

2) გააცნობს მძიებელთ ამოცანას და მისი შესრულების გეგმას;

3) აწესებს პირობით ნიშნებს და ჰნიშნავს მზვერავებს გზის გასაშუქებლად;

4) მსვლელობის დროს ათვალიერებს გზაში შეხვედრილ საფარ ადგილებს, საამისოდ დამატემითი მზვერავების გაგზავნის საშუალებით ბირთვიდგან;

5) მოწინააღმდეგის მძიებლებთან შეხვედრისას, სცდილობს შეასრულოს ასეულის მეთაურის მიერ დაკისრებული ამოცანა;

6) დასმენებს აგზავნის მოწინააღმდეგესთან პირველ შეხვედრისთანავე და დანიშნულ ხაზისა და პუნქტის მიღწევისას:

ბ) მსვლელობის გზის ღასაზვერად ოცეულებიდან დანიშნული მზვერავები იწვევენ წინ თოფის ნამდვილი ცეცხლის მანძილით (600—800 ნაბ.) და ათვალიერებენ ადგილობრივ საგნებს ისე, რომ არ შეაფერხონ ოცეულთა მოძრაობა და არ შესწყვიტონ მათთან კავშირი,

II. მოწინაამდეგესთან შეხვედრისას, დაახლოვებით როდესაც ასეული 4—2 კილომეტრით იქნება მოწინააღმდეგისაგან:

ა) მძიებელნი—არკვევენ მოწინააღმდეგის დალაგებას, მის ფრთებს, მისავლებს, მთავარ პუნქტებს და ადგილობრივ საგნებს, რომელთა დაპყრობითაც უზრუნველყოფილი იქნება ასეულის წინსვლა მოწინააღმდეგის შორი, ნამდვილი და ახლო ცეცხლის ზოლებში.

იკავებენ ამ ადგილებს, ან არა და, ასეულის მეთაურის ჩვენებით გადადიან ერთ-ერთ ფრთაზედ.

ბ) ოცეულის მზვერავები განაგრძობენ სვლას ოცეულის წინ.

III. მოწინააღმდეგის თოფის ნამდვილი ცეცლის სფეროში:

ა) ასეულის ძიება, თუ იგი გადაყვანილი იყო ერთ-ერთ ფრთაზედ, შეადგენს საბრძოლო ჯგუფს, განაგრძობს ძიებას და გვერდითი და ალმაცერი ცეცხლით დახმარებას უწევს მეზობელ ოცეულს.

იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იყო გადაყვანილი ფრთაზედ—იკავებს მნიშვნელოვან პუნქტებს და წერტილებს მოწინააღმდეგის დალაგების წინ.

ბ) ოცეულის დამცველი მზვერავები თანდათანობით, რამდენიც მიუახლოვდება ოცეული, უერთდებიან ამ უკანასკნელთ.

IV) იერიშის ხანაში:

ა) ასეულის ძიება, სცდილობს რა შეიჭრას მოწინააღმდეგის ზურგსა და ფრთებზე, დახმარებას უწევს მოიერიშე ნაწილებს.

კავშირი ასეულის შეტევითი ბრძოლაში.

ასეულის კავშირის საშუალებანი.

ასეულის კავშირის საშუალებანი შეიძლება იყოს:

1) **ტელეფონი.** ტელეფონის საშუალებანი ასეულს ეძლევა ლეგიონის საკავშირო გუნდისაგან.

ტელეფონი საუკეთესო საშუალებაა კავშირისათვის; სისწრაფე და სისწორე—ორი უმთავრესი თვისებაა მისი; შეტევის დროს, ცეცხლის ქვეშ, ტელეფონი გამოსაყენებელია და სავსებით საიმედოა მოწინააღმდეგისაგან 3 კილომეტრით მოშორებულ ზოლში; 3 კილომეტრიდან ერთამდე მისი გამოყენება შესაძლებელია, თუმცა გაძნელებული, რადგანაც მავთული ხშირად სწყდება ყუმბარის ნატეხებისაგან, ლაპარაკს კი აყრუებს ბრძოლის ხმაურობა; მოწინააღმდეგისაგან ერთ კილომეტრზედ უფრო ახლო კი, ტელეფონის გამოყენება მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში იქნება შესაძლებელი, როდესაც ბრძოლა რამდენიმე დღეს გაგრძელდება და ტელეფონის ხაზის გაყვანა შესაძლებელი იქნება ღამით.

ამრიგად ტელეფონი შეიძლება გამოსადეგად ჩაითვალოს მხოლოდ ასეულის მოქმედების ფარგლებში და ისიც უმთავრესად მოგერიებითი ბრძოლის პირობებში.

2) **ოპტიური ნიშანიანობა:** დღისით ბაირახებით, ღამით კი—მაშუქებით მეტად საიმედო და საკმარისად სწრაფი საშუალება არის კავშირისათვის; შესაფერ პირობებში ბაირახით მიცემული ნიშნები უბრალო თვალით $^1/_2$ კილომეტრის მანძილით მოსჩანს, ღამით კი—მაშუქათი—3 კილომეტრამდე; ამასთანავე, თუ დურბინდები მოიპოვება ეს მანძილი შესაძლებელია გაორკეცებული იქმნეს.

ჩვენში მიღებულია ოპტიურ ნიშანიანობის ორი ტიპი: ანბანური და შემოკლებული სისტემა.

პირველი ამათგანი იხმარება ბრძანებულებათა, დასმენათა და ცნობათა გადასაცემად სრულად, შეუმოკლებლივ, მორზეს ანბანით და, რადგანაც, განსაკუთრებით ახლო მანძილებზედ მოწინააღმდეგისაგან, მეტად დიდია და შედარებით ნელი, ამისათვის იგი ასეულისათვის, როგორც კავშირის საშუალება, გამოუსადეგარია.

მეორე—შემოკლებული სისტემა—იხმარება იმ ბრძანებულებათა და დასმენათა პირობით გადასაცემად, რომელნიც უფრო ხშირად გვხვდებიან საბრძოლო გარემოებაში, ჯარის მცირე ნაწილების დალაგებისა და მოქმედების ფარგლებში. ეს სისტემა იხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც ამ გვარი გადაცემით შეგვიძლიან მოვიგოთ დრო და მარბიელთა რიცხვიც შევამციროთ; ამასთანავე ძირითადი ნიშნები პირობითი ბრძანებულებისა და დასმენათათვის ერთი და იგივე უნდა იყოს დაწესებული ყველა ჯარებისათვის, რომ ყველა მეთაურს ჰქონდეს შეძლება თვალყურის დევნისა.

შემოკლებული ნიშანიანობისათვის საჭიროა ყოველ საბრძოლო ოცეულში იყოს თითო წყვილი სანიშნო ბაირახი და თითო მაშუქა, მართველობის ოცეულში კი—სამი წყვილი სანიშნო ბაირახი და სამი მაშუქა.

ბაირახები უნდა იყოს: ერთი — თეთრი, მეორე— წითელი, ზომით $^1/_2$ მეტრი სიგანით და $^1/_2$ მეტრ. სიგრძით (12X12 ვერშ.), რომელნიც დამაგრებული არიან $^3/_4$—$1^1/_8$ მეტრის (დაახლოვებით 1—$1^1/_2$ არშ.) სიგრძის ჯოხებზედ.

თუ ბაირახები არ მოიპოვება, წით.-არმიელებს. უნდა შესწავლილი ჰქონდეს ნიშნების გადაცემა ხელსახოცის, ქუდის და სხვ. საშუალებით და მათი მიღება ამავე წესით.

მაშუქების ხმარება შე ძლება ყოველგვარი სისტემისა, რომლითაც კი შესაძლებელი იქნება შუქის გადაცემა საჭირო დროის განმავლობაში.

თუ ათ მოიპოვება ისეთი მაშუქა, რომლითაც შესაძლებელი იქნება შუქის ნაყვეტებად გადაცემა, მაშინ შეიძლება გამოყენებული იქნეს ორი მაშუქა სხვა და სხვა ფერის შუშებით და ამ შემთხვევაში ნიშანიანობა სწარმოებს იმავე წესით, როგორც ბაირახებით.

მრავალ შემთხვევაში, განსაკუთრებით ნიშანიანობის შორი მანძილით წარმოების დროს, მისი წარმატებით წარმოება დამოკიდებულია საამისოდ სათანადო ადგილის არჩევაზე. ყველაზედ ხელსაყრელი ადგილი ის იქნება, სადაც ნიშნის შუქი ან ზეცას ეფინება ან სუფთა მინდორს—უჩრდილოთ.

თვით მონიშნე კი ისე კარგად უნდა შეეგუოს ადგილ—მდებარეობას, რომ მისი ნიშნები ცხადად სჩანდნენ ჩვენთვის, ხოლო მოწინააღმდეგისათვის კი რაც შეიძლება შეუმჩნეველი იყოს.

მენიშნეთა და მარბიელთა გარდა, ნიშანიანობა შესწავლილი უნდა ჰქონდეთ მეთაურთა მთელს შემადგენლობას და, სასურველია, რაც შეიძლება წითელ არმიელების მეტ რიცხვს, იმ შემთხვევისათვის, თუ გამოაკლდებიან მენიშნეები. შემოკლებულ ნიშანიანობის ცოდნა სავალდებულოა მეთაურთა მთელ შემადგენლობისათვის, მოთვალთვალეთა და მძიებელთათვის.

შემოკლებულ ნიშანიანობის ნიშნები შესდგება მორზეს ანბანის ცალ-ცალკე ასოებისაგან და გადაიცემა: წერტილი—თეთრი ბაირახის აწევით ან მოკლე შუქით, ხაზი—2 ბაირახის აწევით ან და გრძელი შუქით.

დამატებითი მუდმივი ნიშნების შემოღება ან და ქვემოდ ნაჩვენებ ნიშნების პირობიოი მნიშვნელობის შეცვლა აკრძალულია.

იმის აღსანიშნავად, რომ გადაცემა იწარმოებს შემოკლებული ნიშანიანობით, გამოძახება ხდება: დღისით — ბაირახების წრისებრი ტრიალით სხვა და სხვა მხარეს, ღამით — მაშუქას აქეთ-იქით გაქნევით. ამ საქმის მოსაწყობად განსაკუთრებული წესი არ არის შემოღებული; იგი იხმარება იმ სახით, როგორც იქნება საჭირო და შესაძლებელი გარემოების მიხედვით.

ტაბულა

შემოკლებულ ნიშანიანობის ნიშნების გადაცემისა ასეულისათვის.

გამოძახვა (გთხოვთ ყურადღებას).... გეჭიროთ ერთი თეთრი ბაირახი, ვიდრე პასუხს არ მიიღებთ.

მოძახვა (ვხედავ, გავიგე)	——— (ხაზი)
შეცდომა (ვერ გავიგე, განიმეორე)	●●●●● (წერტილთა რიგი)
1 — ოცეული	●● — ●
2 — ოცეული	●● — —
3 — ოცეული	●● — — —
ასტეხე ცეცხლი	●●●●
შესწყვიტე ცეცხლი	— — ●●
წინ (შეუტიე, იერიში)	● — —
უკან (უკან დაიხიე)	— ●
სდეგ (შეაჩერე მოძრაობა)	●●●
გაზები (გაიკეთე პირბადე)	— — ●
ვაზნები (მოიტა ვაზნა)	— ●● —

შემოკლებულ შუქით ნიშანიანობის ნიშნების გარდა, ძალაში რჩება აგრეთვე ქვეითი ჯარის წყობილების წესდებით დაწესებული ნიშნები.

3) **მარბიელნი** (მსრბოლნი) — კავშირის ეს საშუალება ნელია და ცეცხლის ქვეშ ნაკლებად სანდო; იგი დასაშვებია ყოველი მანძილით მოწინააღმდეგისაგან, სულ ახლო მანძილის გამოუნაკლისად, მხოლოდ იმ პირობით, რომ მარბიელი კარგად შეეგუოს ადგილ-მდებარეობას და ბრძოლის გარემოებას. კავშირის წარმოებისათვის დანიშნული წითელ არმიელნი კარგათ უნდა იყვნენ გაცნობილი თავის მოვალეობას და გაწვრთნილი რბენაში, რათა რაც შეიძლება სწრაფად დასძლიონ ის ადგილები, რომელნიც ძრიერ ცეცხლში არინ გახვეული.

მარბიელნი (მსრბოლნი) გადასცემენ წერილობით და სიტყვიერ ცნობებს. მეორე შემთხვევაში, მარბიელმა, მიიღო რა ბრძანებულება, უნდა გაიმეოროს იგი; დავალების აღსრულებისა და დაბრუნების შემდეგ, ხელმეორედ იმეორებს გადაცემულ ბრძანებულებას.

მარბიელნი სწრაფად გადირბენენ 150 - 200 მეტრის (225—300 ნაბ.) მანძილს; როდესაც მანძილი მეტია, მაშინ აწყობენ საშორისო საგუშაგოებს, რომელნიც განაგრძობენ ბრძანებულების გადაცემას.

ეს დამატებითი საგუშაგონი უნდადალაგდნენ დაფარულ ადგილებში.

ღამით ბრძოლ-ს მოლოდინში, მარბიელებმა თვალნათლივ უნდა შეისწავლონ გზა.

კავშირისათვის უნდა გამოყენებულ იქმნან აგრედვე ვაზნების მიმტანნი, ხოლო სადაც შესაძლებელია—აგრედვე ბრძანებულების გადაცემა ხმით ერთი მსროლელისაგან მეორესადმი და წერილობითი დასჭენათა გადასროლა.

4) **შუშხუნები** გამოიყენება, როგორც პირობითი ნაშანი არტილერიასთან და ზურგთან კავშირისათვის.

შუშხუნების ფერი და რიცხვი არ უნდა იყოს მუდმივი, არამედ მუდამ უნდა იცვლებოდეს, რათა მოწინააღმდეგს არ შეეძლოს ყალბი ნიშნების მიცემა.

შუშხუნებით მოწინავე ნაწილებს შეუძლიანთ აღნიშნონ ხაზი, რომელსაც მათ მიაღწიეს, გამოიწვიონ არტილერიის ცეცხლი და სხვა.

ასეულის მეთაურს შეუძლიან მისცეს საერთო ნაშანი იერიშის დასაწყებად, შესაჩერებლად, უკან დასახევად.

5) **სანიშნო ზეწრები.** ზეწრები საუკეთესო საშუალებაა ჰაერმფრინავთან კავშირისათვის. ქვეითი ჯარმა, ჰაერმფრინავის პირობითი ნიშნით შეკითხვაზე „სად ხართ“, უნდა გადიყაროს ზეწრები, რაც საშუალებას მისცემს ჰაერმფრინავს, გამოარკვიოს მოწინავე ნაწილების ადგილი.

ჰაერმფრინავის მეორე ნიშნით ზეწრებს მოაშორებენ.

ზეწრები უნდა იყოს ერთი მხრიდან თეთრი, მეორედან —მოყვითალო—წითელი ფერისა.

6) **სასტვენი.**

კავშირის მოწყობა. შეტევით ბრძოლაში ტელეფონით კავშირი, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ასეულის მეთაურამდე იქნება შესაძლებელი.

ასეულის მართვის სიძნელის გამო, ასეულის მეთაურმა წინასწარ უნდა აღნიშნოს ის ადგილები, საიდანაც ცეცხლის წარმოების მართვა დაეკისრებათ ოცეულების მეთაურთ.

მოწინააღმდეგესთან დაახლოების ხანაში, შორი მანძილით, როდესაც ცეცხლს, უმთავრესად, ძძიმე ტყვიამფრქვევები აწარმოებენ, ასეულის მართვა ძნელი არ არის, რადგანაც იგი ჯერ კიდევ ასეულის მეთაურის ხელშია; წინ გაგზავნილ მძიებლებთან კი კავშირის წარმოება მეიძლება ნიშანიანობით.

ასეულის შეტევის შემდეგ ხანაში, მოწინააღმდეგის საშუალო და მით უმეტეს ახლო ცეცხლის სფეროში, როდესაც ასეული დანაწილდება, მისი მართვა ხმით და სასტვენით შეუძლებელი ხდება და კავშირი სწარმოებს ნიშნებით და ნიშნაკებით, ხოლო თაოსნობა კი გადადის ოცეულთა მეთაურების ხელში.

ბრძოლის დროს ასეულის მეთაურს კავშირი უნდა ეპიროს მარცხენა მეზობელ ასეულთან, თავისი ასეულის 3 ოცეულთან, ასეულისათვის მიცემულ ძძიმე ტყვიამფრქვევებთან და არტილერიის მოთვალთვალესთან; კავშირის საშუალებენი ამ ამ დროს არის: ნიშანიანობა, მარბიელნი და შუშხუნები.

იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო, ათასეულის მეთაურის, ან ასეულის გამგზავნ სხვა მეთაურის მიერ, და აგრეთვე მარჯვენა მეზობლის მიერ კავშირი არ არის მოწყობილი, მაშინ ასეულის მეთაური მოვალეა თვითონ მოაწყოს იგი.

მონიშნეები მუდამ იმყოფებიან ასეულის მეთაურთან.

ოცეულების მეთაურნი ბრძოლაში თავის ოცეულებს ჰმართავენ ბრძანებულებათა გადაცემით ათეულთა მეთაურებისათვის ხმით, სასტვენით, ნიშნებით და მარბიელებით, აგრეედვე პირადი მაგალითით,

ათეულთა მეთაურნი თავის ათეულებს ჰმართავენ ხმით, სასტვენით, ნიშნებით, შარში ერთი მეორისათვის გადაცემით და პირადი მაგალითით.

ჯგუფის მეთაური თავის ჯგუფს ჰმართავს: ხმით, ნიშნებით, შარში გადაცემით და პირადი მაგალითით.

(იხილე სქემები №№ 30 და 31).

ასეულის შეხამება (ნილაბობა) შეტევის დროს.

ზევით უკვე ნათქვამი იყო, რომ შეტევით ბრძოლაში ფართედ გამოსაყენებელია, უმთავრესად, ბუნებრივი შეხამება და კვამლის ფარდა. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში შე-

იძლება გამოყენებულ იქმნას აგრედვე დეკორატიული შეხამებისა და დამფარავი შელებვის მარტივი საშუალებანი (როგორც მაგ., ინდივიდუალი ნილაბი).

დაახლოვების ხანაში. მოწინააღმდეგესთან დაახლოვების ხანაში, როდესაც უმთავრესად დედამიწის ზედაპირით თვალთვალი არის საშიში ერთის მხრით და მეორეს მხრით საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად, ახლო და ფარულად მივიდეთ მოწინააღმდეგესთან. ასეულის შეხამება ხორციელდება უმთავრესად ხელოვნური მანევრით და ადგილ-მდებარეობის დამფარავი თვისებების სავსებით გამოყენებით. ამის განსახორციელებლად, ასეული დაიყოფა უფრო წვრილ ნაწილებად—ოცეულები, ათეულები და ჯგუფები—ამრიგად ასეულის საბრძოლო წესი მატულობს სიღრმით და სიგანით; წყობილების მოქნილობისა და მანევრის თავისუფლების შერჩენისათვის ოცეულებს, ათეულებს და ჯგუფებს შეუძლიანთ იმოძრაონ ერთი მეორის მიდევნით ან ქანდრაკისებურად, ხოლო ჯგუფებში კაცებს—კუთხედით ან კლაკნილით.

მოწინააღმდეგესთან თანდათან დაახლოვებისას, უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ადგილ-მდებარეობისა და ადგილობრივ საგნების გამოყენებას.

იგი მოითხოვს, მეტადრე მეთაურთა შემადგენლობისაგან, ადგილ-მდებარეობისა და რუკის წინასწარ კარგად შესწავლას, რათა შეიძლებოდეს მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნეველი მისადგომების არჩევა და უხილავი ველების გამორკვევა.

დაახლოვების ხანაში შეხამებას დიდ სარგებლობას მოუტანს აგრედვე კვამლის ფარდები, უმთავრესად გაშლილ ადგილებზედ. ამ კვამლის ფარდებს ჰქმნის ჯერ ჩვენი არტილერია თავისი ცეცხლით და შემდეგ ქვეითი ჯარი, ფიჩხისა, ნაგვისა, თივის ძირებისთვის და სხვ. ცეცხლის წაკიდებით და აგრედვე ასაფეთქებელი ნივთებითა და ხელის გრანატებით.

ასეულის შეხამების მიზნითვე ამ ხანაში, ზოგიერთ დათვალიერებულ ადგილებში შესაძლებელია აგრედვე ხელოვნური საფრების აგება ადგილობრივ მონახული მასალით (დეკორატიული შეხამება).

მოწინააღმდეგესთან დაახლოვებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წინ წაწეულ მძიებელთა და დამცველი ნაწილების შეხამებას, დედამიწის ზედაპირით თვალთვალისაგან დასაფარავად. აქ შეიძლება გამოყენებულ იქმნას აგრედვე ტეხნიურ შეხამების ისეთი საშუალებანი, როგორც არის: ნილაბ-ხალათი, ნილაბ-ქუდი და სხვა.

რათა ხელი შეუშალოთ მოწინააღმდეგის კარგი სათვალთვალო პუნქტების დაპყრობაში, რომელნიც ასეულის ზოლში იმყოფებიან, და ამით გავიადვილოთ შეხამება, საჭიროა ან წინასწარ დავიკავოთ ეს პუნქტები, ან ჩვენი ცეცხლის ქვეშ ვამყოფოთ იგინი.

შეტევის ხანაში.

შეტევის ხანაში, ე. ი. მაშინ, როდესაც ყველაფერი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ დავსთრგუნოთ მოწინააღმდეგე საბრძოლო ხაზის ცეცხლით და ამით საშუალება მივსცეთ ასეულის დანარჩენ ნაწილს, რაც შეიძლება ახლო და დაუზარალებლივ მივიდეს მასთან, შეხამების ერთ-ერთ საშუალებად ჩაითვლება ჩვენი ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების გახშირებული ცეცხლი. ეს უკანასკნელი მოწინააღმდეგეს იძულებულს ჰყოფს ჩაიმალოს და ამით საშუალებას ართმევს უთვალთვალოს შემტეს. ამ ხანაში მნიშვნელობა ეძლევა არა მარტო ჯგუფების შეხამებას, არამედ ცალკე მებრძოლთა და ტყვიამფრქვევთა და ავტომატთა შეხამებასაც.

თვითეული მსროლელი, მოთვალთვალე, მოკავშირენი და სხვ., მოწინააღმდეგესთან ახლო ყოფნის დროს, როდესაც ეს უკანასკნელი ყურადღებით უთვალთვალებს მათ, უნდა განიმსჭვალნენ ზედ მიწევნითი შესაძლებლობით.

აქ უნდა სავსებით იქმნეს გამოყენებული ბუნებრივი შეხამება, სახელდობრ: მებრძოლთა მიერ ადგილ-მდებარეობის დამფარავ თვისებების გამოყენება, ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან შეხამება (ჯარების მიმიკრია) და ხელოვნური მანევრი. მაგრამ შეტევის ამ ხანაში, გარდა ამ ბუნებრივ შეხამებისა, შესაძლებელია აგრეთვე ტექნიკური შეხამების ისეთი მარტივ საშუალებათა კამოყენება, როგორიც არის: კვამლის ფარდა (ხელის გრანატები, თივა, ძირისათვის ცეცხლის წაკიდება და სხვ.) და ინდივიდუალი ნიღაბი (ხის ტოტები და სხვ.).

თვით ტყვიამფრქვევთა და ავტომატთა შეხამების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მოექცეს ლაპლაპისა, ბოლისა და სროლის ხმის შეხამებას.

ლაპლაპის და სროლის ბოლის შეხამებას მივაღწევთ ტყვიამფრქვევების მოთავსებით ბუნებრივი ან და ხელოვნურად ადგილობრივ საშოვნელი მასალისაგან გაკეთებული საფარის უკან და ყალბი სროლის წარმოებით.

ასეულის შეტევის დროს, შესამებით მარტივ საშუალებათა მოხმარებით, შეგვიძლიან შეექმნათ სროლის ყალბი მიზნები (მაგ., მაკეტები) და ყალბი სროლა, რომ ამით მოწინააღმდეგის ცეცხლის მუშაობა უშედეგო გავხადოთ.

იერიშის წინ, როდესაც 300 მეტრით (450 ნაბ.) და უფრო ნაკლებით მიუახლოვდებით მოწინააღმდეგეს, ასეული შეხამებას განახორციელებს უმთავრესად მის ხელში მყოფ ცეცხლის საშუალებათა გამოყენებით, რათა მოწინააღმდეგე გააკრას მიწას და ხელი შეუშალოს შეტევის თვალთვალში.

ამ ხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა თვითეულ მსროლელთა შეხამებას (სპეციალი სახის მოძრაობა და აგრედვე ხელისა, თავისა, თოფისა და ტყვიამფრქვევის მოძრაობა და სხვ.).

იერიშის ხანაში. თვით იერიშის შეხამება შეიძლება წარმატებით აწარმოოს შემტევმა, ამისათვის კვამლის ფარდების გამოყენებით, რომელსაც შეჰქმნის ასეული ხელის გრანატებისა, ასაფეთქებელ ნივთიერებათა და, ზოგიერთ შემთხვევებში, ადგილობრივ საშოვნელ საწვავ მასალისათვის (თავის ძირი, ნაგავი, ფიჩხი და სხვ.) ცეცხლის წაკიდების საშუალებით.

თუ იერიში ვერ მოხერხდა, ასეულის უკან სვლას დაჰფარავს ტყვიამფრქვევის ცეცხლი და აგრედვე კვამლის ფარდები, რომელსაც ჰქმნის თვით ქვეითი ჯარი და არტილერია.

დაპყრობილ პოზიციაზე გამაგრების დროს ასეული თავის შესახამებლად ხმარობს იმავე ზომებს, როგორსაც მოგვიანებით ბრძოლაში. (იხილე ქვეით).

ხანდაკობა შეტევის დროს.

ხანდაკობა შეტევის დროს შეიძლება გამოახატოს ორ გვარი სახით: 1) მსუბუქი საფრების მოწყობით თვითეულ მსროლელისა და ტყვიამფრქვევისათვის ცალ-ცალკე და 2) სანგრების აშენებით.

თვითეულ მსროლელისა და ტყვიამფრქვევისათვის ცალ-ცალკე საფრების მოწყობა უნდა ფართოთ გამოიყენონ თვით მებრძოლებმა, მუდამ—ცოტად თუ ბევრად გახანგრძლივებულ გარემოებაში.

რაც შეეხება სანგრებს, შეტევის დროს მათ ორგვარი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ:

1) ზარალის შემცირება მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან და

2) შეტევის სიმტკიცე, დაპყრობილ სივრცეების დამკვიდრებით. ამის წყალობით შემტევს შესაძლებლობა ეძლევა ზარალის მიუღებლად შეაჩეროს შეტევა, თუ გარემოება მოითხოვს ამას, ან და, თუ იერიში ვერ მოხერხდა,—გამაგრ-

დეს სანგრებში და მოწინააღმდეგეს მხოლოდ მცირე ნაწილი დაუთმოს გავლილ სივრცისა.

მაგრამ სიმაგრეების ავებას შეტევის დროს მეტად დიდი უხერხულობაცა აქვს:

1) სიმაგრეების ასაგებად საჭიროა დიდი დრო; შეტევის დროს ყოველი შეჩერება კი ხელსაყრელია მომგერიებლისათვის;

2) მუშაობის დროს კაცები მეტად იღლებიან;

3) სანგრები ასუსტებენ წით. არმ-ბში. შეტევითი მისწრაფებას, რადგანაც სანგარში ჩაბუდნულ ნაწილის წამოყენება, წინ წასაწევად, მეტად ძნელია. სანგრები შეიძლება ადვილად გახდნენ, გერმანელების წესდების გამოთქმით — „**შეტევითი სულის სამარედ.**“

უკანასკნელი გარემოება იმდენად სერიოზულია, რომ იძულებულჰყოფს სანგრების მოწყობა ბოროტებად ჩაითვალოს, მაგრამ ბოროტებად, რომელიც ბევრ შემთხვევაში სრულიად აუცილებელია.

ასეთი შემთხვევები იქნება, მაგალითად, როდესაც მოწინააღმდეგის ცეცხლი მეტად ძლიერია, ხოლო ადგილი კი სწორე და გაშლილი. მოწინააღმდეგის ცეცხლის შესასუსტებლად, შემტევს მოუხდება ჩაბმა ცეცხლით ბრძოლაში; მაგრამ ეს ბრძოლა ხანგრძლივია, შეიძლება რამდენიმე საათს გაგრძელდეს, ამდენხანი სრულიად უსაფროთ მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ ყოფნა შეუძლებელია და, რაკი ადგილ-მდებარეობა არ გვაძლევს საფარს, საჭიროა ხელოვნურად შევქმნათ იგი; საჭიროა აგრედვე შეტევის შეჩერებისას მივცეთ მას სიმტკიცე მოწინააღმდეგის მხრით კონტრ-იერიშის შემთხვევისათვის.

ცხადია, ამისთანა გარემოებაში სანგრების გაკეთება აუცილებელია, მაგრამ ვიმეორებთ, შეტევის დროს არ უნდა გაგვიტაცოს სანგრების აშენებამ და მას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მივმართოთ, ესე იგი:

1) როდესაც ადგილ-მდებარეობა სწორე და გაშლილია, ხოლო მოწინააღმდეგე მტკიცე გამოდგა და პოზიციაც წინასწარ დაიკავა;

2) როდესაც საჭირო გახდა შეტევის შეჩერება, ან იმისთვის, რომ გადასწყდა იერიში ღამით მიიტანონ, ან იმისთვის, რომ თვით შეტევას დაეკარგა აზრი და გამარჯვების იმედი და

3) იერიშის მიტანის დროს გამაგრებულ პოზიციაზე.

ხოლო თუ მოწინააღმდეგე სუსტია სულით და ცეცხლს არეულად აწარმოებს, ან თუ ადგილ მდებარეობა დასერილი

და დაფარულია, ან კიდევ თუ მოწინააღმდეგემ პოზიცია ნაჩქარევათ დაიჭირა ჩვენი შეტევის ზეგავლენით (შეხვედრითი ბრძოლის დროს), ასეთ დროს სანგრების გასაკეთებლად შეჩერება დანაშაული იქნებოდა.

საჭიროა ერთი წამითაც კი არ გვავიწყდებოდეს, რომ შეტევის დროს უმთავრესი უპირატესობა—მისი ზნეობრივი ძალაა, რომელიც, ამავე დროს, ადვილად შეიძლება გამოგვეცალოს სანგრებსა და საფრებში.

ამისათვის, ყოველი კარგი შეტევისათვის დევიზი უნდა იყოს—**წინ, რადაც არ უნდა დაჯდეს.**

ასეულის ვაზნებით შევსება.

ზოგადი დებულებანი.

ქვეითი ჯარის თანამედროვე მრავალფეროვანი და ავტომატიური შეიარაღების დროს, ვაზნების შევსების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს, რადგანაც თანამედროვე ბრძოლაში ვაზნების ხარჯვა მეტად დიდია.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასეულში 6 ტყვიამფრქვევია და 13 ავტომატი, რომ ქვეითი ჯარის ბრძოლა თითქმის მთელ დღეს გრძელდება, რომ ტყვიამფრქვევის ცეცხლის სისწრაფე თითქმის 600 გასროლას აღწევს, ხოლო ავტომატისა—50-120 გასროლას წამში, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბრძოლის ერთ დღეს ტყვიამფრქვევს დასჭირდება 5—6 ათასი ვაზნა, ხოლო ავტომატს—3—4 ათასი, ე. ი. ასეულის ტყვიამფრქვევებსა და ავტომატებს დასჭირდებათ 50 - 84 ათასი ვაზნა.

გარდა ამის ყოველ მსროლელს ერთი დღის ბრძოლისათვის სჭირია 200—მდე ვაზნა, ხოლო ასეულის 120 მსროლელს—24 ათასამდე ვაზნა.

1000 ვაზნა იწონის $1^1/_2$ ფუთზე მეტს და ამრიგად მთელი დღის ხარჯი ვაზნებისა ასეულში მიაღწევს 120—170 ფუთს.

ცხადია, მსროლელთა და ტყვიამფრქვევთა უშუალო განკარგულებაში ვერ იქნება ასეთი დიდი თადარიგი ვაზნებისა. ამისათვის გვიხდება ვაზნების მეტი წილი ვზიდოთ ჯარების უკან, საიდანაც უნდა მოეწყოს შემდეგში მათი მიწოდება მოწინავე ხაზზედ.

ამრიგად ავტომატიური იარაღი, რომელმაც მეტად გააძლიერა ქვეითი ჯარის ცეცხლი, სავსებით დამოკიდებულია ვაზნების საკმარის რიცხვის ქონებაზედ და ამისათვის მო-

ითხოვს ყველა ხარისხის მეთაურთა განსაკუთრებულ ზრუნვას ვაზნების შევსებისათვის.

ვაზნების წესიერი და თავის დროზედ შევსება მოითხოვს:

1) თვალყურის დევნებას, თუ რამდენი ვაზნა აქვს ყოველ წამს მსროლელთ და მომქმედ ტყვიამფრქვევებს და

2) ვაზნების თავის დროზედ მოტანას საზიდავი თადარიგიდან.

ვაზნების ანგარიშის წარმოება შეადგენს ყოველი მეთაურის მოვალეობას, ჯგუფის მეთაურიდან მოყოლებული; ხოლო ყოველი მსროლელი და ტყვიამფრქვეველი ვალდებულია აწარმოებდეს დარჩენილი ვაზნების ანგარიშს და თავის დროზედ მოახსენებდეს ჯგუფის მეთაურს, როდესაც მას ხელზე დაჰრჩება თან სატარებელი ვაზნების ნახევარი.

მიტანით, ან სხვანაირად ვაზნების შევსების მოწყობა შემდეგი მოსაზრებიდან უნდა გამომდინარეობდეს:

1) ასეულის შეიარაღების სხვა და სხვაობა მოითხოვს შევსებას: თოფის ვაზნებით, და ხელით სასროლი გრანატებით;

2) შევსების წესი ერთხელვე უნდა იყოს შემუშავებული და განსაზღვრული სახით ჩამოყალიბებული, რათა მუდამ არ გვიხდებოდეს მისი ხელ-ახალი შემუშავება. ამისათვის საჭიროა წინდაწინვე დაინიშნოს ხალხი და ყოველ მათგანს ნაჩვენები ჰქონდეს თავისი მოვალეობა და ადგილი. თვით შევსება კი უნდა ხდებოდეს ავტომატიურად;

3) ასეულის ბრძოლაში საჭიროა შევავსოთ: ა) საბრძოლო ნაწილის დახარჯული ვაზნები, ბ) გავტენოთ ტყვიამფრქვევის სარტყელაები, რგოლები და ავტომატის მჭიდეები და გ) მოვაწყოთ ვაზნების მიზიდვა ზურგიდან;

4) ვაზნების წესიერ შევსებისათვის თვალყურის დევნება უნდა დაეკისროს არა შემთხვეკით, არამედ განასაზღვრულ პირს.

საბრძოლო ნაწილისათვის ვაზნების მისაწოდებლად უნდა გამოყენებულ იქმნას ყოველი საშუალება, რომელიც კი შესაძლებელია იმ გარემოებაში და რომელთა რიცხვსაც ეკუთვნიან:

1) ავტომობილებით ან პატარა ტანკებით, თუ კი ასეთები მოიპოვებიან.

ასეთი მიტანა: ა) თვალსაჩინოა მოწინაღმდეგის არტილერიისათვის და იწვევს მის ცეცხლს, ბ) მოითხოვს ზურგის რთულ ტეხნიურ მოწყობას და ამძიმებს საბარგულეებს.

მაგრამ სავსებით გამოსაყენებელია ღამით, ბრძოლის შეწყვეტის ხანაში და ზურგში.

2) ცხენის ურმებით.

ასეთი მიტანა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწინაღმდეგე მას ვერა ჰხედავს, ე. ი. ღამით, ნისლში და სხვა. იხმარება ზურგში, დაახლოვებით, ასეულის რეზერვის ხაზამდე.

3) ჩალვადრებით ცხენით, სახედრით და ძაღლით.

უკანასკნელი სახით ვაზნების მიტანა შეიძლება თვით მოწინავე ხაზზედაც კი.

4) მიტანა ხელის ურმებით.

ეს საშუალება მეტად ხელსაყრელია, რადგანაც ერთ კაცს კარგა დიდი ტვირთის გადატანა შეუძლიან ფარულად და ცოცვითაც კი.

5) ვაზნების მიწოდება ადამიანთა ხელით.

ეს საშუალება ყველაზედ სანდო და მუდამ მოსახერხებელი საშუალებაა. იგი უმთავრესი საშუალებაა ბრძოლის ყოველგვარ გარემოებაში და ამისათვის ვაზნების შევსების საქმის მოწყობას მუდამ საფუძვლად უნდა ედოს ხალხის მუშაობა, განსაკუთრებით მოწინავე ასეულების მოქმედების ზოლში.

ვაზნებით დაკმაყოფილების მოწყობა.

ლაშქრობის დროს ასეულს თან მისდევს: სამი ორცხენიანი ვაზნათა ორთვალა და ერთი ტყვიამფრქვევების ოთხთვალა.

დაახლოვების ზოლის დასაწყისში ტყვიამფრქვევების ოთხთვალა ტყვიამფრქვევებს გადასცემს ოცეულებს და თითონ რჩება ათასეულის რეზერვთან, ასეულის ორთვალები მისდევენ თავ-თავის ასეულს.

ასეულის შეტევაზე გადასვლისათანვე, მებრძოლთ შეუვსებენ კიდევ საჭიროებისამებრ ვაზნათა საკმარის რიცხვს, ხოლო ვაზნების მიმტანნი გადმოიღებენ ასეულის ვაზნათა ორთვალეებიდან რაც შეიძლება მეტ ვაზნებს, გატენილ სარტყელაებს და რგოლებს ტყვიამფრქვევისათვის და მისდევენ: საბრძოლო ოცეულთა მიმტანნი—თავის ოცეულებს, ხოლო მართველობის ოცეულის მიმტანნი—დარიგდებიან საბრძოლო ოცეულებში. ვაზნების მისატანად შესაძლებელია მესაკაცენიც გამოიყენონ.

ოცეულების თანდათანობით წინ წაწევისა და ვაზნების დახარჯვისას, განთავისუფლებული ვაზნების მიმტანნი, მართველობის ოცეულის მიმტანთა რიცხვიდან, ჩამორჩებიან და შეადგენენ ვაზნების მოძრავ საწყობს, ერთმანეთისაგან 60—200 მეტრის (100—300 ნაბ.) დაშორებით, მაგალითად შემდეგი გაანგარიშებით:

გამლის ნომერი	საწყობის სახელწოდება.	მიმტანთა რიცხვი.	რომელი ოცეულისაგან ან და ათეულისაგან.	შენიშვნა.
1.	ასეულის (ორთვალებთან)	6	მართვის ოცეული	სასურველია ხელის ურმებით.
2.	სათავეში	6	იგივე	
3.	ოცეულის	4	2 ტყვიამფ. ათეულ. და თითო ავტომატთა ათეულებიდან.	საწყობები თავსდებიან ფერულად და იკეთებენ თხრილებს.

ათეულებში დარჩენილი ვაზნების მიმტანნი, როდესაც ათეულს შემოეხარჯება ვაზნები, ჩამორჩებიან თავის ათეულებს (თუ წინ იწევენ ისინი) და შეადგენენ თავის ათეულებისათვის საშორისო საწყობებს.

გაშლილ და ძრიელ ცეცხლის ქვეშ მყოფ ადგილებში საშორისო საწყობებს შეადგენენ სარეზერვო ნაწილიდან.

იარაღის მეკუნავე რჩება ასეულის სავაზნე ორთვალეებთან, სადაც, გარდა ხელმძღვანელობისა, მოაწყობს მკიდეებისა, სარტყელაებისა და რგოლების გატენას ტყვიამფრქვევთა და ავტომატთათვის, რაც, მიუხედავად ამისა, არ უარჰყოფს ასეთების გატენას თვით ტყვიამფრქვევებთანაც.

ვაზნებით დაკმაყოფილების საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრება მართველობის ოცეულის მეთაურს, რომელიც აწარმოებს დახარჯული ვაზნების აღრიცხვას.

ვაზნებით შევსების წესი ბრძოლის ხანაში შემდეგია:

1) ლეგიონის საბარგულის ოთხთვალეები, საჭიროებისამებრ, მოჰზიდავენ ვაზნების ათასეულის ორცხენა ოთხთვალეებთან და ჩააბარებენ რა იქ, ბრუნდებიან ახალი შევსებისათვის.

2) ასეულის სავაზნე ორთვალები დასცლიან რიგ-რიგობით ვაზნებსა და მიდიან ათასეულის ორთვალეებთან, სადაც მიიღებენ ვაზნებს და დაბრუნდებიან თავის ადგილას. ასეულთან მუდამ უნდა იმყოფებოდეს ერთი სავსე სავაზნე ორთვალა.

3) სავაზნე ორთვალეებთან მყოფი მიმტანნი ხელის ურმით ან ხელით ვაზნებს მიიტანენ სათავეში მყოფ მიმტანებთან და უკან ორთვალეებთან დაბრუნდებიან.

4) სათავეში მყოფი მიმტანნი ვაზნებს გადასცემენ ოცეულების მიმტანებს და უკან აღარ დაბრუნდებიან; ისინი, ოცეულთა თანდათანობითი წინ წაწევისას, უცდიან ვაზნების მომტანთა მოსვლას ასეულის რეზერვიდან.

5) ოცეულთა საგუშაგოები ვაზნებს აბარებენ უშუალოდ ათეულებს (თუ არ არის საშორისო საგუშაგოები) და უკან აღარ ბრუნდებიან. ათეულთა თანდათანობითი წინ წაწევისას, ისინი უკან ჩამორჩებიან და უცდიან მიმტანთა მისვლას მთავარ საგუშაგოდან. (იხილე სქემა №32.)

ათასეულის შეტევა.

დაახლოვების ხანა.

რაკი მიიღებს საბრძოლო ამოცანას შეტევისათვის და ამით გაეგნება რამოდენიმედ მაინც გარემოებაში, ათასეულის მეთაური ვალდებულია გააცნოს ასეულთა მეთაურებს ეს გარემოება და, აგრეედვე, მოქმედების საერთო მიზანი და ათასეულის საბრძოლო ამოცანა.

შემდეგ ათასეულის მეთაურს მიჰყავს თავისი ათასეული ნაჩვენებ მიმართულებით და გარემოების შესაფერ წყობილებით.

ათასეულის მეთაური მოვალეა: მოაწყოს და აწარმოოს თავისი ძიება, დაიცვას ათასეულის კედარო, ფრთები და ზურგი და აწარმოოს კავშირი ლეგიონის მეთაურის, მეზობელ ნაწილების მეთაურების და თავის ხელქვეეით ასეულების მეთაურებთან.

პირადი თვალთვალისა და ძიების საშუალებით თანდათანობით გარემოების გამორკვევით, ათასეულის მეთაური შეადგენს მოქმედების გეგმას და განუმარტავს ასეულთა მეთაურებს.

მოქმედების გეგმა ხორციელდება ათასეულის საბრძოლო წესის გაშლით.

ათასეულის საბრძოლო წესის გაშლა მდგომარეობს ათასეულისადმი ბრძოლისათვის ბრძანების გაცემასა და ასეულებისა, ტყვიამფრქვევებისა, სავაზნე ორთვალეებისა და სხვა საზიდავების გადასვლაში სათანადო ადგილებზე.

ბრძანებაში ნაჩვენები უნდა იყოს:

1) ცნობები მოწინააღმდეგეს შესახებ;

2) ცნობები ათასეულის მეზობელ ჯარების შესახებ;

3) ათასეულის მოქმედების საერთო მიზანი;

4) ასეულების დანაწილება საბრძოლო უბნებსა და ათასეულის რეზერვს შორის და საბრძოლო უბნის კერძო ამოცანები;

5) ათასეულის რეზერვის ადგილი და წინსვლის წესი;

6) ზომები საბრძოლო წესის ფრთების და ზურგის თვალთვალისა და დაცვისათვის; ფრთების სათვალთვალებლად იგზავნებიან ბერაები; ზურგს კი უთვალთვალებენ ათასეულის რეზერვიდან გაგზავნილი ბერაები ან მხვერავები;

7) კავშირის მოწყობა საბრძოლო უბნებისა და ათასეულის რეზერვის მეთაურებთან და მეზობლებთან მარცხნივ;

8) ტყვიამფრქვევებისა და სავაზნე ორთვალათა დანაწილება, თუ კი ამას საჭიროდ დაინახავს, ასეულთა შორის; თუ საჭიროდ სცნობს, რომ ტყვიამფრქვევებმა ერთად იმოქმედონ, მაშინ აძლევს მათ ცალკე ამოცანას;

9) შემხვევ პუნქტისა და ათასეულის საბარგულის ადგილი, თუ კი ეს უკანასკნელი ათასეულთან არის;

10) ბრძოლის ველის საკუთარი თვალთვალის მოწყობა;

11) ორი მოადგილე იმ შემთხვევისათვის, თუ თვითონ გამოაკლდება წყობილებას;

12) ადგილი, სადაც თვითონ იქნება.

ათასეულის გაშლა უნდა მოხდეს მოწინააღმდეგის საარტილერიო ცეცხლის გავლენის სფეროს გარეშე, ე. ი, 8—6 კილომეტრის მანძილით მისგან; საფარ ადგილებში გაშლა შეიძლება ხდებოდეს უფრო ახლოც; ათასეული ყოველთვის თავის დროზე უნდა გაიშალოს, რომ ასეულთა მეთაურებს დრო ჰქონდეთ გაიყვანონ თავისი ასეულები იმ ადგილას, სადაც მოუხდებათ მოქმედება და, აგრეთვე, რომ მოასწრონ გაერკვიონ გარემოებას.

ათასეულის გაშლა უნდა მოხდეს რაც შეიძლება ფარულად, რომ არ გამოვამჟღავნოთ ჩვენი ძალა და ასეულთა წინსვლის მიმართულება.

საბრძოლო უბანში დანიშნული ყოველი ასეული, განშორდება რა სხვა ასეულებს, იწყებს წინ დანიშნული მიმართულებით, როგორც ეს ნაჩვენები იყო ზემოდ, ასეულის შეტევის თავში.

ასეულს საბრძოლო უბნები უტევენ ნაჩვენები მიმართულებით. თუ შეტევის მიმართულებით მოწინააღმდეგემ დაიკავა ადგილობრივი საგნები, ასეულები ვალდებულნი არიან ყველგან გადამწყვეტი იერიში მიიტანონ ამ ეგებზე, იმოქმედონ

ცეცხლით და ხიშტით და დაიპყრან ეს საგნები, რომლებიც გაუადვილებენ ათასეულს შეტევას და რომლებიც აბრკოლებენ მას.

ყოველი ასეულის საბრძოლო უბანი წინ იწევს ნაბიჯით ერთი საფარიდან მეორემდე და სცდილობს რაც შეიძლება ჩქარა და ნაკლების ზარალით მიაღწიოს მომავალი ბრძოლის ხაზს; იმ ადგილებს, რომელიც ითოფება და ღია ადგილებს გაივლიან გადარბენით, ამასთანავე გადარბენა სწარმოებს ყოველ ასეულში დამოუკიდებლად.

ყოველგვარი გადარბენის დროს უნდა ვცდილობდეთ არ მივცეთ მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლს სროლის დიდი მიზნები და წვრილ—წვრილი ნაწილებითა და კაცებით მოფენილი ფოლოცები; ამისათვის კი ყოველი რიგობის მეთაური, ასეულთა მეთაურების ჩარიცხვით, მოვალენი არიან ხელიდან არ გაუშვან თავის ნაწილები; უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დროს ასეულები წინ იწევენ ჯერ ისევ წყობილებით და არა საბრძოლო წესით, წყობილებაში კი ყველაფერი მხოლოდ მეთაურის ნებით სრულდება.

საბრძოლო უბნების ასეულთა წინსვლა სწარმოებს წინ გაგზავნილ მძიებელთა დასისა და მზვერავების დაცვის ქვეშ, რომელთაც შეიძლება მიეცეთ აგრეთვე მსუბუქი ტყვიამფრქვევები; ამასთანავე სწორება საბრძოლო უბნების ასეულთა შორის არ არის სავალდებულო.

წყობილება და ადგილ-მდებარეობასთან შეხამება სრულიად დამოუკიდებელია ყოველ ასეულში.

ასეულებს მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს შორის და იცავდნენ ნაჩვენებ მიმართულებას, რომელიც აღინიშნება რომელიმე ნათლად მოჩანს წინმდებარე საგნით ისე, რომ ყველა ასეულების წინსვლა ესწვრივებოდეს მთელი ათასეულის წინსვლის საერთო მიმართულებას. როდესაც მიმართულების განსაზღვრა ადგილობრივი საგნებით შეუძლებელია, ინიშნება მიმართულების მიმცემი ასეული, რომელსაც დანარჩენი ასეულები უფარდებენ თვის მოძრაობას.

მეზობელ ასეულთა შორის გარღვევისა ან ერთად თავმოყრის თავიდან ასაცილებლათ, ყოველი ასეულის მეთაური მოვალეა ყურადღებით ადევნოს თვალი, რომ სისწორით იყოს დაცული მიმართულება და იმ შემთხვევაში, თუ იგი მობრუნდა, დროზედ იყოს შეცდომა გამოსწორებული,

ათასეულის რეზერვი წინ იწევს ერთ-ერთ საბრძოლო უბნის უკან მიდევნით ან კიდევ, თუ ეს საჭირო იქნება, საბრძოლო უბნების მიმართ—გადგომით. თავის მოძრაობას იგი

უფარდებს საბრძოლო უბნების მოძრაობას, თუმცა იმასაც ეძლევა მიმართულება ადგილობრივ საგნებით.

რეზერვის მეთაური ზრუნავს რეზერვის წყობიდებისა, მისი ადგილ-მდებარეობასთან შეხამებისა და ათასეულის ზურგის უზრუნველყოფის შესახებ.

მისცემს რა ასეულებს შესაფერ მიმართულებებს, თვითონ ასეულის მეთაური გამუდმებით აწარმოებს ძიებას და დაწვრილებით ეცნობა ადგილ-მდებარეობას, რათა მისი თვისებები გამოიყენოს ათასეულის ნაწილთა ურთი-ერთ უკეთესი მოქმედებისათვის.

ათასეულის რეზერვს ათასეულის მეთაური ჰხარჯავს ახალი საბრძოლო უბნების შესაქმნელადა და ასეულთა საბრძოლო უბნებისათვის დახმარების აღმოსაჩენად; ახალ საბრძოლო უბნებს მიჰმართავს განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, რომელსაც განუმარტავს მათ თავის ბრძანებაში.

ბრძოლის მსვლელობის მიხედვით, საბოლოოდ გადასწყვეტს, თუ სახელდობრ რომელი საბრძოლო უბნითა და მოწინააღმდეგის დალაგების რომელ მისადევარში უნდა აწარმოოს მთავარი დაკვრა და, ამ გადაწყვეტილების და მოხედვით, შეაფასებს შეტევის ზოლში მყოფ ადგილობრივ საგნების მნიშვნელობას—შეტევის წარმატებისა და განვლილი სივრცის ხელში შენარჩუნების თვალსაზრისით, იმ შემთხვევისათვის, თუ მოწინააღმდეგე შეგვავიწროვებს.

განზრახული მთავარი დაკვრის მიხედვით, მიჰმართავს საბრძოლო უბნების ასეულთა და ათასეულის რეზერვის შეტევას და ამავე დროს ზრუნავს ასეულებისა და ტყვიამფრქვევების ვაზნებით დროზედ შევსების შესახებ.

შეტევის ხანა. ბრძოლის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ გადამწყვეტ წამს იმ უბნის წინააღმდეგ, სადაც განზრახულია მთავარი დაკვრის წარმოება, შემჭიდროებული გვყავდეს მომეტებული ძალა და ამით დავკვრათ მტერს.

რადგანაც ამ დროსათვის უკვე გამორკვეული უნდა იყოს მთავარი დაკვრის უბანი, ამისათვის ათასეულის მეთაური უპირველეს ყოვლისა უნდა ზრუნავდეს მიმართოს თავისი ცეცხლი ამ მთავარი დაკვრის უბნის წინააღმდეგ; ძალების დაგროვება კი ამ დროს უნდა გამოიხატოს ათასეულის რეზერვის საბოლოო დამიზნებაში.

ათასეულის საბრძოლო წესის თანდათანობით წინ წაწევისა და მოწინააღმდეგესთან თოფის ნამდვილი ცეცხლის მანძილით დაახლოვების დროსათვის, სხვა ნაწილებთან ერთად

მომქმედმა ათასეულმა უნდა საქმეში ჩააბას რაც შეიძლება მეტი ასეულები და ტყვიამფრქვევები და ცეცხლითი ბრძოლისათვის გამოიყენოს ათასეულის რეზერვიც კი, იმ იმედით, რომ უფროსი მეთაური (მაგ., ლეგიონის მეთაური) თვითონ იზრუნებს, მოსპოს ყოველგვარი ხელის შემშლელი მოულოდნელობანი, რისთვისაც კი გამოიყენებს თავის რეზერვს.

ცალკე მომქმედ ათასეულს კი, შეტევის წარმოების დროს, თოფის ნამდვილი ცეცხლის სფეროში, უმნიშვნელო რეზერვი მაინც უნდა ჰყავდეს.

ამ ხანაში შემტევმა უნდა განავითაროს საბრძოლო უბნების გაძლიერებული ცეცხლი, იმ აუცილებელი პირობით, რომ აჩქარებული იყოს შეტევის ტემპი.

თუ საბრძოლო უბნებში შეამჩნიეს, რომ გადამწყვეტი შეტევისა და გაძლიერებული ცეცხლის გამო, მოპირდაპირემ რყევა იწყო, მაშინ საბრძოლო უბნების ასეულები თავისი თაოსნობით უნდა გადავიდნენ ხიშტით კვეთებაზედ; თუ ეს წამი თვითონ ათასეულის მეთაურმა შეამჩნია, მაშინ იერიშზედ. უნდა გადაიყვანოს მთელი ათასეული და იმოქმედოს ჯარზედ პირადი გავლენითა და მაგალითით.

თუ, პირიქით, შეამჩნიეს, რომ მოპირდაპირე არ უთმობს, ათასეულის მეთაურმა უნდა გამოიჩინოს დიდი სიმტკიცე და ხელოვნება დასახული მიზნის მისაღწევად.

ათასეულის მეთაურმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ ასეულთა უბნებში არ შესუსტდეს შეტევის აღტყინება; იგი ვალდებულია თავისი გავლენითა და პირადი მაგალითით არ შეუწყვიტოს ხალხს შეტევითი მისწრაფება და გადაწყვეტილება,—საქმე მიყვანილ იქმნეს ბოლომდე, უკან მოუხედავად.

ამასთანავე ერთად ათასეულის მეთაურმა უნდა მოიფიქროს და გაითვალისწინოს ყოველგვარი საშუალების გამოყენება, რომლითაც კი შესაძლებელი იქნება დახმარება აღმოუჩინოს თავის ხელქვეითთა სიმამაცეს და თავდადებას; წარმატების უზრუნველსაყოფად საჭირო ზომების მოფიქრებასთან ერთად, ათასეულის მეთაურმა უნდა მოიფიქროს დამარცხების შესაძლებლობაც და ის ზომები, რომლებიც შეუძლიან მიიღოს მან ამ დამარცხების საზარალო გავლენის შესამცირებლად.

გულმოდგინე დაკვირვებით უნდა შეისწავლოს ათასეულის მეთაურმა ადგილ-მდებარეობა, რომელზედაც მოუხდება მოქმედება მის ათასეულს; არც ერთი დაწვრილებითი ცნობა, სულ მცირე საგნების თვისებების შესახებაც კი, არ უნდა გამოეპაროს მის თვალს.

კედაროთი იერიშს ათასეულის მეთაურმა, სულ უმნიშვნელო შესაძლებლობისასაც კი, უნდა შეუერთოს იერიში ფრთებით, ამისათვის ათასეულის მეთაური თავის დროზედ უბრძანებს ერთ-ერთ საბრძოლო უბანს აწარმოოს შემოვლა ან და, აგრეთვე თავის დროზედ, ჰგზავნის ამ მიზნით ნაწილს ათასეულის რეზერვიდან.

ათასეულის შეტევა გარეგნულის მხრით მდგომარეობს შემდეგში:

საბრძოლო უბნების ასეულები, მათს გარშემო მყოფ გარემოების მიხედვით, გაიშლებიან საბრძოლო წესად. ასეულთა საბრძოლო უბნების აუცილებლად ერთ და იმავე დროს გაშლა სავალდებულო არ არის.

ყოველ უბანს აქვს თავისი კერძო მიზანი, აქვს საკუთარი გარემოება და ჰყავს თავისი მეთაური, რომელიც გამოშუშავებული გეგმის თანახმად მუშაობს—მხოლოდ ამ პირობებს უნდა შეეფარდებოდეს გაშლა ყოველ ასეულის უბანში.

გაიშლება რა თავის საბრძოლო წესით, ყოველი ასეული უტევს დამოუკიდებლად, აწარმოებს ვისთანაც საჭიროა კავშირს და დახმარებას უწევს მასთან ერთად მომქმედ ასეულებს.

ცეცხლს იწყებენ პირველად ასეულებისათვის მიცემული მძიმე ტყვიამფრქვევები, რომელთაც შემდეგი შეტევისას უერთდება მსუბუქი ტყვიამფრქვევებისა, ავტომატებისა და ბოლოს თოფის ცეცხლი; ათასეულის საბრძოლო წესის თანდათანობით წინ წაწევისას, ცეცხლი უფრო და უფრო ძლიერდება და უმაღლეს განვითარებას აღწევს იერიშის დასაწყის ხაზთან დაგროვებისა და თვით იერიშის ჟამს.

ყოველი ასეულის საბრძოლო უბნის საბრძოლო წესი პირველში შესდგება საბრძოლო ხაზის მსროლელთა ჯგუფებისგან, ოცეულთა რეზერვებისა და ასეულის რეზერვისაგან; გარდა ამისა იქნება კიდევ ათასეულის რეზერვი. შემდეგში, წინ წაწევისას, ოცეულთა რეზერვები შეუერთდებიან საბრძოლო ხაზს, ასეულის რეზერვი დაეშიზნება ასეულის საბრძოლო უბნის მთავარი დაკვრის პუნქტს, ხოლო ათასეულის რეზერვი მიიმართება ათასეულის მთავარი დაკვრისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

საბრძოლო უბნების ასეულთა წინსვლა სწარმოებს ერთ ადგილას დარჩენილ ნაწილების ცეცხლის დაცვით; ამასთანავე არც ერთი ცეცხლის ატეხა არ უნდა ხდებოდეს ტყუილუბრალოდ, არამედ მას უნდა უერთდებოდეს აუცილებლად

წინ წაწევა საბრძოლო წესის ნაწილებისა. რაც უფრო მიუახლოვდება მოწინააღმდეგეს, იმდენად იზრდება შეტევის სისწრაფე, ხოლო საბრძოლო წესის სიღრმე მოკლდება, ე. ი. რეზერვი მიიწევა საბრძოლო ნაწილთან.

იერიში. ათასეულის შეტევა მთავრდება იერიშით, რომელშიც მთელმა ათასეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. იერიშს წინ უნდა უსწრებდეს საბრძოლო წესის ნაწილებისთვის მისამართად ხელსაყრელ მისავლების და მოწინააღმდეგის დალაგების დაწვრილებითი ძიება; მხოლოთ ამნაირ ცნობებს, რომელთაც მიიღებენ ბრძოლით, პირადი დათვალიერებით და ათასეულის მეთაურის ძიებით, შეუძლიანთ მიგვითითონ იერიშის საუკეთესო საშუალებაზე.

მოწინააღმდეგის უკუგდება, თუნდაც მეტად ძლიერი პოზიცია ეჭიროს მას, შესაძლებელია: ა) თუ შემტევმა შეასუსტა იგი ცეცხლით, ბ) თუ შემტევს შესწევს შეტევის სიმედგრე, გ) თუ გონივრულად სარგებლობს შემტევი ადგილ-მდებარეობით, დ) თუ იცავს იგი იერიშის დროს წესრიგს და ე) თუ ამორჩეულია მოხერხებული წამი. ამასთანავე მეთაური უნდა იდგეს იმ სიმაღლეზედ, რომელსაც ელის თავის ჯარისაგან; ამგვარ წამში მეთაურის მაგალითი ბევრათ უფრო საჭიროა, ვიდრე სხვა დროს.

იერიშისათვის წინსვლა არსებითად განსხვავდება მანევრისაგან იმით, რომ ეს წინსვლა ყოველ ნაწილში უნდა იყოს სწორ ხაზოვანი მიმართულებისა თვით მოპირდაპირესთან შეხლამდე და არევ-დარევამდე. ამ განსხვავების მიზეზი ის არის, რომ იერიშზე წინსვლის დროს მეთაურებისა და ჯარის მთელი აზრი და ენერგია მხოლოდ ერთ რასმეს უნდა ევლებოდეს თავს, სახელდობრ-მოწინააღმდეგესთან შეხლას. იერიშის დროს უკვე აღარ შეიძლება ფიქრი არც მოცდაზე და არც უფრო ხელსაყრელ მიმართულების არჩევაზე, რადგანაც ერთიც და მეორეც შეადგენს მანევრის კუთვნილებას, რომელსაც იერიშის მოსამზადებელი ხასიათი აქვს. აქ ხდება იგივე, რაც მოსდის ტყვიას: მსროლელს შეუძლიან რამდენჯერმე დაუმიზნოს, შეუძლიან მიზანიც გამოიცვალოს, ვიდრე ჯერ არ უსროლნია, მაგრამ რაკი გაუშვებ ტყვიას, მას უკვე ველარსაით მიაბრუნებ. იერიშზე გაგზავნილ ნაწილი—იგივე გასროლილი ტყვიაა. ამისათვის საჭიროა შეძლება გვქონდეს დაუმიზნოთ ჩვენი ნაწილი და ამოვირჩიოთ ხელსაყრელი წამი, რომ გადავიყვანოთ იგი იერიშზედ.

როგორც უკვე არა ერთხელ იყო ნათქვამი, ეს საბრძოლო დანიშნულება რომ წარმატებით იყოს შესრულებელი, როგორ პირობებშიაც არ უნდა იყოს, უპირველეს ყოველისა საჭიროა თავსა და გულში ჩანერგილი გვქონდეს ურყევი გადაწყვეტილება მივიყვანოთ იერიში ბოლომდე და უკან მოუხედავად. თუ არ გვექნება მტკიცე და ურყევი ნებისყოფა შესაძლებელია, სულ უბრალო მოულოდნელობის მიზეზით იერიში კატასტროფით დამთავრდეს; ამისთვის მეთაურთა გამარჯვების წყურვილს არ უნდა სდევდეს თან არავითარი მერყეობა ან ყოყმანისა და გაუბედაობის ნატამალიც კი.

მაგრამ იერიშის წარმატებისათვის, გარდა უსაზღვრო გაბედულებისა, საჭიროა კიდევ შეგვეძლოს წითელ არმიელთა გატაცება (აღფრთოვანება). მეთაურის სიმამაცე გადამდებია, იგი ააღფრთოვანებს მასას და უნერგავს გამარჯვების სურვილს.

მანძილი, რომლიდანაც უნდა დაიწყოს იერიში, როგორც უკვე ნათქვამი იყო ზევით, არ შეიძლება სისწორით განი საზღვროს; ყოველივე დამოკიდებულია მოპირდაპირეთა ურთი-ერთ განწყობილებაზე. შეიძლება ითქვას მხოლოთ ერთი —იერიშზე მეტად ადრე გადასვლით კაცებს დავღლით და მნიშნელოვან ზარალსაცა ვნახავთ მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან; თუ მეტად დავიგვიანებთ—არ გვექნება საკმარისი გასაქანი. შეიძლებოდა საშუალოდ მიგვეღო, რომ იერიშზედ გადასვლა უნდა ხდებოდეს 200—250 ნაბიჯის მანძილით მოწინაღმდეგისაგან.

იერიშის დროს მიმართულების მიმცემად უნდა იყოს ის ნაწილი, რომელიც წინ მიდის.

ათასეულის რეზერვი უნდა ეკვეთოს, რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება, იმ უბანთან ერთად, რომელსაც ეხმარება იგი მთავარი დაკვრის მოხდენაში; ხოლო არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიმეოროს ამ უკანასკნელის კვეთება, რადგანაც ეს შესაძლებლობის მიცემა მოწინააღმდეგისათვის ნაწილ-ნაწილად დაგვმარცხებს.

ყოველ მოიერიშე საბრძოლო უბანს ნაჩვენები უნდა ჰქონდეს მოწინააღმდეგის დალაგებაში ის საგანი (საგნები), რომლის მიმართულებითაც უნდა ეკვეთნენ.

მოწინავე ჯგუფები და ათეულები დამოუკიდებლად გადადიან კვეთებაზე პირდაპირ თავის წინ და იმ მდგომარეობაში, რომელშიაც მიუახლოვდნენ იერიშის ხაზს; დაუხარჯავი დამხმარე ნაწილები და რეზერვები თავისი წინსვლით ეხმარებიან

მოწინავე ჯგუფებსა და ათეულებს. მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევები უკანასკნელ შესაძლებლობამდე განაგრძობენ ინტენსიური ცეცხლის წარმოებას თავის უკანასკნელ პოზიციებიდან მოიერიშე ჯგუფების ხანებით. მეზობელი საბრძოლო უბნები მოიერიშეთ ეხმარებიან გვერდითი და ჯვარედინ ცეცხლით.

ათასეულის მეთაურს არასდროს არ უნდა დაავიწყდეს აუხსნას იერიშის წინ თავისი გეგმა და მისი შესრულება იმათ, რომლებმაც მეთაურობა უნდა აიღონ, თუ ვინიცობაა იგი მოკლეს, რადგანაც უგუნურობა იქნებოდა წარმატების დაკავშირება უცაბედად მოხვედრილ ტყვიასთან. გამარჯვებისათვის კი საჭიროა მეთაურმა არ დაინდოს თავი: საჭიროა იგი იმყოფებოდეს იერიშის სათავეში, რათა არ გამოეპაროს დაკერისათვის ხელსაყრელი მოკლე წამი. ბრძოლა, და მით უმეტეს, იერიში—თვალზომისა და წამის საქმეა და ამ არა სახუმარო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთი წამის დაკარგვას, ხშირად, ყველაფრის დაკარგვა მოსდევს.

ყოველმა მეთაურმა იმავე თვალსაზრისით და ისევე დაკვირვებით უნდა ასწონ-დასწონოს დამარცხების შესაძლებლობა, როგორც გამარჯვებისა. წინასწარ მოფიქრება იმისი, თუ როგორ მოიქცევა იმ შემთხვევაში, თუ უკან დახევა მოუხდა, სრულიადაც არა ჰნიშნავს უკან დახევის სურვილს.

მოქმედება წარმატებით იერიშის შემდეგ.

წარმატებითი იერიში ჯერ კიდევ არ ჰნიშნავს მტერზე გამარჯვებას. რომ წარმატება სრული იყოს, საჭიროა წარმატებითი იერიშის შემდეგ: ა) მტრისაგან წართმეულის განმტკიცება, ბ) მიღწეული წარმატების განვითარება და გ) მტრის დევნა.

ყოველივე ეს მოიერიშემ უნდა შეასრულოს იმ გათვალისწინებით, რომ იერიშით უკუგდებული მოწინააღმდეგე შეეცდება მოიახლოვოს თავისი რეზერვები და მათი დახმარებით მოიერიშე უკუაგდოს.

ა) წართმეულის განსამტკიცებლად, ათასეულის მეთაურმა სწრაფად უნდა შეაფასოს ადგილობრივი საგნების მნიშვნელობა და ისე დაიკავოს ეს უკანასკნელნი, რომ მათი მისადგომები უკუგდებულ მოწინააღმდეგის მხრიდან გამოითოფებოდეს ჯვარედინ, და თუ შეიძლება, გვერდითი ცეცხლითაც.

როგორც უკვე აღნიშნული იყო ასეულის შეტევით ბრძოლაში, იერიშის დამთავრებისთანავე, მსუბუქი ტყვიამფრქვევები დაუყოვნებლივ მიიწევენ მოიერიშესთან, ხოლო მძიმე ტყვიამფრქვევებს თავისი ცეცხლი გადააქვთ მომავალ რეზერვებსა ან უკუქცეულ მოწინააღმდეგეზედ.

შემდეგში, როდესაც მოიერიშე კარგად მოედება მოწინააღმდეგის პოზიციას, ამ უკანასკნელზე გადადიან მძიმე ტყვიამფრქვევებიც.

ტყვიამფრქვევები თავსდებიან ქვეითი ჯარის იმ ნაწილებთან, რომელთაც უფრო მნიშვნელოვანი ადგილობრივი საგნები დაიკავეს და ისე, რომ შესაძლებელი იყოს ამ საგნების მისადგომების გამოთოფვა ჯვარედინი ცეცხლით.

ამრიგად, მოწინააღმდეგისათვის წართმეულ ადგილ-მდებარეობის დამკვიდრება მდგომარეობს იმ ადგილობრივი საგნების დაპყრობაში, საიდანაც შესაძლებელი იქნება მათი მისადგომებისა და მათ შუა ხანების გამოთოფვა.

ბ) მიღწეული წარმატების განვითარება მდგომარეობს არა მარტო იმ ადგილობრივ საგნების დაპყრობაში მოიერიშის მიერ, საიდანაც ეს-ეს არის განდევნა მოწინააღმდეგე, არამედ უნდა დაკავებული იქნეს ის ადგილობრივი საგნებიც, რომლებიც არსებობს ახლო მახლო და რომლებიც გაუადვილებს უკუგდებულ მოწინააღმდეგეს კვლავ გამოსტაცოს მოიერიშეს ხელიდან დაპყრობილი ადგილები.

ამასთანავე ერთად შემტევმა შესაძლებლობა არ უნდა მისცეს მოწინააღმდეგის რეზერვებს, რომ მიეშველნენ მას, რისთვისაც შემტევი ამ რეზერვებს უნდა შეხვდეს შემმუსვრელ ცეცხლით და ენერგიულ ხიშტით კვეთებით.

გ) მაგრამ საბოლოო გამარჯვებას მტერზე მოიერიშე მხოლოთ მაშინ მიაღწევს, თუ აწარმოებს ენერგიულსა და მედგარ დევნას.

ათასეულში ისევე, როგორც იყო ასეულში, არ მოიპოვება საკმარისი ძალები ხანგრძლივი დევნის მოსაწყობათ; ეს უკვე უმაღლეს ტაქტიკურ შეერთებათა მეთაურების საქმეა, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, ბრძოლის ბოლოშიაც კი ეყოლებათ საამისოდ საკმარისი ძალები.

მაგრამ, თუ ათასეული ვერ შესძლებს, ძალთა ნაკლებობის გამო, ხანგრძლივ და შორ დევნას, ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად საჭიროა, უკუგდებულ მტრის დევნა იმდენად მაინც, რამდენაც მოსახერხებელია.

თუ მდევარი ნაწილები გზა და გზაწინააღმდეგობის ახალ—ახალ კოცონებსა და ბუდეებს წააწყდებიან, მედგრად უნდა ეკვეთნენ ამ უკანასკნელთ, ზევიდან ბრძანების მოუცდელად. ამ შემთხვევებში ფართოდ გამოიყენება ხელის გრანატები.

ცეცხლით დევნისათვის გამოყენებული უნდა იქმნეს მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევები და, აგრეთვე, ავტომატები. წინ-

სვლით დევნისათვის შეიძლება დაინიშნენ დაჭერილ პაზიციის მოსაგერიებლად მოსამზადებელ სამუშაოსაგან თავისუფალი რეზერვები.

ურთი-ერთ მოქმედება მიღწეული იქნება ყველას ერთსულოვან მისწრაფებით წინ.

თუ მოწინაღმდეგე უკუგდებულია სიღრმის მქონე ადგილობრივი საგნის წინა ნაპირიდან, მაშინ მოიერიშე ნაწილები უნდა შეიჭრნენ ამ ადგილობრივ საგანში, სდევნონ უკუგდებული მოწინააღმდეგე მეორე ნაპირამდე, დაიჭირონ ეს ნაპირი და აქედან სდევნონ მოწინაღმდეგე ცეცხლით. თუ ადგილობრივი საგანის სიღრმეში დარჩნენ მოწინაღმდეგის ცალ-ცალკე ჯგუფები, მაშინ ამ საგანში შეჭრისას საჭირო არაა მივყვეთ მათ განდევნას; რამდენიმე ხნის შემდეგ, თუ გამარჯვება მოიერიშეს დარჩა, მისთვის ძნელი აღარ იქნება ამ ჯგუფების მოსპობა ამა თუ იმ გზით.

ყოველ მოქმედებაში იერიშის წემდეგ წარმატება დამოკიდებულია, უმთავრესად, ათასეულის მეთაურისა და მისი ხელქვეითი მეთაურების გამრიგეობაზე, რომელთაც უნდა მიიღონ ზომები წესრიგის აღსადგენად მოიერიშე ნაწილებში.

ხელ-ჩართული ბრძოლის შემდეგ ხალხი მეტად აღელვებულია, ჯარის ნაწილები არეულია ერთმანეთში, მეთაურები გამოაკლდნენ წყობელებიდან ან თვალს მიეფარნენ, ამის გამო გამარჯვებული მხარე არასდროს არ არის ისე ახლოს დამარცხებასთან, როგოც სწორეთ ამ გამარჯვების წუთებში.

ეს არის—კრიტიკული წამები, და საჭიროა ყოველი ღონის ხმარება, რათა, რამდენადაც შესაძლებელია, შემოკლებული იქმნეს ეს წამები.

მოქმედება წაგებულ იერიშის შემდეგ.

თუ იერიში მარცხით დამთავრდ იგი დაჟინებით უნდა მეორდებოდეს იმ დრომდე, ვიდრე მიღწეული არ იქნება დასახული მიზანი.

წაგებული იერიშის შემდეგ ათასეული მეთაურის საზრუნავი უნდა იყოს, არ მისცეს მოწინაღმდეგეს შესაძლებლობა გააფართავოს თავისი წარმატება, ე. ი. მედგარი შეტევით უკუაგდოს ათასეული.

ამის მისაღწევად ათასეულისა და ასეულების მეთაურები დაკვირვებით უნდა სწავლობდნენ ადგილ-მდებარეობას თავის შეტევის ზოლში; ამავე დროს მათ უნდა აღნიშნონ ის ზღუდეები და ადგილობრივი საგნები, რომელთა დაკავებითაც, თუ იერიში მარცხიანია, შესძლებენ შეაჩერონ მოწინააღმდე-

გის შემოტევა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, წაგებული იერიშის შემდეგ, ასეულები რამდენადაც კი შესაძლებელია ახლო უნდა შეჩერდნენ მოწინააღმდეგესაგან და დაიკავონ ჯერ კიდევ შეტევის დროს მოსაზრებული ადგილობრივი საგნები.

ათასეულის მეთაურის ზრუნვა მიმართული უნდა იყოს ათასეულის რეზერვის შედგენისაკენ, ე. ი. ისეთი შეკუმშული ჯგუფის შექმნისაკენ, რომელიც შესძლებს მედგრად დაუხვდეს მტრის შემოტევას ცეცხლით და კონტრ-იერიშზედ გადასვლით.

თვით უკან დახევა სწარმოებს ათასეულის ნაწილების თანდათანობითი და რიგ-რიგობით გადაყვანით უკან და ცეცხლითი ბრძოლისათვის ხელსაყრელ ადგილებზე შეჩერებით; ნაწილების უკან სვლას ჰფარავს ავტომატიური და ადგილზედ მყოფ ნაწილების თოფის ცეცხლის შეუჩერებელი წარმოება.

ათასეულის მართვა შეტევითი ბრძოლაში.

ათასეულის მეთაურის მოვალეობანი.

ა) გაშლის წინ უნდა:

1) დაისახოს ათასეულის მოქმედების საერთო მიზანი;

2) დაუყენოს კერძო მიზნები საბრძოლო უბნების მეთაურებს;

3) აუხსნას ასეულთა მეთაურებს გარემოება და თავისი მოქმედების გეგმა;

4) მოაწყოს და გაგზავნოს ძიება;

5) გასცეს ბრძანება ათასეულის გაშლისათვის;

6) მოაწყოს ბრძოლის ველის თვალთვალი.

ბ) დაახლოვების ხანაში:

1) ძიებისა და პირადი მოხილვის საშუალებით მიღებულ ცნობების მიხედვით, აძლევს დამატებით განკარგულებებს საბრძოლო უბნებისა, ათასეულის რეზერვისა და ფრთებზე გაგზავნილ ნაწილების უფროსებს და განკარგულების შესრულებისს აშუალებებში ერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაინახავს, რომ მათი მოქმედება მცდარია;

2) თვალყურს ადევნებს მიცემული მიმართულების დაცვას;

3) უთვალთვალებს ფრთებსა და ზურგს;

4) აწარმოებს ვისთანაც ჯერ არს კავშირს და უთვალთვალებს ბრძოლის ველს;

5) დაკვირვებით შეისწავლის ადგილ მდებარეობას;

6) ბრძოლის მსვლელობისა და ძიებით მიღებულ ცნობების მიხედვით, საბოლოოდ გადასწყვეტს, საით უნდა იყოს

მიმართული მთავარი დაკვრა და, ამის და მიხედვით, მიჰმართავს ათასეულის რეზერვს;

7) ყველა საბრძოლო უბნების შეტევას მიჰმართავს, ათასეულის მოქმედების გეგმის განვითარების მიხედვით;

8) ზრუნავს ასეულისა და ტყვიამფრქვევების შევსებაზე ვაზნებით.

გ) შეტევის ხანაში:

1) ზრუნავს, რომ ცეცხლი დაჯგუფულ იქმნეს მთავარი შეხლის უბნის წინააღმდეგ;

2) საბოლოოდ უმიზნებს ასეულებსა და ათასეულის რეზერვს;

3) თვალყურს ადევნებს, რომ ასეულთა საბრძოლო უბნებში არ შესუსტდეს შეტევის სიმედგრე;

4) განსაკუთრებულის დაკვირვებით შეისწავლის ადგილმდებარეობას, რომელზედაც უხდება ათასეულს მოქმედება.

დ) იერიშის წინა და თვით იერიშის ხანაში:

1) ბრძოლისა, ძიებისა და პირადი დათვალიერების საშუალებით მიღებულ ცნობებით შეისწავლის მოწინააღმდეგის მისავლებს და აგრედვე აქვს თუ არა მას მოწყობილი ხელოვნური დაბრკოლებანი;

2) ამ დაბრკოლებათა ხასიათისა და მოთავსების შესახებ აფრთხილებს მოიერიშე ნაწილებს და იღებს ზომებს მათ მოსასპობად ან შესასუსტებლად;

3) უხსნის თავის მოადგილეებს იერიშის გეგმას;

4) ათასეულის რეზერვისა და მის ხელში მყოფ ყველა ძალების და საშუალებათა საქმეში ჩარევით გავლენას ახდენს ბრძოლის მსვლელობაზე;

5) იმყოფება რა თვითონ ათასეულის მთავარი შეხლის პუნქტზე, პირადად მიჰყავს იერიშზე ათასეულის რეზერვი და თვალყურს ადევნებს კვეთებისადმი მისწრაფებას—შეუჩერებლივ მსვლელობას იერიშისათვის უკანასკნელ დაგროვების ხაზიდან.

ე) დევნის ხანაში:

1) თვალყურს ადევნებს მძიმე და მსუბუქ ტყვიამფრქვევების სწორე გამოყენებას და დაპყრობილ უბნების განმტკიცებას;

2) არა სწყვეტს კავშირს ზურგსა და არტილერიასთან.

ჰმართავს: ბრძანებულებებით, რომელთაც გადასცემს ან ტელეფონით და ან მარბიელთა დაგზავნით, ნიშნებით და პირადი მაგალითით.

ასეულის მეთაურის მართვის საფუძვლები ათასეულის საბრძოლო წესში.

ყოველი, საბრძოლო უბანში დანიშნული, ასეულის მეთაური აწარმოებს თავის ძიებას, აწყობს თავისი ასეულის საბრძოლო წესის ფრთებისა და ზურგის თვალთვალს და იქერს ვისთანაც ჯერ არს კავშირს, იმის და მიუხედავად, რომ ათასეულის მეთაურიც აწარმოებს თავის მხრით ძიებას, დაცვას, კავშირს და თვალთვალს.

ათასეულისა და ასეულის მეთაურების ძიება უნდა შეეფერებოდეს მათ ძალებს, ე. ი. არ უნდა შესუსტდეს ათასეულისა და ყოველი ასეულის ცალ-ცალკე საბრძოლო ძალა.

ყოველი ასეულის მეთაური თვითონ ირჩევს წყობილების სახეობას თავისი ასეულისათვის, თუ არ დამდგარა ჯერ საბრძოლო წესათ გაშლის დრო; ერთი წყობილებიდან მეორეზე გადასვლის დროს თვითონ ასეულის მეთაური ჰსაზღვრავს და ამ შეცვლას უფარდებს თავისი მოქმედების მიზანსა და ვარემოებას, იმის და მიუხედავად თუ როდის მოახდენენ წყობაცვლას მეზობელი ასეულები.

ყოველი ასეულის გაშლა საბრძოლო წესით დამოკიდებული არ არის იმაზედ, თუ როდის გაიშლებიან მეზობელი ასეულნი.

ასეულის მეთაური სრულ ბატონ-პატრონად რჩება ასეულში; ათასეულის მეთაურს მხოლოდ მაშინ შეუძლიან, და ვალდებულიც არის, უჩვენოს ასეულის მეათურს, თუ როგორი წყობილება მიაღებინოს ასეულს და როგორ იმოქმედოს, როდესაც ჰხედავს, რომ ამ უკანასკნელმა არ იცის თავისი საქმე და აშკარა შეუფერებელ წყობილებას იღებს და შეცდომით მოქმედებს.

ყოველი საბრძოლო უბნის ასეულის მეთაური იმასვე ასრულებს თავის ასეულით მეზობლების მიმართ, რასაც ასრულებენ ასეულში ოცეულები, ათეულები და ჯგუფები, ე. ი. თუ მეზობელ ასეულს აწვება მტერი, ხოლო მის წინააღმდეგ კი მტერი არ არის, იგი ვალდებულია დაეხმაროს ამ მეზობელ ასეულს ცეცხლით და ხიშტით; თუ რა საშუალებით აღმოაჩინოს დახმარება, ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია ყოველ კერძო შემთხვევის განსაკუთრებულ თვისებებზე.

საბრძოლო უბნების უფროსნი თავის ასეულებს გადასცემენ ათასეულის მეთაურის ბრძანებებს: განავითარებენ რა ამ ბრძანებებს, ასეულის მეთაურნი სრული და პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი არიან თავისი ასეულებისა, ათასეულის მეთაურის მიერ დაყენებულ ამოცანის ფარგლებში.

ათასეულის რეზერვში მყოფ ასეულის მეთაური უნდა განუწყვეტლივ ათვალთვალებდეს, თუ რა კეთდება ასეულთა უბნებში, და შეისწავლიდეს ადგილ-მდებარეობას, რომელიც აშორებს მის ასეულს მათგან და აგრეთვე გარემო ადგილს ფრთების მხრისაკენ იმ შემთხვევისათვის, თუ რეზერვი გაიგზავნა ამა თუ იმ მიმართულებით, ან კიდევ თუ თავისი თაოსნობით მოუხდა მას თავისიანების დახსნა.

ათასეულის რეზერვის უფროსს არ შეუძლიან ათასეულის მეთაურის ნებადაურთველად ხარჯოს რეზერვი, გარდა ურთიერთ დახმარების შემთხვევებისა. იგი ზრუნავს რეზერვის წყობილებასა და ადგილ-მდებარეობასთან შეხამების შესახებ.

საერთოდ ათასეულის მეთაური არ უნდა ერეოდეს ასეულთა მეთაურების მოქმედების სფეროში, მაგრამ ყოველი ასეულის მეთაური უნდა უვარგისათ იქმნეს ცნობილი, თუ არ შეუძლიან მას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებანი და თუ წამ და უწუმ ტყუილ-უბრალოდ მიჰმართავს ჩვენებისათვის ათასეულის მეთაურს.

კავშირი ათასეულის შეტევითი ბრძოლაში.

კავშირის საშუალებანი.

კავშირის საშუალებანი იგივეა, რაც იყო ასეულისათვის; ამასთანავე ათასეულის მეთაურის დასაკავშირებლად ასეულების მეთაურებთან, გარდა ნიშანიანობისა და მარბიელებისა, შეიძლება გამოყენებულ იქმნეს ტელეფონიც.

ასეულის მეთაურის დასაკავშირებლად კი მეზობელ ასეულებთან (საბრძოლო უბნებისა და რეზერვისა)—ნიშანიანობა.

ნიშანიანობის გამოყენების დროს საჭიროა ზრუნვა არა მარტო ნიშნების გადაცემაზე, არამედ იმაზედაც, რომ დანიშნული იყვნენ ნიშნების მიმღებნი; ამისათვის ათასეულის მეთაურმა უნდა დანიშნოს ნიშნების მიმღებნი, რომელნიც იმავე დროს ნიშნების გადამცემნიც იქნებიან.

თვით კავშირის წარმოება მდგომარეობს ათასეულის საბრძოლო წესის ნაწილთა მეთაურების მიერ ურთი-ერთ, დამოუკიდებლად ცნობების, მოქმედებისა თვისი და მოწინააღმდეგის ჯარების დალაგებისა, მოქმედებით მიღწეულ შედეგების და აგრეთვე ადგილ-მდებარეობის შესახები ცნობების გადაცემაში.

მოგერიებითი ბრძოლა.

მოგერიებითი მოქმედების თვისებანი და ხასიათი.

მოგერიებითი მოქმედების საბოლოო მიზანი იგივეა, რაც შეტევითი მოქმედებისა, ე. ი. მოწინააღმდეგის განადგურება.

ზევით ჩვენ გავარკვიეთ, რომ მოგერიების ძლიერ მხარეს წარმოადგენენ პოზიცია და ცეცხლის წარმოების სიმარჯვე; მისი უმთავრესი ნაკლი კი ის არის, რომ მოქმედების თაოსნობა შემტევს უვარდება ხელში.

ამრიგად შემტევის მხარეზედ არის ზნეობრივი უპირატესობანი და, მაშასადამე, შეტევითი ბრძოლა არის ყველაზედ უფრო ხელსაყრელი და ერთგვარად მოქმედების ნორმალი საშუალება.

მოგერიებას კი უნდა მივმართოთ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელდობრ: რათა ადგილ-მდებარეობის მიერ მოცემულ უპირატესობის გამოყენებით, წინასწარ შემზადებული ცეცხლის ძლიერებით და აგრეთვე საინჟენერო ხელოვნების საშუალებათა მოხმარებით, მცირე ძალებით შევაჩეროთ მოწინააღმდეგის შემოტევა იმ აზრით, რომ, მოვიგოთ დრო დიდ აქტიურ ძალის შესაგროვებლად და გადავიდეთ შეტევაზე.

მოგერიება, როგორც მოქმედების საშუალება, შეიძლება სასარგებლო იყოს შემდეგ შემთხვევებშიაც:

1) როდესაც საჭიროა ამა თუ იმ უბნის ხარჯზე გამოიყოს ძალა დაკვრისათვის;

2) როდესაც ჯერ კიდევ მზად არა ვართ გადამწყვეტი შეხლისათვის და გვინდა მოვიგოთ მოსამზადებლად საჭირო დრო და

3) დამცველ და მძიებელ მცირე ნაწილების ზოგიერთ ოპერაციებში, რომლებსაც დროს მოგება აქვთ დასახული მიზნად.

სამხედრო ხელოვნების მთავარი პრინციპია მტერს მიუშვიროთ ძლიერი მხარე, ხოლო დავწიოთ სუსტი. გამოვდივართ რა ამ პრინციპიდან, მხედველობაში გვაქვს მოგერიებითი მოქმედების თვისებანი და აქედან შეგვიძლიან აღვნიშნოთ მოგერიებითი ბრძოლის შემდეგი დამახასიათებელი ელემენტები: 1) პოზიციის დაკვირვებით ამორჩევა, 2) მეტად ფართედ განვითარება ცეცხლისა და 3) ზომების მიღების მთელი რიგი შემტევის ნებისყოფისაგან იმ დამოკიდებულების გასაქარწყლებლად, რომელშიაც ვარდება მომგერიებელი.

ზომები მოგერიების ხუთი მხარის გასაქარწყლებლად.

ამ ნაკლის გასაქარწყლებლად საუკეთესო საშუალება, რასაკვირველია, იქნებოდა თავისი მხრით მედგარ შეტევაზე გადასვლა. მაგრამ გარემოება მუდამ არ გვაძლევს ამის საშუალებას.

მომგერიებელს შეუძლიან მხოლოდ მიიღოს ყოველი მასზედ დამოკიდებული ზომა, რათა გაუძნელოს მოწინააღმდეგეს თაოსნობის გამოჩენა და განვითარება და არ სტოვებდეს ამავე დროს ცდას, გამოსტაცოს, როდესაც კი შემთხვევა მიეცემა, შემომტევს ხელიდან ეს თაოსნობა.

ეს ზომები შემდეგია:

I. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოეწყოს დაწვრილებითი ძიება მოწინააღმდეგის ძალებისა და განზრახვებისა. როგორი მანევრიც არ უნდა იხმაროს მოწინააღმდეგემ, თუ იგი დროზედ იქნება გაგებული, შეიძლება ან სრულიად გაქარწყლდეს, ან მნიშვნელოვნად შესუსტდეს.

მოაწყობს რა საკუთარი პოზიციის ფრთების დაკვირვებულ თვალთვალს, მომგერიებელი, გარდა ამისა, აგზავნის წინ იმ გზებით, საიდანაც მოსალოდნელია მოწინააღმდეგის შემოტევა, მსროლელთა ჯგუფებით გაძლიერებულ მძიებელთა დასებს. მძიებელნი, ადგილობრივი საგნების მთელი რიგის თანდათანობითი გაყოლებით, არკვევენ მოწინააღმდეგის მსვლელობის მიმართულებას და ნაწილობრივ აგრეთვე მის ძალებსაც და ამით კი გამოაშკარავდება მისი განზრახვაც.

II. როდესაც ძიება გამოააშკარავებს მოწინააღმდეგის ძალებსა და განზრახვას, მომგერიებელმა უნდა მიიღოს ზომები მისი გეგმის გასაქარწყლებლად. ამ ზომების აუცილებელ პირობად უნდა იყოს მეტად ფართე აქტივობა.

პირველ შემთხვევისათანავე საჭიროა დავასწროთ მოწინააღმდეგეს და მოუაროთ მის ერთს ან ორივე ფრთას. თუ ამის შესრულება ვერ მოხერხდა და მოწინაღმდეგემ ჩვენზედ ადრე მოაწყო მოვლა, მაშინ მის საწინააღმდეგოდ საჭიროა ყველაზედ უფრო აქტიური საშუალების ხმარება, სახელდობრ:

ა) ან გადავიდეთ მედგარ შეტევაზედ შემომვლელ ან მომვლელ ნაწილის წინააღმდეგ, რათა მტრის დანარჩენი ძალებისაგან ცალკე დავამარცხოთ იგი, ან არა და ბ) რეზერვის ნაწილით დავიკავოთ ახალი პაზიცია, რამდენადაც შესაძლებელი იქნება შემომვლელის ფრთით (ნახ.№33).

პირველი საშუალება უფრო გადამწყვეტია; მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მტრის ძალა და

განზრახვა იმდენად არის გამორკვეული, რომ ამ მანევრის დროს საფრთხე არ მოელის მომგერიებლის კედაროს.

ამისათვის გაცილებით უფრო ხშირად უხდებათ მეორე საშუალების ხმარება, მეტად შედეგიანის, საკმარისად აქტიურის და არც ისეთ ფათერაკიანისა, როგორც პირველია.

საერთოდ, მოპირდაპირის რომელიმე მანევრის წინაღმდეგობა საჭიროა ისე სრულდებოდეს, რომ ჩვენს მოქმედებაში, გარდა მანევრის შესუსტებისა, აქტიური მუქარაც იყოს მოპირდაპირის მიმართ.

მოქმედების აქტივობა მნიშვნელოვნად შეეხუთავს შემტევის თაოსნობას, ხოლო ზოგიერთ ხელსაყრელ პირობებში, შესაძლებელია, სრულიადაც გადასცეს მიმგერიებელს ხელში.

III. ფართე აქტივობის გამოჩენა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მომგერიებელს ძლიერი საერთო რეზერვი ეყოლება.

თანამედროვე ავტომატიური და თოფის ცეცხლის სიძლიერე სრულს შესაძლებლობას მისცემს ამის შესასრულებლად ისე, რომ არ შესუსტდეს მოწინააღმდეგეზედ ზემოქმედების ის ჯამი, რომელიც სასურველია საბრძოლო ნაწილისაგან.

ამრიგად შემტევის ინიციატივის გასაქარწყლებლად და მით თავისი სუსტი მხარის გასამაგრებლად, მომგერიებელმა უნდა იყოლიოს ძლიერი საერთო რეზერვი, დაკვირვებით ადევნოს თვალყური მოწინააღმდეგის ყოველ ნაბიჯს და დაჟინებით ახვევდეს მას თავზედ თავის ნებას.

პოზიცია. როგორც უკვე ვიცით, პოზიცია შეადგენს მომგერიებლის ხელსაყრელ მხარეს, რადგანაც იგი აძლიერებს სპის. წინააღმდეგობის ძალას. მაგრამ თავისი დანიშნულების შესასრულებლად, პოზიცია უნდა აადვილებდეს მომგერიებლის ყოველ მოქმედებას, ე. ი. ცეცხლის წარმოებას, ძიებას, აქტივობის გამოჩენას, და, წინაუკმოდ, უნდა აძნელებდეს შემტევის ყოველგვარ მოქმედებას.

რაკი გადასწყდება მოგერიება, უფროსმა მეთაურმა უნდა აირჩიოს პოზიცია, რომელზედაც იგი მიიღებს ბრძოლას.

პირველ რიგში უნდა წამოყენებულ იქმნეს ბრძოლის მიზნის მოთხოვნილებანი და რამდენად შეეფერება პოზიცია ჯარების რაოდენობას. შემდეგში უკვე, პოზიციის უბნის საბოლოოდ ამოსარჩევად, ყურადღება უნდა მიეცქეს ადგილმდებარეობას, ე. ი. ადგილობრივ, ბუნებრივ ხელსაყრელ პირობებს (კედაროს წინ, ზურგში და ფრთებზე).

ადგილ-მდებარეობის მნიშვნელობა მოზიციის არჩევის დროს იმაში მდგომარეობს, რომ მივიღოთ მატერიალური უპირატესობანი მოწინააღმდეგეზე. ამ უპირატესობის მოცემა შეუძლიანთ: ა) უპირატესობას ცეცხლის წარმოებაში, 2) მოხერხებულ საფარს და 3) მოხერხებულ მიმოსვლას.

ამა თუ იმ თვისებათა აღმატება აჩვენებს, თუ რომელი უბანი უფრო ხელსაყრელია ბრძოლისათვის, ხოლო ნაკლი ადგილ-მდებარეობისა შეივსება და შესწორდება საფორტიფიკაციო საშუალებებით.

მოკლე პოზიციების დაკავება, თანამედროვე ცეცხლის სიძლიერის დროს, არ არის ხელსაყრელი.

მოიერიშე შემოჰკრავს რა ასეთს პოზიციას ცეცხლის რგოლით: არტილერიის ცეცხლით—4 კილომეტრის (დაახლოვებით 4 ვერსი), ხოლო ტყვიამფრქვევთა ცეცხლით 1000—1500 მეტრის (1500—2250 ნაბ.) მანძილით, დიდი ზარალის მიყენება შეუძლიან მომგერიებლისათვის.

რიდესაც პოზიცია ფართეა, მაგრამ შესაფერისად განვითარებული სიღრმით და დაკავშირებული ცეცხლის ურთიერთ მოქმედებით, მაშინ კი, პირიქით, მოწინააღმდეგისათვის ძნელია ჩვენი დალაგებისა და რიცხვის გამორკვევა და საკმარისი არტილერიისა და ტყვიამფრქვევთა ცეცხლის შეჯგუფება ჩვენი დალაგების წინააღმდეგ.

შემდეგ, პოზიციის არჩევის დროს საჭიროა აგრედვე არტილერიისა და ქვეითი ჯარის ცეცხლის მოწყობის საკითხის გადაწყვეტა; საკითხი უნდა გადასწყდეს იმ ძხრივ, რომ ყველა ჩვენს წინ მდებარე ხელსაყრელი სათვალთვალო პუნქტები, რომლებიც შესაძლებელია მოწინააღმდეგემ გამოიყენოს ბრძოლის ველის სათვალთვალებლად, უზრუნველყოფილი იყოს ჩვენთვის და ჩვენი ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდეს.

პოზიციის საერთო სიფართის გამორკვევის შემდეგ, აღინიშნება ქვეითი ჯარის წინააღმდეგობის ზოლი, რომელიც მან უნდა ღაიცვას, რადაც არ უნდა დაუჯდეს.

ეს ზოლი უნდა ჰფარავდეს და შეიცავდეს არტილერიის სათვალთვალო პუნქტებს და შეიძლება მოთავსდეს მაღლობების უკანა კალთებზედაც.

ქვეითი ჯარის ამ წინააღმდეგობის ზოლის ძლიერება მდგომარეობს მძიმე და მსუბუქ ტყვიამფრქვევთა მძლავრ ცეცხლში. საჭიროა, რომ: 1) ტყვიამფრქვევები შენახული იყვნენ უვნებლად თვით იერიშის წამამდე და 2) რომ ქვეითი ჯარის

მთელი დალაგება თავისი არტილერიის ნამდვილი ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდეს.

წინააღმდეგობის ზოლი უნდა შესდგებოდეს მთელ რიგ ადგილ-მდებარეობასთან შეხამებულ ცალკე ცეცხლწერტილებისაგან (ცალკე მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვეველები, ავტომატები, გრანატის მტყორცნები, თოფით საუკეთესო მსროლელნი) და, აგრეთვე, საფარი საგნებისაგან ოცეულთა დამხმარე ნაწილებისა და ასეულთა რეზერვებისათვის.

ამ ზოლის სიღრმე უდრის თითქმის ერთ კილომეტრს.

რადგანაც მოწინააღმდეგის არტილერიას, თუ კი საკმარის ყუმბარებს დაჰხარჯავს, მუდამ შეუძლიან შემუსროს მოკლე და ვიწრო ზოლის წინააღმდეგობა, ამისთვის ბრძოლის წარმოება, მარტო წინააღმდეგობის ზოლზედ დაყრდნობით, შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა მოგერიება გავრცელდეს უფრო ფართე ადგილით, რომელზედაც მოწინააღმდეგე ვერ შესძლებს დაფაროს მთლად ყუმბარებით.

გარდა ამისა, ღრმა დალაგებით პოზიციას ეძლევა მეტი სიმტკიცე, რადგანაც ყოველ წამს შეიძლება პოზიციის ყოველი უბნის გაძლიერება სიღრმით დალაგებულ რეზერვის მსროლელებით.

ამისათვის, გარდა წინააღმდეგობის ზოლისა, შეიძლება კიდევ ზოლები: წინააღმდეგობის ზოლის წინ—ეგრედ წოდებული თვალთვალების ზოლი ანუ ფარდა, სიღრმით 2 კილომეტრამდე, და იმავე ზოლის უკან—ეგრედ წოდებული რეზერვების ზოლი, სიღრმით 1—3 კილომეტრამდე, რომელშიაც დალაგდებიან ათასეულისა და ლეგიონის რეზერვები.

თვალთვალის ზოლი მოეწყობა მოწინააღმდეგეს თვალთვალისთვის, ბრძოლით ძიებისთვის, ხელსაყრელ მიზნების გამოსათოფავად და დროს მოგებისათვის.

საჭიროა, რომ მთელი ეს ზოლი იფარებოდეს ჩვენი არტილერიის, და თუ შესაძლებელია მძიმე ტყვიაფრქვევების ცეცხლით, რათა ამით იძულებულვყოთ მოწინააღმდეგე ადრე გაშალოს თავისი ძალები და გამოაშკარავოს თავისი განზრახვები და შეცდომაში შევიყვანოთ ჩვენი წინააღმდეგობის ზოლის მდებარეობის შესახებ.

რეზერვების ზოლის დანიშნულებაა შეაჩეროს მტერი იმ შემთხვევაში, თუ მან გაარღვია წინააღმდეგობის ზოლი, რათა, რეზერვების ზოლზე დაყრდნობით, მოეწყოს კონტრ-

იერიში და პირველ რიგში აღდგენილ იქმნეს წინააღმდეგობის ზოლი, ხოლო შემდეგ — თვალთვალის ზოლიც.

თვალთვალის ზოლი ასრულებს თვალთვალის, დაცვისა და შეხამების ამოცანას, ხოლო რეზერვების ზოლი წარმოადგენს დასაყრდნობ პუნქტებს, საიდანაც შესაძლებელია წინააღმდეგობის ზოლისთვის დახმარების გაწევა ცეცხლით და კონტრ-იერიშით.

ამრიგად, ქვეითი ჯარის დალაგება პოზიციაზე წარმოადგენს 3—6 კილომეტრის სიღრმის მოგერიების ზოლს.

მოგერიების ზოლის არჩევის დროს საჭიროა მხედველობაში გვქონდეს პირობა, რომ მთელი ზოლი რაც შეიძლება უკეთესად იყოს შეხამებული მოიერიშის თვალთვალისა და ცეცხლისაგან; ამისათვის ჯარის დალაგების დროს უნდა ვერიდნეთ განუწყვეტელ თხრილებს და, აგრეთვე, მომგერიებლის დიდი ჯგუფების ერთ ადგილას დაგროვებას.

მომგერიებელი უნდა სცდილობდეს თავისი წადილი მიმართოს ადგილ-მდებარეობის უმთავრეს მისადევრის შენარჩუნებისათვის.

ასეულის მოგერიებითი მოქმედებანი.

ასეულის დალაგება მოგერიებისათვის.

თანამედროვე პოზიცია მოითხოვს ასეულის ნაწილთა დალაგებას:

1) სიღრმით დალაგებული ცალ-ცალკე ცეცხლწერტების სახით (ტყვიამფრქვევები, ავტომატები, საუკეთესო მსროლელნი და გრანატის მსროლელნი) და

2) აგრეთვე ზოლის სიღრმით დალაგებული, მსროლელთა დამხმარე ნაწილების სახით (ჯგუფებიდან და ათეულებიდან გამოყოფილი).

ასეთი დალაგება ღრმა აქტიურ მოგერიებას ჰქმნის, რომელიც დამყარებულია. 1) მანქანების ცეცხლის ყოველმხრივ გამოყენებაზე, მთელი რიგი ცეცხლითი შემაფერხებელი ხაზების დახმარებით, წინააღმდეგობის ზოლის მთელი სიღრმით და 2) მსროლელთა დამხმარე ნაწილების აქტიურ მოქმედებაზე.

ცეცხლწერტები ისე მოთავსდებიან და გამაგრდებიან ადგილ-მდებარეობაზედ, რომ:

ა) ყოველმხრივ იქმნას გამოყენებული ადგილ-მდებარეობის თვისებანი,

ბ) იმყოფებოდნენ ერთი-ერთ ცეცხლით კავშირში.

გ) თუ ვინიცოცხაა მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო ერთ-ერთი ცეცხლწერტი, შესაძლებელი იყოს მეზობელ და უკან მყოფ ცეცხლწერტებით ისეთი ცეცხლის წარმოება, რომ გაქარწყლდეს მოწინააღმდეგის მისწრაფება.

ამისათვის, მოწინააღმდეგის მიერ ერთი ან თუნდაც რამდენიმე ცეცხლწერტების ხელში ჩაგდებამ არ უნდა აიძულოს ასეულის დანარჩენი ნაწილები, დასტოვონ შერჩენილი ცეცხლწერტები.

მსროლელთა დამხმარე ნაწილები დალაგდებიან თავისი ცეცხლწერტების მახლობლად იმ ანგარიშით, რომ, გარდა კონტრ-იერიშით მოქმედებისა, შესაძლებლობა ჰქონდეთ მოიგერიონ მოწინააღმდეგე თავისი ცეცხლითაც.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შემუსვრის უდიდესი % ერთი ფინთიხის გასკდომის დროს იმყოფება 90 ნაბიჯის მანძილით მოხვედრის საშუალო წერტილის ორთავ მხარეზედ, უნდა დავსკვნათ, რომ მსროლელთა დამხმარე ნაწილები უნდა მოთავსდნენ არა უახლოეს 150 მეტრისა (200 ნაბ.) თავისი ცეცხლწერტიდან.

ცეცხლწერტებისა და მსროლელთა დამხმარე ნაწილების დალაგების დროს პოზიციაზე, საჭიროა ვერიდნეთ თვალსაჩინო ადგილობრივ საგნებს და ვისარგებლოთ უმთავრესად კარგად შეხამებული საგნებით.

ოცეულთა დამხმარე ნაწილები და ასეულის რეზერვი ლაგდებიან ჭანდრაკისებურად და ჰქმნიან წინააღმდეგობის ზოლის სიღრმეს, ისე, რომ მუდამ შეეძლოთ მიიღონ ბრძოლაში მონაწილეობა ცეცხლით და მანევრით.

ოცეულთა დამხმარე ნაწილები დალაგდებიან დაახლოებით 200 მეტრით (300 ნაბ.) მსროლელთა დამხმარე ნაწილებისაგან, ხოლო ასეულის რეზერვი 200 მეტრით (300 ნაბ.) —ოცეულთა დამხმარე ნაწილებისაგან.

ასეულისათვის მიცემული მძიმე ტყვიამფრქვევები დალაგდებიან ყველაზედ უფრო მნიშვნელოვან და ხელსაყრელ ადგილებზედ, უმთავრესად, წინააღმდეგობის ზოლის სიღრმეში.

ფრთების დაცვა და თვალთვალი სწარმოებს საერთო საფუძვლებით; ფრთათა დამცველი ნაწილები ლაგდებიან, რამდენადაც შესაძლებელია, მოგერიებისათვის მოხერხებულ ადგილობრივი საგნების მოფარებით, რათა მეტი სიმტკიცე ჰქონდეს მტრის წვრილი დასების წინააღმდეგ.

პოზიციის არჩევადა დაკავება.

ასეულის მეთაურს გარემოებას გაურკვევს ათასეულის მეთაური, რომელიც მის ეკმს მას საბრძოლო ამოცანას, ადგილ-მდებარეობის უბნის ჩვენების სახ-თ, რომელზედაც უნდა აწარმოოს ასეულმა მოგერიება.

როდესაც ასეული ცალკე მოქმედებს, მაშინ უფროსი, რომელსაც ასეული ემორჩილება, უფრო საზოგადო ხასიათის ამოცანას მისცემს ასეულის მეთაურს და ეს უკანასკნელი მოგერიებისათვის უბანსაც დამოუკიდებლად ამოირჩევს.

ორივე შემთხვევაში ასეულისათვის უბანი უნდა ნაჩვენები იყოს ადგილზედ ადგილობრივი საგნებით, რომლებიც აღინიშნებიან ,,ჩარიცხვით'' და ,,გამოკლებით.''

ასეულის მეთაურმა უნდა გააცნოს თავის ხალხს, ოცეულთა და ათეულთა მეთაურების საშუალებით, საბრძოლო ამოცანა და გარემოება.

შემდეგ, ასეულის მეთაური, მოათავსებს რა ასეულს საფარში მოწინააღმდეგის თვალთვალისაგან, მოაწყობს ძიებას და პოზიციის არჩევის მიზნით, პირადად თვითონ ოცეულთა მეთაურებთან ერთად ახდენს ადგილ-მდებარეობის უბნის ძიებას.

ამ ძიებამ უნდა გამოარკვიოს:

ა) პოზიციის სიფართე, რომელიც უნდაშეეფერებოდეს სპის ძალას; თუ პოზიცია გაგრძელებულია მაშინ ადვილია მისი გარღვევა, თუ მოკლეა—შეუძლებელია მთელი ჯარების მოხმარება.

ადგილ-მდებარეობის პირობათა მიხედვით, ასეულს შეუძლიან დაიკავოს 350-650 მეტრის (500-1000 ნაბ.) უბანი, ხოლო ათასეულს—700 მეტრ.—1 კილომეტრის (1000-1500 ნაბ.) უბანი.

ბ) სროლის სივრცის სიდიდე მისადევარის ყველა ცეცხლწერტების წინ, შორისების ცეცხლით დაფარვისა და ცეცხლწერტების ურთი-ერთ გამოთოფვის შესაძლებლობა.

ადგილ-მდებარეობა პოზიციის წინ უნდა იყოს ღია, რათა შეიძლებოდეს მოწინააღმდეგის მოძრაობის თვალყურის დევნება და მისი გამოთოფვა შორიდან.

პოზიციის არჩევის დროს, საჭიროა წინმდებარე ადგილ-მდებარეობის კლარჯებისა და ადგილობრივი საგნების შესწავლა, რომლებიც მოწინააღმდეგეს შესაძლებლობას აძლევენ დაემალნენ ჩვენ ცეცხლს, რათა ცეცხლწერტების შესაფერისი მოთავსებით პოზიციაზე, შესაძლებელი გახდეს ჯვარედინ

ცეცხლით გამოთოფვა, როგორც წინმდებარე ადგილისა, ისე საფრებისა, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს მოწინააღმდეგემ.

სროლის სივრცის შესწავლა ხდება ამორჩეული პოზიციის სხვა და სხვა ადგილებიდან და ეს შესწავლა მდგომარეობს: 1) მისი უდიდესი სიშორის გამორკვევაში სხვა და სხვა მიმართულებით (ადგილობრივ საგნებზე), 2) მანძილის გამორკვევაში ადგილობრივ საგნებსა და ხაზებამდე, 3) უენები ადგილების მოთავსებით და მათი საზღვრების გამორკვევაში, ე. ი. ისეთი ადგილების გამორკვევაში, რომელთა გამოთოფვაც არ შეიძლება და 4) უენები ადგილების მოსასპობად საშუალებათა გამოძებნაში (ტყეიამფრქვევთა და თოფის ვერდითი ცეცხლი, ადგილ მდებარეობის გაწმენდა და სხვ.)

გ) მისავლები ე. ი. მთელი რიგი ადგილობრივ საგნებისა და ადგილ-მდებარეობის კლარჯებისა, რომელთა გამოყენებითაც შემტევს შეეძლიან შეუმჩნეველად მიუახლოვდეს მომგერიებელს ახლო მანძილით. მისავლების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მათს მოთავსებაზე იქნება დამოკიდებული, თვით პოზიციის დაკავებაც.

დ) ფრთათა უზრუნველყოფა ცეცხლითა და მანევრით— რათა შესაძლებელი იყოს მოწინააღმდეგის მანევრების გაქარწყლება, თუ ამ უკანასკნელმა განიზრახა შემოვლა ან მოვლა.

ე) ასეულის ნაწილებისა და ცალ-ცალკე მებრძოლთა თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობა კედროთი და სიღრმით პოზიციის მიტოვების შემთხვევაში, ე. ი. რომ პოზიცია არ იყოს გადაკრილი არც ჩვეულებრივი და არც გასწვრივი ზღუდეებით, რომელთაც შეუძლიანთ ხელი შეუშალონ პოზიციაზედ მოძრაობას.

ვ) სათვალთვალო პუნქტები, საიდანაც სასურველია წინ მდებარე ადგილის იმ ზოლების თვალთვალი, რომლებიც პოზიციიდან არ მოსჩანან. რაკი დაწესდება უენები სივრცეების თვალთვალი, მათ მეტ ნაწილად უკვე დაეკარგებად ჩვენთვის არა ხელსაყრელი თვისებები, რადგანაც შესაძლებელი გახდება მათი გამოთოფვა ფოლოც-ფოლოცებად.

ზ) ასეულის ნაწილების უკან დახევის უზრუნველყოფა, ე. ი. არის თუ არა ისეთი ზღუდეები და ადგილობრივი საგნები, რომლებიც ხელსაყრელია დაიკავოს ასეულმა, თუ დახევა მოუხდა.

ზემოხსენებულ ძიების შედეგად ასეულისა და ოცეულთა მეთაურებმა სრული წარმოდგენა უნდა მიიღონ მათთვის.

დაკისრებული მოსაგერიებელი უბნისა; ეს წარმოდგენა უნდა სწყვეტდეს შემდეგ საკითხებს:

ა) რომელ ცეცხლწერტებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, როგორც თვით ასეულის მოგერიებით ბრძოლისათვის, ისე მეზობლებისა და რეზერვის ასეულთა ამოცანების მიხედვით.

ბ) რა დახმარების გაწევა შეუძლიანთ მნიშვნელოვან ცეცხლწერტებისათვის მეორე ხარისხოვან ცეცხლწერტებს.

გ) რა დახმარების გაწევა შეიძლება მთავარ მნიშვნელობის ცეცხლწერტებისათვის მსროლელთა დამხმარე ჯგუფების ცეცხლითა და მანევრით და საიდან და რა სახით.

დ) რა დახმარების გაწევა შეიძლება ასეულის პოზიციიდან მძიებელთა და მოწინავე ჯგუფების მოქმედებისათვის თვალთვალის ზოლში.

ე) რა მიმართულებით შეიძლება ველოდეთ მოწინააღმდეგის ტანკების იერიშს და როგორი წინააღმდეგობა შეგვიძლიან გაუწიოთ ამ იერიშს და რა მხრიდან.

ვ) რამდენად შესაძლებელია მიღწეულ იქმნეს დაფარვა ჰაერიდან დაათვალთვალებისა და დაცემისაგან.

ზ) რა დამატებითი განკარგულებები იქნება საჭირო ღამობისათვის, ნისლში და სხვ.

ჰ) საით და როგორ შეიძლება გაყვანილი იქმნას ასეულის ნაწილები, იმ შემთხვევაში თუ ვინიცობაა არტილერიის მასიურ ცეცხლში მოჰყვნენ ისინი, მაგრამ ისე კი, რომ, როდესაც ცეცხლი შესუსტდება, შესაძლებელი იყოს ხელახლად მიყვანა მათი თავის ადგილას დროზედ და ფარულად.

თ) სად იქნება ასეულისა და ოცეულთა მეთაურების ადგილი და როგორ მოეწყობა მათ შორის ცოცხალი და შუქობრივი კავშირი..

ი) რომელი მიმართულებით მოეწყობა ვაზნების მიტანა და დაჭრილთა გამოყვანა.

ასეულის უბნის სიგანე უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი პირობებისა და ასეულის მებრძოლთა ჯგუფების საუკეთესო შეფარდებას და, როგორც უკვე ნათქვამი იყო ზემოდ, სიგანე შეიძლება იყოს 350-650 მეტრამდე (500-1000 ნაბ.)

თავის უბანს ასეული იკავებს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცეცხლწერტებით; ამასთანავე ამ უკანასკნელთ უფრო შეჯგუფავს იმ რაიონებში, რომლებიც კარგ პირობებს წარმოადგენენ დაფარვისა და ცეცხლის წარმოებისათვის, და პირიქით უფრო შეათხელებს მათ სხვა ადგილებზე; ზოგიერთი ადგილები კი შესაძლებელია სრულიად დაუკავებელიც დარჩეს.

ამრიგად ამორჩეული პოზიცია დაიყოფა ოცეულთა. უბნებად; ამასთანავე, თუ ასეული სხვა ასეულებთან ერთად მოქმედებს, ასეულის რეზერვი შესაძლებელია სრულიადაც არ იყოს, რადგანაც შემოვლის ან მოვლის შემთხვევისაგან ასეული უზრუნველ-ყოფილია მეზობელ ასეულთა დალაგებით, ყოველგვარი მოულოდნელობის გაქარწყლება კი შეუძლიან ათასეულის რეზერვს.

ცალკე მოქმედ ასეულში კი, ისევე, როგორც იმ ასეულში, რომელსაც ფრთის უბანი უჭირავს, განსაკუთრებით, თუ ათასეულის რეზერვი ფრთისაგან მოშორებით იმყოფება, სასურველია მუდამ იყოს ასეულის რეზერვი.

ყოველივე ამ მოსამზადებელი მოქმედების შესრულების შემდეგ, თუ უკვე შემჩნეულია მოწინააღმდეგის შემოტეცა, ასეულის მეთაური გაჰშლის თავის ასეულს საბრძოლო წესად; ოცეულთა უბნებს იკავებენ ცეცხლწერტები და მსროლელთა და ოცეულთა დამხმარე ჯგუფები, რეზერვი კი გადაიყვანება მისთვის ნაჩვენებ ადგილას.

ასეულის მეთაურის განკარგულებით, ასეულის ყველა ნაწილები გამაგრდებიან და შეეხამებიან, რათა ძნელად შესამჩნევი იყვნენ მოწინააღმდეგისათვის.

ასეულის ნაწილთა გადასვლა თავ-თავის ადგილას და აგრეთვე, სანგრების მოწყობა და შეხამება უნდა სრულდებოდეს მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნეველად.

მოქმედების მიზანი, გარემოება და ყოველი განკარგულება ასეულის დასალაგებლად პოზიციაზე გამოიხატება ასეულის მეთაურის ბრძანებულებაში.

ოცეულთა, ათეულთა და ჯგუფთა მეთაურები ვალდებული არიან აუხსნან თავის კაცებს ასეულის მეთაურის განკარგულებანი და დარწმუნდნენ, რომ მათ გაიგეს და შეითვისეს ყოველივე, რაც უნდა გააკეთონ ამოცანის შესასრულებლად.

თუ ყოველივე მოსამზადებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ მაინც არ არის შემჩნეული მოწინააღმდეგის შემოტევა, მაშინ ასეული გადაიყვანება უბნის ზურგში, სადაც დალაგდება ფარულად; თვით პოზიციაზე კი დაარჩენენ გუშაგებს, რომელნიც აგრეთვე ფარულად მოთავსდებიან.

საფორტიფიკაციო სამუშაო მოგერიების დროს.

პოზიციის საპირო გაძლიერება და გამაგრება უპირველეს ყოვლისა უნდა შეესაბამებოდეს ბრძოლის მიზანს; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიან მოწყობილ პოზიციას აღმოვიჩინოს დიდი დახმარება ბრძოლაში.

შემდეგ, საფორტიფიკაციო საშუალების რაოდენობა მოგერიების, დროს პირდაპირ დამოკიდებულია იმ დროზე, რომელიც ხელთ აქვს მომგერიებელს, რადგანაც ბრძოლაში დახმარება მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როდესაც თავის დროზედ არის აღმოჩენილი.

ამისათვის უფროსი მეთაურთაგანი, დროს მიხედვით, აწესებს რა და რა სამუშაო უნდა შესრულდეს იმ გარემოებაში.

სამუშაოს თანდათანობა გამომდინარეობს იმ მნიშვნელობიდან, რომელიც აქვს ამ სამუშაოს მოგერიების დროს.

უპირველეს ყოვლის, ის სამუშაო უნდა იქმნას შესრულებული, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ცეცხლის განვითარებას, ურთი-ერთ დახმარებას და მართვას; ამ სამუშაოს უნდა მივაკუთნოთ: ა) სათვალთვალო პუნქტების შექმნა ასეულისა, ოცეულებისა და ათეულების მეთაურთათვის, ბ) ტყვიამფრქვევებისა, ავტომატებისა და თოფების სასროლო სივრცის გაწმენდა, გ) მოსპობა იმ დაბრკოლებათა, რომლებიც ხელს უშლიან მისვლა-მოსვლას პოზიციაზე კედაროთი და სიღრმით და დ) ტელეფონების მოწყობა, ამასთანავე პირველ რიგში მეთაურს უნდა დაუკავშირდნენ: 1) ფრთათა დამცველი ნიწილები და 2) ყველა სათვალთვალო პუნქტები.

შემდეგ საჭიროა რაც შეიძლება უკეთესი დაფარვა ჯარებისა მოწინააღმდეგის სროლისაგან, ჰაერიდანა და დედამიწის ზედაპირით თვალთვალის და გაზებისაგან.

ამის მიღწევა შეიძლება იმით, რომ ცალ-ცალკე ცეცხლწერტებისა, მსროლელთა და ოცეულთა დამხმარე ჯგუფარებისაგან შემდგარ ასეულის რეზერვისა და წინააღმდეგობის ზოლში მოეწყობა საფრები ცალკე ტყვიამფრქვევთა ან ავტომატთა ბუდეების მსგავსად და განცალკევებული სანგრები მსროლელთა და ოცეულთა დამხმარე ჯგუფარებისა და ასეულის რეზერვისათვის; ცალკე მომქმედ ასეულში ასეულის რეზერვისათვის შეიძლება მოეწყოს დასაყრდნობი პუნქტიც.

ასეულის ნაწილების მთელი დალაგება უნდა: ა) შეგუებული იყოს ადგილ-მდებარეობასთან, ბ) შეხამებული იყოს თვალთვალისაგან ველითა და ჰაერიდან და გ) მოწინააღმდეგის ცეცხლისა და გაზებისაგან საჭირო დაფარვასთან ერთად, შესაძლებლობას აძლევდეს აქტიური მოქმედებისას, როგორც ცეცხლით, ისე მანევრით. გარდა ამისა ყველა ცეცხლწერტები იმ გვარად უნდა იყოს მოთავსებული, რომ შესაძლებელი იყოს მათ შორის დარჩენილი ხანების გამოთოფვა ჯვარედინი ცეცხლით; ცეცხლწერტებს შორის დარჩენილი ხანები

სასურველია შევსებული იყოს დაბრკოლებებით, რომელნიც გამოითოუებოდნენ, უმთავრესად, გვერდისებური ცეცხლით, მაგრამ რომელნიც, ამავე დროს, ხელს არ უშლიდნენ ჩვენს აქტიურ მოქმედებას.

რეზერვების ზოლში სიმაგრენი არ უნდა იყოს განუწყვეტელი, არამედ უმთავრესად უნდა შესდგებოდეს ცალ-ცალკე დასაყრდნობ პუნქტებისაგან (უმთავრესად ასეულებისა და 1 ათასეულამდე), რომელთა დალაგებაც უნდა შეეფერებოდეს რეზერვთა მოქმედების გეგმას.

ეს დასაყრდნობი პუნქტები უნდა მომზადებული იყვნენ მოგერიებითი ბრძოლისათვის ყოველი მხრით, იმ შემთხვევისათვის, თუ მოწინააღმდეგემ გაარღვია ან კიდევ გარს შემოერტყა. დასაყრდნობ პუნქტების წინააღმდეგობა შესაძლებლობას მისცემს უფროს მეთაურს მოიახლოვოს რეზერვი და შეხვედრითი დაკვრით უკუაგდოს მტერი. გარემოების მიხედვით, დასყრდნობი პუნქტების გარნიზონი, უფროსი მეთაურის განკარგულებით, შესაძლებელია გამოყვანილი იქმნეს ამ პუნქტებიდან კონტრ-იერიშისათვის.

დაბოლოს, საჭიროა შესრულდეს ის სამუშაო, რომელიც პოზიციას ძალას ჰმატებს წინააღმდეგობისათვის; ამ სამუშაოთ ეკუთვნიან: ა) დაბრკოლებათა შექმნა, მოწინააღმდეგის შესაჩერებლად ცეცხლის ქვეშ; ეს დაბრკოლებანი იმ გვარად უნდა იქმნენ მოწყობილი, რომ მომგერიებელს მუდამ შესაძლებლობა ჰქონდეს აქტიური მოქმედებისა; ბ) დაბრკოლებათა შექმნა მოწინააღმდეგის ტანკებისათვის (ასაფეთქებელ ნაღმების ჩაწყობა, ორმოების ამოთხრა, სიგანით 6 (9 ნაბ.) მეტრი და სიღრმით არა ნაკლებ 3 (4,5 ნაბ.) მეტრისა და გ) თუ საჭიროა, მომზადდეს მოგერიებისათვის ზურგის ზღუდეები.

ყოველივე ეს სამუშაო უნდა შეასრულოს თვითონ ასეულმა. ათასეულის მეთაურის განკარგულებით, ამ სამუშაოს შესასრულებლად ასეული შეიძლება გაძლიერებული იქმნეს ათასეულის რეზერვის ნაწილებით. როდესაც კი შესაძლებელია, ყველა საფორტიფიკაციო სამუშაოების დროს უახლოეს თანაშემწეებად და ხელმძღვანელებად უნდა იყვნენ ჯარის ბესანგრეები.

პოზიციის გამაგრების დროს ყოველივე სამუშაო სწარმოებს ასეულის მძიებელთა და თვალთვალის დაფარვით.

ყოველ ცალკე უბანზე სწარმოებს მისავლების ძიება მოწინააღმდეგის მხრისაკენ თავისი მსროლელთა ჯგუ-

ფარების მისაახლოებლად; აგრეთვე სწარმოებს მანძილთა გაზომვა წინა მდებარე ადგილობრივ საგნებამდე.

ბრძოლის ატეხა და წარმოება.

ასეულის მოგერიებითი ბრძოლის ატეხა იწყება თვალთვალის ზოლით ბრძოლის დაწყებით.

მძიებელნი, გაძლიერებულნი, თუ კი საჭირო იქნება, 1-2 სროლელთა ჯგუფით, აწარმოებენ მოიერიშის ძალთა ძიებას და იძულებულჰყოფენ მას, რაც შეიძლება, ადრე გაშალოს თავისი ძალები.

არკვევენ რა ამასთანავე მოწინააღმდეგის შემოტევის მიმართულებას, მძიებელნი სცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ მოწინააღმდეგე, ე. ი. აიძულონ ეს უკანასკნელი თვალთვალის ზოლი, რომელიც ცეცლით დაჰხვდება მას, წინააღმდეგობის ზოლად ჩასთვალოს.

შემომტევ მოწინააღმდეგის წინაშე უკან დახევისას, მძიებელნი ბრძოლით მიდიან უკან ან ასეულის რეზერვისა ან ფრთისაკენ.

პირველში შემომტევს ცეცხლს აუტეხს არტილერია, მაგრამ თუ იგი არ არის, მაშინ დაწყებითი ბრძოლის სიმძიმე შორი მანძილით მძიმე ტყვიამფრქვეველს აწვება, შემდეგში, საშუალო მანძილით, მძიმე ტყვიამფრქვევთა ცეცხლს შეუერთდებიან მსუბუქი ტყვიამფრქვეველები და ბოლოს, ახლო მანძილით,— ავტომატები და საუკეთესო მსროლელნი, რომელთაც მთელი ბრძოლის განმავლობაში უფლება აქვთ დამოუკიდებლად აირჩიონ მიზანი. დაბოლოს, სულ ახლო მანძილით, ბრძოლაში ერევიან გრანატის მტყორცნელნი და ყველა მსროლელნი.

მთელი შეტევის განმავლობაში, მანქანათა ცეცხლი სწარმოებს მოგერიების გეგმის მიხედვით, ე. ი. მოწინააღმდეგის მხრით მომავალ საიერიშო მიმართულებათა შეფასებით. ამისათვის მოგერიების მსვლელობაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს ცეცხლით ურთი-ერთ დახმარებას.

თუ რომელიმე ცეცხლწერტს მოწინააღმდეგემ არტილერიის გამანადგურებელი ცეცხლი აუტეხა, განსაკუთრებით გაზების საშუალებით, ამ ცეცხლწერტის დამცველნი, თავისი მეთაურის განკარგულებით და მოგერიების გეგმის მიხედვით, შესაძლებელია დროებით გადაყვანილი იქმნენ მოფარებულ ადგილას, მხოლოდ ისე კი, რომ ჯგუფთა შორის დაცული იყოს ცეცხლითი კავშირი.

მოწინააღმდეგის იერიშს დაუხვდებიან ცეცხლით, გრანატებით და ხიშტით. მუდამ, როდესაც კი შესაძლებელი იქ-

ნება, მეზობელმა ცეცხლწერტებმა მეტათ მხნე მონაწილეობა უნდა მიიღონ მეზობელზე მიტანილ იერიშის მოგერიებაში ცეცხლით ან მანევრით.

იმ შემთხვევაში, თუ მოპირდაპირემ ხელთ იგდო რომელიმე ცეცხლწერტი, გადარჩენილი მისი დამცველნი უნდა შეუერთდენ უახლოეს თავის ნაწილს და ახსოვდეთ, რომ ამ მომენტში მოწინააღმდეგის ძალა მეტად შესუსტებულია და ყოველ ახალ წინააღმდეგობას შეუძლიან საბოლოოდ შეაჩეროს მისი წინ მისწრაფება. აქავე სარგებლობის მოტანა შეუძლიან ასეულის რეზერვის მანევრსაც.

მოგერიების ხაზიდან ასეულის იძულებითი უკან დახევისას, ასეულის მეთაური მოწინავე ოცეულთ წინსვლას უადვილებს თავისი რეზერვის ცეცხლით; ამ მიზნისათვის იგი ისარგებლებს ასეულისათვის მიცემულ მძიმე ტყვიამფრქვევით, ხოლო, როცა ეს არ არის, მაშინ—ასეულის რეზერვის ტყვიამფრქვევით.

კონტრ-იერიში, მდგომარეობის აღდგენა და დევნა.

მოიერიშის თანდათანობით შესუსტებას ცეცხლით, შესაძლებელია მოჰყვეს ის, რომ მომგერიებელს მიეცეს შესაძლებლობა მოგერიების პირველ აქტიდან გადავიდეს მეორეზე, ე. .ი აქტივობაზე, რაიც მდგომარეობს მოგერიებლის მიერ თავისი მიზნის მიღწევაში-შეტევით. მომგერიებელს არ შეეძლო ამ მიზნის განხორციელება თავიდანვე, რადგანაც თავის თავს სუსტად გრძნობდა,—ეხლა კი, შემომტევის შესუსტების შემდეგ, მას ეს შესაძლებლობა ეძლევა.

ასეულის აქტიურ მოქმედებაზე გადასვლის წამი შეიძლება დადგეს, როდესაც მოწინააღმდეგე იმდენად აირ-დაირევა, რომ შეჩერდება და თხრილების კეთებას დაიწყებს.

ამ შემთხვევაში ასეულმა შესაძლებელია მიიღოს ბრძანებულება გადავიდეს კონტრ-იერიშზე, რათა უკუაქციოს მტერი, ვიდრე მოასწრებდეს იგი დაპყრობილ პოზიციაზე გამაგრებას.

ასეთი კონტრ-იერიში არსებითად შეტევას წარმოადგენს და სწარმოებს შეტევითი ბრძოლის წესით, იმის და მიხედვით, თუ რა სიშორეზე შეჩერდა მოწინააღმდეგე.

ათასეულის შემადგენლობაში მომქმედი ასეული ამ შემთხვევაში კონტრ-იერიშზე გადადის ათასეულის მეთაურის განკარგულებით.

კონტრ-იერიში, საზოგადოდ, მძლავრ საშუალებას წარმოადგენს მოწინააღმდეგის საბოლოოდ მოსასრავად.

ამისათვის, ვიქონიებთ რა მხედველობაში, რომ მოწინააღმდეგე, მომგერიებლის ნამდვილი ცეცხლის სფეროს გავლის შემდეგ, მნიშვნელოვნად იქნება არევ-დარეული, კონტრ-იერიშის წარმოება შესაძლებელია თვით მოწინააღმდეგის იერიშის დროსაც კი.

ასეთი კონტრ-იერიში იწყება სულ ახლო მანძილით, მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლის შეწყვეტისა და მისივე ტყვიამფრქვევთა ცეცხლის შენელების წამს.

ამ კონტრ-იერიშის შესასრულებლად, სროლის მხარდამჭერნი მოულოდნელად უნდა იყვნენ გამოყვანილი იერიშისათვის, მანქანიანი იარაღის ჯგუფები კი, ეხმარებიან რა კონტრ-იერიშს ცეცხლით, თანდათან მიიწევენ წინ და იკავებენ სროლისათვის ხელსაყრელ წერტილებს.

გარდა ხსენებულ ორი სახეობის კონტრ-იერიშისა, როდესაც ასეთი სწარმოებს ან ათასეულის მეთაურის განკარგულებით ან და მისი ნებართვით, შესაძლებელია ისეთი კონტრ-იერიშებიც, სადაც თაოსნობა გამომდინარეობს უმცროსებისაგან—ასეულთა მეთაურებისაგან, რადგანაც, თუ კი გარემოება ხელს უწყობს, მათთვის წარმატების მიღწევა ხანდისხან უფრო ადვილია კონტრ-იერიშით, ვიდრე ცეცხლით.

ყველაზედ უფრო ზოგადი შემთხვევა ასეთი კონტრ-იერიშის გამოყენებისთვის, ასეულთა უმცროს მეთაურების კერძო თაოსნობის ფარგლებში, იქნება ბრძოლის მსვლელობის დროს დარღვეულ მდგომარეობისა და ჯგუფების მნიშვნელოვან ცეცხლწერტილების აღდგენა. ამ შემთხვევაში ასეულის მეთაურისა და სხვა მეთაურთა მოქმედება უნდა გამომდინარეობდეს მოგერიების გეგმიდან და მთავრდებოდეს საერთო კონტრ-იერიშზე გადასვლით, როგორც ეს სწარმოებს შეტევით ბრძოლისას, მტრის დევნის დროს.

შესაძლებელია მოხდეს, რომ შემტევი თავისი მოხერხებული მოქმედებით იმდენად დაიმორჩილებს მომგერიებლის ნებისყოფას და იმდენად მედგრად იმოქმედებს, რომ ასეული ვერ შესძლებს კონტრ-იერიშზე გადასვლას, ვერც დამოუკიდებლად და ვერც ზევიდან ბრძანებით. ამისთანა შემთხვევაში მომგერიებელმა ასეულმა უნდა განაგრძოს მტრის შემუსვრა ახლო მანძილით თოფისა და ტყვიამფრქვევთა ცეცხლით და ხელის გრანატების სროლით; შემდეგ, ამოსწურავს რა სრულად ცეცხლის ძალას, უნდა გადავიდეს ხიშტით კვეთებაზე, როდესაც მოწინააღმდეგე თვითონ მივარდება მომგერიებელს.

მოიგერიებს რა მოწინააღმდეგის დაკვრას, მომგერიებელი ასეული სდევნის მტერს ცეცხლით სადამდინაც კი შესაძლებელი იქნება.

თუ მოწინააღმდეგე უწესრიგოდ იხევს უკან, მაშინ მის სადევნელად იგზავნებიან: ასეულის მეთაურის განკარგულებით—მძიებელნი, ხოლო ოცეულთა და ათეულთა მეთაურების განკარგულებით—ცალკე ჯგუფარები. ასეთი დევნა სწარმოებს ვიდრე ხელთ არ იგდებენ თვალთვალის ყოფილ ზოლს, სადაც მდევარნი შეჩერდებიან.

შემდეგი დევნა სწარმოებს უფროს მეთაურთა განკარგულებით.

ასეულის მართვა მოგერიებითი ბრძოლაში.

ასეულის მეთაურის მოვალეობანი.

ა) მიიღებს რა ამოცანას და მოგერიების უბანს, ოცეულთა მეთაურებთან ერთად ზედმიწევნით შეისწავლის ამ უბანს და მისავლებს მოწინააღმდეგის მხრიდან;

ბ) ადგილობრივი საგნების მიხედვით, ასეულის მთელ უბანს დაჰყოფს ოცეულთა შორის, გამოჰყოფს მებრძოლ ნაწილსა და რეზერვს და აღნიშნავს ამ უკანასკნელის ადგილს;

გ) მისცემს ამოცანებს ოცეულთა მეთაურებს;

დ) ასეულისათვის მიცემულ მძიმე ტყვიამფრქვეველებს უჩვენებს ადგილს და ამოცანას და ისე დაალაგებს მათ, რომ შეეძლოთ ჯვარედინი ცეცხლით დაჰფარონ ყოველი უბნები, სივრცე და მისავალი;

ე) ოცეულთა მეთაურებთან ერთად შეადგენს უბნის მოგერიების გეგმას და გაითვალისწინებს ზომების მიღებას იმ შემთხვევისათვის, თუ მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო დასაცავ უბნის ესა თუ ის პუნქტი;

ვ) მოაწყობს კავშირს საბრძოლო უბნების უფროსებთან, მარცხნით მყოფ მეზობელსა და არტილერიასთან;

ზ) მოაწყობს ძიებას, მოწინააღმდეგის თვალთვალს და ფრთათა დაცვას;

ჰ) აღნიშნავს ვაზნათა საწყობისა და შემხვევ პუნქტის ადგილს;

თ) აძლევს დარიგებას ოცეულთა უბნების გასამაგრებლად და ტყვიამფრქვეეთა დარნების მოსაწყობად;

ი) უჩვენებს ოცეულებს: 1) დაცვისა, კავშირისა, თვალთვალისა და ღამით იერიშის მოგერიების საშუალებებს, 2) ზო-

მებს ტანკებსა და ჰაერმფრინავებთან საბრძოლველად;

კ) პირადად ჰხელმძღვანელობს კონტრ-იერიშს, მოწინააღმდეგის იერიშის დროს.

ოცეულის მეთაურის მოვალეობანი.

ა) შეისწავლის რა ზედმიწევნით ოცეულის დასაცავ უბანს, ათეულთა მეთაურებთან ერთად აღნიშნავს მსუბუქ ტყვიამფრქვევთა და ავტომატების ადგილს და ყოველ მათგანს უჩვენებს ამოცანას და სროლის ზოლს;

ბ) აღნიშნავს ოცეულის მხარდამჭერის ადგილს და ამოცანას;

გ) ანაწილებს ათეულთა და ჯგუფთა შორის უბნებსა და სროლის ზოლებს;

დ) ათეულთა მეთაურებთან ერთად შეადგენს უბნის დაცვის გეგმას;

ე) მოაწყობს კავშირს, თვალთვალს და ძიებას;

ვ) აღნიშნავს მოსაფარებელ ადგილს ათეულთათვის იმ შემთხვევისათვის, თუ მოწინააღმდეგემ აუტეხა არტილერიის მასიური ცეცხლი;

ზ) ათეულთა შორის ანაწილებს სამუშაოს უბნის გასამაგრებლად;

ჰ) მოწინააღმდეგის შემოტევის დროს ჰხელმძღვანელობს ათეულთა და მსუბუქ ტყვიამფრქვევთა მოქმედებას და ყურადღებას აქცევს ურთი-ერთ მოქმედებას ცეცხლით;

თ) თუ ვინიცობაა ოცეულის უბნის რომელიმე პუნქტზე გაირღვა საბრძოლო წესი, მეზობელ ჯგუფთა ცეცხლითა და მანევრით, ბოლოს მოუღებს ამ მოვლენას;

ი) მოწინააღმდეგის იერიშის დროს პირადად ჰხელმძღვანელობს კონტრ-იერიშს;

კ) უკან დახევის შემთხვევაში—განსაზღვრავს ათეულთა უკან დახევის წესრიგს და შეჩერების ზღუდეს;

ლ) აწყობს ოცეულის ვაზნათა საწყობს.

ათეულის მეთაურის მოვალეობანი.

ა) ანაწილებს ცეცხლითი ამოცანებს ჯგუფებს შორის;

ბ) აწყობს თვალთვალისა და დაცვის ჯერს;

გ) ჰზომავს მანძილს გამგნებ პუნქტებამდე;

დ) თვალყურს ადევნებს შეხამების სწორე გამოყენებას;

ე) უკან დახევის შემთხვევაში ჰსაზღვრავს ჯგუფთა დახევის წესს, ჯარს და შეჩერების ზღუდეებს;

ვ) აწყობს ვაზნებით შევსების წესს.

ჯგუფის მეთაურის მოვალეობანი.

ა) მიიღებს რა ათეულის მეთაურისაგან ამოცანას და დარიგებას ტყვიამფრქვევისა ან ავტომატის ადგილის შესახებ, თვალყურს ადევნებს სასროლ სივრცის გაწმენდას, ჰხელმძღვა-

ნელობს სანრგების გაკეთებისა და შეხამების სამუშაოს, თვალყურს ადევნებს მანძილების გამოზომვას წინ მდებარე ადგილობრივ საგნებსა და ზღუდეებამდე, ანაწილებს დავალებებს ავტომატის მსროლელისა და საუკეთესო მსროლელთა შორის და უჩვენებს მანძილს და დროს ცეცხლის ატეხისათვის;

ბ) მოწინააღმდეგის შემოტევის ხანაში, ტყვიამფრქვევისა და თოფის შორი ცეცხლის სფეროში—პირადად ჰხელმძღვანელობს მეავტომატეს და საუკეთესო მსროლელთა ცეცხლს, უჩვენებს მათ მიზანს და კორას, ხოლო ჯგუფის დანარჩენ კაცებს ათავსებს მოფარებით მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლისაგან;

გ) მოწინააღმდეგის შემოტევის ხანაში, თოფის ნამდვილი ცეცხლის ზოლში—ჰხელმძღვანელობს თავისი ჯგუფის ყველა მსროლელთა ცეცხლს;

დ) არ უცდის ათეულის მეთაურის ბრძანებულებას და მეავტომატის და გრანატის მტყორცნელთა ცეცხლით ეშველება მეზობელ ჯგუფზედ მიტანილ იერიშის მოგერიებას;

ე) არას შემთხვევაში არ დასწევს თავის ჯგუფს დაკავებულ პოზიციიდან, ვიდრე არ მიიღებს ბრძანებულებას ათეულის მეთაურისაგან.

მართველობის ოცეულის მეთაურის მოვალეობანი.

ა) სწორედ მოაწყოს ვაზნების შევსება და დაზიანებულ ტყვიამფრქვევთა და ავტომატთა შეკეთება-შესწორება;

ბ) თვალყურს ადევნებს ვაზნების წესიერ მიტანას და დაჭრილთა გამოყვანას;

გ) თვალყურს ადევნებს სურსათის მიწოდებას მებრძოლთათვის.

ასეულის კავშირის უფროსის მოვალეობანი.

ა) აწყობს კავშირს და სწრაფ გადაცემას ასეულის მეთაურის ბრძანებულებებისას ოცეულთა მეთაურებისათვის;

ბ) თვალყურს ადევნებს კავშირის შეუწყვეტლობას ზურგთან, მარცხენა მეზობელსა და არტილერიასთან.

მძიებელთა მოქმედება.

ა) მიიღებენ რა ამოცანას, წაიწევენ წინ 2-4 კილომეტრით;

ბ) გზა და გზა ახდენენ ადგილობრივ საგნებისა და მისადგომების დათვალიერებას;

გ) მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას, იძულებულს ჰყოფენ მას გაშალოს თავისი ძალები და სცდილობენ გამოარკვიონ მისი მოძრაობის მიმართულება;

დ) მოწინააღმდეგის ზეგავლენით, თანდათანობით იხევენ რეზერვისა ან ფრთებისაკენ; დახევის დროს შეჩერდებიან სროლისათვის მოსახერხებელ პუნქტებზე.

კავშირი ასეულის მოგერიებითი ბრძოლაში.

ასეულის მოსაგერიებელ უბანზედ კავშირი უმთავრესად სწარმოებს ცოცხალი და პირობითი ნიშნების საშუალებით (კოდა).

თანამედროვე ბრძოლაში მოგერიებითი სისტემა წარმოადგენს ცალ-ცალკე მებრძოლ ჯგუფარებს, რომელნიც ერთმანეთთან ცეცხლითი კავშირში იმყოფებიან. თუ საკმარისი დრო გვაქვს, ტელეფონების გამოყენება შესაძლებელია ოცეულთა მეთაურებამდე, მათი ჩარიცხვით, ხოლო როდესაც სატელეფონო მასალა ბლომად მოგვეპოვება—ზოგიერთ მებრძოლ ჯგუფარებამდისაც კი. ტელეფონის ქსელი წინასწარ უნდა იყოს გაყვანილი ლეგიონის საკავშირო გუნდის საშუალებით; ამასთანავე, რადგანაც შესაძლებელია მოწინააღმდეგემ ყური მოჰკრას ტელეფონით ლაპარაკს, ამისათვის ტელეფონის ხაზი ასეულის უბნის ფარგლებში ორ მავთულიანი უნდა იყოს.

კავშირი ათასეულის მეთაურთან და, აგრეედვე, მეზობელ ასეულებთან და არტილერიასთან აუცილებლად ტელეფონის საშუალებით უნდა იყოს დამყარებული.

მენიშნენი ბაირახითა და მაშუქათი მოფარებით უნდა იყვნენ მოთავსებული მოწინააღმდეგისაგან, ხოლო ნათლად უნდა მოსჩანდნენ თავის სანიშანო საგუშაგოებიდან.

კავშირი მარბიელთა და მსრბოლთა საშუალებით უნდა სწარმოებდეს იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც არსებობს ტელეფონით კავშირი, რათა ყოველ წამს შეეძლოთ მათ გასწიონ ტელეფონის მაგიერობა; მარბიელთ უნდა ირბინონ ტელეფონის ხაზის გაყოლებით, რათა ერთ და იმავე დროს თვალყური ადევნონ მის დაზიანებლობას.

მოგერიებით ბრძოლაში შესაძლებელია აგრეედვე მართვა შარის გამოყენებით, როდესაც ბრძანებულებას ერთი მეორეს ხმით გადასცემენ; კავშირისათვის შეიძლება აგრეედვე ვაზნების მიმტანთა გამოყენება, რომელნიც გზა და გზა გადასცემენ დასმენებს. (სქემა № 36).

ასეულის შეხამება მოგერიების დროს.

რადგანაც თანამედროვე სასროლი იარაღი თითქმის უძლურია კარგად დაფარულ და შეხამებულ ჯართა წინააღმდეგ, ამისათვის მოგერიების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეხამებას, რათა ამით, ერთის მხრივ, ყოველი

მებრძოლი კარგად იყოს დაფარული და, მეორეს მხრივ—შესაძლებლობა მიეცეს, რაც შეიძლება ძლიერი ცეცხლი განავითაროს.

ამისათვის საჭიროა, რომ არა მარტო ასეულის ნაწილები, არამედ აგრეთვე მისთვის სახმარებლად აგებული საფორტიფიკაციო საგნებიც, კარგად იყოს შეხამებული როგორც ჰაერიდან, ისე დედამიწის ზედაპირით თვალთვალისაგან.

ასეულის ნაწილებმა და ცალკე მებრძოლებმა უფრო მეტის დაკვირვებითა და გულდასმით უნდა გამოიყენონ ყოველი სახის ბუნებრივი შეხამება, ვიდრე შეტევის დროს.

შეხამების სასტიკი დისციპლინის დაცვის დროს, ყველა მსროლელთ მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ ცეცხლის უდროოდ ატეხა არარაობად ჰხდის ასეულის დალაგების შეხამებას, ცეცხლის ატეხაში თავის შეკავებას კი შეცდომაში შეჰყავს მოწინააღმდეგე მომგერიებლის ჯარის დალაგების შესახებ.

რეზერვში მყოფი ასეული კარგად უნდა იყოს დამალული ტყეებში, სოფლებში, თავსაფრებში, ღელეებში, და სხვ.

საბრძოლო ჯგუფარების პოზიციაზე დალაგების დროს საჭიროა ვერიდნეთ თვალსაჩინო ადგილობრივ საგნებს და მხოლოდ კარგი შემხამებელი საგნები გამოვიყენოთ.

გარდა ამ ბუნებრივი შეხამებისა მოგერიებით ბრძოლაში ფართედ უნდა იქმნეს გამოყენებული აგრეთვე ტეხნიური შეხამებაც, რომელიც განხორციელდება, უმთავრესად, ადგილობრივ საშოვარ მასალის საშუალებით (მიწა, ხე, სახურავების რკინა, შენობები, ლურსმნები და სხვ.); ტეხნიურ შეხამების სრულად განხორციელება სავსებით დამოკიდებულია ასეულის განკარგულებაში არსებულ დროზე.

სანგრებისა და ფარული გზების შეხამება ხორციელდება სხვა და სხვა გვარ ნიღაბის საშუალებით; ამასთანავე უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ყორისა და ზურგის გარდიგარდმის შეხამებას (შერეული საღებავების გაბნევა მათ ზედა პირზედ, ბალახით დაფარვა, მოთესვა, ფიჩხით დაფარვა და სხვ.)

საგნების შეხამების დროს, საჭიროა მარტო ყორისა ან ზურგის გარდიგარდმის ვიწრო ზოლი კი არ შევახამოთ, არამედ, რაც შეიძლება დიდ სივრცეზედ გავაგრძელოთ ეს შეხამება სანგრების ახლო-მახლო, რადგანაც ყოველი ხელოვნური შეხამება მუდამ განირჩევა რამდენიმედ ადგილ-მდებარეობის ბუნებრივი სახისაგან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტყვიამფრქვევთა შეხამებას, რომელნიც შეხამდებიან განსაკუთრებული გადასაფარებით, ხოლო დოლაბი სანგარში დაიხურება ჩარჩოთი და ზედ ნიღაბ-ბადე გაიშლება ან ხალები, ამასთან დაყრილი მიწა შეეხამება ირგვლივ მდებარე ადგილს.

ბანსანგარის შეხამების დროს, საჭიროა ყურადღება მიექცეს დაყრილი მიწისა, ფარული გზების ხვრელებს და ტელეფონის მავთულების შეხამებას, ისევე, როგორც სათვალთვალო პუნქტების შეხამების განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ხვრელებსა (ნიღაბ-ბადე, ნიღაბ-ხალი, სპეციალად მოწყობილი სერსეროთი წკეპლებისაგან და სხვა), დაყრილი მიწისა, ტელეფონის მავთულებისა და მათთან ფარული მისავლების შეხამებას.

ხელოვნურ დაბრკოლებათა შეხამების დროს, კარგია მათი მოთავსება დაბლობებში, ბუჩქებში; მავთულის ღობეებში საჭიროა ბოძები მომცროები და სხვა და სხვა სიმაღლისა იყოს.

დაბოლოს, გარდა ნაჩვენები ზომებისა მოგერიებით ბრძოლაში შეიძლება გამოყენებულ იქმნენ აგრეთვე ყალბი ნაშენები (სანგრები, დამაბრკოლებელი საგნები, სათვალთვალო პუნქტები, ქვემეხები და სხვ.). მაგრამ ყველა ამ ყალბ ნაშენს სარგებლობის მოტანა მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ, თუ გაკეთებული იქნება უხეშად კი არა, არამედ დაეტყობა, რომ მათ დამალვას ცდილობდნენ. ყალბი სანგრების ნაკეთების დროს კარგია ვისარგებლოთ წინად გაკეთებულ და მიტოვებული სანგრებით.

პოზიციის ფართედ განვითარების თანამედროვე ხანაში, ყალბ სანგრებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ, უმთავრესად, ზურგისა და საარტილერიო პოზიციებზე, რადგანაც მოწინააღმდეგის მიერ ჰაერმფრინავებიდან გადაღებულ ფოტოგრაფიულ სურათზე ნამდვილ პოზიციებთან ერთად, არა არსებული ბატარეები და პოზიციაც აღინიშნება და ამით მოწინააღმდეგეს საშუალება არ ექნება ჩვენს პოზიციაზე ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს.

ათასეულის მოგერიებითი ბრძოლა.

ამოცანის მიღება. და ძიება.

სხვა ათასეულებთან ერთად მომქმედი ათასეული საბრძოლო ამოცანას იღებს ჩვენების სახით და ადგილობრივი საგნებით აღნიშვნით ადგილ-მდებარეობის იმ უბნის კედარიისას, რომლებზედაც უნდა აწარმოოს ათასეულმა მოგერიება.

თუ ათასეული ცალკე მოქმედებს, მაშინ საბრძოლო ამოცანა მეტ თავისუფლებას აძლევს ათასეულის მეთაურს და იგი დამოუკიდებლად ირჩევს მოგერიებისათვის ადგილ-მდებარეობის უბანს, ან იმ ადგილობრივ საგნებს, რომელიც მან უნდა შეინარჩუნოს. უფროსი მეთაური ამასთანავე გააგნებს ათასეულის მეთაურს გარემოებაში და უჩვენებს მას მოქმედების საერთო მიზანს.

ათასეულის მოგერიება ჰგულისხმობს პოზიციაზე დალაგებას საბრძოლო წესით იმ აზრით, რომ ამ მდგომარეობიდან შეასუსტოს შემომტევი მოწინააღმდეგე ნამდვილი ცეცხლით და შემდეგ გადავიდეს შეტევაზე საკუთარ მიზნის მისაღწევად იმ გარემოებში, რომელიც ბრძოლის დროს შეიქმნება.

მოათავსებს რა მოფარებით ათასეულს, ათასეულის მეთაური მოაწყობს ამოცანის შესაფერ ძიებას და ჰგზავნის მას წინ; თუ საჭირო იქნება, ძიებას გააძლიერებს მოწინავე ჯგუფებით ან ათეულებით.

მიიღებს რა ზომებს ათასეულის დასაცავად და კავშირის მოსაწყობად ვისთანაც ჯერ არს, ათასეულის მეთაური, ასეულის მეთაურებთან ერთად, აწარმოებს დასაცავად დანიშნულ უბნის ძიებას იმავე წესით, როგორც ეს ნაჩვენები იყო ასეულის მოგერიებითი ბრძოლის აღწერაში.

ათასეულის დალაგება. ათასეულის დალაგება პოზიციაზედ ჰნიშნავს ასეულთა საბრძოლო უბნებისა და ათასეულის რეზერვის დალაგებას.

შეადგენს რა, სამოქმედო მიზნისა, ადგილ-მდებარეობის შესწავლისა და პოზიციის ძიების შედეგების მიხედვით, მოქმედების გეგმას და გამოარკვევს რა ათასეულის დალაგების მთავარ უბანს, ათასეულის მეთაური ანაწილებს მოგერიების ზოლს საბრძოლო ნაწილისა და ათასეულის რეზერვის ასეულთა შორის.

ასეულთა საბრძოლო უბნების საზღვრები აღინიშნება ადგილობრივი საგნებით; ათასეულის რეზერვის ადგილი ინიშნება რეზერვთა ზოლში და იმ ასეულის საბრძოლო უბნის უკან, რომელიც აღიარებულია უმთავრესად; რეზერვი შეიძლება მოთავსდეს აგრედვე გადგომითაც.

ათასეულის დასაცავ უბნის სიგანე შეიძლება იყოს 700 მეტრიდან 1 კილომეტრამდე (1000—1500 ნაბ.), ხოლო დაშორება ათასეულის რეზერვისა ასეულთა რეზერვებისაგან შეიძლება იყოს დაახლოვებით 400 მეტრამდე (600 ნაბ.).

მოქმედების გეგმა გამოიხატება ათასეულის მეთაურის ბრძანებაში.

ასეულთა საბრძოლო უბნებს ყველას ერთნაირი მნიშვნელობა არ ექნებათ; მათ შორის იქნება ერთი, რომელიც ათასეულისათვის მიცემულ ამოცანის, სროლის სივრცის თვისებით, ადგილ-მდებარეობის, და მისი მისაველების მიხედვით, უმთავრესად ჩაითვლება.

ყოველ ასეულის უბანში—ასეულის მეთაური შეისწავლის სროლის სივრცეს და თავისი ასეულის დალაგების პირობებს, როგორც ნათქვამი იყო ეს ასეულის შეტევაში; ეს შესწავლა იწყება ან წინასწარ, თუ წინდაწინავე ლაგდებიან მოსაგერიებლად, ან კიდევ იმ დროიდან, როდესაც ასეული გაიშლება საბრძოლო წესად.

ათასეულის მეთაურმა თავისი მოქმედების გეგმა უნდა განუმარტოს ასეულთა მეთაურებს.

ყოველი წინასწარი სამუშაო შესრულებული უნდა იქმნეს მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნეველად.

ათასეულის გაშლა საბრძოლო წესად.

როცა მოწინააღმდეგის შემოტევა არ არის შემჩნეული, მაშინ პოზიციის მთავარ უბანზედ იგზავნება მორიგე ნაწილი, რომლისაგანაც იგზავნებიან მზვერავები და დაიყენება საგუშაგოები; ფრთათა დასაცველად იგზავნებიან სათანადო ნაწილები. ათასეულის დანარჩენი ნაწილები კი დადგებიან ფარულად პოზიციის ზურგში და თავის უშუალოდ დასაცავად აგზავნიან მზვერავებს.

თუ შემჩნეულია მოწინააღმდეგის შემოტევა ამორჩეული პოზიციის მიმართულებით, მაშინ ათასეულის ნაწილები იგზავნებიან თავ-თავის ადგილას. ყოველ შემთხვევაში სასურველია ასეულები თავ-თავის უბნებზე დაიგზავნონ, ვიდრე მოწინააღმდეგე ასტეხდეს არტილერიის ცეცხლს და იმდენად თავის დროზედ, რომ ასეულთა მეთაურებს დრო ჰქონდეთ შეისწავლონ ადგილ-მდებარეობა და გარემოება, რომელშიაც მოუხდებათ მოქმედება, აგრეთვე, რომ ასეულებს შეეძლოთ მოასწრონ სანგრების გაკეთება და მათი შეხამება.

ასეულთა მოძრაობა უნდა შესრულდეს მოწინააღმდეგისათვისშეუმჩნეველად.

საბრძოლო უბანთა ასეულები გაიშლებიან საბრძოლო წესად ისევე, როგორც ეს მოხსენებული იყო ასეულის მოგერიებითი ბრძოლაში.

შემომტევის შეხვედრა.

მომგერიებლის საერთო მისწრაფება უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ, ადგილ-მდებარეობის ცოდნის გამოყენებით, ცეცხლით შეაჩეროს მოწინააღმდეგის შემოტევა, რაც შეიძლება დიდი ზარალი მიაყენოს მას, არივ-დარიოს იგი, შეურყიოს ზნეობრივი ძალა და შემდეგ გადავიდეს შეტევაზე.

ხოლო თუ შემტევი, მიუხედავად მომგერიებლის ცეცხლისა, მაინც მოიწევს მის პოზიციისაკენ, მაშინ მომგერიებელმა ყოველი ღონე უნდა იღონოს, რათა შეაფერხოს შემოტევა და უფრო დიდ ხანს შეაჩეროს თავისი ცეცხლის ქვეშ.

შემოტევის შესაფერხებლად, გარდა ცეცხლისა, მომგერიებელს შეუძლიან მიჰმართოს მოვლას ათასეულის რეზევიდან გაგზავნილი ნაწილებით; ამისათვის საჭიროა მომვლელი ნაწილი წავწიოთ წინ გადგომით და უბრძანოთ მას თანდათანობით მიიღოს მომვლელი მდგომარეობა.

თუ ათასეულის რომელიმე ნაწილმა მიაღწია კერძო წარმატებას, ეს წარმატება უნდა განავითაროს მეზობელმა ნაწილებმა, ათასეულის მოქმედების საერთო მიზნის მიხედვით.

მეზობელ ნაწილების მიერ ხელის შეწყობისა და, თუ საჭიროა, ერთმანეთის დახსნის საუკეთესო საშუალებაა — შეტევაზე გადასვლა იმ დროს, როდესაც იმ ნაწილმა მიაღწია წარმატებას.

შემომტევთან ბრძოლის დროს, მომგერიებელი მხარის მეთაური ყოველის ღონით უნდა სცდილობდეს არ მოუდუნდეს მის მებრძოლებს ენერგია, რომელიც ფრიად საჭიროა მომავალ შეტევაზე გადასასვლელად.

გარდა იმ ზომებისა, რომელიც ჩვენ უკვე ვიცით, ბრძოლაში დისციპლინის დასაცავად, სახელდობრ: მართვა და პირადი ზეგავლენა, ერთ-ერთ ნამდვილ ზომად ამ მიზნის მისაღწევად უნდა ჩაითვალოს, დაჭრილთა გადასაყვანად, ან სხვა რაიმე მიზეზით, ვინმესაგან წყობილების დატოვების სასტიკი აღკრძალვა. მეთაურთა შემადგენლობის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი ბრძოლაში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ მოვლენას არ ჰქონდეს ადგილი. უნდა ჩააგონონ ყველას, რომ მისთვის, ვისაც მოწინააღმდეგესთან მოქმედება შეუძლიან, დაჭრილებზე ზრუნვა ამ დროს საკადრისი არ არის; უნდა ჩააგონონ, რომ იმ კაცებს, რომელნიც ასეთი საბაბით სტოვებენ წყობილებას, ამოქმედებს არა სიბრალული, არამედ სიმხდალე; ასეთი მეომრები გვაჩვენებენ რა, ვითომც დაჭრილებზე ზრუნავენ, ნამდვილად მხოლოდ თავის თავზე ფიქრობენ და ერთის

გულისათვის ასეულ ამხანაგებს სტოვებენ, რომლებმაც არა ერთხელ დაიხსნეს ისინი განსაცდელ ჟამს.

მომგერიებლის წარმატება შემომტევის დახვედრის დროს, მჭიდროდ არის დაკავშირებული ბროლის ველის კარგ თვალთვალთან, ათასეულისა და ასეულთა მეთაურების ძიების თვისებასთან და ათასეულის ყველა უფროსთა მიერ საზრიან კერძო თაოსნობის გამოჩენასთან.

ცეცხლის წარმოებაში წარმატების მიღება დამოკიდებულია სროლის სივრცის ზედმიწევნით შესწავლაზე, ცეცხლის შედეგების თვალთვალის თვისებაზე და ტყვიამფრქევებისა, ავტომატებისა და თოფების განუწყვეტლივ შევსებაზე ვაზნებით; რათა შევსება არ შეფერხდეს, მომგერიებელს შეუძლიან ვაზნათა თადარიგი მოათავსოს თვით პოზიციაზე და შევსება აწარმოოს თადარიგიდან.

ათასეულის ნაწილთა ურთი-ერთ მოქმედების წარმატება ათასეულის მეთაურისაგან მოითხოვს დაკვირვებულ თვალ-ყურის დევნებას ბრძოლის მსვლელობისათვის და, შეცვლილ გარემოების მიხედვით, განკარგულებების თავის დროზედ მიცემას ათასეულის ნაწილებისათვის.

შეტევაზედ გადასვლა

თუ შემომტევს შესუსტება და მერყეობა დაეტყო, ეს წამი ყველაზედ ხელსაყრელია ენერგიულ შეტევაზედ გადასასვლელად, რათა მოწინააღმდეგეს საშუალება არ მიეცეს ძალის მოკრებისა; მაგრამ ბრძოლაში, დასახულ საბრძოლო ამოცანის მიხედვით, ხშირად ჯერ კიდევ საკმარისად ძლიერი მტრის წინააღმდეგაც მოგვიხდება იერიშზედ გადასვლა.

შეტევაზედ გადასვლა ჰგულისხმობს შეტევითი ამოცანის გადაწყვეტას ათასეულის მეთაურის მიერ იმ გარემოებაში, რომელიც ბრძოლით შეიქმნა.

ათასეულის მეთაურმა ბრძოლით შექმნილ გარემოებასთან შეფარდებით უნდა მოისაზროს გეგმა; კერძოდ, მან უნდა დაუსახოს მიზანი ყოველ საბრძოლო უბანს და ათასეულის რეზერვს, აირჩიოს მთავარი დაკვრა, რომელსაც აწარმოებს ერთ-ერთი საბრძოლო უბანი და ინვითარებს ათასეულის რეზერვი.

ზოგიერთ შემთხვევებში, შეტევაზედ გადასვლა შესაძლებელია მოხდეს როგორც აუცილებლობა, შეტევაზედ გადასულ რომელიმე ასეულისათვის დახმარების აღმოსაჩენად; მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი ასეულებს უნდა დასახული ჰქონდეთ განსაზღვრული ამოცანები და ათასეულის რეზერვი მი-

მართული უნდა იყოს მთავარი დაკვრის განვითარებისაკენ, რომელსაც აწარმოებს ერთ-ერთი საბრძოლო უბანი.

შეტევაზედ გადასვლას მოსდევს იერიში.

იერიში უნდა დამთავრდეს დევნით და მოწინააღმდეგისაგან წართმეულის განმტკიცებით; დევნა უნდა სწარმოებდეს ცეცხლით და წინსვლით.

მოგერიების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს მოწინააღმდეგის მხრით მოვლის ცდის აღმოჩენას, დროზედ, რათა შესაძლებელი იყოს საწინააღმდეგო ზომების დროზედვე მიღება; ეს საშუალებას არ მისცემს მტერს, კედროთი იერიში შეუერთოს ფრთებით იერიშს.

თუ ათასეულისათვის შეუძლებელი გახდა შეტევაზე გადასვლა, მაშინ მოსრავს რა მტერს ტყვიამფრქვევისა და თოფის ცეცხლით და ხელის გრანატებით ახლო ძანძილით, ეკვეთებიან ასეულები ხიშტით, როდესაც მოწინააღმდეგე თვითონ ეცემა მომგერიებელს.

თუ ასეთი მოქმედება წაგებული იქმნა, ასეულები უნდა გამაგრდნენ პოზიციის შიგნითა სივრცეზე და ზურგში და მუდამ მხედველობაში ჰქონდეთ შეტევაზე გადასვლა, როდესაც კი რაიმე საამისო შესაძლებლობა იქნება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევენ დასაყრდნობი პუნქტები და ჯვარედინი და გვერდისებური ცეცხლი სხვა და სხვა ცეცხლწერტებიდან, განსაკუთრებით ტყვიამფრქვევთა ცეცხლი, რომელსაც დაუშენენ პოზიციაზედ შემოპრილ მოწინააღმდეგეს. შემდეგში მომგერიებელმა მედგრად უნდა დაიცვას დაკავებული ადგილ-მდებარეობის ყოველი ნაბიჯი, შეასუსტოს მოწინააღმდეგე ცეცხლითა და მანევრით და გამოსძებნოს მოხერხებული წამი საერთო გადასვლისათვის შეტევაზედ.

ამრიგად დასაყრდნობი პუნქტები არა მარტო საშუალებაა მოწინააღმდეგის შემოტევის შესაჩერებლად, არამედ საფუძველიც არის მომგერიებლისათვის შეტევითი მდგომარეობის აღსადგენად; ამასთანავე მოწინააღმდეგე უნდა განდევნილი იყოს ჯერ წინააღმდეგობის ზოლიდან და შემდეგ—დათვალთვალების ზოლიდანაც.

პოზიციის სიღრმის წყალობით, მოგერიება შესაძლებელია იყოს მეტად მტკიცე.

ბრძოლის მთლად წაგებას მოჰყვება უკან დახევა, რომელიც სრულდება ისევე, როგორც შეტევა, მხოლოდ საწინააღმდეგო მხარეს.

მეთაურთა და ჯარების სიმამაცე, ცეცხლისა და ადგილმდებარეობის გონივრული გამოყენება, მოულოდნელად შეტევაზედ გადასვლა და, აგრეთვე, ფრთათა კარგი თვალთვალი—უზრუნველჰყოფენ წარმატებით უკან დახევას.

შეხვედრითი ბრძოლა.

შეხვედრითი ბრძოლის დახასიათება.

შეხვედრითი ბრძოლის მიზანია დაამარცხოს მტერი, რომელიც ჯერ ისევ საველე პირობებში იმყოფება და რომელსაც ჯერ კიდევ არ უსარგებლია მიჯგერიების ხელსაყრელი პირობებით.

შეხვედრითი ბრძოლის დამახასიათებელი სახეობა იქნება სვლის დროს შეხვედრილი ორი რაზმეულის ბრძოლა. მაგრამ, თუ ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მხარე იმყოფება სვენებაზე და იმდენად გვიან მიიღებს ცნობას მტრის შეტევის შესახებ, რომ თავის დროზედ ვერ მოასწრებს, ან და თვითონ არ მოინდომებს, დალაგდეს მოსაგერიებლად, არამედ გადავა შეტევაზედ, შედეგად ამ შემთხვევისა მივიღებთ იმავე შეხვედრით ბრძოლას.

ამრიგად შეხვედრითი ბრძოლა შედეგია ორივე მოწინააღმდეგის მისწრაფებისა, შეტევით გადასწყვიტონ ამოცანა.

შეხვედრითი ბრძოლა ხასიათდება:

1) გარემოების გამოურკვევლობით და ბუნდოვანებით და ამისათვის მოულოდნელობათა სიმრავლითაც;

2) შესაძლებლობით, ვეკვეთნეთ მტერს ხელსაყრელ პირობებში, როდესაც იგი მზად არ არის, და პირიქით, ამგვარივე შესაძლებლობით, გვეკვეთოს მტერი ჩვენნაირ პირობებში;

3) შესაძლებლობით, მტრის ბრძოლისათვის მოუმზადებლობის გამო, ვიხმაროთ გასადავებული საშუალებანი გაშლისა, შეტევისა და იერიშისათვის;

4) მეტად მნიშვნელოვანი დროს მოგების შესაძლებლობით იმ მიზნით, რომ დავასწროთ მტერს გაშლა, შეტევა და იერიში, ან თუნდაც დასახული ზღუდის დაკავება;

5) ბრძოლით, მოქმედებაში თაოსნობის ხელში ჩაგდების მიზნით, რათა მოწინააღმდეგე იძულებული ვყოთ გადავიდეს პასიურ მოქმედებაზე და შემდეგ დავამარცხოთ იგი;

6) არტილერიისა და ტყვიამფრქვევთა ცეცხლის სისუსტით ბრძოლის პირველ ხანებში;

7) ფორტიფიკაციურ სიმაგრეთა სიმარტივით იმ მხარისა, რომელიც დროებით მოგერიებას დაადგა.

პირობები წარმატების მისაღებად შეხვედრითი ბრძოლაში.

შეხვედრით ბრძოლაში წარმატების მისაღებად, საჭიროა:

1) სასწრაფოდ მიიღოს რაზმის უფროსმა გარკვეული გადაწყვეტილება, საჩქაროდ შეათანხმოს სათანადო ნაწილების მოქმედება მოკლე, მაგრამ გარკვეული და ნათელი ბრძანებულებით და, აგრედვე, რაც შეიძლება მალე გაერკვეს გარემოებაში;

2) მთელ თავის მოქმედებას საფუძვლად უნდა დაუდოს სიმედგრე და სისწრაფე;

3) დაასწროს მტერს ავანგარდისა და მთავარი ძალების გაშლა და ეცადოს, რაც შეიძლება, ჩქარა დაიკავოს ყველაზედ უფრო ხელსაყრელი სათვალთვალო პუნქტები და ცეცხლის ხაზები და წერტები, თუნდაც რომ უკვე მოწინააღმდეგის მოწინავე ნაწილების ხელში იყვნენ ეს უკანასკნელნი, იმ მიზნით რომ:

ა) საშუალება მოუსპოთ მტერს დაეყრდნოს მათ ან და გამოიყენოს ისინი, როგორც ძირითადი სათვალთვალო პუნქტები, შემდეგი შეტევის დროს და

ბ) ჩვენ თვითონ დავეყრდნოთ მათ და გამოვიყენოთ, როგორც ძირითადი სათვალთვალო პუნქტები, შეტევის განსავითარებლად მთავარი მიმართულებით;

4) მტერზედ ადრე ჩააბას საქმეში თავისი არტილერია და გაასადავოს ყველა ტეხნიური ილეთები, რომლებიც იხმარება სხვა სახის ბრძოლებში;

5) განავითაროს მოქმედება მოწინააღმდეგის ფრთებსა და ზურგში;

6) ჯარებისათვის საჭიროა მანევრის კარგი ცოდნა, ხოლო კერძო უფროსებისათვის საჭიროა შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად, მოქმედების საერთო მიზანისა და შექმნილ გარემოებასთან შეფარდებით.

თანამედროვე ბრძოლების ყველა სახეობიდან შეხვედრითი ბრძოლა მოითხოვს ყველაზედ მეტად მომზადებულ უმცროს მეთაურებს, რომელთაც კარგად უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად მოქმედება.

ეს ბრძოლა რიგის მებრძოლთაგანაც კი გაცილებით მეტ განვითარებასა და მომზადებას მოითხოვს, ვიდრე სხვა.

უფროს მეთაურისაგანაც, აგრედვე, მეტ ნიჭს მოითხოვს ეს ბრძოლა, ვიდრე სხვა რომელიმე.

გაურკვეველ და ყოველგვარ მოულოდნელობათა აღსავსე გარემოებაში, მხოლოდ ნამდვილი სამხედრო ნიჭით აღჭუ-

რვილ წინამძღოლს შეუძლიან მდგომარეობის სწორე დიაგნოზის დასმა და ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც გამარჯვება მოჰყვება.

პირველ ხანებში შეხვედრითი ბრძოლა გარეგნულად შემტევ და მომგერიებელ უბნების შეთანხმება-შეფარდებას წარმოადგენს, ხოლო თვითეული უბანი კი—შეტევისა და მოგერიების შეთანხმება-შეფარდებას.

ამგვარ პირობებში წარმატების თავდებია ბრძოლაში თავხედობამდე მიყვანილი სიმედგრე—შეტევის დროს და უკიდურესი სიმტკიცე—მოგერიებისას.

ასეულის მოქმედება შეხვედრითი ბრძოლაში.

ასეულის მოქმედება გაშლამდე.

შეხვედრით ბრძოლაში ასეული შეიძლება მოქმედებდეს სრულიად დამოუკიდებლად, ან სხვა დიდი ერთეულების შემადგენლობაში, ან არა და შესაძლებელია, არ იყოს დამოუკიდებელი ოპერატიულად, მაგრამ თავისუფალი იყოს მიმართულებისა და სამოქმედო მისადგერის არჩევაში, ათასეულის ამოცანის ფარგლებში.

პირველ შემთხვევაში დამოუკიდებელი მოქმედება მოუხდებათ იმ ასეულებს, რომელნიც შედიან მეთაურ და გვერდითი სპაში, შეტევითი სვლის დროს; მეორე შემთხვევაში ასეთი მოქმედება წილად ჰხვდებათ იმ ასეულებს, რომელთაც გამოჰყოფენ ათასეულიდან შემოვლის საწარმოებლად, ან და დაავალებენ შექმნან ათასეულისათვის საყრდნობი, რათა მან შესძლოს შემოვლა მთავარი ძალებით და სხვა.

მუდამ, ასეულის დამოუკიდებელ მოქმედების დროს, ასეულის მეთაური, მიიღებს რა მოწინავე მძიებელ ნაწილებისაგან ცნობას მტრის შემოტევის შესახებ, უპირველეს ყოვლისა ვალდებულია განსაზღვროს რუკის საშუალებით ადგილ-მდებარეობის მთავარი წერტილები, გარემოების მიხედვით, და უჩვენებს ასეულის მძიებელთ იმ საზღვრებს, რომლის აქეთაც აღარ შეუძლიანთ მათ დახევა.

ამასთანავე წესად უნდა იყოს მიღებული, რომ მძიებელთ მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ ასეულის მეთაურის მიერ ნაჩვენებ საზღვრებამდე დახევა, როდესაც მტრის შემოტევა აღემატება მათ ძალას; იმ შემთხვევაში კი, როდესაც ასეთ შემოტევას ადგილი არა აქვს, მძიებელნი, რომელნიც შეებმიან მტრის მძიებლებს ან ლაშქრობის დამცველთ, უნდა სცდი-

ლობდნენ უკუაქციონ მტერი და სდევნონ იგი რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება.

ასეული ამ დროს განაგრძობს მოძრაობას სალაშქრო რაზმეულით, რომელიც შეიძლება სწარმოებდეს ან გზის გასწვრივ, როდესაც მტერი ჯერ კიდევ არ ესვრის ასეულს არტილერიის ცეცხლს, ან კიდეე რაზმეულის სახით (ყამირით, მოპირდაპირის თვალთვალისაგან დაფარული მიმართულებით)— —მოწინააღმდეგის მიერ არტილერიის ცეცხლის ატეხის პირველ ხანებში. ძლიერი ცეცხლის დროს კი ასეული წყობაცვლილობს ოც-ოცეულ წყობილებად, შემდეგ ათ-ათეულ და ბოლოს, მტერთან მიახლოვებისას, ჯგუფ-ჯგუფართა წყობილებად.

ასეულის მიახლოვებისას მძიებელთა მიერ დაკავებულ ხაზთან (დაახლოვებით 2, 5 კილომ.), უკანასკნელთათვის დასახმარებლად იგზავნებიან მძიმე ტყვიამფრქვევები, თუ კი ასეთები მიცემული აქვს ასეულს; წინააღმდეგ შემთხვევაში კარგია მსუბუქი ტყვიამფრქვევებით მაინც დავეხმარნეთ მძიებელთ.

ასეულის გაშლა. მძიებელთა მიერ დაკავებულ ხაზთან მიახლოვებისას, ასეულის მეთაური აწარმოებს ძიებას, რომელსაც მიზნად დასახული აქვს გამოარკვიოს, თუ რა უფრო მიზან-შეწონილი იქნება:

ა) დაეხმაროს მძიებელთ მთელი ასეულის შეტევით, თუ

ბ) გააძლიეროს მძიებელნი ასეულის ნაწილით და მათზე დაყრდნობით შემოუაროს მოწინააღმდეგის ფრთას და ამით იძულებული ჰყოს იგი დახევაზე თუ არა — შეაჩეროს მაინც, ან არა და

გ) შექმნას ძიების საყრდნობი უკან მომავალ ნაწილებისათვის.

პირველ შემთხვევაში ასეული გაიშლება ფართე კედაროზე მხნე შეტევისათვის. რეზერვი აქ არ არის საჭირო, რადგანაც მის დანიშნულებას შეასრულებენ ზურგიდან მომავალი ნაწილები.

მეორე შემთხვევაში მძიებელთ გააძლიერებენ დაახლოვებით ერთი ოცეულით ან მისი ნაწილით, ხოლო დანარჩენი ოცეულები გამოიყენებიან მოვლის საწარმოებლად.

დაბოლოს, მესამე შემთხვევაში, ასეული გაიშლება და დაეწყობა მოგერიებით ბრძოლისათვის, რაც შეიძლება, ფართო კედაროთი და ურეზერვოდ, რადგანაც მის დანიშნულებას შეასრულებენ უკანიდან მომავალი ნაწილები.

მოწინააღმდეგის შეხვედრითმა იერიშმა არ უნდა შეაჩეროს ასეულის შეტევა, რომელიც უნდა იყოს მტკიცე და

გადამწყვეტი, რადგანაც შემოტევის თავხედობა შეხვედრითი ბრძოლაში ანაზღაურდება მით, რომ მოწინააღმდეგე ვერ აწარმოებს მასიურ ცეცხლს და არც რეზერვები ჰყავს ახლოს.

აიძულა რა მოწინააღმდეგე შეჩერებულიყო და უკუქცეულიყო დაპყრობილი ხაზიდან, ასეული სდევნის მოწინააღმდეგეს და სცდილობს მიჰყვეს ფეხ და ფეხ და დაიპყრას შემდეგი ხაზებიც.

მანევრის დასაყრდნობ პუნქტებზე დატოვებული ასეულის ნაწილები ვალდებული არიან გულდასმით ათვალთვალონ ასეულის მანევრის შედეგები და, იმის და მიხედვით, თუ რა გავლენას მოახდენს მოწინააღმდეგეზე ეს მანევრი, უნდა გადავიდნენ ენერგიულ კონტრ-იერიშზე თავისი მიმართულებით,

მხოლოდ მთელი გარემოების სწორი შეფასება შეიძლება საფუძვლად დაედოს ასეულის მოგერიებაზე გადასვლას.

ასეულს, რომელიც, გარემოების გამო, თავიდანვე მოგერიებას დაადგა, შეუძლიან დამოუკიდებლად გადავიდეს კონტრ-იერიშზე, თუ კი მოპირდაპირემ შეაჩერა შემოტევა და სანგრების კეთება იწყო.

ასეული, რომელიც არა დამოუკიდებლად მოქმედებს შეხვედრითი ბრძოლაში, ყოველივე ზემოხსენებულს გამოიყენებს თავის ამოცანასთან შეფარდებით, ხოლო დანარჩენში ისარგებლებს დარიგებებით შეტევითი და მოგერიებითი ბრძოლის წარმოებისათვის.

საერთო დებულებანი რამდენიმე ათასეულისაგან შემდგარი ნაწილის მოქმედებისათვის ბრძოლაში.

ასეულისა და ათასეულის შეტევა და მოგერიება შეადგენენ საფუძველს ქვეითი ჯარის მოქმედებისათვის ბრძოლაში.

თუ რომელიმე ნაწილი ან რაზმი შესდგება რამდენიმე ათასეულისაგან (ლეგიონი, ბრიგადა და სხვა.), მაშინ ბრძოლაში ისინი, ჩვეულებრივად, მოქმედებენ სხვა დარგის ჯარებთან ერთად (არტილერიასთან და ცხენოსან ჯართან).

ამ შეერთებულ-შეთანხმებულ მოქმედებათა გამოკვლევა შეადგენს ტაქტიკის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის საგანს.

ქვეითი ჯარის თვისებათა გამოკვლევას და მისი მოქმედების შესწავლას სხვა და სხვა ომიანობისას ნამდვილ ბრძოლებში მივუყევართ ქვეითი ჯარის, რამოდენიმე დარგის ჯარებისაგან შემდგარი მოზრდილ სპის შემადგენლობაში მოქმედებისათვის, შემდეგ ზოგად დებულებებამდის:

1) ლეგიონის, ბრიგადისა, დივიზიიის ბრძოლა—არ უნდა ნაწილდებოდეს მათ შემადგენლობაში შემავალ სამეთაურო ერთეულთა მთელ რიგ ცალ-ცალკე მოქმედებებად. ქვეითი ჯარის ყველა ნაწილები უნდა სცდილობდნენ ბრძოლის საერთო მიზნის მიღწევას, ერთმანეთის დახმარებას და ერთი-მეორის გამოხსნას განსაცდელისაგან.

2) ბრძოლის საწარმოებლად ქვეითი ჯარის ნაწილები გაიშლებიან საბრძოლო წესად. საბრძოლო წესის ყოველი საბრძოლო უბანი, მიაღწევს რა თავის კერძო მიზანს, ამასთანავე უნდა სცდილობდეს იმოქმედოს ისე, რომ გაადვილდეს საერთო მიზნის მიღწევა.

ყოველი საბრძოლო უბნის თავისი საბრძოლო წესად გაშლის დრო და ადგილი დამოკიდებულია ამ უბნის სამოქმედო კერძო მიზანსა და გარემოებაზე.

ყოველ საბრძოლო უბანსა და რეზერვში მოხმარებული წყობილებანი უნდა შეესაბამებოდნენ მოწინააღმდეგის დაშორებას, მისი ცეცხლის ხასიათს და ადგილ-მდებარეობის თვისებებს.

3) ყოველი მოქმედების დაწყების წინ გარკვევით უნდა იყოს განსაზღვრული: მოძრაობის მიზანი და საერთო მიმართულება, დიდრონი ნაწილებისათვის კი—მოძრაობის ზოლი. მოძრაობის მიმართულება და ზოლი შეიძლება ნაჩვენები იყოს რუკაზედ ან ადგილობრივი საგნებით.

საერთო მიმართულების მიხედვით—ყოველ უფრო პატარა ნაწილს მოძრაობის მიმართულება ეძლევა მის წინ მდებარე თვალსაჩინო ადგილობრივ საგანზე იმგვარად, რომ ყველა ნაწილების მოძრაობა ესწრაფებოდეს საერთო მიმართულებას.

როდესაც შეუძლებელია ადგილობრივი საგნის ჩვენება, საჭიროა მიმართულება განისაზღვროს რომელიმე სხვა საშუალებით, მაგალითად: გზის გასწვრივ, ტყის გასწვრივ და სხვ. და, აგრედვე, ყიბლანით. როდესაც შეუძლებელია მოძრაობის მიმართულების განსაზღვრა ადგილობრივი საგნებით, უნდა დაინიშნოს მიმართულების მიმცემი ნაწილი.

ყველა ნაწილების მიერ მოძრაობის მიმართულების სწორი დაცვა—საუკეთესო საშუალებაა, რომ საბრძოლო წესში არ მოხდეს გარღვევა ან შეხროვება.

4) მოძრაობა საჭიროა შეფარდებული იყოს ადგილ-მდებარეობასთან, რომელზედაც უხდება ჯარს მოძრაობა, და მოწინააღმდეგის ცეცხლთან. ამ პირობების მიხედვით, უნდა იყოს ხმარებული წყობილებანი და მოძრაობის ხერხ.

5) ყოველი მოძრაობის დროს, ყოველი ნაწილი უნდა ზრუნავდეს, რომ სხვა ნაწილებს ხელი არ შეუშალოს მტრის წინააღმდეგ ცეცხლის წარმოებაში.

6) მოწინააღმდეგის მიმართ კედაროთი მოძრაობა, პირველ შესაძლებლობისათანავე, უნდა შეერთებული იყოს მისი ფრთის მოვლასთან; მოვლისთვის საჭიროა ნაწილი წინასწარ დაინიშნოს, როდესაც მტერი ჩვენგან ჯერ კიდევ შორს არის.

7) მიმართულების სწორი დაცვა—უმთავრესი საფუძველია ქვეითი ჯარის მანევრების წარმატებისათვის. მოწინააღმდეგის მიმართ ფრთით მოძრაობას უნდა ვერიდნეთ ყოველის საშუალებით, განსაკუთრებით მოწინააღმდეგესთან ახლო მყოფ ნაწილებში; ისეთი მოძრაობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს ცერად მოძრაობით, ნაწილების საბრძოლო წესის სიღრმიდან მიმართვით.

8) მტრის შესამუსრავად საუკეთესო საშუალებაა ყოველ გამოსათოფ მიზნის წინააღმდეგ კედაროთი წარმოებული ცეცხლის შეთანხმება, ფრთით წარმოებულ ცეცხლთან, ან და, ყოველ შემთხვევაში, ალმაცერ ცეცხლთან მაინც, რათა მიზანი მოჰყვეს ჯვარედინ ცეცხლ ქვეშ.

9) იერიშის წარმატება დიდად არის დამოკიდებული იერიშის მიმართულების სწორ ამორჩევასა და მის ნათლად ჩვენებაზე, იერიშის დასაწყებად მოხერხებული წამის ამორჩევაზე. საჭიროა ვცდილობდეთ კედაროზე მიტანილ იერიშს შეუერთოთ ფრთით მიტანილი იერიში მომვლელ მდგომარეობიდან.

მიმართულების სისწორისათვის ყოველ მოიერიშე ნაწილს მუდამ უნდა აჩვენონ მოწინააღმდეგის დალაგების თვალსაჩინო უბანი ან ადგილობრივი საგანი.

10) როდესაც არტილერია არ არის, ქვეითი ჯარის შეტევა პირველ ხანებში სწარმოებს მძიმე ტყვიამფრქვევთა ცეცხლის მფარველობის ქვეშ, რომელთათვისაც ამორჩეული უნდა იყოს წინ წასაწევად დაფარული გზები; ამასთანავე ცეცხლის მეტის სინამდვილის მისაღწევად, საჭიროა, რაც შეიძლება, იშვიათად უცვალოთ მათ პოზიცია. 800 მეტრის (1200 ნაბ.) მანძილით მძიმე ტყვიამფრქვევთა ცეცხლს მსუბუქ ტყვიამფრქვევთა ცეცხლიც შეუერთდება; შემდეგ, 600 მეტრის (900 ნაბ.) მანძილით ცეცხლით ჰიდილში ჩაერევა ავტომატები და, ბოლოს, 300 მეტრის (450 ნაბ.) მანძილით—მსროლელნიც.

ცეცხლის მფარველობის ქვეშ, საბრძოლო წყობილებანი მიიწევენ წინ, ამასთანავე არც ერთი ატეხა ცეცხლისა არ უნ-

და ხდებოდეს ტყუილად. უაღრეს განვითარებას ყოველი სახეობის ცეცხლი აღწევს იერიშის დასაწყისი ხაზთან დაგროვებისას და თვით იერიშის დროს.

11) ქვეითი ჯარი იერიშზე გადადის მოწინააღმდეგის გზა და გზა ახლო მანძილებით ტყვიამფრქვევთა და თოფის სროლით შეესვრის შემდეგ; თვით ხიშტით კვეთების წინ იგი მოწინააღმდეგეს ანადგურებს თოფისა და ხელის გრანატებით.

საერთო იერიშის წარმოება შეიძლება უფროსი მეთაურის განკარგულებით. მაგრამ თუ მოწინააღმდეგესთან მეტად ახლოს მივედით, მაშინ იერიში და ხიშტით კვეთეაა შეიძლება მოხდეს აგრეთვე საბრძოლო უბნის უფროსის თანხმობით, ზოგჯერ კი უბნის რომელიმე ნაწილის თანხმობითაც; ამ შემთხვევაში უახლოესი ნაწილები ვალდებულნი არიან დაეხმარნენ მოიერიშეთ და განავითარონ წარმატება.

12) ხიშტით კვეთებაზე გადასვლას უნდა წინ უსწრებდეს: მოწინააღმდეგის მისავლების შორით დათვალიერება და ძიება და, აგრეთვე, მის ძიერ მოწყობილ ხელოვნურ დაბრკოლებათა აღმოჩენა და შესუსტება.

13) ხიშტით კვეთებას მსროლელთა ჯგუფარები აწარმოებენ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ისინი იერიშის დასაწყის ხაზს მიუახლოვდნენ; მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევები და ავტომატები რჩებიან თავიანთ უკანასკნელ პოზიციაზედ და, რაც შეიძლება, ძლიერი ცეცხლით, რომელსაც ისინი აწარმოებენ შემტევ ჯგუფარების შორისებით, შეძლების და გვარად, დახმარებას უწევენ მსროლელთა ჯგუფარების იერიშს.

14) იერიში და ხიშტით კვეთება აუცილებლად უნდა გვირგვინდებოდეს მხნე დევნით და მოწინააღმდეგისაგან ყოველივე წართმეულის განმტკიცებით. დევნა უნდა სწარმოებდეს ცეცხლით და წინსვლით.

15) თუ იერიში წაგებულია, იგი იმ დრომდე უნდა მეორდებოდეს, ვიდრე დასახული მიზანი მიღწეულ არ იქნება. ამისათვის, წაგებული იერიშის შემდეგ, ქვეითი ჯარი უნდა, რაც შეიძლება, ახლოს შეჩერდეს მოწინააღმდეგისაგან, მოეწყოს და ხელმეორედ მიიტანოს იერიში.

16) წაგებული იერიშის შემდეგ უკან დახევის შემთხვევაში, უფროსებმა მალე უნდა მოაწყონ თავისი ნაწილები და პირობები მოამზადონ შეტევაზე ახალი გადასვლისათვის. თუ, ამავე დროს, უფროსების განკარგულებაში დასვენებული ნაწილები არიან, მაშინ მათ უნდა შეაჩერონ შემომტევი თავისი ცეცხლითა და რამდენადაც შესაძლებელია, ფრთის მიმართ მანევრით.

17) უკან დახევას იწყებენ რეზერვები, რომელთაც უკან სვლა უნდა აწარმოონ იმ მიმართულებით და ადგილ-მდებარეობის იმ უბნით, საიდანაც უფრო ადვილია მათთვის მტრის შემოტევის შეჩერება და, საიდანაც უფრო მოსახერხებელია, თუ საჭირო იქნება, თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. ყველა საბრძოლო უბნები მოვალენი არიან აწარმოონ ერთმანეთ შორის კავშირი; მათი უფროსები გულდასმით უნდა ადევნებდნენ თვალყურს, რომ მოწინააღმდეგემ არ გაარღვიოს ან და არ მოუარონ უკან მაყალ ნაწილებს, და თავის დროზედ უნდა მიიღონ ამის საწინააღმდეგო ზომები. უკან დახევის დროს საჭიროა დაკვირვებული ძიება, თვალყურის დევნება და ფრთების დაცვა.

18) ყოველ სულ მცირე შესაძლებლობისათანავე უკან დახეული ნაწილები, თავისი მიზნის მისაღწევად, უნდა გადადიოდნენ შეტევაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, გარემოების მიხედვით, უკან დახევა შეადგენს დროებით მოქმედების მიზანს.

ქვეითი ჯარის ღამით მოქმედება.

ღამით მოქმედების თვისებანი.

რაც უფრო უმჯობესდება სასროლი იარაღი, მით უფრო მეტ მნიშვნელობას პოულობს ღამით მოქმედება. ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ ღამით,ან სრულიად, ან ნაწილობრივად მაინც, შენელდება თანამედროვე ცეცხლის საშინელი ძალა.

ეს არის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ღამით მოქმედებისა; ამ თვისების მეორე თვისებასთან შეერთებით— დაფარვა სპის ნამდვილი სიდიდისა—დიდი საქმის გაკეთება შეიძლება შედარებით მცირე ძალებით. ეს მოვლენა შეადგენს ღამით მოქმედების იმ ელემენტს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქმნეს მხნე და გაბედული ნაბიჯით.

ღამით მოქმედების დანარჩენ თვისებებს, პირიქით, უარყოფითი ხასიათი აქვს, რომლის შესუსტებასაც ყოველ ღამით მოქმედების დროს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ეს თვისებები შემდეგია:

1) სიბნელის გამო მეტად ძნელია, როგორც ადგილ-მდებარეობის, ისე გარემოების გაგნება, რის გამოც მეტად ადვილია გზის აცდენა, მიმართულების დაკარგვა და კავშირის შეწყვეტა.

2) გარემოების იდუმალება, ამ გარემოების ნათლად გარკვევის შეუძლებლობა, უკიდურესობამდე სჭიმავს, თავის

მხრივ ღამით მოქმედებაში მონაწილეთა ნერვებს. ამ ნერვიულობის წყალობით, სულ უბრალო საბაბს შეუძლიან გამოიწვიოს არევ-დარევა და ელდაც კი (პანიკა).

3) ამ ორ თვისებას შედეგად მოსდევს მესამე თვისება— ჯარების მართვის მეტის მეტი სიძნელე. ამას ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ ის ცუდი ელემენტი, რომელიც ყოველ ნაწილში მოიპოება, სცილდება უფროსთა უშუალო ზეგავლენას, ამავე დროს კი, სწორედ ღამით არის, განსაკუთრებით, საჭირო მათი ხელში ჭერა, რადგანაც ერთ უდროო გასროლას, ერთ ამოძახილს მთლად შეუძლიან გააფუჭოს მთელი საქმე.

როგორც ვხედავთ, ღამით მოქმედების უარყოფითი მხარეები მეტად სერიოზულია და ამისათვის ღამით მოქმედებანი მეტად მდიდარია ყოველგვარ შემთხვევებითა, მოულოდნელობით, რომელთაგანაც ყველაზედ ხშირია—სროლა თავისიანების წინააღმდეგ.

ჯარების მართვის სიძნელე ღამით მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია რაზმი. ამ გარემოების გამო ღამით მოქმედებისათვის ყველაზედ უფრო გამოსადეგია მცირე ძალის რაზმები. როდესაც დიდი ნაწილებით უხდებათ მოქმედება, ამ შემთხვევაში მათ, ჩვეულებრივად ჰყოფენ რამდენიმე რაზმეულად.

ქვეითი ჯარის ცეცხლი ღამით.

ღამით ქვეითი ჯარის ცეცხლის სინამდვილეზე გავლენას ახდენს, უმთავრესად, ორი გარემოება—სიბნელე და მსროლელის მღელვარება.

I. სიბნელის გამო არა სჩანს არც მიზანი, არც ნიშანი და არც კორა; მაშასადამე, შეუძლებელია მტრის მიზანში ამოღება, თუნდაც ვიცოდეთ მისი დალაგების ადგილი.

აქედან ცხადია, რომ ბნელ ღამეში ქვეითი ჯარის ცეცხლს სინამდვილე მხოლოდ სულ ახლო მანძილითა აქვს— 100—40 მეტრი (150—50 ნაბ.).

სროლის სიშორის გადიდება ღამით შეიძლება ორი საშუალებით: 1) ისეთი მოწყობილების საშუალებით, რომელიც განსაზღვრულ წერტილზე გამიზნულ მდგომარეობაში შეინახავს თოფს ან და ტყვიამფრქვევს და 2) ადგილ-მდებარეობის ხელოვნური განათებით.

ა) მოწყობილებანი, თოფისა ან ტყვიამფრქვევის გამიზნის შესანახავად, უნდა მომზადდეს თვალნათლივ იმ მასალისაგან, რომელიც ხელთ გვექნება; ტყვიამფრქვევსა და თოფს დაუმიზნებენ სასურველ წერტილს და ამის შემდეგ

მოწყობილებას დაამაგრებენ იმ გვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მიცემული მდგომარეობის დაცვა.

ამ საშუალებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან იმ შემთხვევაში, როდესაც პოზიციის კედაროს წინ არის განსაზღვრული ზოლი, რომელსაც ვერას გზით ვერ ასცდება შემოტევის დროს მტერი (მაგალითად: ხიდი, გზასხმული და სხვ.); ადვილი მისახვედრია, რომ ამგვარი საშუალებით სროლის სათოფავის სიგანე მეტად ცოტა ზომას მატულობს.

ბ) ადგილ-მდებარეობის ხელოვნური განათებისათვის შეიძლება გამოყენებული იქმნეს მნათობი შუშხუნები, პროჟექტორები და აგრეთვე, ჩვეულებრივი კოცონები.

მნათობი შუშხუნა ანათებს მოედანს, რომელიც უდრის 400—500 მეტრიან (600—750 ნაბ.) დიამეტრის მქონე წრეს; დრო საუკეთესო განათებისთვის—12-14 წუთი, დაახლოებით ერთი ვერსის მანძილზე. სრულიად მშვიდი ამინდი ხელს არ უწყობს შუშხუნების მოქმედებას, რადგანაც მნათობი შემადგენლობის დაწვისაგან გაჩენილი ბოლი, ხელს უშლის განათებას.

საველე პროჟექტორები საკმარისად ფართოდ გამოიყენება.

საველე პროჟექტორი, 60 სანტიმეტრის დიამეტრიანი სარკით, შესაძლებლობას გვაძლევს თვითეული ადამიანის მოძრაობა გავარჩიოთ 1400 მეტრის (2000 ნაბ.) მანძილზე, ხოლო მთელი ნაწილების მოძრაობა—2000 მეტრის (3000 ნაბ.) მანძილზედ.

კოცონით შესაძლებელია განათდეს მხოლოდ განსაზღვრული ზოლი, რომელიც აუცილებლად უნდა გაიაროს მოწინააღმდეგემ შეტევის დროს; კოცონებს მოამზადებენ თვალნათლივ ამ მიზნით წინ გაგზავნილი მსროლელნი.

II. მეორე გარემოება, რომელიც დიდად ასუსტებს ღამით ცეცხლის სინამდვილეს—ნერვების დაქიმულობაა, რომელიც იპყრობს ადამიანს ღამით მოქმედების დროს. მისი წყალობით, უფროსები ძალიან ადვილად ჰკარგავენ გავლენას თავის კაცებზედ, ხოლო ცეცხლის წარმოება ადვილად ხდება უმიზნო და არეულ-დარეული; მისი შეჩერებაც მეტად ძნელ საქმედ ხდება.

რათა გაეაძნელოთ თვით შესაძლებლობა ნაწილის უფროსთა გავლენისაგან გამოსვლისა, აუცილებლად საჭიროა ურყევ წესად იქმნეს მიღებული, რომ ღამით არავის ჰქონდეს უფლება ასტეხოს სროლა უფროსი მეთაურის ნებადაურთველად.

ამრიგად, სიბნელე და მსროლელის ნერვიულობა არის ის ორი უმთავრესი გარემოება, რომელიც თავისებურ ბეჭედს ასვამს ქვეითი ჯარის ცეცხლის ხასიათს ღამით. ეს ხასიათი ასე გვეხატება: არ ასტყდეს სროლა უფროსის ნებადაურთველად და სროლა შესაძლებელია სწარმოებდეს მხოლოდ და უმთავრესად, ახლო მანძილით (100-40 მეტრი).

შორი მანძილით სროლის წარმოება შეიძლება ან დემონსტრატიულის მიზნით, ან კიდევ მეტად ხელსაყრელ გარემოებაში (მოწყობილებანი თოფებისა და ტყვამფრქვევებისათვის, განათება, ნათელი ღამეები), რომელიც შესაძლებელია მიღებულ იყოს უფრო გამონაკლისის სახით, ვიდრე, როგორც ზოგადი წესი.

საბოლოოდ, ღამით ქვეითი ჯარის ცეცხლი საკმარისად ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და პირველი ადგილი აქ უბრუნდება მკვეთ იარაღს.

ქვეითი ჯარის საბრძოლო წესი და წყობილებანი ღამით.

ერთის მხრით გაცილებით უფრო ნაკლებ საშიშროებას ცეცხლისაგან და, მეორე მხრით—მართვისა და ხიშტით მოქმედების გასაადვილებლად, რაც შეიძლება, შემჭიდროებით დალაგების საჭიროებას, მოსდევს შედეგად, რომ ქვეითი ჯარისათვის, ღამით მოქმედებისას, ერთად-ერთ წყობილებად რჩება მიჯრილი წყობილება: ასეულისათვის—ოცეულთა რაზმეული და ოც-ოცეული წყობილება, ხოლო ათასეულისათვის—სარეზერვო რაზმეული და ას-ასეული წყობილება; ამასთანავე, ორივე შემთხვევაში, ერთმანეთისაგან მოწყვეტის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა შემოკლდეს მანძილი და ხანები (ნახ. № 37).

რაც შეეხება საბრძოლო წესს, შეიცავს რა იმავე შემადგენელ ნაწილებს, ე. ი. საბრძოლო ნაწილს, რეზერვს, და ფრთათა დამცველ ნაწილებს, დღისით დალაგებისაგან იგი განსხვავდება შემდეგით:

1) რადგანაც ღამით მოქმედების დროს პირველი ადგილი ეკუთვნის მკვეთ იარაღს, ხოლო ცეცხლით მოქმედება ეპიზოდიურ ხასიათს იღებს, ამისათვის არავითარი ცეცხლითი ჯგუფები საბრძოლო ნაწილში არ იგზავნება; ამის მაგივრად საბრძოლო ხაზი შემდგარი იქნება მცირე რაზმეულთა (ჯგუფარები, ათეულები) ხაზებისაგან, რომელთაც თავში ექნებათ მოთავსებული დიდი რიცხვი კვეთების საშუალებისა.

2) რეზერვის ნაწილები მოძრაობენ უკან, მცირე მანძილით, წინ მიმავალი ნაწილების ხანების პირდაპირ, ამასთანავე რეზერვები იღებენ უფრო მეტად შემჭიდროებულ დალაგებას.

რეზერვებმა უნდა იყოლიონ საკმარისი რიცხვი შემკავშირეთა რომ სწორი მიმართულება არ დაკარგონ.

3) მართვის გასაადვილებლად და კავშირის საწარმოებლად, საბრძოლო წესის ყველა ნაწილთა შორის, უნდა შემცირდეს მანძილები; ამავე მიზნით, ყველა ნაწილებმა, როგორც კედაროთი, ისე სილრმით უნდა მოაწყონ ჯაჭვი საკავშირო საგუშაგოებისა, რომელნიც ისეთ მანძილზე მოთავსდებიან, რომ ერთმანეთს მუდამ ჰხედავდენ.

4) ფრთათა დამცველ ნაწილების გაგზავნის გარდა, საბრძოლო წესის კედარო, ფრთები და, შეძლებისამებრ, ზურგიც უნდა დაფარული იყოს მზვერავებისაგან შემდგარი ხშირი ჯაჭვით, რომელნიც აგრედვე ისე მოთავსდებიან, რომ ერთმანეთს მუდამ ჰხედავდნენ.

მართვის გასაადვილებლად საჭიროა ფართოდ იყოს გამოყენებული შუქით შთანგობა, საიდუმლო მაშუქათა საშუალებით.

საბრძოლო წესის მოძრაობა.

საბრძოლო წესის ღამით მოძრაობის დროს უნდა დაცული იყოს საზოგადო დებულებანი, ე. ი. მიმართულების დაცვა და კავშირის წარმოება; გარდა ამისა, მტრის სიახლოვის გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს წესრიგი და სიჩუმე.

შესაფერისი მიმართულების დაცვა, ღამით შეტად ძნელი საქმეა, ამისათვის საჭიროა: ა) ჯერ ისევ თვალნათლივ იქმნეს შესწავლილი მოქმედებისათვის დანიშნული უბნები, ბ) აუცილებლად იქნეს გამოყენებული შუქიანი ყიბლანები, გ) დაწესებული იყოს პირობითი ნიშნები შუქით და დ) მოწყობილი იყვნენ მოძრაობის მაჩვენებელნი.

კავშირის საწარმოებლად გამოიყენება საშორისო საგუშაგოთა ჯაჭვი, როგორც კედაროთი, ისე სილრმით, შთანგობა და კანდლები.

ქვეითი ჯარის შეტევითი მოქმედება ღამით

ქვეითი ჯარის შეტევით მოქმედებას ღამით, უმთავრესად, შეიძლება ორი მიზანი ჰქონდეს: 1) ღამის დაფარვით, მხოლოდ მიუახლოვდეს რამდენადაც შეიძლება მტერს და იერიში მიიტანოს გათენებისას, ან კიდევ 2) ღამითვე მიიტანოს იერიში.

I. პირველ მიზანს, ჩვეულებრივად, მაშინ ისახავენ, როდესაც მოქმედება უხდებათ დიდი ძალებით და დიდი სიგანის კედაროთი. ამისთანა პირობებში მართვის სიძნელე ღამით იმდენად დიდია, რომ არევ-დარევისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ღამის სიბნელით მხოლოდ იმისათვის სარგე-

ბლობენ, რომ, რაც შეიძლება, ნაკლების ზარალით მიუახლოვდნენ მტერს; თვით იერიში კი სწარმოებს გათენებისას.

ამ შემთხვევაში ჯერ ისევ თვალნათლივ უნდა იყოს აღნიშნული ის ხაზი, რომელამდისაც სასურველია ჯარების წაწევა წინ; შემდეგ, დაკვირვებით უნდა იყოს მოხილული, როგორც თვით ეს ხაზი, ისე მთელი ადგილ-მდებარეობა ამ ხაზამდე.

დაბნელდება თუ არა, ქვეითი ჯარი საბრძოლო წესით, მზვერავთა მფარველობის ქვეშ, უსროლელად, მიიწევს წინ აღნიშნულ ხაზზე და მაშინვე გაიკეთებს სანგრებს.

იერიში სწარმოებს იმავე საფუძვლით, როგორც დღისით.

II. იერიში ღამით, უმთავრესად, სწარმოებს მცირე რაზმების მოქმედების დროს, მცირე კედაროთი, როდესაც საჭიროა: 1) პოზიციის რომელიმე უბნის, ან ადგილობრივი საგნის დაპყრობა, რათა გაიადვილოს მომავალი მოქმედება დღისით, ან და 2) პირიქით, დღისით მიღწეული წარმატების განვითარება, ან კიდევ 3) მტრის დაუდევრობით სარგებლობა.

ღამით იერიში ყველაზე უფრო გამორჩეული საშუალებაა რიცხვით სუსტ, მაგრამ სულით მაგარ მოწინააღმდეგისათვის. ღამით არ სჩანს ძალები და მთელი წარმატება დამოკიდებულია ზნეობრივ ელემენტზე. საკმარისია გავაოცოთ მტერი მოულოდნელობითა და გაბედული მოქმედებით, რომ შემტევის ძალა ერთი ათად გაიზარდოს მის თვალში.

ღამით წარმოებული იერიშის აუცილებელი პირობა ორი გარემოებაა: 1) ადგილ-მდებარეობისა და მოწინააღმდეგის პოზიციის დაწვრილებითი ძიება, ამსთანავე განსაკუთრებით უნდა გამორკვეული იყოს — დალაგება, ხელოვნურ დაბრკოლებათა სახე და ტყვიამფრქვევთა ადგილი და 2) სიმარტივე მოქმედების გეგმისა, რომელიც დაწვრილებით უნდა ჰქონდეს გაცნობილი ყველა მეთაურს.

მოვლას უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ღამით მოქმედების დროს, ვიდრე დღისით, მაგრამ მის შესრულებას მეტად აძნელებს ღამის სიბნელე და მას, შესაძლებელია, არევ-დარევა მოჰყვეს.

ამისათვის მოვლას ღამით უნდა მივმართოთ მხოლოდ შემდეგ პირობებში: 1) როდესაც შემტევმა ზედმიწევნით იცის მოწინააღმდეგის ფრთები და მისადევრები და 2) როდესაც შესაძლებელია სრულიად საიმედო კავშირის დამყარება მომავლელ და კედაროთი მომქედ ნაწილებს შორის.

გეგმის მიხედვით, რაზმი იყოფა რაზმეულებად; ყოველი რაზმეული იღებს სრულიად გარკვეულ ამოცანას და უნდა იმოქმედოს საკუთარი დამოუკიდებლად; ყოველი რაზმეული, რომელმაც დაიწყო შეტევა, მიდის მისთვის სამოქმედოთ ნაჩვენებ საგნებისაკენ და არა ჩერდება არც ცეცხლის საწარმოებლად და არც მეზობლების დასაცდელად, რადგანაც ძალიან ძნელია სხვა და სხვა რაზმეულების შეთანხმებულ მოქმედების იმედით ყოფნა.

გამგზავრებისას ყოველ ასეულში კარგად უნდა გადაირჩეს სუსტი, ბეცი და არასაიმედო კაცები; ღამით მოქმედებაში მათი წაყვანა არ შეიძლება. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ღამით მოქმედების დროს, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე სხვა დროს, მნიშვნელობა აქვს ღირსებას და არა რიცხვს.

შემდეგი მიახლოვება მოწინააღმდეგესთან და იერიშის მიტანა სწარმოებს ქვემორე საფუძვლების მიხედვით:

მეტად კარგია ჯერ ისევ თვალნათლივ მიუახლოვდეთ, რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება, მოწინააღმდეგის პოზიციას, რათა შევამოკლოთ ის მანძილი, რომლის გავლაც მოგვიხდება ღამე.

მიახლოვებას ყოველი რაზმეული აწარმოებს საბრძოლო წესით, მზვერავთა ჯაჭვის მფარველობის ქვეშ.

მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას კარგი არ არის მაშინვე ხიშტით კვეთება,რადგანაც შესაძლებელია ეს საგუშაგო მზვერავი გამოდგეს, რომელთა წინააღმდეგაც საკმარისია რამდენიმე გაბედული მებრძოლის გაგზავნა; ხდება ხოლმე ისიც, რომ მოწინააღმდეგე მხოლოდ მოგვეჩვენება. იერიშს კი ყოველთვის მოჰყვება აუცილებელი ხმაურობა, რომელიც გასცემს ჩვენს მოძრაობას. ამისათვის, წესად უნდა იყოს მიღებული, რომ, მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას, უპირველეს ყოვლისა მიღებულ უნდა იყოს ყოველივე შესაძლებელი საშუალება გარემოების გამოსარკვევად; ამისათვის საჭიროა გაჩერდეს ნაწილი და მაშინვე გაიგზავნოს საძიებლად რამდენიმე გაბედული და მოხერხებული მებრძოლი.

თუ შემტევის წინ აღმოჩნდა საგუშაგო, მზვერავი, საყუჩი და სხვა მისთანანი, საჭიროა ვეცადნეთ, ხმაურობის გამოუწვევლად, ხელთ ვიგდოთ იგი ან და მთლიანად მოვსპოთ. თუ ეს ვერ მოხერხდა და ჩვენი შეტევა შეამჩნიეს, მაშინ საჭიროა გაბედული შეტევით შევავიწროვოთ მტრის საგუშაგოები, რათა მივყვეთ მათ ფეხდაფეხ და შევიჭრათ მათ მთავარ პოზიციაზედ.

შეტევის დროს. ისევე როგორც იერიშისას, წარმატების საფუძველი არის: სისადავე, თავდადება, გაბედულობა და უხმაუროდ წარმოებული მოძრაობა და მოქმედება.

სროლა, შეტევის დროს დასაშვები არ არის.

პოზიციაზე შეჭრისას, საჭიროა წესრიგის აღდგენა, რამდენადაც კი შესაძლებელია, და დაპყრობილ პოზიციის დამკვიდრება მაშინვე.

ქვეითი ჯარის მოგერიებითი მოქმედება ღამით.

მოგერიებითი მოქმედებანი ღამით მეტად არა ხელსაყრელია.

თუ დღისითაც კი მეტად ძნელია მოწინააღმდეგის განზრახვათა გამოცნობა, ღამით, როდესაც სიბნელე სრულიად ჰფარავს მოწინააღმდეგის როგორც ძალას, ისე მოძრაობის მიმართულებას, ეს საქმე გაცილებით უფრო ძნელია; ამას თან ერთვის ისიც, რომ მოგერიების მთავარი ძალა—ცეცხლი თითქმის მთლად ჰკარგავს თვის მნიშვნელობას. ამის გამო მომგერიებელმა უნდა ყოველი ღონე იხმაროს, რათა აიცილოს თავიდან ღამით იერიში; საუკეთესო საშუალება საამისოდ, რასაკვირველია, იქნება დაასწროს მოწინააღმდეგეს და თვითონ მიიტანოს მასზე იერიში; ასე მაგალითად, თუ აღმოჩნდა, რომ მოწინაღმდეგემ ისარგებლა ღამის სიბნელით და მოუახლოვდა ჩვენს დალაგებას, ჩვენი პოზიციის უახლოესი მისავლების დაკავების მიზნით, საჭიროა მისი უკუგდება შეტევაზე გადასვლით, ვიდრე სანგრების გაკეთებას ბოლოსწრებდეს.

მაგრამ გარემოება მუდამ არ მოგვცემს შეტევაზე გადასვლის შესაძლებლობას, მაშინ, თავისი მდგომარეობის გასაადვილებლად, მომგერიებელმა, ღამით იერიშის მოლოდინში, უნდა შეასრულოს შემდეგი:

1) მიიღოს ყოველი ზომა, რათა რაც შეიძლება, ადრე აღმოაჩინოს მოწინააღმდეგის შემოტევა და არ მისცეს მას საშუალება, მოულოდნელად იგდოს ხელთ მომგერიებელი.

ამ მიზნით ფრთებზე იგზავნებიან დამცველი ნაწილები, ხოლო კედაროს წინ—რაც შეიძლება შორს—ყველაზედ უფრო მეტად გამბედავ და მოხერხებულ მებრძოლთაგან შემდგარი საგუშაგონი, საყურეები და მზეერავნი.

ნიშნები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მტრის მოძრაობის აღმოჩენა შორი მანძილით, ხმაურობის მიხედვით, შემდეგია: მაგარ ნიადაგზე მომავალი ასეულის მოძრაობა მშვიდ ღამეში ისმის 400 მეტრის (600 ნაბ.) მანძილით, ნაბიჯით მომავალ ესკადრონისა ან პატარეიის მოძრაობა—550 მეტ-

რის (800 ნაბ.) მანძილით, ხოლო ჩორთით მომავალისა— 800 მეტრით (1200 ნაბ.) თვითეული ცხენოსნის მოახლოვება ისმის 100 მეტრის (150 ნაბ.) მანძილით.

როდესაც მტერი ახლოა, მეტად სასარგებლოა მოხალისეთა გაგზავნა, მისი დალაგების შეწუხების მიზნით; ეს ზომა ართმევს რა მოწინააღმდეგეს მოსვენებას, ამავე დროს ხელს უწყობს მის შემოტევის დროზედ აღმოჩენას.

ერთის მხრით ბერაებსა, მზვერავებსა და საყუჩებს შორის, და მეორეს მხრით—პოზიციის შორის, საჭიროა დამყარდეს მეტად მჭიდრო და სწრაფი კავშირი; ტელეფონი ამ შემთხვევაში ფასდაუდებელი საშუალებაა.

2) გარდა სიფხიზლისა და კარგი დაცვისა, საჭიროა კიდევ ზომების მიღება, რომ მოწინააღმდეგეს გაუძნელდეს თვით მოახლოვება პოზიციასთან; ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მანძილები ცეცხლწერტთა შორის შეივსება მსროლელთა მხარდამჭერი და გამოყოფილი თხელი ჯაჭვით.

შემდეგ, მეტად სასარგებლოა ამ მხრით ყოველგვარი ხელოვნური დაბრკოლებანი, განსაკუთრებით ნაღმები, მავთულის ბადეები, ხერგილი; საჭიროა ეს უკანასკნელნი მოეწყოს არა მარტო კედაროს წინ, არამედ ფრთებზედაც. გარდა ამისა, საჭიროა გაკეთდეს მოწყობილებანი, ხელოვნურ დაბრკოლებათა ხაზისა და უახლოეს მისავლების გამოსათოფავად თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით. ღამით სასროლად მოწყობილი ტყვიამფრქვევები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებენ და თითქმის დაუძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენენ შემტევისათვის.

როდესაც შესაძლებელია, მოეწყობა, აგრედვე, პოზიციის უახლოეს მისადევრების განათება საჭიროების ჟამს პროჟექტორებით ან კოცონებით.

3) მართვის გასაადვილებლად, საჭიროა მტკიცე კავშირის მოწყობა საბრძოლო წესის ყველა ნაწილთა შორის; აქაც დაუფასებელ სამსახურს გაგვიწევენ ტელეფონი და შუქით შთანგრობა.

4) დაბოლოს, დახმარების დასაჩქარებლად საფრთხეში მყოფ უბნებისათვის, კერძო რეზერვები უნდა იყოს მნიშვნელოვანი ძალისა და უნდა დალაგდნენ საბრძოლო ხაზის უშუალო სიახლოვეზე, რათა მოსახერხებელი იყოს კონტრ-იერიშზე გადასვლა, თუ ვინცობაა მოწინააღმდეგე შემოიჭრა პოზიციაზე. საერთო რეზერვი მიიწევა პოზიციის ყველაზედ უფრო მნიშვნელოვან პუნქტთან.

თვით მსვლელობა მოგერიებისა მდგომარეობს შემდეგში: ყველა განკარგულებანი გაცემული უნდა იყოს ჯერ ისევ თვალნათლივ, ყოველმა ნაწილმა, ყოველმა მებრძოლმა კარგად უნდა იცოდეს, თუ რის გაკეთება მოელის მას ღამით განგაშის შემთხვევაში. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება არევ-დარევისა და ფაცა-ფუცის თავიდან აცილება, რომელნიც ისე მავნებელია ღამით მოქმედებაში.

მოწინააღმდეგის მოახლოებისას იმ პუნქტებთან ან ხაზებთან, რომელნიც წინდაწინვე დანიშნულია ტყვიამფრქვევისა და თოფის ცეცხლით გამოსათოფავად, უნდა ასტყდეს სროლა; ამასთანავე სროლა ასტყდება უფროსი მეთაურის ნებართვით. თუ მტერი შემოიჭრა პოზიციაზედ, საჭიროა მისი უკუგდება კონტრ-იერიშზე გადასვლით.

იმ შემთხვევაში, თუ კონტრ-იერიში ვერ მოხერხდა, საჭიროა პოზიციის ერთ ნაწილზედ მაინც შევჩერდეთ გათენებამდის, რათა შემდეგში ხელმეორედ შევეცადნეთ მტრის უკუგდებას; მეტად სასურველია დასვენებული რეზერვების შენახვა ამ წამისთვის.

საერთოდ, თუ იერიშის დროს ღამით საჭიროა გამბედაობა და თავხედობა, მოგერიების წარმატება ღამით, პირიქით, მთლიანად დამოკიდებულია მომგერიებლის გულგრილობასა და მედგრობაზედ.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ტეხნიკის თანამედროვე განვითარებისა და თანამედროვე ავტომატიური და თოფის ცეცხლის სიძლიერის გამო, შეტევა დღისით დაკავშირებულია დიდ ზარალთან და, ამისათვის, ბუნებრივია, რომ ღამით მოქმედება უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იღებს.

ღამით მოქმედება კი, თავის მხრით, მოითხოვს მეტ გამოცდილებას, როგორც ჯარისა, ისე მეთაურებისაგან; ამისათვის მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ამ მოქმედებისათვის მომზადებას, ჯერ ისევ მშვიდობიან დროს.

ზოგიერთი სიტყვები და ტერმინები.

ჯგუფი	Группа.
ჯგუფარი (ჯგუფის მაგიერ) .	Звено.
ჯერი.	Очередь.
მართველობის ოცეული . .	Взвод управления.
გამიზვნა.	Пристрелка.
სარტყელა	Лента.
გაფანტვის ფოლოცი. . .	Площадь рассеивания.
სამადი რაზმეული. . . .	Колонна по три.
სროლა მუსვრად; სროლა შემუსვრისთვის	Стрельба на поражение.
ბრძანებულობა.	Приказание.
ცეცხლის სახეობა. . . .	Вид огня.
ცეცხლის გვარეობა . . .	Род огня.
ცალადი რაზმეული . . .	Колонна по одному.
ცეცხლწერტილი	Огневая точка.
ტყვიო; ტყვია	Пуля.
ფრთით ცეცხლი	Фланговый огонь.
შთანგი (ნიშანის მაგიერ). .	Сигнал.
შეგუება.	Применение.
შენილბვა; მონილბვა (შეხამების მაგიერ)	Маскировка.
შთანგობა (ნიშანიანობის მაგიერ)	Сигнализация.
წერტი	Пункт.
გაკრულობა.	Настильность.
ორედი რაზმეული . . .	Колонна по два.
ექვსადი რაზმეული . . .	Колонна по шесть.
არე (სფეროს მაგიერ) . .	Сфера.
ტალა (დარაჯობითი დაცვის მაგიერ უნდა იხმარებოდეს).	Сторожевое охранение.
ზეწარი	Полотнище.
ნაშენი	Сооружение.
ღია ადგილი	Открытое место.

შენიშვნა: ეს ტერმინები შესწორებულია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ და შეტანილ იქნება დასამტკიცებლად წარდგენილ სამხედრო-ტეხნიურ ლექსიკონში.

ს ა რ ჩ ე ვ ი.

	გვ.
ქვეითი ჯარის ძირითადი თვისებანი.	1
ქვეითი ჯარის ცეცხლი	10
შაშხანა თოფის ცეცხლი	11
ტყვიამფრქვევის ცეცხლი	16
ცეცხლის ხელმძღვანელობა	19
სროლის არაჩვეულებრივი სახეობა	23
ქვ. ჯარის წყობილებანი	25
საბრძოლო წესები	30
ოცეულის საბრძოლო წესი	38
ასეულის საბრძოლო წესი.	51
ათასეულის საბრძოლო წესი.	58
ქვ. ჯარის მოქმედება ბრძოლაში	61
შეტევითი ბრძოლა.	71
ასეულის შეტევითი ბრძოლა.	78
ასეულის მართვა შეტევითი ბრძოლაში.	95
კავშირი ასეულის შეტევითი ბრძოლაში	102
ტაბულა შემოკლებულ ნიშანიანობის ნიშნების გადაცემისა ასეულისათვის	105
ასეულის ნიღაბობა შეტევის დროს	107
ხანდაკობა შეტევის დროს	110
ასეულის ვაზნებით შევსება	112
ათასეულის შეტევა.	116
ათასეულის მართვა შეტევითი ბრძოლაში.	127
კავშირი ათასეულის შეტევითი ბრძოლაში	130
მოგერიებითი ბრძოლა.	131
ასეულის მოგერიებითი მოქმედებანი	136
ასეულის მართვა მოგერიებითი ბრძოლაში.	147
კავშირი ასეულის მოგერიებითი ბრძოლაში.	150
ასეულის შეხამება მოგერიების დროს	150
ათასეულის მოგერიებითი ბრძოლა	152
შეხვედრითი ბრძოლა	158
ასეულის მოქმედება შეხვედრითი ბრძოლაში.	160
საერთო დებულებანი რამდენიმე ათასეულისაგან შემდგარი ნაწილის მოქმედებისათვის ბრძოლაში	162
ქვ. ჯარის ღამით მოქმედება.	166

შემჩნეული შეცდომები და შესწორებანი.

გვერდ.	არის:	სტრიქ.	უნდა იყოს:
1.	შემადეგენელ	2	შემადგენელ
2.	მტყორცხნელი	20	მტყორცნელი
2.	შემდეგი	22	შეიდეგ
4.	მათგანიი	1	მათგანი
4.	ნალმ-მტყოცნი	8	ნალმ-მტყორცნი
5.	ბარ ისაგან	18	ბარგისაგან
7.	უპირველასად	4	უპირველესად
7.	ილეთეეეები	8	ილეთები
7.	მომზადებით	2	მომზადებით და
8.	თანდათანობიდგან	18	თანდათანობით
8.	უბარლო	14	უბრალო
11.	ნმდვოლ	24	ნამდვილ
12.	მიიღონ	11	მიიღოს
12.	სახეობასას	22	სახეობისას
16.	ტყეიამფრქვევი	31	ტყვიამფრქვევი
16.	თოფას	32	თოფის
17.	**დამიზნებითი** დანიშნულ	37	**დამიზნებითი,**
18.	მოყოლება	16	მიყოლებით
19.	სროლის	20	სროლისას
20.	თ	19	თუ
21.	ცელხლი	7	ცეცხლი
22.	მაინც	12	მაინც.
22.	მათაური	36	მეთაური
23.	ნაწილორივ	5	ნაწილობრივ
24.	დაკრულობა	8	გაკრულობა
27.	რომელ	6	რომელიმე
27.	თვითმქმედ	7	თვითმომქმედ
28.		4	**ათეულის წყობილებანი.**
29.	წყობილებების	29	წყობილებებს
30.	დახლოვებით	7	დაახლოვებით
30.	დააჰხვდება	36	დაჰხვდება.

31.	სამართავად	22	მართვისათვის
31.	მეტდ	20	მეტად
31.	ბრზოლის	25	ბრძოლის
32.	რეზერვის შექმნით	24	რეზერვს შეექმნით
32.	შესრულეპც	3	შესრულებაც
36.	შეცვლა,	9	შეცვლა
39.	მხარდამჭერი	10	მხარდამჭერის
39.	საბროლო	36	საბრძოლო
40.	იქონიებს	34	იქონიებენ
56.	მაწილს	17	ნაწილს
65.	ია ღით	22	იარაღით
69.	ტყვიმფრქვევებითაც კი	15	ტყვიამფრქვევებითაც კი
74.	მოულონელობის	9	მოულოდნელობის
75.	ეაჩეროს	15	შეაჩეროს
78.	მიმართულებაც	31	მიმართულებისა
85.	მოგერიებს	12	მოგერიების
102.	ინვევენ	7	იწვევენ
107.	საშუალებენი	18	საშუალებანი
110.	თავის	14	თივის
113.	1)	34	1) მიტანა
114.	ჩალვადრებით,	7	ჩალვადრებით—
114.	2)	1	2) მიტანა
114.	3)	6	3) მიტანა
119.	მოხედვით	19	მიხედვით
121.	აწარმოებს	18	იპერს ან იკავებს კავშირს
121.	შემდეგი	21	შემდეგ,
123.	მიცემა	31	მიცემაა
125.	ხიშტით	22	ხიშტის
127.	შესრულების საშუალებები	29	შესრულების საშუალებებში
129.	მეათურს	29	მეთაურს
130.	შესახები	33	შესახებ
133.	მიმგერიებელს	12	მომგერიებელს
133.	სპის.	27	სპის
137.	ძალას	28	ძალას,
135.	შეიძლება	22	შეიქმნება
135.	რეზერვები	27	რეზერვების (ნახ. № 34)
136.	გამოყოფილი).	27	გამოყოფილი) (ნახ. № 35)
164.	ცეცხლ შუა	18	ცეცხლ ქვეშ.

169.	ძლიერ ბეჭედს	2	თავისებურ ბეჭედს
174.	ართმევს	6	უკარგავს
174.	ცეცხლწერტთა	15	ცეცხლწერტილთა
174.	ბადეები	20	ღობეები
163.	ხერხ.	40	სახეები,
167.	სცილდება	7	ასცილდება.
171.	გამორჩეული	18	ამორჩეული
174	ამსთანავე	26	ამასთანავე